


ՊՐԵ



ՀՅՈՒՆԱՑՄԱՆ ԺԱԽԱՋՈ № 5 (64)
ԽԱՐԱԿԱԽԱՐԱԽԱՐԱԽԱՐԱԽԱՐԱԽԱՐԱ
2023



ԱԼԵՎՏԻՆԻ
ԿԱԶՅԵՅՈ -
175

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა

ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთის“

მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

 საქათთველოს
აულიერის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

შურნალის ეს წომარი გამოდის
საქათთველოს პალიტერის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტროსა
და „ევროპელიანი საქათთველოს“
ხელმისაწვდომი



შემოქმედებითი
საქართველო
CREATIVE GEORGIA



№5,(64), 2023

ოქტომბერი



გამოვლის სამთხვევი ერთხელ



„ოლეს“ ლიტერატურული ჟურნალი



შიდაარსი

მხატვრული ლიტერატურა

3. მარიამ კომიანიშვილი. ლექსები
13. სათურა გოზალიშვილი. მოთხრობები
22. ვანო ჩილვაძე. ლექსები
29. ელგუჯა თავარიშვილი. ჯავრო ბებო. ნოველა
33. გიგი ჩილვიძე. ალები და ანგელოზები.
მოთხრობა

38. გადრი სულაძე. ლექსები
43. ლანა მანვალი. სად არის ბედნიერება.
რომანი
49. ვახტანგ ჩაცორტაძე. ლექსი

გავვეგისტრირების საკითხავი

50. ნინო სტურუა. ლექსები
52. როლანდ გიორგაძე. უარსებულო
ქვეყანაში. მოთხრობა
60. ხელოვანი სხვა რაკურსით
56. კახა ცაბაძე. ლექსები

თარგმანი

57. ემილი დიკინსონი, ლუის მაკეისი.
ლექსები. თარგმანი ნინო ძამუკაშვილმა

კრიტიკა-კუპლიცისტიკა

59. როსტომ ჩხეიძე. იღიას ჯილდოს ახალი
ლაურეატები
61. ეპვალა მიქალაძე. ქართული
მხატვრული სიტყვის დიდოსტატის – მურთაზ
ნაკუდაშვილის — ლექსის სამყარო
67. ნინო დარბაისელი სტრინი.
ვარსკვლავებით მოქედილი ცა აფხაზეთის
თავზე
72. ეკოევან ჯარვალიძე, ნინო პატრიაშვილი.
გრამატიკის პოეტიკა და პოეზია
81. ეკოევან უისუმაშვილი. ფსიქოლოგიური
პორტრეტები მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“
და ევროპული ლიტერატურული პარალელები
86. ნანა რჩეულიშვილი. ...უამშა კალამი
და მიტუსალა...

დაბეჭდი გამოცემლობა „მერიდიანი“

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე ქართველი
მწერლების პოსტერები. მხატვარი სოფიო ჭელიძე

1



ოლე, №5, 2023



* * *

„ირწმუნენ! შვილნო და ძმანო!.. ირწმუნენ ფარისეველნო და ურწმუნენო, რომ ვისიც გული ერთხელ იგრძნობს მოძმეთ სიყვარულის დიდებულებას, მისი გული საუკუნოდ გადაებმის ხალხის გულს, გადაებმის და შემდეგ ყოველი დაკვნესება მათი სახმილის ცეცხლად გაისმის მათთან დაკავშირებულის გულში, ყოველი ტკივილი თვითეულისა მძაფრად მოედება მათვის თავგადადებულს...“


ალექსანდრე ყაზბეგი

2



ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი

ალექსანდრე ყაზბეგის
სახლ-მუზეუმი



მარიამ კოზმანიშვილი

ს ი უ ლ ი ს ი უ ლ ი ს ი უ ლ ი ს ი უ ლ ი ს ი უ ლ ი ს ი უ ლ ი

„რამ ფამილანა“ და გზავ...
რა უნდა ლლიტეს მგზავრი?..
რამ ფამილანა და ფრომი...
სულფამწრობილთა ჰგრომი...
რამ გამახარა? – წამ...
ზამთარ-ზაფხულის ჩვლივი...
სამყაროს დედა – მზემ...
სიყვარულმა და შენ...

მ. კოზმანიშვილი

3



ფსალმუნი სიყვარულისა

დღეს არარაი უკეთებია ხელსა ჩემსა...
მოწყენილ ვარ და სევდიანი...
თვალნი – ჩემნი, ცრემლით სუელნი და სული, გათოშილი....
ვეაჯები უფალს სიმშუიდესა.
ლაწვნი გაცრეცილ, ვითარცა ზაფრაი, შემოდგომისაი.
დავშთი მარტო და უნუგეშო.
სხეულს შეყრია სნეულებაი და ენუკვის მოსვენებასა.
თავი, ჩემი, მოძულებულ არს ჩემგნითვე.
მსურინ ხილვაი შენი, სანატრელო ჩემო.
ვგოდებ უშენოდ მოარულს დღეებს და გიხმობ, სულისა – ჩემისა სასალბუნოდ.
შენ ხარ ღვთაებაი ჩემი და მკურნალი, ჩემი.
უშენოდ დაიშრიტება სიცოცხლეი ჩემი, ვითარცა წყარონი – ხვატისაგან.
დღეი, ჩემი, ცალიერ და სმენია, დადუმებულ!..
ენაი, ჩემი, უმეტყველო და ფიქრი – გასავათებულ...
მზერაი ჩემი, მონატრებულ ხილვასა შენსა!..
უკუეთუ დავშთე უშენოდ, გაიცრიცოს მზეი – ჩემისა სიცოცხლისაი...
გეაჯები, აღმანთე ცეცხლად, სიყვარულო!
ალერსით მოესალბუნე მწუხრსა ჩემსა და განმიღვივე სხივნი – სიამისაი!..
ნუ ეულად შემარჩენ მუხთალსა ყოფასა და კაცთა – უგუნურთა, რომელნიცა
სიბოროტითა და სიბეცითა ჰვლიენ, ვითარცა მთვარეულნი...
უშენოდ არა ძალმიძს ყოფნას სოფელსა შინა,
არა მელამაზების მზეი მშუენიერი,
არა მესალბუნების მთვარეე სისადავითა!..
დღიდან, საკუთარის თავის შეცნობისა, ნიადაგ მოვილტვი შენსკენ, ვითარცა
ფარავანაი, ლიცლიცა შუქისაკენ.
სიზმარულ შვებად მესახები და მოგიხმობ მარადიულად!..
სული ჩემი, შეშლილ და ბორგნეულ არს შენისა მონატრებისაგან!..
მო, სიყვარულო, დაშთი ჩემთან მარადიულად!
აღმომინათე ცისკრად დღეი, ხვალინდელი!



ფამსატე

აბა სცადე და დამხატე:
შეშლილი და დინჯი – ერთდროულად....
ბობოქარი სულით და თვალებში ჩაკრული სევდით...
შინაგანი ცეცხლით და გარეგნული სიმშვიდით...
გულში მზესავით აპრიალებული სიყვარულით და შუბლზე
ფიქრისკვალდანატოვარი „ნაიარევით“...
დამხატე –
„ქალი – და, დედა, მიჯნური, ძიძა, ტირიფი, არყო,
ია და ნუში“....
აბა სცადე და დამხატე...

4



ჩემი ნისლიანი შემოფგომა

პროზა, პოეზიას ელემენტებით

წავალ და თვალს წყალს დავალევინებ...
წავალ და გავერთობი...
ვთქვი.
ჩავიცვი ჩემი ყველაზე ლამაზი კაბა...
ყველაზე წვრილქუსლა ფეხსაცმელი...
თვალებში პანაწინა მზეები შევისახლე...
ტუჩებზე – ღიმილის ღიღილოები
და წავკეკლუცდი.
განა სიხარული მხოლოდ გოგონებისაა?...
ჩემი ნისლიანი შემოფგომაც
ხომ შეიძლება იყოს მხიარული?...
განა საჟუთარი განწყობა საჟუთარ ნებაზე არაა დამოკიდებული?..
თავს ვირწმუნებდი...
მივდოდი და
თავს ვირწმუნებდი,
რომ დღეს ყველაზე მომზიპვლელი,
ყველაზე ხალისანი,
ყველაზე ბედნიერი ვიქნებოდი...
იყო დარბაზი – თეთრი და მოზეიმე...
ბროლის ბრიალა ჭალებით და
თეთრი ყვავილებით....
საქსაფონის ბანგით
და სიცოლის ფეირვერკებით
და ამ საყოველთაო, ზეალმატებულ აღტკინებაში
უკვალოდ გაქრა ჩემი თავდაჯერება...
ჩაქრნენ მზეები და
ღიღილოები...
გაიცრიცა ჩემი ლამაზი კაბა...
ვიდექი გედებივით ყელმოლერილ,
მშვენიერ ქალთა შორის,
ჩემივ უსასოობით დათრგუნვილი,
სახლიდან ბავშვივით ჯიუტად გამოდევნებული სევდით,
სრულიად უცხო და ზედმეტი –
სამეფო წვეულებისთვის...
უშენოვალებო დარბაზისთვის,
სადაც არავისთვის იყო
ძვირფასი და საოცნებო,
ჩემი ნისლიანი შემოფგომა.





ნივთები

ნივთები მოგონებებს ინახავენ...
 წარსულს აღვიძებენ...
 აი, მაგალითად, ეს კოვზი,
 მძიმე და მოჩუქურთმებული ტარით,
 დედას მეგობარ ქალს მახსენებს,
 იმ გემრიელ კერძს,
 მან რომ მოგვართვა,
 როცა დედა ავად იყო...
 შემწვარი ბადრიჯანი,
 პომინდვრის სოუსით...
 ლამაზი ქვაბით და ამ კოვზით(?)...
 მოგვიანებით ქვაბი წაილო,
 კოვზი კი დატოვა,
 თუ დარჩა, არ მახსოვს...
 არ ვიცი რატომ, მაგრამ მიყვარს ეს კოვზი,
 მძიმე და მოჩუქურთმებული ტარით.
 ავიღებ ხელში და წამსვე ის დღე,
 ის ქალი, იმ კერძის გემო მახსენდება...
 ნივთები მოგონებებს ინახავენ,
 წარსულს აღვიძებენ...
 აი, მაგალითად ეს უცვეთელი
 მწვანე კოფთა,
 დედისეული...
 მრავალჯერ განარეცხი და მაინც დედის სურნელით...
 ჩავიცვამ და დედის ხელების
 სითბოს ვგრძნობ თითქოს...
 მისი ტებილი ხმაც კი ჩამესმის..
 33 წელი გავიდა დედაჩემის
 ცად აფრენიდან.
 33 წლით გავიზარდე.
 33 წელია, ვნატრობ და მონატრებას მისეული ნივთებით ვახშობ...
 ამ კოვზს და კოფთას ყველაზე სათუთი მოგონებების გაცოცხლება
 შეუძლიათ,
 ისინი ყოველთვის დედასთან მაპრუნებენ.

გამოსახოვარი, ძმასთან.

ჩვენ ერთი ბავშვობა გვქონდა,
 საზიარო მამით და
 საზიარო ტრაგედიებით...
 ბევრი რამ გვქონდა მოსაგონარი,
 თუმცა უკვე აღარ ხარ და
 მე ცალად გაუყივები
 ხსოვნის ბილიკებს...
 ჩვენს დედებს ერთმანეთი სძულდათ.
 დედაშენს მეც ვძულდი,
 როგორც მისი საყვარელი მამაკაცის
 პირველი შვილი...
 მეც მძულდა, ბავშვური გზნებით და სისასტიკით,
 მძულდა დედაჩემის ცრემლების გამო,
 მძულდა, როცა ჩვენს სახლში





მარიამ კოზეანიშვილი

შენს წასაყვანად მოვარდებოდა,
ჰაიპოურიდა გარეცხილ-დაუთოვებულ სამოსს ჩანთაში
და ქოთქოთით მიგარდენინებდა,
როგორც „უნებართვოდ“ წამოყვანილს...
მე კი ცრემლებით დაბინდული თვალებით
ვიჯექი ქვიშაში და შენი პანაწინა თითებით აგებულ სახლებს
დავტიროდი...
მიყვარდი...
ყოველთვის მიყვარდი...
შენი თბილი თვალების ჭიდან
საჩემო სიყვარულის წყაროს ვენაფებოდი და მეიმედებოდი...
დღეს კი ალარ ხარ.
ფრთამოტეხილი ჩიტის სევდით დავდივარ
და დიდი ხნის წინ ნაცარწაყრილ
ტკივილებს ვაცოცხლებ...
დაე, უფალმა ჩაგკიდოს თბილი ხელი,
ცის ბილიკებზე მიმავალს, ძმაო...
გადავაგორებ დარდის დოლაბებს
და გალვივებულ ხსოვნას ისევ ნაცარს მივაყრი,
შენთან მოსვლამდე რომ
არ ჩაიწვას.

წვიმაზუზუნისა

გულხელდაკრეფილი ჯდომის დღეებია,
წვიმების მობეზრებისა და მზის მონატრების დრო...
რამდენი ხანია, ყვავილების სუნთქვას ვეღარ აყურადებ...
ჩიტების რია-რიას ვერ უსმენ თვალებდახუჭული...
გაიღვიძებ, წვიმს...
დაიძინებ, წვიმს...
უკვე ზეზურად თვლებ წვიმის მონოტონურ წკაპუნსა და შხაპუნზე.
საჟუთარ სულში ჩალრმავების დღეებია,
წარსულის მირაჟებში ხეტიალის,
ოცნების კოშკების წამომართვის,
მეგობრისათვის გულის გადაშლის სურვილის დღეები...
ტელეფონისკენ გეპარება გული და მზერა...
ხმა გენატრება,
ხმა, რომელიც ცინგლიან დღეებს გაგიფერადებს,
გაგახსენებს სადღაც, კუთხეში მიგდებულ თავს და აგალილინებს...
ვეღარგამოდარებული ივნისია,
თვალსა და ხელს შეა გაპარული ზაფხულის სევდა...
ალარცრა დარჩა შემოდგომამდე,
მტირალა ივნისიდან, მტირალა სექტემბრამდე,
იმ დრომდე, როცა ორი შემოდგომა
გაუყვებით ზამთრის ბილიკებს.



* * *

ՏԻՆԱՆԿԱՐԱԿԱՆ ԱՌԱՋԱԾԱՐԵ

ագուշաբեր մտարեցնուունու թիվը տու...
սովուունու կուունու մարդուու յարեցն գագագապրալու...
մարդուու նոնցնուու գասամելու սատյմելու,
թիգնուու...

դա մանց նումինի արաբյերու ար դավապարյ.
ուս գագարյ յարեցն գագապրալու սեյյուլի,
րաս մոխազքուու մոջարայ մեթօնձուու տապալու...
գեաբեր ունենի նուսլի, միջնի մոմորեյյուլի...
ռոմ սոնանյուլուու նամեմալա կալազ թենու կալու.

* * *

զգածակալուունու...
տօնու լումելուան վարիյ սոսանակս,
մոջնուու գոմի,
սագուունուունու մոջասենյ լույթյուլու...
ցուու, սկոյրուուտ,
սամելու լույուլու ինախաչ
դա լույլու լույմու,
լույցենուուն համոմուու պալու.
հիցն, յարտայլունի,
ար մոջսալուարտ սոմլերուու, գլումու,
մոմուուու գցածուու,
ցափուունու ոմու, լույրուտանո...
հիցն նալնարս մուրյ նու
սոմոնյալու հիցն դու գայմունյ,
ունուունուու սուսլուու
նուունու պայլա յայտապու...
դա ախլա, րուու
յույրանաս ու յուու տապի,
րուու նավշյունի
հիցն գուուուտ կացքուան, սեմու,
մու, տօնու լումելուան
մոյուսոյուս, սագուու-սամեարու
ցունուազ դա
յալակս սոսանակս լույթյուլու զուցեն.

ԳՐԱԿԱՆ ԿԱՐԱՎԱՐ

գուուա, հիցն ուունուու մոյակալուու,
մունու նամեամենու լուամոնու...
պայս յայտամու, յուու մոմոյունենի -
տոնուու, լուալու դա տամոնու...
սուցուելու սեյյ րաս, ցուու, հիմու,
ամոնու նուտյունուու յասուու սենորյ...
ցուուու մոյուարու մոյուու, մեթօնձուու,
սանամ մերյ մոնտան ցայասենորյուտ...
ուա յուուսուու դա ցամքուուրյալու,
սմա - նամուու, սուպարյուլու յուսալմոնու...
ցասրյուլու րուույալու - գուու յայուս,
մու, լուալու, տոնուու, տամոնու.

րա տյմա յնդա, ծեպրս զոտեօվուու,
սուրյուլու մուրյ ար յույթյուու...
մույրդա միջ դա յամայունու,
մամին, րուու յարյուտ տովուու.
յույսյունու հիմս սենայմի,
ալուազյունու լույունու - ցուուագ...
յարս յերմուու մատեօվարու,
մու լամանու մույրդա ուժա.
սագուու ոմու մոյունուրյունու,
սագուու մույլու յալազյա մամաս,
չամտրու սարիո-սապացյունուազ
մու յամայունու պուրու յանաս.
յուն յերմուու այացմուու...
մերյ րա, տյ սեյյ ան սեյյուսո...
ար մուալուու մոյազյունուազ,
սագուու յույլու յալազյա տովուու.
տյումու ցուու մույթյ դալագուն,
սեյյ անու - մամու, յմրու տյ մմուսա,
ան յուսու մագուու մոյմուու,
մոյույնուու ան յուսու?..
րա տյմա յնդա, ծեպրս զոտեօվուու,
ար յույթյուու սուրյուլու - մուրյ...
ծեպրյուր հիմու սոսարյունու
սեյյուսո յայդա դա յամուրյ...
նուուտ ար, յույթյուրազ,
ծեպրս յայունու ալուատ ցուու...
յուլու մարդու յերմուունու,
մու մատօնուու սուպարյունու...
սեյյ ան տյ ար, յուն երմ ուու,
ռոմ ծորուու ար յար, լույրուու,
րա յուն, տյ յու յեր յայերյեն,
մույունուունու սանտուազ յենտո...
ար յույուու դումու հիմուու -
„սեյյուսո յուրու - լուու հիմուու“...
յուլու յու յայուսացան,
երմ յունախաչ, րոցոր յույրու...
մայրու մանու ցուուու յար,
մույթյունու հիմու յայու...
րոցոր մոնդա, րուու նավալ,
սուլու մոյունուան դա յուրյու միջու.

ՄԱԳՈՒԱՐ ԿԱՐԱՎԱՐ!

նյ դալոննուունի, տյ յույթյ րամյ,
մագուունու յույտալու, րոմ յույթյ դա յար,
րոմ նոցյուր լույրուու, մայրու յույթյունու
յումունու յալակս սագուու դա սամեարս.
մագուունու յույտալու, րոմ ար յար մարդու,
մոյուարյու րոմ յուսու դա մոյունու րոմ յուսու...
րոմ դորու յուն յուսու յամոնու,
ապրուու ուսու յուսու յամոնու.
ույթյունու յուսու, մոյունու յույթյ.





თუ იცვამს შენს ლექსას, სითბოთი ნაქსოვს...
თუ ღმერთს, უთვალავ მისამართს შორის,
შენი სახლის გზა ყოველთვის ახსოვს.

ფილის ზუზუნისა

დრო რა შეუმჩნევლად გაგეპარა,
მზის და სიყვარულის ცალს და არჩივს...
ფრთები შეგიკვეცეს ქარმშელებმა,
თოთო ბალაზით ჩრდილში დარჩი.
შუბლს არც დაფნის რტოთა შეგიმეობენ,
აღარც იღბლიანთა მირონს გცხებენ...
ერთი დაკარგული პოეტი ხარ,
„ლექსებს დაწერ და ოცნებებს.“

* * *

ვერ დავივიწყე ვერც ერთი ცოდვა,
ვერც ერთი მრუდე ნაბიჯი – დღემდე...
ვერ დავივიწყე დალატი მათგან,
ვისაც ვაჩუქე გული და ვენდე...
ვერ დავივიწყე კუმპალი ცრემლიც,
ზურგში დარტყმული მათრახის გემო...
რაც თავი მახსოვს, სულ სასჯელს ვიხდი,
მოკეთევ – ჩემო და მტერო – ჩემო...
რაც თავი მახსოვს სიხარულს ვეძებ,
ვეძებ სინათლეს, ლიმილს და სითბოს...
ციცქნა მზებად ვარიგებ გზა-გზა,
მზერაში ჩამდნარ ნისლსა და ცის ტბორს...
ვერ დავივიწყე ვერც ერთი კბოდე,
კბოდესთან ავი შიში – უფსკრულის...
გამოვიარე გზა, უძნელესი,
პირზე ღიმილით, სულში სლუკუნით...
აპა, ტვირთმძიმე და მონანიე,
ვდგავარ და გიწვდი ხელებს, უფალო,
ამხსენი ჯადო, წვის და ტკივილის,
მიწის ხიზანთა ჭირისუფალო!

ორი შემოფენა

ეს „ბიჭი“ ჩემს ფანჯრებთან აღამებდა...
მოდიოდა და იდგა მოლოდინადქცეული,
თვალებში ნატვრაჩაგუბებული...
დამინახავდა და გაიძადრებოდა,
მზედ ამოენთებოდა,
იღმებოდა...
ეს „ბიჭი“ სკოლიდან დაბრუნებულს,
ჩრდილივით მომყვებოდა,
სახლამდე მაცილებდა,
ვითომ „სულერთია“-ს გამომეტყველებით...
ვითომ შემთხვევით...

ვითომ „გზა მაინც იქით მაქვსო“...
წვალობდა და მასევდიანებდა
თავისი სიჯიუტით...
ეს „ბიჭი“ სავალდებულო სამხედრო სამსახურს
იხდიდა,
როცა გავთხოვდი...
მითხრეს, იტირაო...
ამ „ბიჭმა“ ორი ომი გამოიარა,
სამშობლოს დასაცავად
სიცოცხლეს სწირავდა...
ოცნება კი ვერ აისრულა,
დღესაც გასხვისებულ,
დანაწევრებულ,
პარტიებად დაშლილსა და
აშლილ ქვეყანას სტირისა...
როგორ დაბერებულა!
დღემდე ქარის მოტანილ ამბებს
ვისმენდი მასზე...
დღემდე ვერსად გადავეყარეთ ერთმანეთს...
ის ფარატინა გოგო ვახსოვდი...
ის კაფანდარა ბიჭი მახსოვდა...
ვდგავართ ერთმანეთის პირისპირ,
ორი შემოდგომა,
ორი, დროით ნაგვემი ადამიანი...
მე – სხვისი ცოლი,
ის ქმარი – სხვისი...
ვდგავართ და ერთმანეთის თვალებში,
ჩვენს უერთმანეთოდ გაფრენილ
ცხოვრებას ვკითხულობთ...
მის მზერაში ისევ კიაფობს მიმქრალი
გრძნობის ნაპერნკალი...
მე ისევ სევდა მღრღნის,
შემორჩენილი უხერხულობის და
„რა ჩემი ბრალიას“ სევდა...

* * *

დავილალე...
გითხარი და მზერა აგარიდე...
შენი თვალებიდან
უზარმაზარი სევდა ილვრებოდა...
ნლობით დაგროვილი,
დღემდე უსიტყვოდ მოტანილი
დაქანცულობის სევდა.

მაგრამ მაინც

გახსოვს ჩემი სიყვარული,
ლურჯი ფერის მიმართ?..
ხომ იცი, რომ ცას გავყურებ,
მენატრები როცა...
პარალელურ გზებს ვადგავართ
და სიმშვიდეს ვწირავთ,



მაგრამ მაინც, მაგრამ მაინც
მთელ სამყაროს ვლოცავთ.
გახსოვს როგორ მოგყვებოდი,
ანურული მხრებით?..
ლოყებს როგორ მიფაკლავდა
შენი თბილი მზერა...
წლებს გადაჰყვა ოცნებები,
ვილევით და ვქრებით...
მაგრამ მაინც, მაგრამ მაინც
სასწაულის გვჯერა.
ხედავ, როგორ შევიცვალეთ?
დავილალეთ როგორ?..
ვერ შევმოსეთ მომავალი
ოქროსფერი ფარჩით...
დრომ წაგვილო, შენ – ჭაბუკი,
მე – ფარფატა გოგო...
მაგრამ მაინც, გულის გულში
ყმანვილებად დავრჩით.

* * *

ჰა, ცხოვრების ნახევარი გაილია...
დრო დიდგულობს, ბოროტი და უმეცარი...
მოდი, სანამ შემოდგომის მზისფერ დღეებს
საბელივით გამოიბამს კუდზე, ქარი.
მოდი, სანამ გულს გამოხრავს სევდის მახრა,
ძილის ღმერთი უშენდლეო სიზმრებს მაჩვევს...
მოდი, სანამ შემოდგომის ფერად წოხზე
დეკემბერი დაიბერტყავს რძისფერ ლანჩებს.

* * *

ასაკს ვეპრძვი თუ
ასაკი მეპრძვის,
არ ხავერდდება
ბილიკი ძეძვის,
მაინც ჯინაზე
ნერვების წეწვის,
სულის სანათზე
ბრდლვიალა მზე ზის.

* * *

დღემდე რა არ გადამხდა...
გაცვდა თმენის ქამარიც...
ბავშვობიდან ეს გული
რამდენ ტკივილს ინახავს...
მტერიც მყავს და მოკეთეც,
მეგობარიც და მაინც,
ზოგჯერ ისე მარტო ვარ,
მზე მიჯდება ინახად.

* * *

სექტემბრის არეული ამინდია....
მიდიან ღრუბლები... სად მიდიან?..
სიმშვიდე სასწორზე დამიდია...
თმენა ღვთაებრივი ქლამიდია...
ვიტირო?.. არ ვიტირო?.. გავიცინო?..
სევდა რანაირად ავიცილო?..
სექტემბრის არეული ამინდია...
ღრუბლები წამოშლილან და მიდიან.

ნუ მიენდობით

ნუ მიენდობით
მოთამაშე ადამიანებს,
სულით მრუშებს
და გამყიდველებს,
ერთ „მშვენიერ“ დღეს
ადგებიან და გაგყიდიან...
ან გადაგცვლიან...
ანდა სულაც მიგატოვებენ,
სწორედ მაშინ, როცა შეიყვარებთ
და მიენდობით.
ნუ დაუჯერებთ ცრუ ლიმილებს,
არაფრისმომცემ,
დაშაქრულ სიტყვებს,
თვალებში ჩახედეთ,
შეამოწმეთ,
საათის არეული ისრებივით
არ დარბოდეს მათი მზერა...
ნულარ აუწყობთ ნაბიჯს, –
თუ ერთხელ მაინც გილალატებენ,
გაგჭორავენ,
დაგამცირებენ...
რადგან არ არსებობს უნაკანროდ
გამთელებული...
უიარებოდ შეხორცებული...
ნუ მიენდობით
მიეთმოეთ ადამიანებს,
თქვენთან „თქვენებს“
და სხვასთან „მისიანს“...
ნუ მიენდობით!

* * *

თქვენ მოიყვანეთ წვიმა, მაესტრო?..
ეს ელვის ჯოხიც თქვენი იქნება...
არ მოველოდა თქვენგან ასეთ ტონს,
შემაწყვეტილეთ ცუდ დროს ფიქრები.
ახლა ვლამბავდი ოცნების კაბას,
ვქარგავდი რწმენის მტკიცე ძაფებით...
რად შემამფორთეთ?.. სად არის აბა,
თქვენი ზრდილობა, ეგზომ ნაქები?
ვერ ვიმორჩილებ ძაფს, ცრემლში დამბალს,



ეს ცა ტირის თუ ჩემი თვალები?..
ვაი, რა იქნა მზისფერი კაბა,
ამოქარგული, წვით და ვაებით?..
ეს თქვენ მიგიძლვით ბრალი, ბატონო,
თქვენ ამინენეთ სული ამ დილით...
ახლა რა პირით უნდა დამტოვოთ,
წვიმის კაბით და წვიმის მანდილით?..
ო, წაიყვანეთ მაესტრო, წვიმა,
მე აღარ მინდა დარჩენა მასთან...
შორს, რწმენის დიად მწვერვალზე მივალ
და სიჯიუტე მიმყვება ქართა!

10



ქოვი

გუშინ რომ ბალში სტვენდნენ შაშვები,
ყორანი ყორანს გადუჭახჭახებს...
მიატოვებენ მინას ბავშვები
და წამოსცდება გმინვა, ჭანჭახებს...
გულები დარჩათ ტალახში მშობლებს,
დალასლასებენ ფერმერთალ ლანდებად.
ვის პირშმის ართმევ, ვის დააობლებ,
დროო, უდროოდ რატომ ღმდება?
ვიღაც მდიდრდება არმად ნაშოვნით,
ვიღაცას ბოლო ღუკმა ერთმევა...
სინდისი დავგმეთ, უფალს დავშორდით
და მიგვატოვეს სულის ღმერთებმა.
შერჩება ხსოვნას ტკივილი, მნარე,
მოუშუშებელ, სისხლმდენ იარად...
მოუქვითანა ნასოფლარს მთვარემ
და ჭირისუფლად ჩამოიარა.

* * *

ქლერს დილის საარი,
შაშვის და ბულბულის.
იფრქვევა სურნელი
ვარდის და სუმბულის.
ცახცახებს სიცხისგან
ზვინულის ბულული...
კვერცხს ისევ სხვაგან დებს
სულელი გუგული.
ცას ელტვის პატარა,
ლამაზი მზენვია,
დღეს ტრფობა მეზობლის
გოგონას ეწვია!..
ბილიკი ვისთვის ხსნა
და ვისთვის ბეწვია...
ვინ თავქეე დაეშვა,
ვინ მწვერვალს ეწია....
ყველაფრის სათავე
მზაკვარი ბედია,
სასახლის ბაღნარში
რჩეულნი შედიან...

ეს ქალი გლეხია,
ის ქალი ლედია
და მისი მხლებელი
უზადო დენდია!..
გლეხის ქალს ვინ მისცა
ფარჩა და ატლასი...
ლედია სტუმარი –
მდიდრული ქარვასლის.
ქალბატონს ეფრქვევა
ლალით და ალმასით,
დღე – გლეხს რომ აკნინებს,
თრგუნავს და ქანცს აცლის...
მხოლოდ მზე ბრიალებს
ყველასთვის ერთგვარად,
ჰაერს არ სჭირდება
ყადალა, ბეგარა.
ერთი ცა ახურავს
ალალს და მკვეხარას,
ღმერთს სურდა, რომ ყველას
თანაბრად ეხარა...
ამიტომ იღადრავს ყელს
სტვენით ბულბული,
ამიტომ ირჩევა
სიამით სუმბული,
ცახცახებს ვნებისგან
ზვინულის ბულული,
შვილს მაინც თავისთან
წაიყვანს გუგული!

მონაჭრება

უნდა ავედევნო სოფლის ბილიკს,
ახლა სადმე უნდა გინახულო,
სადლაც, ბავშვობაში დარჩენილო
ჩემო უცოდველო სიყვარულო.
უნდა ჩავიხედო შენს მზერაში,
უნდა ჭალარები დაგითვალო,
ყრმობის სევდიანო საღილინოვ,
ბევრჯერ გატეხილი ღამის თვალო.
ირგვლივ ზამბახების ღალანია,
გზაა – გვირილებით დანაფერდი...
წამო, იმ ზღაპარში ვისეირნოთ,
შენ რომ ბავშვობაში დამაფრენდი...
წამო, მაისის ბალს მივეპაროთ,
აღარ გაჯავრდება მეზობელი...
ეს დღე დღესასწაულს დავამსგავსოთ,
ზღაპრულ სასახლის ბაღს, ეს სოფელი...
ყურთან ჩიტი გალობს გაგიჟებით,
ამბობს, რომ დღეს უნდა გინახულო...
წლების ბებერ ურემს გაყოლილო,
ჩემო უცოდველო სიყვარულო.





* * *

გადავსხვაფერდით...

შევიცვალეთ...

დავშორდით ერთურთს...

დავრჩით სახლებში,

აღარ ვაღებთ

სტუმრისთვის კარებს...

ქარს აღარ მივდევთ

სატანტალოდ,

დავკეცეთ ფრთები,

და სულერთია,

იწვიმებს,

თუ გამოიდარებს...

ვატარებთ ნილებს,

ახლა უკვე

ცხადად, აშკარად...

ვმალავთ სახეებს

და თვალებშიც

სევდის ბინდია...

ხიდჩატეხილებს

არ გვაერთებს

შუქი – სიკეთის

და დღეს ჩვენ შორის

პანდემის

შავი ხიდია...

დავთითოკაცდით,

გავემიჯნეთ

ლხინსა და სიცილს,

ზამთართან ერთად

ზაფრავს გულებს

დრო და მანძილი...

ჟამია შიშის,

დისტანციის,

შორიშორს ყოფნის

და ღამეებიც

დაზაფრულებს

აღარ გვაძინებს...

გადავსხვაფერდით...

შეგვიერთი

და შევეგუეთ...

შეგვლალა სახლში

ამ უჯიშო სენის

ზეობამ...

გამოვისხამდი

დალლილ სულზე

ახლა ქარის ფრთებს

და ჩავამსხვრევდი

ქარაფებში

ამ უმწეობას.

* * *

მორჩა...

დამთავრდა...

ამ იარებს ვერ გავამთელებ...

პა, გადაივსო მოთმინების

ფართე ფიალა...

დავუშვებ ცისკენ სავედრებლად

აწვართულ ხელებს

და ჩავიწვები, სულში მბუუტავ

სანთლებიანად...

აპა, დასრულდა...

ვამბობ, მაგრამ ვაგრძელებ ისევ...

არ მეგულება ვინმე,

დარდის სრულად გამგები...

მემილიონედ ჩავცლი სულში

ტკივილის ქისებს

და ფენიქსივით, ფერფლის მთიდან

ისევ ავდგები.

* * *

ერთ სარეცელზე,

ოლონდ არა

„ერთ სულ და ერთ ხორც“...

მარტოსულობის

მდუმარებით,

წვით და

წვალებით,

ჩუმად მიღიან

მიღმიეთის

უხილავ კართან

და შემოდგომა

სასჯელივით

მიაქვთ თვალებით.

* * *

ნამცხვარს ვაცხობ...

აგერ უკვე 30 წელია,

ერთი და იგივე რეცეპტით,

ერთნაირი რულუნებით და სიყვარულით...

დრო და დრო მზერას ვავლებ მაგიდაზე

გადაშლილ,

დახულ და გაცრეცილ ფურცელს, –

დედისეულ ხელწერას,

დედის სურნელს და

სითბოს რომ ინახავს...

ასე მგონია, დედა ზის ჩემ წინ...

ნივთები მოგონებებს ალვიძებენ...

აი, ვხედავ დედაჩემის

თეთრ ხელებს,

ფქვილმოყრილ მაგიდაზე გაშლილ ცომზე

მოსრიალეს...

მისი ტკბილი ხმაც მესმის,

„მოაცურე ჩემკენ ნაავი...“

და როგორც მაშინ,

ბედნიერი ვარ...





ცომს სანამცხვრე დაფაზე ვაფენ
და ისევ კადრი:
ეზოში, კაკლის ხის ჩეროში
კოპნია მაგიდა...
ლამაზ ლარნაკში ლოყანითელი ვაშლატამა,
(დედას საყვარელი ხილი)
ჯერ ისევ თბილი ნამცხვარი –
„სომხური ქადა“,
ლურჯი საარყე და ლურჯი სირჩა
და იქვე, სკამზე,
მამაჩემის შორეული ნათესავი,
ზამთარ-ზაფხულ სამხედრო შინელში
გამოხვეული,
სოფელში „ჭიტად“ წოდებული,
ასაკშეპარული კაცი...
ყველა სოფელს ხომ თითო გიუჟი ჰყავს?...
სოფელისთვის გიუჟი იყო,
ჩვენთვის ნათესავი –
ავი ბედისგან დაჩაგრული...
საპრალო და მიუსაფარი...
ნივთები ხსოვნას აღვიძებენ...
ამ გაცრეცილ ფურცელზე
სანახევროდ გადაშლილ სიტყვებს
ბავშვობაში მივყავარ მუდამ...
ვაცხობ ნამცხვარს და
30 წელია უკვე,
დილეტანტი მზარეულივით,
მაგიდაზე დედის ხელით დაწერილ
რეცეპტს ჩავცერი
და დედაჩემის ხმით
დედაჩემის საყვარელ სიმღერას ვღილინებ.

* * *

თვალშეუდგამი სიმაღლით მნუსხავ,
თმენას ხუნდებად ვადებ ამ მკლავებს...
მზის სხივებს ვატან სურვილთა ნუსხას
და სულს სხეულში ვეღარ ვაკავებ.
მზერა სულ შენსკენ მომირბის ცაო,
გიცქერ და გოჯა-გოჯა ვმაღლდები...
რამდენჯერ უნდა გარდავიცვალო,
სანამ თბილ გულში ჩაგისახლდები?

* * *

დამაცადე, ჩაიაროს ოქტომბერმა...
კვლავ რძისფერად ჩამოთოვოს ბარში...
ერთხელ კიდევ შევიმლები ძველებურად...
დაკეცილ ფრთებს ერთხელ კიდევ გავშლი...
დამაცადე, ვეჩურჩულო ქრიზანთემებს...
შემოდგომის მზის ბადაგით დავთვრე...
ჩავისახლებ თვალთა ტბებში მაცდურ ჭინკებს,
დალაგებულს კვლავ აგირევ დავთრებს...
მერე რა, თუ მიმატოვა გაზაფხულმა...



თუ გაფრენილ ფოთლის ხმაზე ვერთები...
დამაცადე, ჩაიაროს ოქტომბერმა...
დამაცადე, გავიმაგრო ფრთები.

* * *

შემოგინახე ღვინო და პური,
შემოგინახე ცეცხლი – ღადარში.
თვალმონისლული სივრცეს გავყურებ,
გელი დარში და გელი ავდარში.
ჩაირონინეს წლებმა უშენოდ,
ამ ბილიკებზე ვინ არ იარა.
მითხარ, გარდასულ დროს რა ვუშველოთ,
გულთა შორის რომ ჩაგვიშრიალა...
შემოგინახე აპრილი თვალში,
ჩიტის სევდა და ის სინაზე.
შენ ალპათ იცი, ხარ ჩემთან ვალში,
რომ მომავალი კვლავ დექს პინაზე.
ჩავუმარტივე ხსოვნის კიდობანს
ყავლგადასული სიტყვების გროვა...
შენს ლანდის უთუოდ ვეტყვი მშვიდობას,
როცა დაღლილი ჩემს კართან მოვა.
ვინ არ მეხსლა მზით სავსე პეშვით,
ცას მთავაზობდნენ გულის სანაცვლოდ.
მე კარს ვკეტავდი... მთვარეს კი, შემლილს,
უხმობდა ბერებში ვერხვი სანაწლოდ.
არაფერს ვთხოვდი ადამის მოდგმას,
მუხლზე უფლის ნინ ვდგებოდი მარტო
და აყოლილი ჭორსა და მოდას,
დრო განძის ნაცვლად მაფრევედა ქატოს...
შემოგინახე ჩერო – ნალკოტში,
ო, როგორ მინდა სიზმრისას ჰგავდე...
როცა სარკმელთან მკლავებს ჩამოშლი,
შენს ხელისგულზე გულს ჯილდოდ დავდებ.

* * *

წვიმების სეზონი იწყება, ძვირფასო,
სეზონი – ბუხრების, ჩაის და პლედების...
ჩამოვსხდეთ სარკმელთან და თვალი ვადევნოთ,
ცას როგორ ჰკვეთავენ ღრუბლები – დენდები.
ხანდახან ლიმილი ავანთოთ ლილოდ,
ვსვათ ჩაი, ლიმონით, პიტიოთ ან ჟასმინით...
წარსულის ბადაგით დავბანგოთ გონება,
მუხლებს რომ გაგვითბობს პლედები, ქაშმირის.
წვიმების სეზონი იწყება ძვირფასო.
ამ წვიმებს უთუოდ მოჰყვება ზამთარი.
ვუსმინოთ გამხმარი ფიჭვების ტკაცა-ტკუცა,
დავხუროთ ვალების და სევდის დავთარი.
შეხედე, რა მუქად, რა მაღე ღამდება...
დადუმდნენ ქუჩები, პარკები, ეზონი...
იწყება ბუხრების, ჩაის და პლედების,
ერთურთის თვალებში ჩახედვის სეზონი.

ხათუნა გოზალიშვილი

ამ სამყაროს თავისი ძლიერი და შეუცალი მწვევი ჰქონდა კეთება, სახელმდ მედე(ი)ა. მისი შიშით ურავინ გამედავდა სამკითხველოში ზედმეტ ჩურჩულს, წალებული ლიტერატურის ჩამარების ვაჭის გადაწყენის, წიგნის შელობვასა და ფურცლების სანიშნევ გადაუკეთდა, წალებული მის უკან დაბრუნებას თუ წალებულიდან აზრის ვერგამოგრინდა... ამ უკანასკნელს, მედე(ი)ა ჰქონებინად დასმული შეკითხვებით ამონშებდა და თუ სათანადო პასუხს ვერ იღებდა, საფულეს ქვემოთ ჩამოსწევდა, ჟერ ასე დაგრკვირდებოდა და მერე, ინტერ ახსნა-განმარტებას თუ პერიტოზირებას.

б. გოზალიშვილი

13



მედე(ი)ა

სოფლის ბიბლიოთეკა ჩვენი სახლიდან მცირე სავალზე იყო. ერთსართულიანი, მოგრძო შენობის სამიოდე საფეხურს აივლიდი და... ზღაპრულ სამყაროში ხვდებოდი. ოლონდ, ეს შენ უნდა შეგემჩნია, რომ ზღაპრული სამყარო იყო, თორემ ისე, ერთ ჩვეულებრივ, მომცრო კორიდორში ამოყოფდი თავს, საიდანაც, მარჯვნივ და მარცხნივ, ორი კარი გადიოდა. მარჯვენა კარი ბიბლიოთეკის წიგნთსაცავის იყო და მთელ სივრცეზე ჭერამდე აზიდული ხის თაროები ჩარიგებულიყვნენ, ხოლო მარცხენა ოთახში თაროები მხოლოდ ერთ კედელს გასადევდნენ, დანარჩენ ადგილს იკავებდა ე.წ. სამკითხველო კუთხე და ბიბლიოთეკარის სამუშაო მაგიდა თავის კართოტეკიანი უჯრებითა და ტალონებით.

ამ სამყაროს თავისი ძლიერი და შეუცალი მცველი ჰყავდა, სახელმდ მედე(ი)ა. მისი შიშით ვერავინ გაბედავდა სამკითხველოში ზედმეტ ჩურჩულს, წალებული ლიტერატურის ჩაბარების ვადის გადაცდენას, წიგნის შელახვასა და ფურცლების სანიშნედ გადაკეცვას, წაუკითხავად მის უკან დაბრუნებასა თუ წაკითხულიდან აზრის ვერგამოტანას... ამ უკანასკნელს, მედე(ი)ა ჯვარედინად დასმული შეკითხვებით ამონშებდა და თუ სათანადო პასუხს ვერ იღებდა, სათვალეს ქვემოთ ჩამოსწევდა, ჯერ ასე დაგრკვირდებოდა და მერე, ინტერ ახსნა-განმარტებასა თუ პერიტოზირებას. ყოფილა შემთხვევები, როცა მხოლოდ სათვალის დაბლა ჩამონევითა და დაკვირვებით მთავრდებოდა საქმე. აյ ის, უბრალოდ ხელს ჩაიქნევდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ახსნა-განმარტება მოცემულ მომენტში, მის წინ მდგარ არსებაში, მაინც ვერაფერს შეცვლიდა...

ამიტომაც, ბიბლიოთეკაში, ძირითადად,

კითხვის ნამდვილი გურმანები დაიარებოდნენ და მედე(ი)ას შეჭირვებულ ხასიათსაც როგორ-დაც უძლებდნენ. ეს ხასიათი, განსაკუთრებით, წვიმიან ამინდში უმძაფრდებოდა და როგორც კი შესასვლელ კარს მიუახლოვდებოდი, უკვე გესმოდა მისი მბრძანებლური: – ფეხები კარგად გაუსვი ტილოს, სისეველე არ დავიხახო იატაკზე! მაინცდამაინც ამ ყიამათსა და ტალახში მოგინდებათ ხოლმე მოსვლა!

ყიამათის რა გითხრათ და ტალახს კი სულ ტყუილად ახსენებდა. მთელს სოფელში, დიდი ხანია უკვე, ასფალტი იყო დაგებული და ძალიან თუ მონადინებდი, ტალახს როგორ ვერ იშოვიდი, მაგრამ მედე(ი)ას ამაზე სანერვიულო ნამდვილად არ ჰქონდა. წვიმასა და თოვლში კი, მართლაც, უფრო ბევრი მკითხველი ჩნდებოდა ბიბლიოთეკაში. აი ისე, მანაც ამინდში საყვარელ კაფეს რომ მიაშურებ ფინჯანი ცხელი ჩაის დასალევად და სიმყუდროვის ბოლომდე შესაგრძნობად. ერთი ეგ იყო, სამოვარი აკლდა იქაურობას, თორემ სხვა მხრივ, ამაზე მშვიდი ადგილი სად უნდა გენახა. ბიბლიოთეკარის უნებლიე „გამოსვლები“ კი ნამდვილ ლიტერატურულ საღამოებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამეტყველო აპარატი, თანდაყოლილი დეფექტის გამო, ცოტათი გვერდზე ჰქონდა მოქცეული და ენის ჩლიფინს, შიგადაშიგ ენისავე ბორიკიც ერთოდა, მასავით ლამაზად მთხობელი, გეფიცებით, შემდეგშიც, ბევრი არ შემსვედრია.

ტილოზე ფეხის საგულდაგულოდ განმენდა მხოლოდ ცუდ ამინდში კი არა, კარგშიც ჩვევად გვქონდა და მხოლოდ ის მიკვირდა, როდის, რომელ საათზე უნდა მისულიყო სამსახურში, რომ ყველაფერი საკუთარი ხელით დაესუფთავებინა, მიელაგებინა, მტვერი არსად





გაეჭაჭანებინა და არ დაეშვა, რომ რომელიმე შენობის ფანჯრებს ბიბლიოთეკისაზე მეტად ებრძყინათ.

ირგვლივ გამეფებული პედანტური წესრიგის მკაცრ ტონებს ლარნაკებში ჩაწყობილი იმპროვიზებული თაიგულები და რაფებზე შემოდგმული ბალბები აცოცხლებდნენ. წესრიგი და მოვლა არ აკლდა თავად ბიბლიოთეკარის სამოსა და ბაცვარდისფერ ფრჩხილებს. უყვარდა პასტელური ფერები პროვანსის სტილში და ამ ფერებზე აწყობილი ბლეიზერები და როლინგები, გოფრირებული ქვედაბოლოები და „ლოდები“, აბრეშუმის ყელსახვევები და შარფები... ხანდახან კლასიკურ მონოქრომულობაშიც ჩაძირავდა ხოლმე თავს, მაგრამ მთლიანად შავს მხოლოდ იმ შემთხვევაში იცვამდა, სოფელში თუ ვინმე გარდაიცვლებოდა და მწუხარების გამოხატვა სურდა...

დიახ, ასეთი გახლდათ ამ ზღაპრული სამყაროს ძლიერი და დიადი მცველი, რომელსაც პასტელური ფერები კი არა, ხანდახან პირიდან ცეცხლის ფრქვევა უფრო უზღდებოდა, მაგრამ სინამდვილეში...

სინამდვილეში მედე(ი)ა უკიდურესად მომცრო ტანის, ბედისგან დაჩაგრული მარტოხელა და საწყალი გულის ქალი იყო. ქვეყანაზე სულიერი არავინ ჰყავდა ერთი ფუშტუშა კატისა და გულზე დაკიდებულ მედალიონში გამომწყვდებული მამაკაცისა, რომელიც, შესაძლოა როდისმე იყო, ან სულაც არასდროს ყოფილა მისი და მხოლოდ ნოსტალგიურ დღეებში თუ ჰყოფნიდა სულის გასათბობად...

სხვისი არ ვიცი და მე, პატარაობიდანვე, მედიკო დეიდას ვეძახდი. ამის გამო, ხშირად, მეხივით დამცემია თავზე: ვინაა, გოგო, შენი დეიდა და თანაც, მედიკო! მაგრამ ჯოუტად განვაგრძობდი ასე მიმართვას და სხვებივით სულაც არ მეშინოდა მისი. ვხვდებოდი, რომ ეს ვითომდა პირქუში არსება, ამ პატარა შენობაში ჩატეული დიდი სამყაროს შეუდარებელი დიასახლისი იყო.

ზედა თაროებიდან წიგნის ჩამოსაღებად კიბეზე ამძვრალი, როგორც კი თავს შენზე მაღლად დაიგულებდა, ისე მედიდურად გადმოგხედავდა, თითქოს წიგნი კი არა, რამე აუნონავი მადლი უნდა ეძღვნა შენთვის...

და განა ასე არ იყო?

გზად მიმავალი ბირჟაზე მდგომ ახალგაზ-



სათუა გოზალიშვილი

რდებთან შეჩერდებოდა, ერთი გემრიელად დაუცაცხანებდა, ჩანთიდან რამდენიმე წიგნს ამოიღებდა და ვითომდა სასხვათაშორისოდ, იქვე, სკამზე ტოვებდა. აბა, ბიჭები იყვნენ და წაუკითხავად დაბრუნება გაეძედათ!

სოფლიდან წასვლის წინ, გამოსამშვიდობებლად მისულს, ხელი მტაცა და გულში მაგრად ჩამიკრა. მთელი გრძნობით ჩავეხუტეთ ერთმანეთს. ვიცოდი, ბევრჯერ მომენატრებოდა... მენატრებოდა კიდეც, მაგრამ თურმე, სანამ ძალიან ახალგაზრდა ხარ და მხიარულებაში გაგყავს დრო, გგონია, ყველაფერს მოასწრებ. მერე და მერე კი, ცხოვრების შეცნობასთან ერთად, იმდენ ტვირთს იკიდებ მხრებზე... ჯადოსნურ წრეს თავს ვერ აღწევ, რომ მასთან მიხვიდე, ვინც გეძვირფასება, გახსოვს, გენატრება... მიხვიდე და თუნდაც ერთხელ, კიდევ ჩაეხუტო. ჰოდა, ვერ მივედი.

დიდი ხნის შემდეგ, იმ მხარეში გავლისას, გულმა არ მომითმინა და სოფლისკენ გადავუხვიე. რასაკვირველია, იმის ილუზია არ მქონდა, რომ მედიკო ცოცხალი დამხვდებოდა, მაგრამ ბიბლიოთეკის მონაცულება მეწადა. მინდოდა კიდევ ერთხელ შევსულიყავი ამ საოცარ კედლებში, წარმოსახვაში გამეცოცხლებინა მისი შეუდარებელი დიასახლისი და იქ გატარებული ნლები, ჩემი ბავშვობის სურნელი შემესუნთქა...

ნეტავ ფანჯრის რაფებზე ჩამწკრივებული ბალბები თუ ყვავიან ისევ?

შორიდანვე შევამჩნიე, რომ რაღაც ისე არ იყო. მანქანა გავაჩერე და სწრაფად გადმოვედი. თვალს არ ვუჯერებდი კი არა, მთელი არსებით ვენინაღმდეგებოდი დანახულს – ბიბლიოთეკის ნაცვლად, ჩემს წინ მხოლოდ ყრუკედელი აღმართულიყო. როგორც ჩანს, შენობა დაენგრიათ და მისი ტერიტორია სხვა ეზოებისთვის მიერთებინათ.

უსაშინელესმა ტკივილმა შემბოჭა. იქვე, ღობესთან ჩამოვჯექი და ფიქრებში ჩავიძირე. თითქოს ნათლად დავინახე, როგორ მოდიოდა ყოველ დილით დემენციანი მედე(ი)ა სამსახურში, ხელში ბიბლიოთეკის გასაღები ეკავა, მაგრამ შესასვლელს ვერსად პოულობდა. ანრიალებული აუყვებ-ჩაუყვებოდა ყრუკედელს და უმწეოდ აცეცებდა ტკივილჩაგუბებულ თვალებს... მერე შეამჩნევდა ვინმე, უკვე კაცად ქცეული მობირჟავე ბიჭთაგანი, მზრუნველად



მოკიდებდა ხელს თითქმის უკვე თეთრ სიმ-დორეში გადასულ ქალს და სახლში აპრუნებდა.

და ასე... დაუსრულებლად... ყველაფერი წაშლილიყო მედე(ი)ას მეხსიერებიდან. მხოლოდ ის ახსოვდა, სად იყო მისი ჯადოსნური სამყარო, რა გზა უნდა გაევლო იქამდე მისასვლელად, მერე კარი გაეხსნა, დარაბები ფართოდ გამოეღო და მზე შეეშვა თაროებზე ჩამნკრივებულ ისტორიებში...

* * *

თურმე, მისი გარდაცვალების შემდეგ, მანამდე მოთმინებით ნატარები ცნობისმოყვა-

რეობის დასაცხრომად, მეზობლებმა მედე(ი)ას გულსაკიდი გახსნეს.

— ეს ვინ არის, გოგო, რაღაც არ მეცნობა — თქვა ნინამ და სურათი მანოს გადააწოდა. მანომ მაშინვე იცნო მედალიონში წლებით გამომწყვდეული კაცი და სახე მსუბუქად ჩამოიხოკა:

— აი, თურმე ვის ეტრფოდა ეს უბედური, ესააა!

ქალებმა კისრები წაიგრძელეს და გაოცებით ჩამოიხილებნენ უურნალიდან ამოჭრილ ფოტოს, რომლიდანაც საოცრად მომხიბლავი გრეგორი პეკი უღიმოდათ.

15



ლუი

ლუიმ ფრენა არ იცოდა. გალიიდან გამოშვებული, გვერდ-გვერდ გაბაჯბაჯდებოდა, მერე ასთმიანივთ ამოიქმინებდა და მიიხედ-მოიხედავდა. კარგა ხანს გაშტერებული იდგა, მერე ისევ გაბაჯბაჯდებოდა და ისევ გაირინდებოდა...

ამაყი იერი ჰქონდა, რაღაცნაირად დიდებული, პატივისცემის გრძნობას რომ იწვევდა, ისეთი. მაღლა აშვერილი ქოჩორი სამეფო გვირგვინივთ ედგა თავზე, გრძელი, მოკაუჭებული ნისკარტი კი დარბაისლურ გამომეტყველებას აძლევდა...ეს მაშინ, როცა უმოძრაოდ იდგა. სიარულისას კი ძალზე სასაცილო და უმწეო იყო. პატარა ბავშვივთ ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებს, გვერდულად და სვენებ-სვენებით...

ქალს კარგად ახსოვდა, როგორ გაჩნდა ეს სასაცილო ფრინველი მის ცხოვრებაში. ზამთარ-ზაფხულ სარკმლის ღიად დატოვება ჩვევად ჰქონდა. ჰიდა, ერთხელაც, სამსახურიდან დაბრუნებულს, ფანჯრის რაფაზე საცოდავად მობუზული თუთიყუში დახვდა. ჩიტი თავ-ჩაქინდრული იჯდა და ცაცახებდა. ზამთრის ცივ დღეს, მის ცივსავე სახლში შემოსული ფრინველი, მთელი თავისი გამომეტყველებით, სრული იმედგაცრუების ნიმუშს წარმოადგენდა.

ქალი დაიბნა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ფრინველები და ცხოველები თავ-თავიანთ ადგილზე უყვარდა — ბუნებაში, თავიანთი ცხოვრების წესით, თავისუფალნი და არა ვოლიერებსა და კედლებში გამომწყვდეულნი. მაგრამ ახლა, ამ საცოდავად აწურულ, უნუგეშო არსებას გარეთ ვერ გააგდებდა.

გადაწყვეტილება უმალ, თავისდაუნებურად იქნა მიღებული. ჰოდა, აღარც შეუცვლია.

სარკმელი დახურა და გათბობა ჩართო. ოთახში ცივი ჰაერი შეტყდა და მაღე სასიამოვნო სითბო დატრიალდა. ქალს გაეღიმა. ასე თავსაც კი არ ანებივრებდა. სითბო, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, მისთვის იშვიათ და სანეტარო სურვილთა რიგს მიეკუთვნებოდა, მაგრამ ახლა სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო. ამიტომაც, უმალ უკუაგდო გადასახადებთან დაკავშირებული უსიამო ფიქრები და კარადის კარი გამოხსნა. სადღაც ქილაში ჩაყრილი ხორბალი ეგულებოდა. საფეხვავი დაატრიალა, წვრილად დაფქული მარცვალი ჯამში ჩაყარა და თუთიყუშს წინ დაუდგა. ჩიტი შეკრთა, გვერდ-გვერდ გაბაჯბაჯდა და ქალს ფრთხილად შეხედა. ეს იყო მათი გაცნობა. ერთმანეთი დააფიქსირეს და ასე დარჩინენ უძრავად გარინდებულნი. ორივე რაღაცას ფიქრობდა, რაღაცას თავ-თავისთვის და ერთმანეთზე. ორივეს აინტერესებდა თითოეული ვინ იყო, რას წარმოადგენდა, საიდან მოსულიყო, საით მიდიოდა...

— აბა რა გითხრა, ვინ ვარ-მეთქი? — ჩაიცინა ქალმა, — ხანდახან თვითონ არ ვიცი ვინ ვარ, რას ვეძებ, რა მინდა... მინდა კი კიდევ რამე? ოცნებები დიდი ხანია დავასამარე...

ისევ ჩაიცინა, რაღაცნაირად ჩუმად, ულვარდლოდ. სევდიანი ხმა ჰქონდა, ნაზი, ხავერდოვანი და თვალები ჰქონდა უძიროდ ღრმა, გამჭვირვალე მწვანე ტბასავით. თუთიყუში მონუსხული მისჩერებოდა ამ თვალებს, რომლის სიღრმეშიც ბევრი, ხავსმოკიდებულქვის-ფერი ტკივილი დალექილიყო.

— თეო მქვია, ეს ისე, ქალაქურად, თორემ სინამდვილეში თებრო ვარ... ძველებური სახელია არა? რაღაცნაირად სასაცილო ჩვენს დროში... მე კი მიყვარს ეს სახელი, ჩემთვის ის

№5, 2023





მხატვარი სიფონ ჭელიძე

სითბოსა და ერთგულების გამომხატველია, იმიტომ რომ ბებიაჩემს ერქვა ასე. თებრო ბებო... ხომ ლამაზად უღერს? მაგრამ თებროს არავინ მეძახის, მას შემდეგ, რაც ბებო გარდაიცვალა....

ჩაფიქრდა. რამდენი დრო გავიდა. ახლა აღავინ ჰყავს გვერდით, ვინც სახლში დახვდება, ვისაც დაელაპარაკება... ჰოდა აი, ამიერიდან მარტო აღარ იქნება, ლუი ჰყავს უკვე...

ლუი? გაოცებული დააკვირდა თუთიყუში. რატომ მაინცდამაინც ლუი? საიდან მოაფიქრდა ეს სახელი? ვერაფრით მიხვდა, მაგრამ აღარ გადაუთქამს.

— ლუის დაგიძახებ, კარგი? ნუ მიწყენ, მე ხომ არ ვიცი რა გქვია, აბა საიდან უნდა ვიცოდე...

თუთიყუშმა კუდი გაშალა, ნისკარტი მაღლა შემართა და მთელი ხმით „ლუი“-ო დაიძახა. ქალი წუთით გაშტერდა, შემდეგ ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ დიდხანს ვერ მოითქვა სული. ასე გულიანად კარგა ხანია არ უცინია. მოეჩვენა, რომ ჩიტიც იღიმებოდა, კმაყოფილი იერი ჰქონდა, თვალები უბრნებინავდა და ნისკარტს აცმაცუნებდა, თითქოს რაიმეს თქმას კიდევ აპირებდა...

მაგრამ არც მაშინ და არც შემდეგ აღარაფერი უთქვამს. მხოლოდ „ლუი“-ს იძახდა. ისიც იმ დროს, როცა პატრონის ყურადღების მიპყრობა სურდა... ფრენა კი არ იცოდა.

ამას ქალი მოგვიანებით მიხვდა. მაშინ, როდესაც ფანჯრიდან შემოპარული მეზობლის კატა ჩიტისკენ დაიძრა. შეშინებულმა თუთიყუშმა კივილი მორთო და სწრაფად გაბაჯბაჯდა. ქალმა ხელი დასტაცა თუთიყუშს და კატას დაუცაცხანა. საწყალ ფრინველს გული აჩქარებით უცემდა. მაშინ მოეფერა პირველად. გულზე მიიხუტა და რაღაც სიტყვები უთხრა. არც იცოდა თუ ასეთი თბილი სიტყვების თქმა შეეძლო, თვითონვე ეუცხოვა თავისთავი... ან ეს ხმის ტემბრი საიდან მოსულიყო, ან ეს გულში ჩახუტების სურვილი...

მაშინ მიხვდა, რომ სიყვარული აკლდა, სითბო, თანაგრძნობა... ამ პატარა არსებამ ახლიდან გააღვიძა მასში ეს გრძნობები. სამსახურიდან სახლში მიეჩქარებოდა, თითქოს პატარა ბავშვი ელოდაო, ისე. დედობრივმა ინსტინქტებმა იჩინეს თავი: ლუის ხომ არ შია, ლუის ხომ არ სცივა... მისთვის ფრენის სწავლასაც კი ცდილობდა. სკამზე დამდგარი გაშლილ ხელებს ფრთებივით აქნევდა და ძირს „ეშვებოდა“. მართალია, ეს სულ არ ჰგავდა ფრენას და იატაკზე დასკუპებული, ყელმოლერებული ლუიც გაოცებით შესცექროდა მოხტუნავე ქალს.

„არ იცის რომ თუთიყუშია“ — გაიფიქრა ერთხელ და ხელში აყვანილი ფრინველი სარკესთან მიიყვანა.

— აი, ეს მე ვარ, ხომ მიცანი. ეს კი, შენ. ნახე რა ლამაზი ხარ...

ლუი სარკეს მიაჩერდა. მერე ნისკარტი ააცმაცუნა, თავი მიხარ-მოხარა, ქოჩორი გაშალა... სარკე მის ყოველ მოძრაობას იმეორებდა და შეშინებული თუთიყუში აკივლდა, თეოს ხელიდან გაუსხლტა და იატაკზე დაებერტყა.

ქალმა ორი პატარა სარკე მონახა. ერთი გალიაში ჩამოკიდა, მეორე იატაკზე დადგა. ლუი, საკუთარ გამოსახულებას როგორც კი თვალს მოჰკრავდა, ისტერიულად კიოდა და სარკეს სწრაფად შორდებოდა... მაგრამ ერთხელაც, ნელ-ნელა მიუახლოვდა, ფრთხილად ჩაიჭყიტა შიგ, თუმცა უკან უმაღ დაიხია. მერე ისევ მიუახლოვდა და ისევ უკან გაბაჯბაჯდა. ბოლოს შეჩერდა. კარგა ხანს ათვალიერა საკუთარი თავი და ისე გათამამდა, რომ ნისკარტიც კი აძგერა. ბოლოს, „ლუი“-ო შესჭყივლა და საბოლოოდ დაუმტებობდა...

ფრენა კი ვერა და ვერ ისწავლა. ქალი განგებდასვამდა ხოლმე სიმაღლეზე და იქ ტოვებდა. ლუი მოწყენით იცქერებოდა, მაგრამ გადმოფრენას მაინც არ ცდილობდა. თეოს ეცოდებოდა, ხელში იყვანდა და მოდი გაკოცო — ეუბნებოდა. გახარებული ფრინველი ნისკარტს მიუშვერდა და ნებივრად ადებდა თავს მხარზე...



ქალის ცხოვრებაში ვიღაც გაჩნდა, ვისზეც უნდა ეზრუნა, ვინც უყვარდა და ვისაც ეფერებოდა. თითქოს ყველაფერი გალამაზდა ირგვლივ, გულში სიხარული ჩაუდგა. თავისთავში ულევი სინაზე აღმოაჩინა და უცებ:

— ლუი, არ გინდა ბავშვი ვიშვილოთ? პატარა თათებიანი, მოცუცქნული არსება...

დრო გაიწელა. ბავშვის შვილების პროცედურა ხანგრძლივი და მძიმე აღმოჩნდა...

საოცარი კი ის იყო, რომ ჩვილი სახლში მოყვანა თუ არა, იმ დღიდან ლუი გაქრა. ფანჯრის რაფაზე ერთი ცალი მსხვილი ბუმბული ეგდო, თვითონ კი აღარსად ჩანდა. წავიდა — ფიქრობდა დანანებით. დარდობდა, ენატრებო-

და, მაგრამ ბავშვის მოვლას ბევრი ყურადღება სჭირდებოდა და ისიც, დედობის ფერხულში დაუღალავად ჩაერთო...

ხანდახან, ლუისგან შემორჩენილ ბუმბულს ხელში იღებდა და ფიქრდებოდა. მადლიერი იყო მისი. ის რომ არა, იქნებ ვერასდროს აღმოეჩინა, რომ თავადაც სურდა ვინმეზე ზრუნვა, სითბოს გაცემა... საკუთარი არსებობის გამართლება და სხვისთვის საჭიროების აუცილებლობა იქნებ ვერც ვერასდროს შეეგრძნო...

...თითქოს მისია ჰქონდაო დაკისრებული ამ ფრინველს მისთვის.

მოვიდა, შეასრულა და წავიდა...

17



განუყრელი მეგობრები

ისინი სამნი იყვნენ.

მხიარულად მიუსხდნენ მაგიდას და მენიუ მოითხოვეს.

ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. შიგადაშიგ ისმოდა ფრაზები: „საერთოდ არ შეცვლილხარ“... „საოცრად გამოიყურები“... „ცოტა გადალლილი სახე გაქვს, მაგრამ თვალები ისევ ანცად გიბრნყინავს“... „არ დავბერებულვართ, რა მაგარია“...

27 წლის შემდეგ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. სკოლაში განუყრელ მეგობრებს, არც მოაფიქრდებოდათ, ამდენი წელი თუ უერთმანეთოდ ჩაივლიდა. სტუდენტობისას ისევ აქტიურად კონტაქტობდნენ. მერე, ლელა უკრაინელს გაჰყვა ცოლად და საქართველოდან გადაიხვენა. თანაკურსელზე შეყვარებული თეა რაიონში წავიდა საცხოვრებლად. ეკა დარჩა თბილისში. ცხოვრებამ სამივე თავის ფერხულში ჩაითრია და ურთიერთდამაკავშირებელი ძალიც გაწყდა.

და აი, სოციალური ქსელის მეშვეობით, როგორც იქნა, მოძებნეს ერთმანეთი. მიმოწერა გაჩაღდა და აღმოჩნდა, რომ სამივენი, უკვე დიდი ხანია, თბილისში ცხოვრობდნენ თურმე...

— აბა, ვინ დაიწყებს? — იკითხა ლელა.

— ჰა, მოვყვეთ ახლა, ვინ ვართ, რას ვშვრებით, რა გადგვხდენია — მხარი აუბა ეკამ.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს დაფიქრდნენ, რა ჰქონდათ სათქმელი და ისევ აქაქანდნენ.

ლელა უკრაინელ ქმარს ოთხ წელში გასცილებია და ბავშვთან ერთად დაბრუნებულა საქართველოში. შემდეგ, კიდევ გათხოვილა და ახლა მდიდარი, წარმატებული ოჯახი აქვს, არაფერი აკლია...

— ჩვეულებრივად განებივრებული ქალი ვარ, ჰოპ და ყველაფერი მისრულდება, —

გაიცინა...

მერე მოყვა, როგორ ხშირად მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში და „შობინგებს“ მხოლოდ ცნობილ ბუტიკებში აკეთებს...

თეას სოფელში უცხოვრია რამდენიმე წელი.

— კარგი იყო სოფელი, სუფთა ჰაერი, ჯანსალი საკვები, ლია ურთიერთობები... მაგრამ ქვეყანა რომ აირია, სოფელსაც გაუჭირდა და ხალხიც შეიცვალა თითქოს, რაღაცნაირად გაბოროტებულები გახდნენ... ერთი სიტყვით, ჩემს ქმარს ვუთხარი — აქ გამჩერებელი აღარ ვარ, გინდა წამომყევი ქალაქებში და გინდა აქ დარჩი, მე ბავშვებს ამ გაჭირვებაში და ბოლმის გარემოცვები ვერ ვამყოფებ-მეთქი...

— და წამოგყვა?

— აბა რას იზამდა, ჩვენზე ამოსდის მზე და მთვარე... პირველად ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მერე და მერე, მოვაბით თავი ყველაფერს. ვალები გავისტუმრეთ, სახლი და მანქანები ვიყიდეთ, მთლად შენსავით ვერ ვისრულებ გულისწადილს, — მიუბრუნდა ლელას, — მაგრამ არც საწუნურო მაქვს არაფერი. ბავშვებს განათლება მივეცით, ზამთრისა და ზაფხულის კურორტები არ დაგვიკლია, სამსახურებიც ვუშოვეთ და ბებიაც ვარ უკვე...

— მე გვიან გავთხოვდი, — დაიწყო ეკამ, — ხომ გახსოვთ, რა სწავლის ჭიაც ვიყავი. უნივერსიტეტის მერე ასპირანტურა დავამთავრე, დისერტაცია დავიცავი. ახლა პროფესორი ვარ და ლექციებს ვკითხულობ. ჩემი ქმარი სამეცნიერო მუშაობას ეწევა, რამდენიმე გამოგონების ავტორია. ორი სტუდენტი შვილი გვყავს, ჭკუის კოლოფები, — გაიცინა, — ინტელიგენტური ოჯახი გვაქვს და ასეთივე სამეგობრო წრე. არც

ოლქ. №5, 2023





ჩვენ ვუჩივით ცხოვრებას, მადლობა ღმერთს...
საუბარი დიდხანს გაუგრძელდათ, წარსულს იხსენებდნენ და გულიანად იცინოდნენ. „არშემდგარ“ კლასელებსაც გადასწვდნენ, ზოგს ირონით, ზოგს – თანაგრძნობით... ბოლოს, ერთმანეთს შეჰპირდნენ, რომ ხშირად იკონტაქტებდნენ. მანქანები დაქოქეს და თავ-თავიანთ საამაყო ოჯახებში გასწიეს...

თითქოს ყველაფერი კარგად იყო, თითქოს ამდენი წლის უნახავ მეგობრებს სიამოვნებისა და სიმსუბუქის შეგრძნება უნდა გაჰყოლოდათ თან.

მაშ რატომ ჰქონდა სამივეს დამძიმებული გული?

ლელას არ უთქვამს, რომ უფროსი შვილი, როგორც კი წამოიზარდა, მამასთან წავიდა საცხოვრებლად და სულ ენატრებოდა... რომ ფუფუნებას სიხარული არ მოჰქონდა მისთვის, რომ მისი მეორე ქმარი საყვარელს საყვარელზე იცვლიდა. კომპენსირებას კი, ეგონა, ცოლის სხვა სურვილების ასრულებით ახდენდა... რომ მისი ცხოვრება ჯოჯოხეთად იყო ქცეული და ქალური ბედნიერება არც კი იცოდა რა იყო...

თეას არ უთქვამს, რომ მისმა ქალიშვილმა სიცოცხლე გაუმწარა. რომ ხშირად ექებდა ლამ-ლამობით, რომ 16 წლისამ ვიღაცისგან ბავშვი გააჩინა და სახლში ახლაც არ მოდიოდა. რომ თვითონ ზრდიდა შვილიშვილს და გული უკვდებოდა... რომ ისედაც უხასიათო ქმარი ხშირად აძახებდა – სოფელში რომ გვეცხოვრა, შვილი არ გაგვიძობდებოდაო...

ეკას არ უთქვამს, რომ მისი ინტელექტუალი ქმარი კომპლექსების სრულ თაიგულს

წარმოადგენდა. გაცინებითაც კი ჩუმად უნდა გაეცინათ, რადგან ხმამაღლა სიცილი, თვით ოჯახის წევრებს შორისაც კი, უკულტურობად მიიჩნეოდა. რომ სიხარულიც და მწუხარებაც მოზომილი უნდა ჰქონოდათ. მოზომილი უნდა ყოფილიყო ყოველი სიტყვა და ქმედება, რათა „მაღალი წრის“ ნიშა არ დაეკარგათ. არავითარი ემოცია, არავითარი გრძნობის გამომჟღავნება... ამ ინტელექტუალ კაცს, ცოლ-ქმარს შორის ხშირი ინტიმიც კი გარყვნილებად მიაჩნდა... და რომ ასეთი გარემოსა თუ გენეტიკის წყალობით, მისი მართლაც „ჭკუს კოლოფი“ შვილებიც კომპლექსების მსვერპლნი იყვნენ...

რატომ არ უთხრეს ერთმანეთს სიმართლე? რატომ უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობდნენ? იქნებთავისი ვარამით ერთმანეთისთვის გული არ უნდოდათ დაემძიმებინათ? იქნებ უკვე იმდენად უცხონი გამხდარიყვნენ, რომ სიმართლის თქმა საჭიროდ არ ჩათვალეს?

მათი შეხვედრის სიხარული ნამდვილად გულწრფელი იყო, დანარჩენი კი შენიღბულად წარმოჩინებული. სცენაზე გასულ მსახიობებს გავდნენ, მეგობრებს კი არა...

თითოეული ფიქრობდა, რომ ხელახლა დასახახლოვებლად დრო იყო საჭირო. მაგრამ მოინდომებდნენ კი კვლავ თავშეყრას?

თუ შეხვედებიან და ერთმანეთისთვის სიმართლის თქმის სურვილი გაუჩნდებათ, მაშინ მათ შორის სწორედ ის გრძნობა ყოფილა, რომელსაც წლები და სიშორე ვერაფერს აკლებს.

მაგრამ ვართ კი, თვით ძალიან ახლო მეგობრებთან, ბოლომდე გახსნილები?

ღმერთო, რა ძნელი ყოფილა უსაქმურობა!

ჩემთვის ფრიად გადატვირთულ და ხალხმრავალ ზაფხულს, შემოდგომის ორი თვეც მიჰყვა. მხოლოდ რამდენიმე დღე, რაც ყველანი გაიკრიფნენ და დავრჩით მე და მალხაზი. ისიც, გვიანობამდე სამსახურშია ხოლმე და პრაქტიკულად, მარტო ვარ.

ამ დღეების განმავლობაში ძირფესვიანად დავალაგე სახლი, კარადები, უჯრები. დავწმინდე ფანჯრები, მოვხეხე იატაკი, გავამზეურებალიშები, გავაპრიალე ავეჯი, ვრეცხე და ვაუთოვე, ადგილი ვუცვალე ოთახის მცენარეებს, შევაკეთე დაზიანებული სანათი, შევდებე ჩარჩოები სურათებისთვის, ზევით-ქვევით შეუჩერებლად ვიქროლე კიბეებზე, ყველგან შევიჭრი და ჩემი ხელი დავატყე...

დღეს კი, ჩვეულებრივ რუტინას რომ მოვრჩი (მტვრების წმენდა, სადილის მომზადე-

ბა, ჭურჭელი...), მივიხედ-მოვიხედე და ცოტა არ იყოს, შევცპი. ჯერ დილის 10 საათი იყო. რა უნდა მეკეთებინა?

გადავწყვიტე, შუ გამომეცხო. მართალია, წონის დაკლება მინდა და ტკბილს უნდა ვერიდო, მაგრამ ხანდახან თავის განებივრებაც ხომ შეიძლება? თანაც, რომელი მცხობელი მევარ, გულის სიღრმეში მჯეროდა, არაფერი გამოივიდა და ტკბილის ჭამასაც ავირიდებდი, მაგრამ ნურას უკაცრავად! ბუთქუჩა, გამომშრალ-დაბრანული გამოვილე აერლუმელიდან და ქათქათა, ჰაეროვანი კრემითაც გულუხვად ამოვავსე... აბა როგორ არ მეჭამა?

ტკბილით ზედმეტად განებივრებულმა, მუსიკა ჩავრთე. ცოტა ვიცევვე, ცოტა წავივარჯიშე და ბოლოს, კარაოკეც წავუმლერე. წავუმლერე კი არა, კარგა გვარიანად რომ შე-



ვიჭერი როლებში, მერე გამახსენდა, მეზობლად მუსიკოსთა ოჯახი რომ ცხოვრობს და ჩემი უნიჭობით ფრიად შევაწუხებდი. რასაკვირველია, მაშინათვე დამეკარგა მღერის ენთუზიაზმი და კარაოკე სამუდამოდ დავივინება...

დრო კი, ჩემს ჯიბრზე, თითქოს არც იძვროდა.

უცებ კედელზე აკეცილ ეკრანს მოვკარი თვალი. დიდი ხანია, საშინაო კინოთეატრისთვის არავის მოგვიცლია. არადა, სულ მინდოდა, რამე გემრიელი კომედია ჩამერთო და ხმამაღლა მეხარხარა... პოდა, ახლა ვინ დამიშლიდა? გავვარდი სამზარეულოში და რაკი პოპკორნის არანაირი პერსპექტივა არ შეინიშნებოდა, მზესუმზირა მოვხალე. შემდეგ ფილმი შევარჩიე, იატაკზე მწვანე ნოხი დავფინე (ვითომ, ჩვენება ლია ცის ქვეშ, პარკში მიმდინარეობდა), ირგვლივ შემოვიმწერივე უილის (შვილშვილის) თოჯინები: პინგვინი, ვირუსა, კურდლელი, ლომი, უირაფი და ა.შ. იქვე, უილიამისვე სათამაშო ავტომობილები დავაპარეინგე და კმაყოფილმა გავიფიქრე – როგორც ჩანს, კარგი ფილმია, რადგან ამდენ ხალხს მოუყრია თავი ჩვენებაზე-მეთქი....

სულ ტყუილად.

როგორ არ ვეცადე, რა ხერხს არ მივმართე, გასახსენებლად მეხსიერება დავძაბე, ინსტრუქციაც მოვიშველიე, დავგუგლე კიდეც, მაგრამ პროექტორი ეკრანს ვერაფრით დავუკავშირე.

– მორჩია კინო, წადით სახლებში! – გამოვუცხადე „ხალხს“ და იმედგაცრუებულმა ყველა სათამაშო თავის ადგილზე დავაბრუნე... ესეც შენი ფილმი!

ვდგავარ დაბნეული. არ ვიცი დროს რა ვუყო. მე, რომელიც დიდი ოჯახისა და საპასუხისმგებლო სამსახურის გამო მუდამ დაქა-

ნცული ვიყავი, მენატრებოდა ერთი ჩვეულებრივი, ჩემს ნებაზე გატარებული უზრუნველი დღე და სიჩუმე...

ახლა კი ისეთი საშინელი სიჩუმეა. ბუზებიც ალარ არიან, რომ მათი გაფრენის ხმა გავიგო.

– აი ბატონო, – ვეუბნები თავს ხმამაღლა, – რა ხანია ოცნებობ წყნარად მოკალათებაზე, ფეხებზე ღუნდულა პლედით და ხელში საინტერესო წიგნით... ჰოდა, დადგა ეს დრო...

სიამოვნებისგან ტანში მაჟრიალებს. ნუთუ მართლა?

მთელი რიტუალი დამჭირდა პლედის სილუნდულის დონის განსასაზღვრავად, რამდენიმე, სხვადასხვა ეპოქისა და უანრის წიგნის ამოსარჩევად, იმის გადასაწყვეტად ნალექიანი ყავა მომედგა თუ რძიანს დავჯერებოდი, სავარძელი ვიტრაჟისკენ მიმენია, თუ პირიქით, მეტი რომანტიკისთვის ფარდები ჩამომეხურა და ლამის ნათურა ამენთო...

ამ ბოდიალში გამახსენდა, რომ ამას წინათ, ცოტა ქსოვაზეც წავიოცნებე. მართალია, ოცდაათიოდე წელია ჩხირები თვალითაც არ მინახავს, არათუ მიქსოვია, მაგრამ სასწრაფოდ მოვძებნე. ძაფებიდან კარგი კვასკვასა, ენერგიის მომცემი წითელი ამოვარჩიე და სავარძლის ერთ მხარეს წიგნები დავაწყებე, მეორე მხარეს საქსოვი დავდე ლამაზი, მოწნული კალათით (ანუ, რიგრიგობით, როცა რომელი მესიამოვნება, ის რომ ვაკეთო) და ჰააა, როგორც იქნა, მოვკალათდი...

ჰოდა, ვზივარ ახლა ფეხებშეკეცილი და გაშტერებული, უკვე ნახევარ საათზე მეტია ვერ ვინძრევი და ვგრძნობ, რომ ძალიან დალლილი ვარ, ძალიაან!

ღმერთო, რა ძნელი ყოფილა უსაქმურობა!

19



„მესიერების სკივრი“

დავილალე – გავიფიქრე და ძალაგამოცლილი ჩამოვჯექი.

არ ყოფილა ადვილი სახლიდან სახლში გადაბარგება. წლებით ნაგროვები, საჭირო თუ არასაჭირო (ეგდოს, რა ვიცი...) ნივთების, ინვენტარისა თუ ტანსაცმლის გადარჩევა-დახარისხება დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ვუცერი იატაკზე მოფენილ სხვადასხვა ზომის ყუთებს წარწერებით: გიო, ლუკა, მე... ისინი კიდევ იყოფიან წიგნის ქვეთავებივით: გიო – მხატვრული ლიტერატურა, გიო – ზამთრის სამოსი, გიო – ზაფხულის ტანსაცმელი, გიო – კედები და ა.შ.

ასე თემატურადაა დაყოფილი ჩემი და

ლუკას ყუთებიც (ყველაზე მეტი მაინც ჩემია – ქალი ვარ, რა ვქნა)... ამას მოსდევს სამზარეულო აღჭურვილობა წარწერებით: ჭიქები, თეფშები, ტაფები, ქვაბები და ა.შ. ცალკე დაგას ორი დიდი ყუთი წარწერით „გლახაკთათვის“ და „გადასაყრელი“...

უამრავი დღე გავიდა, ეს დამღლელი რუტინა კი არა და არ დამთავრდა, ნერვები და ღონე ერთნაირად გამომელია.

– დედა, მორჩია ჩალაგებას? – ყოველდღე მეკითხება მიშა მესინჯერში.

– ჯერ არა, – ვპასუხობ და არაქათგაცლილი ვუყურებ მოფენილ იატაკს. კიდევ რამდენია დასახარისხებელი – მიწუხდება გული.

ოლქ. №5, 2023





– ამდენი ფიქრი და გადარჩევა რად უნდა მაგას, – უკვირს მიშას.

მიშა ის ბიჭია, რომელსაც შეუძლია ერთ მომცრო ჩანთაში მოათავსოს ყველა საჭირო ნივთი და საცხოვრებლად უცხოეთში გაემგზავროს.

მაგრამ მე? ყველაფერს ვზომავ, ვწონი და ვალაგებ.

დამიყარეს თავისი ნივთები და გავარდნენ, – ვპრაზობ ბიჭებზე.

გიოს რომ ვუთხარი შენს ნივთებს თვითონ მიხედე-მეთქი, რა პრობლემაა – მიპასუხა. გამოილო უჯრები და ასე პირდაპირ ჩაპირქვავა ერთ-ერთ ყუთში. ახლა ვზივარ არაფრის გამო დასჯილი ფიფქიასავით და ნაცრიდან ცალკე ფეტვსა და ცალკე ბრინჯს ვარჩევ...

მედლის ორი მხარის არ იყოს, იმდენ „დაკარგულ“ რაღაცას მივაგენი, იმდენი მეხსიერებიდან წაშლილი რაღაცები ვიპოვნე, იმდენმა რამემ მომგვარა ღიმილი, რომ დალლილობას, შიგადაშიგ, კმაყოფილების გრძნობა ანაცვლებდა.

უცებ, გადასარჩევ ნივთებს შორის, თვალი ფეხსაცმლის კოლოფზე ოდნავ მოზრდილ, რკინის მომწვანო ყუთზე ჩერდება, რომლისთვისაც ოდესლაც „მეხსიერების სკივრი“ დამინერებია.

ნეტავ რა არის? – მოუთმენლად ვხდი თავს და... რასაკვირველია, შიგთავსის დანახვისთანავე ვხვდები, რაც არის...

„სკივრი“-ს ძირში გაცვეთილყდიანი ალბომი დევს. ალბომზე კი ერთი ყურმოტეხილი სათვალე და ერთიც მამაკაცის საათი ასვენია.

სათვალეს ხელში ვიღებ, საგულდაგულოდ ვწმენდ დანისლულ მინებს და სახეზე მორგებას ვცდილობ... ვერაფერს ვხედავ, ვერაფერს, გარდა მოგონებისა...

ეს სათვალე ჩემი მეუღლის ბებიის, ანა (ანეტ) მელიქიშვილისა იყო.

რა მახსოვს? ბევრი რამ, ბევრზე ბევრი... თუმცა მოკლედ ვიტყვი.

მახსოვს, ყავარჯენი და სათვალე მისთვის განუყრელ ატრიბუტიკას წარმოადგენდა. სწორედ ყავარჯენზე დაყრდნობილი აგვარებდა საოჯახო საქმეებს – საუზმიდან დაწყებული, ვახშით დამთავრებული... ყოველთვის, ყველაფერი თავის ადგილზე მიჩნილი ჰქონდა: სარეცხი გარეცხილ-დაუთოვებული, მტვრები აწმენდილი, კარადები ჩაწინიკებული... ეჭვი არ მეპარება, შვილები ალბათ, თავისივე ხელით შეკერილი ტანსაცმლით, მორთულ-მოკაზმული დაუდიოდა... მერე შვილიშვილები ჩაუდგებოდნენ რიგში და ბოლოს, შვილთაშვილებისთვისაც არ დაუკლია უკვე მოცახცახ ხელებით ფაფის

მოხარშვა თუ მოცახცახ ხმით იავნანის თქმა...

დედინაცვალთან გაზრდილმა დედის სიყვარული რას ნიშნავდა, არ იცოდა, მაგრამ თვითონ იყო მაღალი რანგის დედაც, ბებიაც და ოჯახის ბურჯიც...

24 და 30 წლის ასაკში გარდაცვლილ ქალ-ვაჟზე ისე საუბრობდა, როგორც ცოცხლებზე. თუ არ იცოდი მათი ალარყოფნის ამბავი, ვერც მიხვდებოდი. პოზიტიურ ნოტაზე მომართული, სხვისთვისაც გადამდებს ხდიდა ასეთ განწყობას... წუნუნსა და ცრემლზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი...

მაგრამ ერთხელ, დროზე ადრე დავპრუნდი სახლში და მაშინ მივხვდი, რომ ამ კლდესავით შეუდრევი ადამიანის უკან ჩვეულებრივი, გულ-დათუთქული დედა და ტრაგიზმით სავსე ქალი იდგა. კართან მისულს მომესმა მისი მოგუდული, სილრმიდან ამომსკდარი, მოუშუშებელი ტკივილით გაუღენთილი, ძალზედ ემოციური შვილების დატირება... ჩუმად ჩავიპარე კიბეებზე და ისევ ქუჩაში გავედი... როცა დავპრუნდი, შემომეგება და ვითომტ არაფერი: წვნიანი მზადა და ისადილეო...

მიშა რომ შემეძინა, უნივერსიტეტში აკადემიური წლის ალებას ვაპირებდი. არ დამანება, მე მივხედავო... განა ღონე ერჩოდა? ვეღააარ, მაგრამ უღალატო გულით იკრებდა ძალებს...

ასეთებს ძველად „ამაგიანებს“ ეძახდნენ.

ნამდვილად, რომ ამაგიანი ქალი იყო...

სათვალე გერდზე გადავდე და „მეხსიერების სკივრიდან“ საათი ამოვილე. სამაჯურის გახსნაც არ დამჭირვებია, ისე წამოვიცვი მაჯაზე, ისრები უკუსვლით დავატრიალე და მეც უკან გავყევი....

ეს საათი ჩემი მამამთილის, მიხეილ სულხანიშვილის იყო.

რა მახსოვს? ბევრი, ბევრზე ბევრი რამ... თუმცა ამასაც მოკლედ ვიტყვი...

ჩემსავით უყვარდა წიგნების კითხვა. ერთ-მანეს ვუცვლიდით და ვურჩევდით საკითხავს. სასაუბროც ბევრი გვერნდა, ღიმილიცა და ცრემლიც ერთნაირად გვერეოდა... თამამად მავალებდა მისთვის გასაკეთებელს: თმას ვჭრიდი, წნევას ვუზომავდი, ნემსს ვუკეთებდი, ღილს ვუკერებდი... ხიდან ლეღვს რომ ჩამოკრეფდა, საუკეთესოებს ჩემთვის გადაარჩევდა და მინახვდა... ბავშვებს ბალში წაიყვან-მოიყვანდა – ისედაც ბევრი საქმე გაქვსო... მესამე ვაჟი რომ შემეძინა, ამაზე სულ გადაირია: სულხანიშვილებს ჯიშით კი გვყავს ორ-ორი ბიჭი, მაგრამ სამიო?

უკვე თბილისში ვცხოვრობდით მე და ბავშვები, მხედველობა რომ დაკარგა. ბოლოს



გონიერაც... ვეღარავის სცნობდა, ვე-ღა-რა-ვის... სიკვდილის წინ, ცოტა ხნით ადრე რომ ჩავედი, ჩემი ფეხის ხმაზე გაიყურსა და „მოხვედი შვილო“-ო? აბა, ვინ ვარ-მეთქი? ხათუ-ნა-ო.... ალარაფერს ჭამდა, მე კი მორჩილად გამიხსნა პირი და „ასე გამრიელად დიდი ხანია არ მიჭამიაო“ – მითხრა... ვენატრებოდი... მე ახლაც მენატრება, ამდენი ხნის შემდეგ...

ეს საათიც, რომელსაც ხელიდან არასდროს იშორებდა, ავადყოფნისას მოიხსნა და მე და მალხაზს ჩაგვაბარა ძვირფას რელიქვიასავით. სახსოვრად გქონდეთო...

აკი გვაქვს კიდეც...

„მეხსიერების სკივრი“-დან ბოლო ნივთიც ამივიღე და გადავშალე. ყდაშეცვეთილს, ფურცლებიც გაცრეცოდა და შავ-თეთრი სუ-რათებიც გაფერმკრთალებოდა.

ეს ალბომი დედამთილის იყო, კახეთში გათხოვილი იმერელი ქალის, მერი გოგაძის.

როგორც ჩანს, ამ ალბომს საფუძველი მისი სტუდენტობისას ჩაეყარა. ჩემთვის უცხო ადა-მიანებთან გადაღებული ფოტოები, მალე მამა-მთილთან გადაღებულმა სურათებმა ჩაანაცვ-ლა. ამას მოჰყევა ოჯახის სხვა წევრებისა და ბავშვების ფოტოები...

სურათებს გულდასმით ვათვალიერებდი და ერთ რამეს მივხვდი: ეს ალბომი, ჩემი დედამ-თილის ცხოვრების მოკლედ ასახულ ისტორიას წარმოადგენდა. ამ ალბომში მიეჩინა ადგილი გარდაცვლილთათვისაც: მშობლებისთვის, ახ-

ალგაზრდა მაზლ-მულისთვის...

ეს ალბომი უერთიანებდა ტკივილსა თუ სიხარულის განცდებს, ქრონოლოგიური მიმ-დევრობით უნახავდა მნიშვნელოვან ეპიზო-დებს...

ამიტომაცაა ასე გაცრეცილი, ალბათ ხშირ-ად ფურცლავდა-მეთქი, – გავიფიქრე.

ყველაზე მეტად კი სხვა რამემ გამაო-ცა: ჩემს თვალწინ ცოცხლდებოდა 50-60-იანი წლების მოდა, დახვეწილი კლასიკაც და ავან-გარდული ქეუუალიც. უზადოდ მორგებული კოსტიუმები თუ ინსპირაციული კაბები, ბე-რეტები, შლ(ი)აპები, ფრანგული ფეხსაცმელი და ვარცხნილობა...

ყოჩალ მერი, მშვენიერი გემოვნება გქონია, – გავიფიქრე და გამეღიმა. ფითქინა და თხელი იყო, ყველაფერი უხდებოდა...

აი, სამეცაულები კი არასდროს შემინიშნავს მასზე...

ალბომი დავხურე, ყუთში სასოებით ჩავ-აპრუნე სამივე ნივთი და კალამი მოვიმარჯვე-დასათაურების გადასწორება მინდოდა: „მეხ-სიერების სკივრი“ კი არა „სამახსოვრო სკივრი“ უნდა დამეწერა... მაგრამ არა... იყოს, როგორც არის, როცა სახურავს ავხდი, სწორედ რომ მეხ-სიერება გაიღვიძებს და ისევე, როგორც დღეს, სინანული და სიხარული ერთად დამეუფლება. სინანული – მათი აღარყოფნის გამო და სიხ-არული – ისინი რომ ოდესლაც ჩემს გვერდით იყვნენ...

ახლა უკვე ვიცი პოლოში დასმული კითხვის პასუხი...

როცა რაღაც რადიკალურად იცვლება შენ-ში, როცა უფრო მეტად მელანქოლიური ხდები, როცა უკვე ხშირად გსტუმრობს წარსული და ის ადამიანები ტივტივდებიან შენი მეხსიერე-ბის ღრმა კუნძულებიდან, რომლებიც ბავშვო-ბის მერე არც გაგხსენებია... როცა სულ მზეს ელოდები და სევდას უკვე არამარტო ნისლიანი დღეები გგვრის, როცა უმიზეზოდ გერევა ცრემ-ლი... როცა დაშვებული შეცდომების მწკლარტე გემო ყელს გინვავს... როცა ბედნიერი მომენ-ტების გახსენებაზე წამს აჩერებ, რომ დატკბე და მაინც სევდა გერევა... როცა ფიქრობ, რომ ცხოვრება ისე სწრაფად მიქრის, რომ ვერ ას-წრებ თვალი შეავლო მოჩითულ მინდვრებს... როცა ძილი არ გერევა და მხოლოდ ზმანე-ბებს ხედავ, როცა დაღლილობის შეგრძნება არ გტოვებს და ღრმა მოხუცივით მიათრევ სულს, რომელსაც სინამდვილეში ფრენა სწყურია...

როცა ვიღაც გეძახის და ირგვლივ არავინაა... როცა ფიქრობ, რომ ვალი გქონდა მოსახდელი და ძალიან დაგაგვიანდა... როცა რაღაცის გე-შინია და იმისიც გეშინია, რომ გაიაზრო რისი შიში გაქვს... როცა ღიმილით აყოლებ თვალს გახარებულ ადამიანს და გულში პირველი სწრე... როცა სიკეთის დანახვაზე ფიქრობ, რომ სირთულეების მიუხედავად, მაინც ლამაზია სი-ცოცხლე... როცა ბავშვივით გულუბრყვილოდ გიხარია რაღაც და ფინჯანი ყავიდან ანადენი ობშივარიც კი დიდზე დიდი სიამოვნება გგო-ნია... როცა იასამნების ყვავილობა შორსაა და უკვე გრძნობ მის თავბრუდამხვევ სურნელს... როცა ძალიან გენატრება და ამ მონატრებას ვერაფერს შველი... როცა იცი, რომ ოდესლაც შენც გაგიხსენებენ და გული დასწყდებათ... როცა... როცა... როცა...

ეს რისი ნიშანია?



ვანო ჩხიპვაძე

22



საქართველოს მწერლათა და მსახიობთა კულტურული გარემონისა და სამსახურის მიერ გამოცემის შესახებ

საქართველოს მწერლათა და მსახიობთა კულტურული გარემონისა და სამსახურის მიერ გამოცემის შესახებ

მხოლოდ შეღამებულზე,
საფლავერთან წიგნერის,
როგორ ჰირისუფლერი –
აჩრდილები იმ წლების,
გულხელიდაკურეფილერი
ფგანან „ლინოჭიჩერი“...

ვ. ჩხიპვაძე

თვალი მხედველი

ვანო ჩხიპვაძის ლექსებს რომ კითხულობ, ხედები, სამყარო არასოდეს დაკარგავს პოეტური ბაზას.

როგორც ჩანს, არ არსებობს პოეტური დრო და პოეტური სივრცე, არსებობს პოეტი, რომელიც თვითონ ქმნის ამ დროსა და სივრცეს.

ყოველი მზერა, ყოველი რაკურსი, ყოველი გაელვება შეიძლება პოეტურ ფაქტად გადაიქცეს, ოღონდ, უბრალოდ, თვალია საჭირო, რომელიც საგნებს კი არ უყურებს, არამედ ხედის.

თვალი მხედველი გამოარჩევს ვანო ჩხიპვაძის თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ეს გახლავთ მისი შემოქმედების მთავარი ნიშანი. ამიტომაა მისი ლექსი მართალი, სანდო, სარწმუნო.

პოეტის სოციალური ფუნქცია, როლი, სტატუსი სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ დაგვანახვოს ჩვენ თვალ-ნინ არსებული სინამდვილე; დაგვანახვოს მთელი ეს კალეიდოსკოპი პარადოქსული მოვლენებისა, ტკივილებისა, შიშებისა და, კატასტროფებისა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, გადარჩენილი სიკეთისა, სილამაზისა, მშვენიერებისა.

ამ კრებულში შეხვდებით ყველა თემას, რაც დღეს საქართველოს ანუხებს, რაც მომავალშიც შეანუხებს და რაც დარჩება მუდმივ სასიცოცხლო პრობლემატიკად.

პოეტური ნერვის ფეთქვა წიგნის სათაურიდანვე ინუბა: „აპა, ზამთარი გადასატანი“. ეს არის ერთი პატარა ლექსიდან აღებული სტრიქონი, რომელიც ავტორის პირად განაცხადს გამოხატავს, მაგრამ განზოგადების ვრცელ მასშტაბებს აღწევს და გვაკერძოვბს თავისი პლასტიკურობით, სილრმითა და ბუნებრივი უნარით – შეურნება პირადული საზოგადოებრივს, საქვეყნოს, მარადიულს.

ვანო ჩხიპვაძე მაქსიმალურად შეიგრძნობს დღევანდელობას, თანამედროვეობის რიტმს. ხედავ კიდევაც, როგორი მგრძნობარება ის სამყაროს მიმართ, როგორი სიზუსტით აღიქვამს თითოეულ საგანსა და მოვლენას.

ვანო ჩხიპვაძის მსოფლედვა გამოირჩევა პოეტურობით. წოვალისის გამონათქვამის პერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, მისთვის ლექსი არის მინიატურაში მოცემული სამყარო, სამყარო კი – გავრცელობილი ლექსი.

ის თავისი დროის შვილია, ეპოქის მხატვრული მემატიანება. ამ გაცვეთილ სიტყვებში არის რაღაც დიადიც და

საზარელიც. გააჩინა, როგორ შეხედავ, როგორ განიცდი, როგორ გადმოსცემ.

მაინც, რა განცდაა, იდგე აქ და სხვაგვარად არ შეგეძლოს? ეს მარტო მოვალეობის გრძნობა როდისა. უფრო დიდა, უფრო ძლიერი, მნიშვნელოვანი, ღრმა, ღვთისმიერი.

ვანო ჩხიპვაძის ყოველი სიტყვა, ბერა, სტრიქონი სიცოცხლით, სინამდვილით, სიცხადით სუნთაქეს. რამდენადაც მძიმეა თემები, მდენად მსუბუქია მისი ლექსის ფორმა, ინტონაცია, მახვილთა სისტემა. ენა მუშაობს მთელი თავისი ლინგვისულური სიმძლავრით.

იმვითაც რიტმისა და რითმის ასეთი ვირტუოზული ფლობაც აღარ არის, ყოფნაა ჰარმონიის, მუსიკის, სიმეტრიისა და წყობილსიტყვაობის დაბადების სტიქიაში.

თითოეული ლექსი ლირიკული თხრობაა, რომელიც წამს, ეპიზოდს, ამბაეს, სიუჟეტს – პოეზიად აქცევს, პოეტურ ფაქტად გარდაქმნის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეტის მზერა პოვლობს და პირდაპირ ცხოვრებიდან ამოაქს პოეზია – სიმართლის, მხილების, ტკივილის დოკუმენტები.

ვანო ჩხიპვაძის ყოველი ლექსი გულიდან არის გამოტანილი, გულის სისხლით არის დაწერილი. ამიტომ არის, ერთდროულად, მძაფრიც და მშვენიერიც, ემოციური, საგულისხმო, მტკიცენეული და გასაგები.

მიხარია, რომ ვანოს კრებულს გოგი წერეთლის მხატვრობა ამშვენებს. გოგი, ამქვეყნიდან უდროოდ წასული ჩვენი დოდი მეგობარი, უაღრესად დახვეწილი, გემოვნებიანი ოსტატი, სწორედ იმ ტრადიციულ მორალურ-ეთიკურ ფასეულობებს იცავდა, რომელთა პოეტურ აპოლოგიას ვკითხულობთ მოცემულ წიგნში. გოგი, როგორც პოეტი, შესანიშნავად კითხულობდა ვანოს, როგორც მხატვრის, შემოქმედებას. მათმა თაობამაც შექმნა დრო, როდესაც წოეზია და მხატვრობა საერთო ესთეტიკურ ველში ერთიანდებოდა.

ასე მგონია, ეს წიგნიც იმ ესთეტიკური ველიდან მოგვევლინა.

ივანე ამირხანაშვილი

09.03.2023



„ოლეს“ მკითხველს ვთავაზობთ, ვანო ჩხიცეპაძეს ახალი წიგნიდან, „აჲა, ზამთარი გადასატანი“, რამდენიმე ლექსას.

ვანო ჩხიცეპაძე

კილორზანი

1. წიგნების ჟანრულობა

წიგნებაც შეეყარათ
საუკუნის ვირუსი,
სამუდამოდ ჩაძირეს
ნემოს „ნაუტილუსი“
ასე შორს რომ გეგონა,
თურმე, ისე ახლოა,
სადაც მარადიული
ჩვენი სამოსახლოა.

გაილალნენ ნელნელა,
სამოციანელებიც,
კარგი დახლი დაუდგათ
მოციქულებს ბნელეთის.

„ბატისფერთის საუკუნე“,
სიბრძნე ავრელიუსის,
უკვე დაბლოკილია
„მაუსით“ და „ნიუსით“.

„ციცერო“ და „შპონები“ –
მეტრამპაუსის ვერდიქტი,
მხიარული მთავრული,
წარბშეკრული პეტიტი.

ბოლო ჭირისუფალი,
გაცრეცილი ქიტონით,
კატაფალკას გაჰყვება
შენი კოჭლი სტრიქონი.

მოვა სულ სხვა ვინმე და
ქუდს ჭერისკენ აისვრის,
ერთხელაც არ გიყითხავს:
„იმ მელექსის რა ისმის?“

სამშობლოზე, ხანდახან
თავს რომ მოიმწუხარებს,
არც ის იცის, რატომ სძულს,
ან – რად უნდა უყვარდეს,

ნიჭის და უნიჭობის
მინუსი და პლიუსი –
წიგნებაც შეეყარათ
საუკუნის ვირუსი.

გზისპირზე ჩამომდგარან
დაზნექილი ტონებით,

მევდარი ტომეულების
მძიმე ეშელონები.

ჩამონერეს წიგნები
დახლქვეშ გადამალული,
ყელში ამოსულები
პეტიტით და მთავრულით.

ალბომზე დაფრენილი
კენკავს ჩიტი თავნება,
ჯავშნოსანზე შემომდგარ
ილიჩის ბრნყინვალებას.

ვიღა დაატრიალებს
უკან დროის ოწინარს,
ვეღარავის აშინებს
ცვილის კაცის თოჯინა...

ვინ დათვალა,
ვინ იცის,
დასტამპული ცხედრების,
კალმოსანთა ნალვანი,
ტექსტის კილომეტრები.

გაილალნენ, ნელნელა,
სამოციანელებიც,
კარგი დახლი დაუდგათ
მოციქულებს ბნელეთის.

გაქრნენ, როგორც თავზემოთ
ჩიტმა გადაიფრინოს,
ვეღარ მოვლენ,
თავისი
„მევდრები“ რომ დაიტირონ.

მხოლოდ შეღამებულზე,
საფლავებთან წიგნების,
როგორც ჭირისუფლები –
აჩრდილები იმ წლების,
გულხელდაკრეფილები
დგანან „ლინოტიპები“...

მიდის წუთისოფელი,
მობრძანდება დაისი,
თუ არც მოგიკითხავნ:
„იმ მელექსის რა ისმის?!“ –

ვიდრე საკურთხევლიდან
წირავს იამბიკონი,
ინვის ერთი სანთელიც –
შენი კოჭლი სტრიქონი.

23



ოლეს, №5, 2023

09.02.2023



2. არჩევანი

ახლაც რომ მახსენდება
„ხუთნლედების ტრანსი“ –
იწყებოდა ტაშით და
მთავრდებოდა ტაშით.

ხომ ისევ მოუჭირეს
წმინდა გრძნობებს ქანჩი –
ტაშით დაიწყებენ და
ამთავრებენ „ლანჩით“.

24



ბევრიც რომ მოვინდომო,
სულ ვართ ბარიბარში,
გინდ, იჯექი სოროში,
გინდ, გამოდი კარში.

ყვითელ არზე, ღაბუა
გვმოძღვრავს „ტელემატრონა“:
„მერამდენედ
თავდია
დარჩა ყუთი პანდორას –
ბედისწერის კანტორას
სნობი დაეპატრონა!

აქეთაც და იქითაც
მეამბოხე ბუნტია,
ვიდრე „ევრობუნაგის“
ცხრაკლიტულთან ყუნტია,
მეროჭიკე სამშობლო,
ძველი „მაკინტოშით“,
ხელებში შემოგვტირის,
გადაცვლილი „რკოში“...

„მოაცილეს მესამე
რუზველტსა და ჩერჩილს,
მაინც ხომ გაუხუნეს
სისხლიანი ფრენჩი –
ვინ დარდობს,
დედამინას
გული რომ არ ერჩის,
თირკმელში თუ გაუვლის
ატომურის „კენჭი!“

აღშფოთებულ მატრონას
მიშვებული სადაცე,
გაავებულ ძუძუებს
ლიფშიც ველარ აკავებს.

კიდევაც მოვურიგდე,
მოხვნისას ან მკაში
მაინც მაცოუნებელი –
მნიშვნელოვანი სამოთხის ვაშლი.

სულ ბეწვზე რად ჰეიდია
გადარჩენის შანსი,
ჩემს ბედზე ვინ მჩხიბაობს
სადლაც პასეანსით?!

კვირტი გაზაფხულისა –
ამოჭრილი კბილი,
სარზე, ვაზი კი არა,
საქართველო ტირის!...

ჩავიქერი,
ვერ მივხვდი
ჩარჩენილი „კლასში“,
რა სჯობია,
ლანჩი თუ
ტაში, ტაში, ტაში?!

07.02.2023

3. ჭახი

(მოზრდილებისთვის)

ვინ არ იცნობს ღრუტუნას
ულრანეთელ ტეტიას,
რკოს და პანტის გორები
რაც ამას უთქვლეფია.

ჭორავს ჩხიკვის მამიდა;
– მისათვის ერბოც ქონია,
წითელ წიგნში შევიტანთ,
ეს რა მადა ჰერონია!

ემონწმება შოშია:
– საქმე განა რკოშია,
სხვები რატომ არ ახსოვს,
რომ სწყურიათ, რომ შიათ?!

„ფილიპსი“ თუ „ბოშია“,
ტახს ასეთი ხოში აქვს,
გავიხედოთ, გორშია,
პარიზში ან რომშია.

ვფიქრობთ, იქნებ ეშველოს,
მაგრამ ღორის ჯგალოთი,
რა ხვითოსაც გაუუშვებთ,
ის ღრუტუნა ჩამოდის.

ამბობს ჩხიკვის მამიდა:
– გამოკითხვა რად მინდა,
ისეც მომეხსენება,
ჩვენში ბევრი „ამრევობს“
თავს მოვიქრი, დინგიანს
ვინმე თუ არ მფარველობს.

გააოცა ტურაც და,
ცბიერებით – მელიაც,
ძველი ქურდბაცაცები
ერთ ხმაში რომ მღერიან.




ეჩვენება, ღრუტუნას
შთაგონება ავალებს –
ხან მუზას ერკინება,
ხან დრომოჭმულ ანალებს.

მადა ჯერ არ ღალატობს
თვითმარქვია საჩინოს,
წელსაც ხილი დალპობას
უნდა გადაარჩინოს.

რაღა გვეთქმის, კაჭკაჭიც
ამბობს, ჩვენზე ახია,
ღრუტო, გვინდა თუ არა,
სალორეთის სახეა –
ბოლოს ლაფში ჩაწება,
ტახი მაინც ტახია!

2023



25

3ანო ჩეიკვაძე



მონაგონია,
რა საქმეც უყო
ლენინმა მასებს,
სტალინმა – უუკოვს...

კავკასიონის თეთრი ტეხილის,
შეტორტმანებულ მთათა ოფორტის
გულისცემაზე,
ყურმიგდებული
დაცურავს მთვარის ფონენდოსკოპი...

ნუ ელოდები,
დაინგრამეთქი
ამფითეატრი ძველი აივნის,
დამთავრდა კინო –
აქეთკენ,
ეტლით
ქეთონ და კოტე აღარ ჩაივლის.

ვიღა გამიშვებს ამ სამოთხედან,
შენთვის მლოცველი რად გამიმეტე –
მიკიუინებენ:
„თუ არ მოკეტავ,
ორპირში კარი მაინც მიკეტე!“

5.09.2023

4. არიოშია

ვეღარ არჩევენ მტერს და მოკეთეს,
ერთმანეთისგან – ღვარძლს და სიკეთეს,
მიკიუინებენ:
„თუ არ მოკეტავ,
ორპირში კარი მაინც მიკეტე!“

გლოცავ ემანსი –
პაციის მადლო,
აქეთ იტაცებს დაცი ფადლონს!
გადაივიწყეს ცოცხი და უთო,
ჩვენი ქალებიც შეეწყვნებ თუთუნს,
„ჯიპის“ სავარძლებს მოარგეს გავა –
ყავასთან ერთად,
თუთუნიც წავა!...

გაქრები, როგორც სიმღერა ქარში.
თუ ვერ ჩაუხტი ხელმწიფეს ნავში.
ვინ კოვზით,
ვინ კი მიირთმევს ჩამჩით –
ჩავარდა ლუკმა...
ოლონდ სხვის ჯამში.

არ გვიჭყაოდა ჯიბეში „გროში“
აღარც ჯიბე გვაქვს დაწყევლილ დროში,

არც შენს ნათურას ჰქონია ბედი,
ედისონ,
მწუხრი ისე იცინის,
ბოლოს და ბოლოს,
გადაწვავს „ედემს“
არითმიული მაჯის ციმციმი.

რასაც სჩადიან, დისნეის ჭუკო,
მოაფიქრდება არც თახსირ კუპონს,

5. ლორძისჭი

მეგონა რომ მოთავდა,
აქაიქლა ფეთქავენ,
პულსი არ ესინჯება
მუცელლმერთა მექრთამეს –

შენს „იმიჯზე“ იზრუნებს,
შორიდან რომ კრიახებს,
თუ სინდისის აქციებს
უფრო გააიაფებ.

ოლქ, №5, 2023





ჩაუთქვამს და,
ლობისტი,
გამონაცვალ პენუარს,
ახალივით მოარგებს
თბილისსა და გენუას.

სიცოცხლეუგემური,
მოკლე ლანჩის მენიუ,
მისდევს ოცდამეერთეს
შფოთიან ავენიუს.

შინაურმა ქაჯობამ,
ლამის ახლაც გვაჯობა,
ვინც სამშობლო
ხარივით
ბევრჯერ წამოაჩიქა.
ჩვენი დამაქცევარი
ცდილობს, როგორც არასდროს,
„პანტა“ თურაშაულად
ისევ შემოგვასალოს.

ოლონდ კაცთა მოძულე
„პანტა“ არ გაეჩინა,
სჯობდა, კახპა დედაკაცს
რიყის ქვები ეჩირა –
ბოროტების ნაყოფი,
ვინმე „ცხვირიქექია“,
მეანგინეკოლოგის
სკამზე ამოენთხია.

ლმერთო, რას არ ჩაიდენს
ამქეციურ ტკბობისთვის,
ძებვივით მოდებული
მეტასტაზი ლობისტის.

მკვდარი ტომეულების
ავტორს ანუ გრაფომანს,
შუაქართლელ გლეხუჭას
მიანიჭებს გრაფობას.

რა სიკეთეც მოჰქონდა,
მდ სიკეთეს მოიტანს,
„ხუთეულებისა“ და
ლობისტების „ტროიკა“.

რას გაუგებ,
გინდ იყოს
ქრისტეს ფეხის მკვნეტავი,
„დაუადებს კურთხევას“
მაინც „ხუთი ნეტარი“.

ზნეს ვერაფრით შეუცვლი
სულგაყინულ სკომარობს,
მებრძოლ უნიჭობასთან
ავხორცობს და „თომარობს“.

ვის როგორც შეუძლია
სახელს ისე გაითქვამს –

ზოგი მამულს უკვდება,
ზოგი მხოლოდ თავისთავს.

სამია თუ ხუთია,
ვინ კითხულობს, ორუელ,
საპრემიო კუპრის ქვაბს
ხელს რამდენი მოურევს.

ვითომ კიდეც მსჯელობენ,
განსჯიან და წონიან,
იმ სინდის იფიცებენ,
რომელიც არ ჰქონიათ.

მიჯნურს ველარ მიართმევ,
სურნელებას მაისის –
ჩაგაფენება ხელებში
„მუზადელვაისი“.

რომ მეგონა, მოთავდა,
აქაიქლა ფეთქავენ,
პულსი არ ესინჯება,
მუცელლმერთა მექრთამეს –

ააჩქარებს „ბოლოჟამს“
ყველა დამაქცევარი,
გზიდან რომ გადაჩეხოს
მზის და მთვარის ყევარი.

თურმე, გუდანაბადი
აქამდე ვერ აიკრეს –
„ულობისტო“ სამშობლო,
ლობისტებმა აიკლეს!

უკან არ მოიხედო –
რამდენჯერ გამაფრთხილე,
ვერც შენ ვერ გაანელე
სიძულვილის საკირე,
მეშინა, უფალო,
ხელს ერთხელაც აიქნევ:
– კართაგენი დაინგრეს!
– კართაგენი დაინგრეს!

2023

6. წერები

უხსოვარი წარსულიდან,
უბელო თუ დარახტული,
ყიურიასთან ერთად ისმის
ცხენის ფლოქვთა თქარათქურიც.

აღვიძებენ მიძინებულ
ქალდეას და ნინევიას,
ისტორიის ბარიერთან
ერთხმად აჭიხვინდებიან.



მომაკვდავი დროგის ცხენი
მიყურებს და თითქოს მღლოცავს,
ზღვზე თვალებცრემლიანი
გადააგდებს კისერს როცა.

როგორ გადამავიწყდები,
ის რაც მოხდა, ცხადში იყო –
ცხენის როლში მსახიობის
ულაყოფით თოხარიკო.

მარაბდელის ფიცხი ლურჯა,
კონსტანტინეს არაბია,
ბუცეფალი, როსინანტი
ერთად ბაგასთან აბიან.

არც საფლავებს მონიშნავენ,
არც სახელებს დააწერენ,
ვიცი, ბოლოს, რომ ხოცავენ
ბებერ, „ქანცგაწყვეტილ ცხენებს“.

როსინანტო, არ მასვენებს,
ის რაც შენთვის ნათელია,
თავად დონ კიხოტის „ყმობა“
ჯილდოა თუ სასჯელია?

განზე გადგნენ „ჯოროსნები“,
„ჯიპოსნების“ არულია,
აწყვეტილი ცხენის ძალით
ცხენების ჯოგს ჩაუვლიან.

გამჩენი არ მაპატიებს
შეუპოვარ ქართა მდევნელს,
ჭიქა თუ არ ნავუქციე,
ლექსში თუ არ გავიხსენე.

იმ ცხენებით გადიხვეწნენ,
თურმე, ვიდრე მძინებია,
წელთაღრიცხვის ფურცლებიდან
ქალდეა და ნინევია.
სულ ცოტაც და,
იქით უკვე
ღრმა სიბერის მორევია.
აღსავალის კარიბჭესთან
დარახტული მოგველიან.

დრო მოვა და გაგარინდებს
ნახერხის და ცრემლის გემო,
მაყურებლის ღრიანცელში
ჩაჩოქილო ცირკის ცხენო.

ბედისწერა საფეხულთან
ჩახმახს ვიდრე შეაყენებს,
არ ვიკითხავ,
რად ხოცავენ
ქანცგაწყვეტილ ბებერ ცხენებს!..

7. კიფოზანი

დედამიწავ, დაღლილო,
უმადურთა ღალატით,
დაჩუტული ბურთვით
როგორ დაპატარავდი.

მოდიან და მიდიან,
მიდან და მოდიან,
მხსნელად კიდევ მოგვივლენს
ქალწულს, კაპადოკია?!

ზოგი ბულბულია და,
ზოგიც, მიკიოტია,
წირვას გამოუყვანენ
მოძმეები ტოტიას.

ვინ თქვა – გადაუვლია
ნარლვნას და წყალდიდობას,
ფეხი წამოუკვრია
არარატზე კიდობანს!

ცისარტყელა ზეცას რომ
ყელზე შემოჭდობია,
მტრედების მოტანილი
ზეთისხილის ტოტია.

ბევრიც რომ იწანწალო
ღვარცოფებში, კარდაკარ,
ბოლოს, მაინც, ნოესთან
თითო ჭიქას გადაჰკრავ.

ეჱ, ფიროსმან, ფიროსმან,
დახლი ვერ შეიფერე.
უკვდავებით შემოსავს
მოალერსე სიბერე
ჩამოთოვილ მწვერვალებს –
აცტეკებს და იბერებს.

სოდომმა და გომორმა
როცა გამჩენს უგანა,
მეექვსე დღის ნაშრომი
წყალში გადაუყარა.

გულზე როგორ მომეშვას,
დედაზე დამხობილი,
ვიდრე დნეპრისპირეთში
ღნავის ახალშობილი!

დაიცლება სისხლისგან
გადაჭრილი ვენები –
მსხვრევით კურანტების და,
ნგრევით ცათამბჯენების.

ჰამლეტ, მაგ თავისქალამ,
ხარბი მიწის ამფორამ,
კამათელი უკულმა
რამდენჯერ გააგორა.



იფიქრებდი, ცისქვეშეთს
რა განსაცდელს უქადდა –
არ გაახსენდებოდა,
არც ქრისტე,
არც ბუდა და,
„ყოფნას“, „უცებ „არყოფნის“
არხზე თუ გადურთავდა?!

ეს რა ცოფი შეჰყარა
ადამსა და „მაშიკოს“,
კაცი კაცთან,
ქალი კი
დედაკაცთან არშიყობს.

28



ვიცი თავისქალისთვის,
ასე იყო, ასეა,
დღემდე ერთი ფასი აქვს
კრწანისსა და ბასიანს.
ვის დარჩება, მითხარი,
„სამოთხე“ ნასხვისარი,
ქუსლი აქილევსისა,
ჩატეხილი ისარით.

ჩაქრობოდა ბუხარი,
ლამე თეთრად ეთია,
ვაუამ, ჯავრით მწუხარემ –
ვინც ცალთვალა ღმერთია,

იცის, ბედმა დაინდო,
ან თუ არ გაუმართლა,
ყველა თავის საგზალით
მაინც მივა უფალთან!...

შეწყვეტილი ზღაპარი,
სულ ეს არი, რაც არი,

თვალში ვერ შეგაყარე
დედინაცვალს ნაცარი.

იქნებ არ უღალატოს
ზურგის ქარმა კიდობანს,
კიდევ ბევრჯერ გაუძლოს
ნარღვნას და წყალდიდობას.

მგლოვიარე სამყარო,
უცოდველი გვრიტივით,
კიდევ გაახალისოს
ჩვილი ბავშვის ტიტინით!...

ცაზე გადარკალული
ცისარტყელა როდია,
ნისკარტით მოტანილი
ზეთისხილის ტოტია.

დედამიწავ, დაღლილო,
უმაღურთა ღაღლატით,
დაჩუტული ბურთივით
როგორ დაპატარავდი!

დაქანაობს სასწორი –
შფოთი და სიმშვიდეა,
აქეთდასაწყისია,
იქითქვეყნის კიდეა.

დააქვთ დარდების ლოდი –
გუდა ზურგზე ჰეკიდიათ,
ვიცი, სადაც მოდიან,
არ ვიცი, სად მიდიან!

31 იანვარი, 2023



ელგუჯა
თავების

میزبانی از این مقاله را دارند: ایرانیان اسلامی، ایرانیان مسیحی، ایرانیان مسیحیان و ایرانیان مسیحیان اسلامی.

ՀԱՅՐՈ ԶԵՂՈ

ახალგაზრდობაში ჯავაირა ერქვა, სი-
ბერეში ჯავროთი შეუცვალეს. დობლოდან
გამოთხოვდა ქოშიგორაში. გაუთხოვარიც,
გათხოვილიც დობლოს შენატროდა.

— მიმინოს წყაროზე გაზრდილს კოდის
მარილიანი წყლით გაბერილი მედიდგულე-
ბი! — უწყრებოდა ქმარს.

- დობლოს ჯურლმულიდან ა
- არ რჩებოთა კუპრიელა ვალში.

- አመሰግኗል የሆነውን ስም ተስፋል

- დობლოს ტყლაპოს ქოშიგორას ტა-
ლახს ადარებ?!

- კაი ერთი, ძველად ქოშებს ტალახს აქ აცილებდნენ თურმე, იმდენი დაგროვილა, იმდენი, რო გორა გამსდარა...

- რაც გინდა, ის თქვი, მაინც გორაა,
დობლო წკარამშია, ქოშიგორა - კაში...

- ცაში ქე ხართ ქოშიგორელები, წყვილ-წყვილად აფრინთ ყველა.

კუპრიელას ნამდვილ სახელს – ბონდოს არავინ ეძახდა. წარმოსადეგ, ფართომარბეჭიან ვაჟუაცს ერთი დღეც არ უმუშავია. ჯავაირა დღედაღამეს ათენებდა, ოჯახსა თუ კოლმეურნეობაში მუხლგაუმართავად შრომობდა. ქმარი მის ნაშრომსაც, სხვები-სასაც განიერი ყბებით დევისსხელა ხახაში ისე გადაისროდა, უცხოს მისი ნაოფლარი ეგონებოდა: მოყვანისთვის იმდენი იშრომა, გულმედიდობით მიირთმევსო, – იფიქრებ-და.

ენაბალნიანი კუპრიელა დიდი ჭლაკვი
ვინმე იყო, სოფელში კაცს ვერ ნახავდით,
ამას რომ არ დაეცინა. აგდებით მოლაპა-
რაკეს ხშირად ეჩხუბებოდნენ, ზოგს ერე-
ოდა, ზოგი ერეოდა. ლოთობისგან ჩა-
სისხლიანებულ ხარისხელა თვალებს სულ
დასა(კინად აწვრილებდა: რო დეიტადა, ჯერ

კუპრინელას ნამდვილ სახეობს – ბონდოს არავინ
ეძახდა. ნაკმისადევ, ფართომშარენებიან ვაჟკარს ერთი
ჭლერ ან უმიშავია. ტავირია ჭლერალმექა ათენერდა, აფას-
სა თუ კოლმეურნეობაში მახლოვაუმდრობავად შრომირდა.
ქმრი მის ნაშრომსაც, სხვერისასაც განიერი ყრერით დე-
ვისხელა ხახაში ისე გადასიროდა, უწოდს მისი ნაოვლარი
ეგონერდა: მოყვანისოების იძევი იძრობა, გულმეფიდო-
ბით მიირთმევს, – იფიქრერდა.

၅၃





ლები, შეეძლო, რას ქვია, არ შეეძლო, მიენარცხებინა, გაქ-ცეულიყო, მაგრამ არ ინება, დასაჭერად ხელებგაშლილი ბავშვის წინ დარცხვენილი დადგა, დაელოდა მდევრებს. მივიღნენ, დაიჭირეს, ჩააბ-არეს მილიციას. ორი წელი მიუსაჯეს.

ციხეში ტიფი გაჩნდა, ბევ-რი ტუსალი იმსხვერპლა, ეს გადარჩა.

პატარა ბიჭი დევინდე, არც ხელი ვკარი, არც მოვკა-ლი, იმის მაღლი მეწევა, სიკ-ვდილს არ მანებებსო, – ფიქრობდა.

ჯავაირა კვირაში ორჯერ აკითხავდა ქუთასის ციხეში. ქოშიგორაში გაამზა-დებდა პურმარილს, ჩაჯდებოდა ავტობუ-ში, ეგონათ, ახალი პატიმარია, ყველას ასე აკითხავენ, მერე ბეზრდებათო. ჯავაირამ – პირიქით, ორის მაგიერ კვირაში სამჯერ ჩაკითხვა დააკანონა. პატიმართან არავინ უშვებდა, პურმარილს ხალისით ართმევდ-ნენ.

– როგორ იქცევა? – ჰკითხა ციხის უფროსმა ბადრაგებს.

– გადასარევად, ხმას არ იღებს, უეჭვე-ლად ნანობს.

– თუ მასეა, მოვეხმაროთ, სასჯელი შევუმციროთ, პირობითიც შეიძლება.

– რას ამბობ, უფროსო, ხო დავწყდით მშიერი!

– მასეთ პურმარილს ქორწილშიც ვერ ნახავ კაცი, დედლები – რა დედლები, ვარიე-ბი – რა ვარიები, ყველზე, ხაჭაპურსა და სხვა მისატანებლებზე თითებს ვაყოლებთ! – აქცყლობინდა მეორე ბადრაგი.

– ისე, ღვინო, როგორი აქ ნეტაი? – გააგრძელა პირველმა.

– ღვინო იქნება, მაგასთან... – უცებ ჩაფიქრდა – რა ქვია პატიმარს?!

– კუპრიელა, სინამდვილეში – ბონდო. – ხოდა, მიუჯდებით ბონდოს გვერდით.

ჯავაირას გულითადობამ იმდენი ქნა, ოთხი თვის შემდეგ სასჯელი პირობითით შეუცვალეს, კრეს პანდური, გაუშვეს სახ-ლში, სოფლის კოლმეურნეობას მიაწერეს. მეორე დღესვე გამოცხადდა.

– იმუშავე, ცოლის კისერზე რომ ზიხარ, ორ კაპიკს გამეიმუშავებ! – უთხრა თავმჯ-დომარემ.

– უფულობა არ მაღელვებს? – საერთოდ რა გაღელვებს. – რა და, ჩემს ჭკუაზე ყოფნის ნებას



ელგუჯა თავპერიძე

რომ არ მაძლევთ.

– კაია, რაღაცა შენც გაღელვებს თურმე, იშოვი ფულს, დამშვიდდები.

– მაშინ სულ გადავირევი.

– გადარეულებს სადაც ვუშვებთ, კარქათ იცი, გამო-დი ხვალ, სიმინდს არ მოგა-ტეხიებ, მოტეხილი გამოზიდე.

– რას გადამეკიდეთ, გო-ნია, მართლა გინდათ, გამაგი-უოთ.

– მუშაობით გაგიუებული არავინ მინახავს მე.

– ეგერ, ე, ჭიკოსანები?

– მაგენი შრომობენ თუ შრომობენ.

– აპა?! ჭიკო სახლში რო შედის, მაკრინე გამოდის, ზოგი ბოვში – ჩქარა, ზოგი დინ-ჯად დეიარება, სულ გზაში ყრიენ.

– სხვებს თავი დაანებე, შენ თავს მიხედე!

– რა მეტყობა მიუხედავის?

– ბევრს ნუ ლაპარიკობ, ხვალ ყანაში!

– სხვებმა იმუშავონ, მე ვუყურებ. ერთი მაყურებელი არ გჭირდებათ?

– რაც გვჭირდება, ვიცით, – უთხრა იო-ველმა.

მეტი არ ჰქონდა კუპრიელას საქმე, თავ-მჯდომარის ნათქვამი დაეჯერებინა.

იოველმა დილით ჯერ სახლში, მერე მეზობლებში მოიკითხა, არ იყო, ვიღაცამ უთხრა, ჯავაირა ბაზარში წევიდა, კუპრი-ელამ დეიბარა, კოლმეურნეობის ყანაში მი-ვდივარო.

გაქანდა ყანისკენ. კუპრიელა ჩერგილში დაიმალა, თავმჯდომარემ ერთში ნახა, არ იყო, მეორეში, მესამეში... იმას – ჩემი, მე მისი სუნთქვა მესმოდა, – იხსენებდა მერე კუპრიელა, – დამინდო, გვერდი აშიარა, რომ ვენახე, უეჭველად ვესროდიო.

იოველმაც იცოდა, რომ არ დაინდობდა და ჩალის ის ჩერგილი გამოტოვა.

ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს, უშიშ-როებამ თანამშრომლობა შესთავაზა, რა-საც გეტყვით, გააკეთე, ფულს მოგცემთო. იუარა, თანაც ისე კატეგორიულად, რომ მა-შინვე ჩაეკითხა სამიდან ერთი:

– კი, მაგრამ რა მიზეზით?!

– არ გამოგადგებით, ძილში ვყვირი.

– რას ყვირი?

– ციხის ამბებს.

– ძილში ყოფილა მისაყურადებელი... – გადახედა მეორეს.

გამოუშვეს. ეს იყო და ეს – მართლა დაჩემდა კუპრიელას ძილში ყვირილი. ჯა-ვაირას კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდა.



აყვირდებოდა ძილში, ჰერავდა მეუღლე ფეხს, შეაფხიზლებდა.

— რა გაყვირებს! შე კაცო! — შეუყვირებდა.

— როდის ვყვიროდი?!

— როდის და ამ წუთას!

— ქალო, შენ ხო არაფერი გელანდება?

— დამშვიდდი, დაიძინე... — აწყნარებდა.

გაივლიდა ცოტა ხანი, აყვირდებოდა კუპრიელა, გაიღვიძებდა ჯავაირა, რა გაყვირებსო — დაამუნათებდა, დაიძინებდნენ, ახლა ჯავაირა აყვირდებოდა, თან ისე ხმამალლა, რომ ხანდახან მეზობლებსაც ეს-მოდათ, ამ ჯერზე ჯავაირას აფხიზლებდა ქმარი.

— მოგელანდა, ალბათ!

— რა მომელანდა, ჭირისუფალივით კი-ოდი.

ერთხელ ქეთომაც ჰკითხა:

— რა გაკივლებდა წუხელ, კუპრიელა ხო ჩავარდა ჭკუაში...

— მაგი ჩავარდა მოუსვლელში, მაგან მო-მიღო ბოლო და მომინელა!

— რას ერჩი, ალარ ღლიცინობს...

— ხო, ცოტა მოტყდა რქები, მარა, იცი, ჩემო ქეთო, რას გეტყვი, კუპრიელასთან ცხოვრება საშინელებაა, მარა რო დავფიქრ-

დები, ერთი წუთიც არ შემიძლია უმისოდ ყოფნა.

— ხო, შეჩვევას და ერთად ყოფნას მოყვება სიყვარულიც.

კუპრიელა კაცს, ქალს, მოხუცს, ახალ-გაზრდას ყველას გესლავდა. ჯავაირას, წუ-რას უკაცრავად, საყვედურსაც მორიდებით ეუბნებოდა. ნამეტანი უნდოდათ ბიჭი, არ გაუჩნდათ, სამი გოგო ეყოლათ. სამივე ერთიმეორეზე ლამაზები. იმ სამ გოგო-საც გოგონები შეეძინათ, მათმა შვილებმაც ასულები დაისიეს. სამ თაობაში ბიჭი არ გა-ჩენილა კუპრიელასა და ჯავაირას ნაგრამში.

მართალია, ზოსიმეს ბიჭი დაინდო, მა-გრამ იმ უენო კაცს ტყუილუბრალოდ რომ დაცინა, მაგისთვის ისჯება, თანაც ზოსიმეს მელანო სამებაზე გადავიდა, დაწყევლა:

— წურც გადაშენდეს, წურც მოშენდეს კუპრიელასანებიო, — შეთხოვა წმინ-და სამებას. ამიტომაა, სულ გოგოები რომ იბადებიან! ნამლვდლარი გიორგის შვილიშ-ვილი მელანო მარხვითაც მარხულობდა, ლოცვითაც ლოცულობდა: დადიოდა სახ-ურავჩამოქცეულ სამებაზე, თავპირშეფუთ-ნული პუტუნებდა, რომ შეეკითხებოდნენ — ქრისტესისხლას ვეძებდიო, — უპასუხებ-და გაზაფხულში. ამას ვაკვირდებოდი, იმას მივჩერებოდი, ღურლველაში დაბმულ საქ-ონელს გადავხედე სამებადანო, — ეტყოდა შემოდგომასა და ზამთრისპირში.

იცოდნენ, რა ქრისტესისხლას მოძებნა, რა საქონლის გადახედვა ატყდომოდა, მა-გრამ გიორგის ნატეხია, ჩვენზე უფრო ახ-ლოსაა ღმერთთან, მაგას დაუჯერებს, თუ დაუჯერებსო. დაულლელი ჯავაირა შეეპრა-ლა, თორემ ისე დაწყევლიდა, უშვილძიროდ გადაეგებოდნენო.

კუპრიელას, ასაკთან ერთად, წონა ნამეტანი ემატებოდა. ორმოცდაათი წლისა იმხელა გახდა, მოძრაობა უჭირდა. იჯდა, თუ იწვა, ეძინა. ხანდახან, ცხენივით, ფეხზე მდგომელაც ყვინთავდა. ეძახდა ჯავაირა:

— რავა სულ გძინავს, შე კაცო!

— როის მძინავს! — ორ წუთში ისევ ხვრი-ნავდა.

ერთხელაც, სავარძელში მძინარემ ველ-არ გაიღვიძა. ამოიხვრინა, ველარ ჩაიხვრინა, გაყვა ჰაერს იმ ქვეყანაში, წაიღო უბიჭობაზე დარდი.

ჯავაირამ ტარიელა ჩაისიძა, ტარიელამ — მევლუდი, ახლა მევლუდიც ჩაისიძებს ვი-ლაცას, არც გადაშენდნენ, არც მოშენდნენ. გვარი არ გრძელდება.

ჯავაირას სამი შვილიშვილიდან ჯერ ერთი, მერე მეორე წავიდა ამერიკაში. დაუ-



მხატვარი სოფორი ჭელიძე





ტოვეს შვილები გასაზრდელად ქმრებს. ამერიკიდან აგზავნიან ფულს, ესენი ხარჯავენ. მეორე შვილიშვილი ქმარს გაცილდა, ამერიკელთან მოაწერა ხელი, ჩავიდა ამერიკაში, დარჩა.

— ცოლობა რომ მოგთხოვოს? — ტუჩები მოკუმა ბრაზისაგან ჯავრომ.

— რა მომთხოვოს, ახლა სხვა დროა, ჯავრო ბებო, მომთხოვოს კი არა ის! — გახდა ჯავროს ცრემლიან თვალებს, შეეცოდა, გულში გაიფიქრა:

— ნეტავი მომთხოვდეს, მაგას რა აჯობებს, ნუგზარასთან კოტრიალს და ქოშიგორას ტალახის ზელას მისი ცოლობა არ ჯობია?!

— შეიშალა, ბებია, ქვეყანა, ქალი — ქალი, კაცი კაცი აღარაა, ხელი მოვაწერე, ცოლი არ ვიქნებიო, იმანაც მოაწერა, ქმრობას არ მიპირებსო, მაშ, რაზე აწერთ ხელს, თქვე კაი ადამიანებო?

— ვერ გაიგებ, ჯავრო ბებო, შენ მაგას!

— თქვენ გაიგეთ შვილო და, ჩემი თავი ნყალს და მეწყერს წაულია...

შვილიშვილებიდან ყველაზე მეტად მევლუდისა და ნატოს ნაბოლარა ქალიშვილი ლელა ამოიჩემა, უთქმელად უგებენ ერთმანეთს, ცხვრები სოფელში აღარავის ჰყავს, ჯავრო არ იშორებს. ესენი რომ არ მყავდეს, ჩემ ლელას შალის წინდები, შალის ფუფაკები რითი მოვუქსოვოო, — ეუბნება შინაურებს. ლელასაც არ უნდა დიდად, მაგრამ ხათრს ვერ უტეხს, წინდებსაც, თბილ სვიტერსაც სხვადასხვა ფერში დებავს, მოწონს კიდეც. ჯავრო ბებოს რომ ჰკითხო, დაბერდა, მისი ხნისა ქვა აღარ გდია ქოშიგორაში, მაგრამ ცხვარს ისე ოსტატურად წამოაქცევს, მარჯვედ გაკრეჭს, მატყლსაც თვითონ ჰენტავს, დაპენტილს ართავს, მერე ქსოვს. უქსოველად ზამთრის გრძელ დამებს რა გაათენებდაო, — იძახის. მოისვენე, დეისვენე, უცხომ რომ გნახოს, ეგონება, გაძალებთ, შენოდენი არავის გაუკეთებია, შეიტკებ სიბერეო.

— მეყოფა, როცა მევისვენებ, სიბერის სიტკბო სიხარულია, ნაქსოვს ნაქსოვი ედე-

ბა, შენდება, მშვენდება ჩემი ლელასთვისო. ხან რა, ხან რა ფასონისას ქსოვს.

ლელა უნივერსიტეტში სწავლობს, კვირას მიდის ქუთაისში, რჩება იქ ხუთი დღე, შაბათს სოფელში ბრუნდება.

დალიან დიდი თოვლი თუ შეაჩერებს, თორემ სამი წელია, ერთი შაბათიც არ გამოუტოვებია.

— ქალაქში რა გამაჩერებს, ჯავრო ბებოს უნახავად სული მეხუთებაო, — ამბობს.

გათენდება შაბათი, აიღებს ჯავრო თავის პატარა სკამს, წაკუნკულდება მგზავრების მოსაცდელისკენ. დაჯდება, უცდის, უცდის. ჩაივლის ერთი რეისი, ჩაივლის მეორე, მესამე, ხან შუადღეზე, ხანაც სალამოს მოდის ლელა, ჯავრო დილიდან ზის, არც საუზმობს, არც სადილობს, ელოდება.

ჩამოვა ლელა ავტობუსიდან, გაიქცევა მოსაცდელისკენ, გაიქცევა და ჯავრო ბებოს დანახვისთანავე შესძახებს:

— ჯავრო ბებო, როგორა ხარ?

— რა მიჭირს, შვილო?!

ჩაეხვევიან, აცრემლდებიან.


იმ შაბათს დილაადრიან გამოსწია ლელამ სოფლისკენ, ჩეარობდა, ჯავრო ბებოსთვის წამლები მოჰქონდა.

მოსაცდელში არ დახვდა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

მას მერე იძახის, ის წამლები იქ, კარადაშია შენახული, გავთხოვდები, გამატანეთ, ჯავრო ბებო უიმათოდ არ მიმიღებსო, — ცრემლებით ევსება თვალები.

— შაბათ დილით გარდაცვლილა, პარასკევსა ამოვსულიყავი, იქნებ იმ წამლებს ეშველა, ჩამატანეთ, მივუტან. ისევ ძველებურად მემშობლიურები ჯავრო ბებო. რანაირი დაღვარჭნილია ჯავაირა, რა თბილია ჯავრო, თანაც ბებოს რა კარგად ეწყვილება.

ლელა ძალიან დიდხანს იცოცხლებს, ქმარ-შვილი ეყოლება, რა იცი, იქნებ ბიჭიც გაუჩნდეთ, სახლ-კარს მიხედავს, უბატრონებს, ლელო ბებო გახდება, ჯავროზე დიდ ხანს იქნება ამ ქვეყანაზე და მერე, ძალიან დიდი ხნის მერე წავა, წაულებს წამლებს!



8030
ԲՈՅՑՈՒՆԱՊԵ

33



ალექსი და ანგელოზები

თემომ და ზაზამ დამიძახეს, სათევზაოდ
მივდივართ და შენც ხომ არ წამოხვალო. აბა,
რას ვიზამდი? მალე მოვემზადე და ჩემს ჭიშკარ-
თან ჩამომსხდარ მეგობრებთან გავედი. ჩვენს
სოფელში ჩამომდინარე მომცრო მდინარე-
ში თევზი წაკლებად გვეგულებოდა და ამიტომ
მაღალი სერის გადაღმა, პატარა სოფლის ახლოს
მდებარე ანკარა ხეეში დავაპირეთ სათევზაოდ
წასვლა.

ზაფხულის მზე უკვე მაღლა იყო შემართული, როცა ტყიანი სერი გადავიარეთ და მწვანე მინდორზე გავივაკეთ. ჩვენი სოფლები მოხუცი მწყემსი ჩრდილში დამჯდარიყო და ფერდობზე შეფენილ ნახირს ადევნებდა თვალს. მივესალმეთ და ჩვენკ ჩამოვსხედით დასასვენებლად.

- საით გაგინევიათ, ბიჭებო, - შეგვეკითხა
იგი:

— სათევზაოთ მივდივართ, ბაბუ, ხომ არ ნამოხვიდოდი შენგა? — ლიმილით უთხრა თემოძ.

- ეჭ, თქვენზე ნაკლები არც მოთევზავე ვიყავი და არც მონადირე, მაგრამ მივაყუდე ყალიონი, ახლა სად არის იმდენი თევზი, მაშინ რომ იყო? აი, იმ პატარა წყალში, - ჩვენ რომ მივდიოდით, იმ ხევისაკენ გაიშვირა ხელი მოხუცმა, - იმდენ თევზს ვიჭერდით, რომ რაამდენიმე საცხობი გობი ივსებოდა. ახლა თქვენ არა, მარა ზოგიერთები ქლორითა და დენით სპობენ თევზს. მაშინ დრო ვიცოდით - როდის გვეთევზავა და როდის გვენადირა, ამიტომ გამოულეველი იყო წყალში თევზი და ტყეში ნადირი. ეჭ, ნადირობაც მექერხებოდა, მაგრამ ახლადა ვფიქრობ: რისთვის ვხოცავდი! - ნადირს თავისი გასაჭირი არ აკლია, ტყეში ხანდახან მშეერი დაეხეტება, ზამთარში ხომ მეტადაა შეჭირვებული... ახლა აღარაფერს ვანუხებს, მარტო აქ მიყვარს ნამოსვლა, ამ ტყესა და მინდვრებში, აქ მაქვს გატარებული მთელი (ჰხოვრუბა - დღე კი არა, ლამითაც აქ

ერთგან ხმაური შემოგვესმა. ნინ მე მივდიოდი, უკან
პატარა, მზედაფენილი მორევის თავზე აღმოვჩნდი და
მშვინიერი სურათი ვიხილე, უნერურად იქვე აყვაფებულ
ქვის აძლევებარე, ნამით უკან მოვიხედე ნიჭებიაკენ და
ცუჩქერზე თითო მივიდე — ჩამად მოდით-მეტე. მერე კი
ისე გაფარიზებით გავიხედე ნინ. დარღა, პატარა მზედაფენა-
ნილ მორევთან ოთხი ციცლიყანა გოგონა იფგა და მზეს
ეფიზებოდა. ჩანდა, ახალი აძლევულები იყვნენ წყლიანა,
როგორ შესწორებული მთის წილ მდინარეში და ერთმანეთს
აქეზედდნენ, ისევ ჩადი წყალშიო. იმ ანკარა მდინარის
კალმახებიცით შევართალა გოგონები იყვნენ.

3. ከጠዃናነዳይ

კიყავი ხოლმე. ჯერ პატარები ხართ და თქვენ არ
გემახსოვრებათ, აი, ეს მინდვრები, – ირგვლივ
მოავლო თვალი მოხუცმა, – სულ სიმინდითა
და ხორბლით ითესებოდა. მეველედ ვმშუაობდი
ცხრა წელი, დღე საქონლისაგან ვიცავდი ყანებს,
ღამით – ნადირისგან. აი, იქ მედგა კარავი, – შუა
მინდორზე მდგარი პანტისაკენ გაიშვირა ხელი,
– დავივლიდი მთელ ნათესებს და ღამეს კარავში
ვათევდი. იქვე დიდი რკინის ნაჭერი მქონდა და-
კიდებული, შემოვრავდი ხოლმე ღამით ნაჯახის
ყუას და ვახმიანებდი აქაურობას, დათვები რომ
დამიფრთხო, ზოგჯერ თოფსაც გისრობი.

— მოხსნა გუდას თავი, — ჩუმად გადავულაპარაკე ბიჭებს, მსიამოვნებდა მოხუცის მიერ მისამოილ აქტების მისამინა.

- მერე ეშინოდათ დათვებს? - ჰკითხა ზა-
ზარ

- მაინცდამაინც არ უსკდებოდათ გული, კარგის ახლოს არ მოდიოდნენ, მარა ყანის ბოლოებზე, ტყის ნაპირას სულ დაბლა იყო დაგებული სიმინდი. ღამით კი არა, ხშირად დღისითაც არ ერიდებოდნენ ყანაში შემოსვლას.

— კარავში ღამით მარტო რომ იყავი, არ გეძ-ინოდა? — ახლა თემო ეუბნება ლიმილით.

— რა შემაშინებდა? რა სჯობია კარავში ღამის თევას და ხანდახან ტკბილად ჩაძინება! თუმცა ერთ ლამეს კი შევკროთ ცოტა. კაი ხნის დაღამებული იყო უკვე, შინიდან რომ გადმოვედი აქ. შევედი კარავში, ავანთე ჭრაქი და რას ვხედავ! — ვიღაც წევს ჩემს ლოგინში, თავი უჩანს მარტო, თანაც ქალია, კაცო, — გრძელი თმებია გადმოფენილი დაბლა. დავიბენი, ვინ არის-მეთქი? ამ დროს გადაიძრო საბანი, დაიკივლა, წამოხტა მთლად შიშველი, ეცა კარს და გავარდა გარეთ, დაიკარგა სიბელეებში.

- მართლა ქალი იყი? - გაკვირვებულები კვითხულობთ ჩვენს.





— ქალი? ქალი კი არა, ალი იყო, ალი — ტყის ქალი, ეშმაკი! გადმოვიდე თოფი სასროლად, იმას რაღას ვესროდი, დაიკარგა სადღაც, გულის გასამაგრებლად მინდოდა დამეჯუხებინა, მარა არ გავარდა თოფი არაფრით. ამან უფრო შემაკრთო, თვალი ვეღარ მოვხუჭე იმ ლამით. მეორე დღეს სოფელში ჩასული ვეზვენე მეზობლებს, წამყვით ლამით, რაღაც უბედურება დამხვდა კარავში წუხელ-მეტქი, მარა არავინ შეინუხა თავი. ბოლოს ცოლის წამოყვანა მოვინდომე, არც ის წამომყვა, რას იტყვის ხალხი, ქმრის გარეშე ვერ ძლებსო. წამოვედი მარტო, შევედი კარავში და... — გარედან შემოსულ მთვარის შუებზე გარკვევით ვხედავ ვიღაც წესს ჩემს საწოლზე. გადმოვიდე თოფი და დავუმიზნე, უნდა ვესროლო და ამ დროს ხვრინვა გავიგონე. შევჩერდი, ახლოს მივიწიე, დავაკვირდი და ვამჩნევ, კაცია ვიღაც. გადავხადე საპანი და ლომია არაა, აგრე იქაური, — მდინარის გალმა მდებარე სოფლისაკენ გაიშვირა ხელი მოხუცმა, — დამთვრალა ჩვენს სოფელში, წამოსულა, მოჰკიდებია ძილი და წამოწოლილა ამ ჩემს კარავში. გავაღვიძე, როგორც იქნა, შე ოჯახდასაქცევო, ხომ მოგალი კინალამ-მეტქი. მოვუყევი წინა ღამის ამბავი, მაგრამ ბევრი ვერაფერი გავაგებინე. გაჩერებით კი ალარ გაჩერდა, წასვლა დააპირა, არადა, მთვრალი იყო ისევ. გავიყვანე მდინარეში, დავაყენე სწორ გზაზე და გავუშვი.

— ბაბუ, შენს კარავშიც ის ალი ხომ არ იყო, მიქელას რომ მიუწვა ერთი ზაფხულის ღამით ეზოში მძინარეს, — ერთი ჩვენი თანასოფლელის თავს გადახდენილი ამბავი გაიხსენა თემომ, — თანაც ისეთი ლამაზი იყორ, მიქელას უთქვაშს.

— არა, არა, მე რომ ვნახე, ის უფრო ლამაზი იყო. მიქელას ცოლთან შედარებით ლამაზი იქნებოდა, ბიჭო, აბა, რა? — ჩაიღიმა მოხუცმა.

კარგა ხანს ვისაუბრეთ მასთან. მერე თემო წამოდგა:

— წავიდეთ ახლა, ალებს თუ ვერ ვნახავთ, თევზი მაინც დავიჭიროთ.

მე და ზაზაც ავდექით, დავემშვიდობეთ მოხუცს და იქვე ტყიან ხევში ჩავედით, მთის პატარა, ანკარა მდინარესთან. მდინარე მთლიანად ხეებით იყო დაჩრდილული. აღმა ავყევით ხევს, მარჯვე ადგილს დავუწყეთ ძებნა — მდინარის ტოტი უნდა დაგვეწრიტა, ასეთი იყო უმეტეს შემთხვევაში ჩვენი თევზაობის წესი. კარგა ხანს ვიარეთ წყალდაწყალ და ბოლოს ვნახეთ ორ ტოტად გაყოფილი დინება. გაყოფის ადგილას მივედით, დავაკვირდით. ერთი მათგანი ახალი



გივა ჩილვინაძე

გადაწურული ჩანდა, ქვებით გადაეკეტათ და აყალო მიწით გაეგლისათ, მერე კი, თევზაობის შემდეგ, ისევ გაერღვიათ და გაეშვათ წყალი, — ეს არ გამოგვადებოდა. მეორე ტოტი მდინარისა ხელუხლებელი უნდა ყოფილიყო, ის ავირჩიეთ დასაწრეტად და საქმეს შევუდექით. საგზალი იქვე ხეზე დავკიდეთ, წელს ზემოთ გავშიშვლდით სამივენი და წყლის მეორე კალაპოტში გადასაშვებად პირველი ტოტის სათავეში რამდენიმე წყებად ქვები გავამწერივთ. მერე იქვე აყალო

მიწა მოვნახეთ, დიდ გუნდებად დავაგროვეთ და ქვების ბოლო მწკრივს მივაგლისეთ, — ასე ჩვენს მიერ არჩეული ტოტიდან მთელი წყალი მეორე ტოტში გადავაგდეთ. კარგა ხანს მოგვიხდა მუშაობა.

— აბა, ახლა წავალ, ბოლოს გავუკრავ, რომ თევზი არ გაგვეპაროს, — თქვა თემომ და დაწრეტილ კალაპოტს დაჰყვა.

მე და ზაზა ცოტა ხანს იქვე ჩამოვსხედით მზედაფენილ ქვებზე. მაგრამ გულმა არ მომით-მინა, წამოვდექი და მდინარის ნადენზე დარჩენილ გუბებს დავაკვირდა. მერე ხელაობა დავიწყე და მალე მოზრდილ კალმახს წავატანე ხელი. ჯერ გამექცა, თუმცა მალე მოვიმწყვდიე ქვების ქვეშ, დავიჭირე და ნაპირზე მოვისროლე.

— ოჳ, ნახე უკვე? — წამოხტა გახარებული ზაზა, — ყოჩალ შენ, თევზის დასწვდა და პარკში ჩააგდო.

— აი, იქაც ატკვარცალდა უკვე, — მოშორებით პატარა ორმოსკენ გადახტა იგი, — მოდი, მომებმარე.

სანამ მივიდოდი, მანამდე დაიჭირა თვითონვე. ხელაობა გავნაგრძეთ და ერთ გუბეში სამი კალმახი ვნახეთ კიდევ. თემო რომ ამობრუნდა გადაწურული ტოტის ბოლოდან, ჩვენ ათამდე კალმახი გვყავდა დაჭერილი.

— რა ქენით, დაიჭირეთ უკვე, — აღფრთოვანებით დახედა თევზებს, — აი, მეც არ მოსულვარ ხელცარიელი, — პატარა კავიან ჯოხზე ლაყუჩებით ჩამოცმული კალმახები დაგვინახა მან, — კიდევ ბლომად იქნება, სულ ტკვარცალი გაუდით. ბოლო გავუკარი, დავუყვეთ ხელაობით, სადღა წაგვივლენ?

დავუყვევით მართლაც დაწრეტილ ტოტს. წყალში ქვების ქვეშ ვაპარებდით ხელს და ვეძებდით კალმახებს.

— აქ არის, აქ არისო! — აღტაცებით წამოვიდახებდით ხოლმე თევზის ნახვისას, თითქოს რაღაც გვერდიდა დაკარგული და ახლა ვნახულობდით. როცა მდინარის ტოტის ბოლომდე



ჩავედით, ოცდაათამდე კალმახი გვყავდა დაჭ-ერილი. მერე ისევ ზევით ავბრუნდით, საკმაოდ მოშივებულები ვიყავით და საგზალი გავმალეთ.

როცა დავნაყრდით, შუადღე მოტანებული იყო. ისევ ავყევით აღმა მდინარეს, კიდევ ერთი მოკლე ტოტი გადავაშრეთ და ათიოდე კალ-მახი დავიჭირეთ. მერე უფრო მოზრდილი ტო-ტის გადაწრეტა მოვიხდა – კარგა ხანს ვაწყვეთ ქვის მწკრივები წყალში, ვზიდეთ და ვაგლისეთ ზედ აყალო მინა. შრომამ ფუჭად არ ჩაგვიარა – იქაც ოცდაათამდე კალმახი დავიჭირეთ. დალლი-ლები მდინარის პირას ჩრდილში წამოვწექით და კარგა ხანს დავისვენეთ, თან დარჩენილ საგზალ-საც მოვუდეთ ბოლო.

– რა ვქნათ, წავიდეთ შინ, თუ კიდევ ვითევზაოთ? – იკითხა თემომ.

– დავყვეთ მდინარეს, თუ კარგი დასაშრობი ტოტი ვნახეთ ქემოთ, დავწრიტოთ, თუ არა და გზას მაინც გავიმოკლებთ, – ვთქვი მე.

– ეგრე აჯობებს, თევზი ბლომადა გვაქვს, სათავისაკენ აღარა ღირს წასვლა, – დაამატა ზაზამ.

კარგა ხანს ვიარეთ წყალდაწყალ, იმ ადგილ-საც ჩავცდით, სადაც პირველად ჩავედით მდინა-რეში. ერთგან ზაზას ფეხი გაუსხლტა სველ ქვაზე და წყალში გაიშხლართა – დასველდა მთლიანად. მე და თემო სიცილს ვერ ვიკავებდით, მან კი გაიხადა შარვალი, განურა და ისე ჩაიცვა.

– მოიცა, იქნებ თქვენც ჩაცვივდეთ წყალში და მერე მე ვიცინებო, – ბუზღუნებდა თან.

ერთგან ხმაური შემოგვესმა. წინ მე მივდიო-დი, უცებ პატარა, მზედაფენილი მორევის თავ-ზე აღმოვჩნდი და მშვენიერი სურათი ვიხილე, უნებურად იქვე აყუდებულ ქვას ამოვეფარე, წამით უკან მოვიხდე ბიჭებისაკენ და ტუჩებ-ზე თითო მივიდე – ჩუმად მოდით-მეთქი. მერე კი ისევ გაფაციცებით გავიხდე წინ. დაბლა, პა-ტარა მზედაფენილ მორევთან ოთხი ტიტლიკა-ნა გოგონა იდგა და მზეს ეფიცხებოდა. ჩანდა, ახალი ამოსულები იყვნენ წყლიდან, ცოტა შეს-ცივნდათ მთის ციკ მდინარეში და ერთმანეთს აქეზებდნენ, ისევ ჩადი წყალშიო. იმ ანკარა მდინარის კალმახებივით შევართალა გოგონე-ბი იყვნენ. ოთხივეს გრძელი თმა ჩამოშლოდა მხრებზე და უნებურად დილით მოხუცის მიერ ალების შესახებ მოთხობილი ამბავი გამახსენ-და. ასაკით გოგონები ჩვენი ტოლები ან ცოტა უმცროსები იქნებოდნენ, ასე, თხუთმეტი, თე-ქვსმეტი წლისანი. ერთს ვარდისფერი საბანაო ბიკინი ეცვა, მეორეს – ცისფერი, მესამეს და მეოთხეს – მწვანეები.

– ოჲ, ვინ არიან ნეტავი?! – აღმოხდა თემოს.

– ალები, ალები არიან! – აღფრთოვანებით ვუპასუხე მე, ისე რომ გოგონებისთვის თვალი არ მომიცილებია.

– ალები? ალები კი არა, ანგელოზები არიან, – ჩაილაპარაკა ზაზამ.

მონუსხულები ვუცქერდით მთის ანკარა მდინარის პირას მოუღურტულე და მოკისკისე გოგონებს, ისინი კი ვერ გვხედავდნენ, რადგან ხეთა ჩრდილში, დიდი ლოდების უკან თითქმის შეუმჩნევლები ვიყავით მზედაფენილი ნაპირი-დან.

– რა ვქნათ? ასე ხომ არ ვუცქერთ სულ, სირცხვილია, – მივმართე მეგობრებს, – მოდი, ჩავიდეთ მათთან და გავიცნოთ, ჩვენც ვი-ცურაოთ, – უცხოები არიან, ამ სოფლელებიდან

– იქვე, მდინარის მოშორებით მდებარე პატარა სოფლისაკენ მივაბრუნე თავი, – ვერავის მივამს-გახსე ვერც ერთი.

– ჰო, უცხოები ჩანან, ალბათ, სტუმრები არიან, საზაფხულოდ ჩამოსულები, – დამიდას-ტურა ზაზამ.

– მართლა აღები ხომ არ არიან, კაცო? – ჩაილიმა თემომ.

დავიძარით თუ არა, გოგონებმა მაშინვე მოგვერეს თვალი და ცოტა შემკრთალებმა შეგ-ვათვალიერეს. მერე ერთად შეჯგუფდნენ და მზერადახრილები დაგველოდნენ. პირველი მე აღმოვჩნდი მათ წინ და ღიმილით მივესალმე:

– გამარჯობა, ფერიებო, აქ საიდან გაჩნ-დით? ძალიან გაგვაკვირვეთ!

– გამარჯობათ, გოგონებო, რა კარგი ადგი-ლი გინახავთ საცურაოდ, – თქვა თემომ.

– ჩვენ კიდევ მთელი დღე დავდივართ და ასეთი მორევი ვერსად ვერ ვნახეთ, – დაამატა ზაზამ.

– გამარჯობაო, – ხმადაბლა ჩაილაპარაკეს მათ.

წელს ზემოთ ჩვენც გახდილები ვიყავით, შარვლები მუხლებამდე გვექონდა აკარწახებული. ზაზამ შარვალიც გაიძრო და მორევში გადაეშ-ვა. მორევი დიდი არ იყო, მდინარე ჩანჩქერად ჩამოჩქედა დაქანებულ კალაპოტში და ძირს, ვაკეზე გუბდებოდა.

– აქედანა ხართ? – ვკითხე გოგონებს და მდინარის ახლოს მდებარე სოფლისაკენ გავიშ-ვირე ხელი.

– დიახ, მაგრამ მანდაურები არა ვართ, სტუმრები ვართ, – მიპასუხა ყველაზე უფროსმა.

მე და თემო სალაპარაკო თემას ვეძებდით და მორიდებული მზერით ველაციცებოდით მათ წამოჩქეულ მკერდებსა და ქათქათა თეძოებს. ზაზა წყლიდან ამოვიდა, იქიდან გამოგვხედა ყველას და მოგვაძახა:

– ჩამოდით, არ გინდათ ცურაობა?

– ეს მორევი გოგონებმა ნახეს პირველად, ჯერ ვკითხოთ, იქნებ ჩვენც გვაცურაონ, – ღიმ-ილით მიაძახა თემომ.

– ვინ გიშლით? იცურავეთ, ჩვენ უნდა წავ-



იდეთ, თქვა ერთ-ერთმა და მოშორებით თეთრ ქვებზე დაწყობილი ტანსაცმლისაკენ გაიხედა.

— რატომ უნდა წახვიდეთ, ხელი შეგიშალეთ?

— წყენით იკითხა თემომ.

— ნუ ჩქარობთ, თუ ჩვენს გამო მიღიხართ, მაშინ ჩვენ გავპრუნდებით უკან, სათევზაოდა ვართ წამოსული და შემთხვევით შეგხვდით, — ახლა მე ვცადე გოგონების დამშვიდება.

— სათევზაოდ? მერე ვერაფერი დაიჭირეთ?

— მხიარულად იკითხა მათ შორის ყველაზე თამამამა.

— როგორ არ დავიჭირეთ, გაჩვენებთ, თუ გინდათ, — თემომ ზურგჩანთიდან კალმახებით სავსე პარკი ამოილო და თავი მოხსნა.

— ვაიმე, რამდენი თევზია! — წამოიძახა იმავე გოგონამ.

— რა ლამაზებია! — ალფროთოვანდა ვარდის-ფერ ტრუს-აზლუდიანი, — შეიძლება ხელში დავიჭირო?

— როგორ არა? პარკი ფეხებთან დაუდო თემომ, თან უფრო ახლოდან შეავლო თვალი მის კოხტა თეძოებს.

გოგონები დაიხარნენ და ყურადღებით დაუწყეს თევზებს თვალიერება. ზაზა მოგვიახლოვდა ამასობაში.

— დროა, გავიცნოთ ერთმანეთი, მე ზაზა მქვია, — მიმართა მან თევზების ცქერით გართულ გოგონებს, — ჩემს მეგობრებს კი დათო და თემო, — სათითაოდ მოგვაშვირა თითი.

ვარდისფერ ბიკინიანი წამოდგა ჯერ:

— მე თეონა მქვია, — თქვა მორიდებით.

— მერე ცისფერ საცურაოში გამოკვართული წამოდგა, გრძელი თმა მკერდზე გადმოიყარა უქნიდან და რაღაც გამომწვევად თქვა:

— მე მაიკო გახლავართ!..

ერთმა, მწვანე ტრიკო-აზლუდიანმა, მეორე, ასეთსავე საცურაოებში ჩაცმულს დაადო მხარზე ხელი და გვითხრა:

— მე ფიქრია ვარ, ეს კი ლიაა, ჩემი და.

— თქვენ ყოველთვის ასეთები ხართ? — თითქოს გაკვირვებით ეკითხება ზაზა გოგონებს.

— როგორ ასეთები? — თვალები უციმციმებთ მათ.

— ასეთი ლამაზები? — აზუსტებს ზაზა.

ყველამ გავიცინეთ.

— აბა, როგორები იქნებიან, — ვამბობ მე.

— აი, ამას ალები ეგონეთ, რადგან ამ მდინარეში თქვენისთანა მოცურავენი ჯერ არ შეგვედრიან, — ჩემზე მიუთითა თემომ გოგონებს.

გოგონებმა გადაიკისკისეს.

გალე მე და თემოც გადავეშვით მორევში, გოგონებიდან მაიკომ და ლიამ ისურვეს ჩამოსულა. მერე ყველანი იქვე, დიდ ქვაზე დასხედით, — ვსაუბრობდით, ვხუმრობდით, უკეთ ვეცნობდით ერთმანეთს.



მხატვარი სოფიო ჭელიძე

დიდხანს მაინც არ დარჩენილან გოგონები, წასვლა მონძომეს, სტუმრადა ვართ და არ გვინდა მასპინძლებმა ძებნა დაგვიწყონო.

თემომ კალმახით სავსე პარკი რიყეზე მოაპირქვავა და მათ მიმართა:

— ამ თევზის გაყოფაში მოგვეხმარეთ წასვლამდე, მერე კი დავემშვიდობოთ ერთ-მანეთს.

— რა მოხმარება გინდათ? — სიცილით იკითხა თეონამ.

— გვინდა, გვინდა, თქვენც ხომ უნდა შეგახვედროთ?

— როგორ, ჩვენ რაში გვეკუთვნის? — იკითხა ლიამ.

— გეკუთვნით, როგორ არა, ეს თევზი შვიდ ნაწილად უნდა გავყოთ, — ვთქვი მე.

— რა გულუხვები ხართ? — გაეხარდა მაიკოს.

— რატომ წუხდებით? — ამბობს თეონაც.

— კარგით, აღარ გვინდა ამაზე დავა? — თქვა ბოლოს თემომ.

— კარგით, ოლონდ ჯერ ჩვენ ჩავიცვამთ, — ტანსაცმლისაკენ იხედება თეონა, — თქვენ თვალი მოგვარიდეთ და აქ დაგველოდეთ, მალე მოვალთ, — ბექობის იქით აპირებენ მოფარებას.

— რა გეჩარებათ? მერე ჩაიცვით, — შენუბებულია ზაზა, — ლია შენ მაინც დარჩი, კარგი?

— მთელი ყურადღება მისკენ გადააქვს ბოლოს.

— ჭკვიანად იყავი, თორემ, — ილიმება და საჩვენებელ თითს მუქარით წევს ლია.

სანამ გოგონები დაბრუნდებოდნენ, ჩვენც



ჩავიცვით. მოსულები თითქოს სხვანაირებად მოგვეჩვენება.

— ვაიმე, ვეღარა გცნობთ, ვინ რომელი ხართ, ისევ გვითხარით თქვენი სახელები, — ხუმრობს ზაზა.

თეონას ყვითელი, ქვედაბოლო და თეთრი პერანგი ჩაუცვამს, მაიოს — ჯინსის შარვალი ლურჯ პერანგთან ერთად, ლიას და ფიქრიას — შინდისფერი მოკლე კაბები.

გავყავით თევზი შვიდ ნაწილად, გოგონების წილი მეტი გამოვიდა ჩვენსაზე. არ იღებდნენ, ამდენი არ გვინდა, თქვენ ნაკლები გრჩებათო, მაგრამ ჩვენ არ დავიშალეთ. ბოლოს ერთად ამოვედით მდინარიდან, ხევის თავზე, მწვანე მინდორზე გისაუბრეთ ცოტა ხანს და მერე დანანებით დავემშვიდობეთ ახლადგაცნობილებს. სანამ თვალს მიეფარებოდნენ გოგონები, იქვე ვიდექით და ხელს ვუქნევდით, მერე კი ჩვენც შინისაკენ წამოვედით.

იმდენად ვიყავით ალფროვანებული უცხო გოგონებთან შეხვედრით, რომ კარგა ხანს ხმის ამოულებლად მოვყვებოდით ბილიკს. მერე კი რაღაც მოკრძალებით დავინყეთ მათზე საუბარი.

სალამო ჩამოდიოდა ხევებში, როცა მოხუც მწყემსს წამოვენიეთ, უკვე მიჰყავდა ნახირი სოფლისაკენ.

— რა ჰქენით, იყოჩაღეთ, თუ ტყუილად იხეტიალეთ? — მოგვიბრუნდა იგი.

— ვიყოჩაღეთ, ბაბუ, მაგრამ ალებს გავატანეთ ნახევარი თევზი, — უპასუხა ზაზამ და კალმახები აჩვენა.

— ალებს კი არა, ანგელოზებს შეხვდით, — ამბობს თემო.

შეხედა მოხუცმა ჩვენს თევზებს და ჩაიცინა.

— საკმარისია, მაგაზე მეტი თუ არ დაიჭირეთ ხოლმე, კიდევ მომრავლდება კალმახი ჩვენს წყლებში.

ჩვენ დაწვრილებით მოვუყევით თევზაობისა და გოგონებთან შეხვედრის ამბავი.

— მეც არ ვიფიქრე, ასე რამ გაახარა ეს ბავშვები, იმდენი კალმახიც არ დაუჭერი-

ათ-მეთქი, უნდა წამოგეყვანათ ის გოგონები თან, თორემ ისე იყურებით უკან, გეტყობათ, გულები იქ დაგრჩენიათ.

— მიეცი მაგას, ზაზა, რამდენიმე კალმახი, თორემ დაგვცინის, ხომ ხედავ? — ვეუბნები მე მეგობარს.


— აბა, ისე ხომ არ დავტოვებთ, — პარკიდან რამდენიმე კალმახი ამოილო ზაზამ, გზის პირას ბუერის ფოთოლი მოწყვიტა, თევზები შიგ გაახვია და მოხუცს ჩაუდო ხალათის ჯიბეში.

— დიდი მადლობელი, ბაბუ, დიდი მადლობელი, ღმერთმა ბევრი დაგაჭერინოთ, ჩემზე მეტი ხნის მოგყაროთ, მარა თქვენ რაღა გრჩებათ, რისთვის იარეთ მთელი დღე? იქით იმ გოგონებისთვის მიგიციათ კიდევ.

— არა უშავს, ბაბუ, ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ ამ ტყეში შენგან განსხვავებით ალი კი არა, ანგელოზები ვნახეთ, — დაამშვიდა თემომ მოხუცი.

ასე მიიწურა ზაფხულის მშვენიერი დღე. მე ისევ უკან ვიყურებოდი, ჩვენს მიერ ნავალი ხევებისა და მთებისაკენ. დასავალთან გადაცურებული მზე უკვე ქედებს მოჰფარებოდა და მისი სხივები მხოლოდ მაღალი მთის წვერებს შერჩენოდა სამკაულებად... და ის სხივებშერჩენილი მწვერვალები ისე გამოირჩეოდა სილამაზით ჩვენს მშობლიურ მთებსა და ტყეებში, როგორც იმ გოგონებთან შეხვედრის წუთები ჩავლილი მშვენიერი დღის საათებში...

უკვე დიდი ხანი გასულა იმ ზაფხულიდან, ხანდახან ისევ დავეხეტები ჩემს ტყეებსა და მთებში, ნაცნობ ბილიკებს მივყვები წარსულის დღეებისაკენ. ის დღეც მახსენდება, თევზაობისას მომხიბლავ გოგონებს რომ შევხდით მე, თემო და ზაზა. თუმცა მას შემდეგ ის გოგონები აღარსად შეგვხედრიან. თითქოს მართლა მშვენიერი აღებივით მოგვევლინენ რამდენიმე წუთით და მერე სადღაც გადაიკარგნენ... ვინ იცის, სად არიან ახლა ის ალები თუ ანგელოზები, ასე რომ ალამაზებდნენ მთის პატარა მდინარის მზედაფენილ წაპირს იმ შორეული ზაფხულის დღეს?!



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

38



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՇՄԱՐԱԿԱՆ ՎԵՐԱԲԵՐՅԱԼ ԽՈՎՃԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՎԵՐԱԲԵՐՅԱԼ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՎԵՐԱԲԵՐՅԱԼ

ხანჭურის ხეზე გამეფდა ფერი,
თოვლის სითეთრით ანთებულ ხედის, –
როცა ფიქრებად ღამენათევი,
ჩამოფრთხიალდნენ ქათმები
ხიდან...
ვით მორდვეული ჟამის თერძები,
თოვლის მიმართაც ბევრის მკადრებნი,
მოურიდებელ ჟინით ეძებენ,
დაკარგულ მიწას – სველ
ნისკარტებით...
ეძებენ ხორბლის დაკარგულ მარცვლებს,
ზეცაც ღრუბლით რომ უქმევს უეცრად, –
და პოულობენ ფქვილივით გაცრილს
მას, რაც უფლისგან უკვე მიეცათ...
ფორიაქობენ სრულ სითეთრეში,
გადმოსულები მიწაზე ციდან, –
რაც უამთა ქროლვის
პირნათელ რაშთან
გადამტერების
მეტადრე
(ცდაა...
დაკარგულ სივრცეს რად უნდა ძებნა,
რთულად შესაცნობ ხმით და კრიახით,
როცა ცისგანაც იხსნება გზები,
კართან მომდგარი უფლის
კარნახით...
უნდა წავმალო რუხიც და მწვანეც,
გზა უნდა დათმოს შავმაც, ყვითელმაც,
რადგან ყუველთვის მადლივით მწამდა,
სამყაროს თეთრად
გადაფითრებაც...
როცა ფიქრებად ღამენათევი,
ჩამოფრთხიალდნენ ქათმები
ხიდან, –
ჭანჭურის ხეზე გამეფდა ფერი,
თოვლის სითეთრით ანთებულ ხედის...

მსურდა, სამყარო ისე შემეტნო,
ასეთაგძმისგებ რაჯ ჩაიფიქოა...
თითქოს გაფრენა მზისკენ შემეტლო,
ანდა მთვარისკენ... ვარსკვლავს იქითავ...
ველარე სინდისტა ველარ მოოთკა,
ეს სითამიჩე, თავივით მხდარი, —
და უძნეოდ რომ ვნევარ სორისთან
მარე დალლილი ხარისით ვრწყავი...

፩. ቤንግሥት

六

თუმცა ძენწები წლების საზიდად,
ფშანის პირებზე ჯერ არ მოხრილან,
როგორც ნისლებში მთების აზიდვა, –
მძმედ ამომდის ბერა ხორხილან...
შემდვრეულ ფიქრებს ვეღარ ვამშვიდებ,
კანი სხეულზე ისე ამენვა,
ვეღარც სურვილებს ვლებავ საშინდედ,
დილაც ბილიკებს იქნევს დამრეცად...
მინის სატკივარს ცით ვერ ვიაზრებ,
გზას ვტანვავ, ჩრდილად ზედ დარჩენილი, –
და ვეღარც ფიქრი, ცივ კერიაზე,
ვეღარ ფუსფუსებს
დედაჩემივით, –
კარტოფილებით სავსე ორმოდან,
რომ ამოქვნდა ნიჭიც მოთმენის
და მერე, მეც რომ არ მეთმობოდა,
სითბო – კანგათლილ ცივი ბოლქვების...
რაკილა, თივად მაინც ივარგებს,
კვლავაც ვიხსენებ სრულად – იმ ამბავს, –
რომ გადავურჩე უამის სიავმგლეს,
სული ბაგზე უნდა მივაბა...
მინის სატკივარს ცით ვერ ვიაზრებ,
გზას ვტანვავ, ჩრდილად ზედ დარჩენილი, –
და ვეღარც ფიქრი, ცივ კერიაზე,
ვეღარ ფუსფუსებს
დედაჩემივით...

* * *

მსურდა, სამყარო ისე შემეცნო,
არსთაგამრიგემ რაც ჩაიფიქრა...
თითქოს გაფრენა მზისკენ შემეძლო,
ანდა მთვარისკენ... ვარსკვლავს იქითაც...
ვეღარც სინდისმა ვეღარ მოთოკა,
ეს სითამამე, თაგვივით მხდალი, —
და უმწეოდ რომ ვწევარ სოროსთან
მაინც დაღლილი ხარივით ვპტლავი...
აპრილი დადის მწვანე სამოსით,

სანთლებს რომ სევდის ნაცვლად არიგებს,
თუმცა სინათლეს, ძალაგამოცლილს,
უკან უბრუნებს არსთაგამრიგეს...
არ ვიცი, საით მეწევა უღვთოდ,
ყელზე მობმული თმენის ბანარი...
ან, სინანულსაც როგორდა უხმობს,
აზრი – გველივით ხვრელში ჩამქვრალი...
მე სიცრუესთან ჯერ კიდევ ვდაობ,
სულმი რომ სამტროდ შემომესია...
და ნართმეული სიმართლის გამო,
დარდობს აპრილიც
და ეკლესიაც...

* * *

საწუთრომ თეთრი პერანგივით სუფთა ნისლებით,
უკუდმაც ბევრჯერ მატარა და მატარა – ნალმით...
ხმა ჩამესმოდა: – ქუჭყისგანაც თუ დაისვრები,
გადაირჩინე გული, როგორც ქათქათა სახლი...
თანდათან ხახვის კვალიც ვავლე, ყანაც ვარჩიე,
დედის ხელებით ქვაც ვამტვრიე შაქარყინულად...
და ეს ჭიდოლიც, უსასრულო, აღარ მაშინებს, –
მონმენდილ ცაზე – გზაც რომ მაღე,
კვლავ გატყიურდა...
რას გადიდგულდა ნეტავ ასე, ღამის სახება,
საცრისოდენა თვალები რომ მიუგავს შემლილს, –
მე ხომ შევძლი დაკეტილი კარის გაღება,
ხან რომ მძიმდება და ზურგს უკან
ვიზურავ ხენეშით...
იქ, უღრან ტყეში რახანია, ცხოვრობს ალქაჯი,
ხისტი ხელებით ისევ რომ თლის
ბედის ცივ მშვილდებს...
ჩემი სახლიდან მთვარე მოჩანს,
როგორც ზამთარში,
შალის ძაფისგან მოქსოვილი
დედის სიმშვიდე...

* * *

ღამე ლოცულობს შავი ბერივით,
ღვინოდ ჩასხმულა მწუხრიც ჭიქაში,
ციდან კი მაღლი ჩამობერილა,
ვით მოსაწველი ძროხის ჯიქანი...
საჩეხთან ცეცხლი უნთიათ კაცებს,
გადასდებია ცეცხლი მათ გულებს, –
და გარემოს რომ სიმშვიდეს სტაცებს,
შორიდან ისმის თოფის ბათქუნი....
არეულია თეთრი და შავი –
ფერი ღვინის და ხორბლის თაველის, –
დროსაც რომ არ სურს შანსის გაშვება,
ხონჩას ამშვენებს ღორის თავიც კი...
მთვარეც მთვრალივით დაჰყურებს შარას,
შარს რომ არ ეძებს, უფრო იმ მთვრალს ჰგავს...
ბიჭი კი გოგოს უამბობს შაირს,

პირმომცინარეს, როგორც ინფანტას...
მიმოიფანტავს თუმცა მტკავლობით,
მინა შესუნთქულ სუნს და... ბანცალებს, –
ბუხრებთან სხედან სოფლის ქალები
და საჯანჯუხე ნიგოზს აცვამენ...

* * *

როცა თოვლია და –
მწიფე ხურმებს,
სახე მაინც უჩანთ ფიფქებს შორის, –
კიბის ჩამოტეხილ საფეხურზეც,
თითქოს ღამე იდგეს ქრისტეშობის;
ყველა ვარსკვლავი რომ ელვარებით,
იმ ერთ ცისკრის ვარსკვლავს ეზომება...
მეც რომ ამ სიამით ველამდები, –
(როგორ არ გაკრიფეს მეზობლებმა...)
ნუთუ, სიცივეში მიტოვებით,
მხოლოდ იმად ღირან ეს ხურმები,
მე და ჩემი ფიქრი – ცივ რტოების
ჯიბრით თბილ ბუხარს რომ
ვეხურხლებით...
ნუთებს მიყოლებულ ნატვრის ფურცლებს,
ვარქმევ ნარიჯისფერ ფოლიანტებს...
უკვე მერამდენედ გავისუსე,
გარეთ ბეღურების ფორიაქზე...
ბევრჯერ მზით გაცვეთილ ფოლიანტად,
კვლავაც არაერთხელ ვიშვებოდი, –
ოლონდ შენ გიხილო თოვლის ნაცვლად,
მწიფე ხურმებსა და
ფიქრებს შორის....

* * *

მე არ ვიღლები ლექსების წერით,
გული წააგავს, პირიქით – მწევარს;
როცა ცუდად ვარ, ბალახზე ვწვები, –
და არასოდეს ვიზომავ წნევას...
ბალახის სუნი სამშობლოს იტევს,
სუნი, რომელიც მართლაც სულ სხვაა, –
სულმი რომ ბადებს
დახორკლილ სიტყვებს,
რაც გულის ჩხვლეტა
და დასუსხვაა...
სრულ სიმშვიდეზე ღელვა და შიში,
არ გამოდგება ხანდახან ფიცად;
თუმცა კი, ზეცის მზვერავად ვიშვი, –
ზოგჯერ შეშლილის ხალათსაც ვიცვამ...
აზრი არა აქეს იმგვარ სიფრთხილეს,
როცა ნამლებში ფულსაც იხდიან, –
როცა ძარღვიც კი ფიქრთა ჭიხვინზე,
ცხენს ემსგავსება სუფთასისხლიანს...
ვერ შეაკავებს სულის ფორიაქს,
ვერანაირი – ამ დროს, ჯებირი,





ქარის ფრენასთან თუ სინქრონშია,
გული – დარდებით
გამობრძმედილი...
მე არ ვიღლები ლექსების წერით,
გული წააგავს, პირიქით – მწევარს;
როცა ცუდად ვარ, ბალაზზე ვწვები, –
და არასოდეს ვიზომავ წევას...
ბალახის ფესვზე რომ დამაფიცეს,
ისე ვყუჩდები, თითქოს
მუნჯი ვარ...
და იქნებ მინდვრად
მეც გადავიქცე,
ახლა ეს ზეცა ისე
ლურჯია...

* * *

თოვლის სისველით – მიწას გალეშილს,
შუშის თვალებით მივჩერებივარ, –
და ხელიც კი სიქათქათეში,
თითქოს პატარა
ბისერებია...
თუ სამყაროსთვის ყველა ხის ტოტი,
მხოლოდ და მხოლოდ ხის მძივებია, –
მხრებდახერხილი ფერთა ხისტობით,
ჩემში მორებად
იძირებიან...
ცა მორდვეული ვერცხლის ძაფებით,
მიწას რომ ქარგავს ბისერებიანს, –
არ ჩანხარ, მაგრამ ვერც გიჯავრდები,
ახლა ეს თოვლი
ისე ბევრია...

* * *

ცა ვერასოდეს დახატავს კვირტებს,
რომ მიახატოს მზე სახრჩობელად, –
და მთაც მუხლებზე ვერ გადამიმტვრევს,
ჩემი ტკივილის შესაკრძობელად...
ვერც სასოების გამტეხავს გვემა,
თუმცა მომინევს ატანა სახრის,
გული კი ისევ ცვარს ემგვანება,
როგორც ჩიტების პატარა სახლი...
გულს ვეპაექრო – არც კი მიცდია,
ამწყდარ ბოგირებს ანდა სად ვუხმო...
ისევ ლივლივა ტბები მიცდიან,
ცოდვის მარილით რომ დავამწუთხო, –
მაგრამ საწუთროს კილომეტრები,
ერთ ციდა გულში თუ ჩამეტია,
შემიფარებენ ვიწრო კედლებიც,



როცა კლდეები ლურჯ ცას ელტვიან...
მე შევურჩიე სიმაღლე ცისკენ,
ქარიშხლებისგან მოთელილ მანძილს
და რადგან ვერხვის დიდ ნაღველს ვიტივ,
დავიმეგობრე ფოთლების ლანდიც...
მთებიც ჩავძირე ხსოვნის წიაღში,
წლობით წარდშეკრულ ბერიკაცებად,
რაც ბევრჯერ ზომეს თოვლშიც, წვიმაშიც,
ხელისგულების ბედის ხაზებმა...
და მეც სიბნელის ნაცნობ ფუძეზე,
თუმცა სიცოცხლეს წამით ვზომავდი,
სინათლის ბოლო კვლავ მოვუძებნე
ლამეს – გაკვანძულს მთვარის ზონარით...
მჯერა, სიცივით მკერდდაბერილი
ყველა საფიქრალს ლოცვით მოილევს
და შემლოცველი დედაბრების წინ,
დილაც კი, შვებით მოილოგინებს...
და თუ ხელებმაც ვერ შემილოცეს,
ზეცას დავიკრავ მხრებზე ნალივით
და – ტკივილზედაც მზეს
შევიხორცებ, გადამტვრეული
ხერხემალივით...

* * *

რა უსიცოცხლო ლამეა გარეთ, სახეს რომ მალავს,
არ მენახვება;
გაზაფხულობით თუმცა კი ვბარე, რქა ვერ
გამართა ნავენახევმაც...
ყველა ირემი გამექცა მთისკენ, გულის კედლებში
რაც კი ვამწყვდიე,
ახლა ლამესაც სარეცლად ვირჩევ, რომ წამით
მასთან მაინც დაგწყვილდე;
რომ წავუკიდოთ ერთმანეთს ცეცხლი,
ნაცარმიყრილი კერის ლველფიდან,
თორემ ვინ იცის, რამდენჯერ შევრცხვი, მწყერიც
რომ ნატვრის ხეზე შეფრინდა...
ფაცერში თევზი ველარ ჩერდება, გონების
თვალსაც გაკვრია ლიბრი,
მაგრამ ტკივილის შესაჩვენებლად,
სირთულესთანაც მარტივად ვიბრძვი...
თუმცადა მართმევს სიცოცხლის ძალას, მთა რომ
თავს მადგას სულთამშუთავად,
მაინც ვერ ვიტყვი – რომ ცა ჰეგავს წალამს და რომ
სამყარო – გუდაფშუტაა...
გავერიდები საკუთარ სათქმელს, აზრი თუ აზრად
აღარ იბმება, –
და ვერ მოვარგებ გრძნობების სარქელს, სულის
შესაძლო გაღარიბებას...
გზაც კატასავით კუდით რომ ვცოცხო, და ვერ
დავესწრო კვირტების კრებას,
მე მაინც ვიტყვი – რომ ვარ და ვცოცხლობ,
სანამდე ლექსის რითმები
მკვებავს...

* * *

შემოდგომაზე ცაც იჯაბნება,
მთები რომ ბგერებს ნთქავენ ვოკალურს, –
როცა ზუზუნებს ქარი ფანჯრებთან
და არახუნებს ქვაბებს მოკალურს...
ფოთლები ყვითელ ჰამაკში წვანან,
ტყეების ყველა წამის სახებად, –
როცა დროც თამაშ-თამაშით წავა,
მაგრამ თავიდან ჩაისახება...
ნოყერ საკვებს კვლავ მოხარშავენ,
მოკალულ ქვაბებს როცა ძებნიან, –
და მეც კვლავ უნდა
ამოვფართხალდე,
ამ უცარი
მოძალებისგან...
როცა დღეები არვის არ სცნობენ
და გაუმართავთ ქართან მარულა...
გზებიც როდემდე უნდა ანცობდნენ,
ან დილის ნისლი სად გაპარულა...
.....
ვარ უმთვარეო ღამის მტვირთველი,
მეც ამ მთებივით მაინც უცვლელი, –
თუმცა მევსება ქარის ზვირთებით,
გამოშიგნული
მთვარის
მუცელი...

* * *

კარგა ხანია, რაც ადამის ვწვალობ ყალიბში, –
სხვის მოსაწონად ალბათ ვერც მე
ჩამოვყალიბდი...
ფიქრით გადალლილს ვერ მშველიან
ვერც იმპულსები
და ლოკოკინას ნიუარაში
მეც ვიყურსები...
არ მატიობენ ამ სიჩუმეს და ამ სიმშვიდეს,
მაგრამ ხურტკმელი, სულ რომ სურდეს,
ხომ ვერ იშინდება...
კანი მსუსხავი ფოთლებითაც
ხშირად ავიწვიო...
მებენდა ძალლივით – გატეხილი
ძვალი ლავინის...
სისხლს იქნებ სურდეს, ბოლო წვეთიც
ბარემ გამიშრეს,
მაგრამ ცაზე რომ კვლავ აწვალებს
ღამე კლავიშებს,
ვერ ჩაგროვდება რბილ ქსოვილში
დარდი ჩირქივით...
და ვერ დამამცრობს ირონია
მთვარის ქირქილის...
გულმა სხვის გამო, თუმცა ბევრჯერ,
მიჯრით იჯავრა,
ლოკოკინას ხომ, ისევ იცავს
მისი ნიუარა...

სტილიზებული ფაიფურის
ფერს რომ მანახებს,
ცის გამო ტანზე ისევ ვიგლევ
სევდის არტახებს...
გაღვიძებულზე, თვალებს თუმცა
ნაჩვევად ვისრეს, –
იღვრება წვიმა, ონკანი რომ
დაგრჩება,
ისე....

* * *

მე გავიქცევი
და გთხოვ, მწევარს ნუ დამადევნებ, –
შენი ყონულის
სასახლიდან მთაში გავრბივარ...
უმჯობესია,
გრძნეულ ღამეს უმალ დავნებდე,
ვიდრე კვლავ დავრჩე,
ძველისძველი დარდის საკიდრად...
სანამ მთვარეულ
ვარსკვლავებზე ცეცხლს მოიკიდებს,
ალბათ, ცის თაღი –
კვლავ გახდება მოსაკითხავი...
მერე, მე თვითონ
გაგიკვალავ ჩემსკენ ბილიკებს,
მთაში გახიზნულ
უჩემობას როცა ისწავლი...


* * *

დეკემბრის ღამემ ციდან მთვარე ისევ ჩამოხსნა
და ჩამოშალა ყველა სხივი – კლდესმიჭედილი,
მაგრამ სიცივის უმთვარეო ქიმზეც გამოჩნდა,
თეთრი გუმბათი, – აღერილი შენი ყელივით...
მეგონა თმენით, ჩემთვის უცხო გზებს გავივლიდი,
თუნდაც მოლოდინს შენს ფიქრებში უბრად ეთოვა...
მერე კი, თოვლმა გადაფარა ყველა ბილიკი,
როცა მე შენი მარტობა უნდა მეპოვა...
ნაქანდაკარი თეთრი მხრების რბილი კონტური,
მიხმობდა ჩუმი მონატრების მტკიცე წადილით,
და ნეკერჩალსაც, ორი ტოტი, ყინვით მორთული,
დარჩა მლოცველის ხელებივით ცისკენ გაწვდილი...
მეგონა თმენით, ჩემთვის უცხო გზებს გავივლიდი,
თუნდაც მოლოდინს შენს ფიქრებში უბრად ეთოვა...
მერე კი, თოვლმა გადაფარა ყველა ბილიკი,
როცა მე შენი მარტობა უნდა მეპოვა...

* * *

მოისხეს მხრებზე
მთებმა თოვლის თეთრი ქათიბი,
ზეცას რომ ღამით შეუკერავს სახელდახელოდ, –





ბადრი შულაპე

და გეფიქება, ალბათ სულშიც მკვეთრად დათბება,
დარდს რომ ვერ მალავ, თვალებივით ფართოდ გახელილს...
თოვლის ქუდები დაიხურეს სახურავებმაც
და სახლებს თითქოს პოდიუმზე უწევდეთ გასვლა, –
სულ აღარ ახსოვთ გაცრეცილი ცა წუხანდელი,
მონატრების და მარტოობის უწყვეტი ვალსით....

* * *

მაშინაც, როცა მონატრების აკვანში ვწევარ,
განთიადს ვლოცავ და მსურს ყველა ჯავრი მოგხარშო, –
რაკილა ძალად დარჩენილი ქალაქის მძევლად,
ვხედავ, თუ სოფლად როგორ მწიფობს შავი ღოღნაშო...
როგორ ვარდება დიდ მთებს შუა ნისლის მანდილი,
ყველა შესაძლო მომდურავის შესარიგებლად;

თვითონ წვიმაც კი ზეცასავით, ისიც ნამდვილი,
ბევრჯერ ვნახე რომ, სიყვარულით მზეს ადიდებდა...
თუმცა სისველეს ზეცის ნებით დამოყვრების,
მაინც შეიშრობს შავბალახა ნამცვრევს – ღრუბლების, –
და ჭრიჭინებიც თივას ისევ ჩამოყვებიან,
სათიბებიდან რომ ჩამოაქვთ კაცებს ურმებით...
ვესაუბრები ქედებს იქით დარჩენილ ღელეს,
თავს რომ მახსენებს ბელურების ნაფეხურებით, –
და სიხარულით ზეცისაკენ გაშვეროლ ხელებს,
რაკი ვერ ვმალავ, დროზე უფრო ადრე ვხუნდები...
თითქოს ტყესავით გასჩენია ფიქრი სადათვე, –
და უკითხავად დიდი სევდაც მოსაძლებია,
ნიწილებივით შემოდგომის
პირზე დასათვლელ,
ამ მონატრებას,
ამ უცოდველ
ხბოსთვალებიანს...

* * *

მიწატყეპნილი იატაკის სევდას მიაგავს,
დაუსრულებლად ტურების რომ ისმის ჩხავილი...
და თავზე ვივლებ მონატრების ფერთა ნიაღვარს,
სპილენძის კასრში ნაგროვები
წვიმის წყალივით...
ამ ფიქრსაც ახლა, ისე ცხადად მივყავარ ტბასთან,
სულ ახლოსა ვგრძნობ ნესტიანი შამბნარის სურნელს, –
გულს რომ ვუხსნიდი მომლოდინე ჭიშკართა მსგავსად,
ვით აღზევანში მარილისთვის
გაგზავნილ ურმებს...
თუმცა გზადაგზა ნიავ-ქარი მაინც მომძახის, –
იმ ათას ლამეს ერთი ლამის ნამი გერჩიოს,
ლამედგანელილ უსასრულო დარდის სოხანის,
ვიცი, მორჩილი ვერ დავრჩები
სამიდღემჩიოდ...
ცა რომ პატრონობს ნასახლარზე დაყრილ ცივ ლოდებს,
მთვარის სხივებით ლამეს მოქსოვს შალის ნინდებად, –
და მზე ჩიტად რომ დააჯდება საგვირგვინოზე,
თავმღვრიე წყალიც უსათუოდ
დაიწმინდება...



ლანა განველი

— ამ შავშეს არ გავაჩენ! — ფაუსტინა ქმიტას.
— რაჯ გინდა ის ქენი!!! — ემილის პასუხმა მელიანი
ერთიანი მოწერა. ხმა ცეცარ ამოილო.
სამწის ქვეშიდან თავისი ზალიში გამოგლოჭა და ჩალ-
ლის თებები შევარდა. ჩალლის არ ეძინა, მაგრამ ხმა
არ აძინულია. მთელი ლამის განმავლობაში თვალი არ
მოუხუჭავს. წრემლები ლვარად ჩამოსდიოდა და სასოფ-
ლოს უსველერდა. დასტუროდა საყუთარ თავს და ტიროდა
შავშეს, რომელსაც ფიქრობდა, რომ ალარ გააჩენდა.

ლ. მანველი

43



II est où le bonheur სად არის ბედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი; „ოლე“ №1, 2, 3, 4, 5, 6, 2022 წელი; „ოლე“ №1, №2, №3, №4, №5, 2023 წელი.

როდის გაამზადეს?!“

მურადის ჩაცინება და ჩაღლას ხმაც გაიგო,
— დედამ გუშინ საღამოს, კრუასანები მომიტანა
დილისტვის.

მაშინდა წამოდგა, სახლში თავი მარტოდ
რომ დაიგულა. თვალებს ირგვლივ შავი ლაქები
გასჩერიდა. მნარე, უშაქრო ყავა დალია და მექა-
ნიკურად მიალაგა ოთახები. ბოლო დროს გვერ-
დულად გაღიმება დასჩემდა. ცინიკურ-სევდიანი
ლიმილი. ყველა იმედგაცრუების, გაუტანლობის
და გაუგებრობების შედეგი სახეზე ეხატა. მუ-
რადს თმის გელი ისევ თავახდილი დაეტოვები-
ნა. სახურავი დაახურა და სააბაზანოში შეიტანა.
სარეცხის მანქანაში ჯერ ჩაღლას ტანსაცმელი
შეალაგა და მოკლე პროგრამაზე ჩართო. მერე
თავისები გარეცხა, სულ ბოლოს ძმების შარვ-
ლები. ყველაფერს რომ მორჩა, უბნის მინი მარ-
კეტში ჩავიდა და სიგარეტი მოითხოვა.

— რომელი ნებავსო, ჩვენს უცხოელ
რძალს? — შეეკითხა გამყიდველი დურსუნა, რო-
მელიც იმავდროულად მათი მეზობელიც გახლ-
დათ.

— სულერთია, — ჩაილაპარაკა მელანიმ
და მის გამჭოლ მზერას თვალი აარიდა. სახ-
ლში დაბრუნებული, საწოლის შუაგულში, ფეხ-
მორთხმით დაჯდა და ნლების შემდეგ პირვე-
ლად მოუკიდა სიგარეტს. ჯერ ერთ ლერს, მერე
მეორეს. იჯდა კვამლში გახვეული მარტოსული,
ცხოვრებაზე გულგაციებული, უთქმელი სევდით
სავსე. მის თავთან ჭალი ეკიდა. სანახევროდ
გაღებული თვალებით ახედა, ზედ თავისი სხე-
ული წარმოიდგინა, — თავგადაგდებული, თოკზე

ოლე №5, 2023





მოქანავე. გაქრობა სურდა, ისე რომ მისი კვალიც კი არსად დარჩენილიყო. საწოლიდან გადმოსვლა სცადა. ვერ შეძლო. არაფრის თავი არ ჰქონდა. სიკვდილისაც კი.

სკოლიდან დაბრუნებულ ჩაღლას კარი რომ არავინ გაუღო, თავისი გასაღებით შემოვიდა. ხელები დაიბანა, ტანსაცმელი გამოიცვალა და დედას დაკეტილ კარზე მიუკაუჭა.

— დედა, მანდ ხარ?

სევდისგან გასავათებულმა მელანიმ ძლიერ დაიმორჩილა ჩახლეჩილი ხმა:

— შემოდი...

— Anne, sen sigara mi içiyorsun?* — გოგონას ხმაში გაკვირვება და თანაგრძნობა ერთდროულად გამოიკვეთა.

მელანი ატირდა. ჩაღლამ ფარდები გახსნა, ფანჯარა გამოაღო და დედასთან მივიდა. მელანიმ თავი მის კალთაზე დადო. გოგონა მოეფერა.

...გაბრაზებულმა ემირმა სიგარეტის კოლოფი დაჭმულწნა და ნაგავში ჩააგდო. მელანიმ ამოიღო, გაასწორა, მის თვალწინ მოუკიდა და განქორწინება მოსთხოვა. ემირი სრულიად მშვიდად, ჩაღლას წართმევით დაემუქრა.

ოჯახი იღილია

მელანის უნდოდა, რაც შეიძლება მალე დაეტოვებინა სახლი, რომელმაც თავისიანად არ მიიღო. სამუდამოდ დაევიწყებინა ის დამთრებულელი გარემო, წლების განმავლობაში სიცოცხლის ხალისს რომ უხშობდა. მიეტოვებინა ადამიანები, რომლებსაც არასოდეს უცდითა ნამდვილი მელანის შეცნობა. პირიქით, ისინი ხომ დღითიდღე შლიდნენ მის მეობას.

გამოსავლის ძიებაში ღამეები თეთრად ათენდებოდა. ფიქრებით ხან საფრანგეთში ბრუნდებოდა ჩაღლასთან ერთად, ხანაც სტამბოლში ექებდა სამსახურს. რეალურად კი ვერაფერს ცვლიდა. მხოლოდ წერდა, წერდა ყველაფერს, რაც გულში ჰქონდა დაგროვილი და სხვებს ვერ უზიარებდა.

რამდენჯერაც სხვა ოთახში დაძინება გადაწყვიტა, იმდენჯერ დააბრუნა ემირმა უკან. მელანიმ ფსიქოლოგიური წიგნების კითხვა დაიწყო. ერთ-ერთი ავტორის რჩევით, წარმოსახვის უნარით, თავისისა და ქმარს შორის რკინის ფარდა ჩამოაფარა. ფარდა, რომელმაც ემირის ფსიქოლოგიურ ზენოლას ვერ გაუძლო და გაქრა. მას ხომ საოცარი უნარი გააჩნდა, სხვის სულში ხელების ფათურის. მელანის მარტოდ დარჩენის, ფიქრის, რაიმის გახსნების უფლე-

* დედა, შენ სიგარეტს ეწევი? — (თარგმანი თურქულიდან).

ბაც არ ჰქონდა. როგორც კი ფიქრებში წავიდოდა, ემირი მაშინვე თავისი გამჭოლი მზერით პასუხს სთხოვდა.

...ძმები ბევრს მუშაობდნენ, უფრო კი ემირი. პარასკეობით, ტრადიციულად მოძრაობა „ჰიზმეტის ძმები“ მოდიოდნენ მათთან სტუმრად. ამ დღეს ემირი კეთილი, გახარებული და კმაყოფილი იყო. მისგან გარიყულ მელანის სტულდაქმრის ამგვარი ტრანსფორმაცია. ყოველ კვირა დღეს კი პანსიონატის სტუდენტები სტუმრობდნენ უფროს აბისთან** ერთად. ის მათ, რელიგიური ცოდნის გაღრმავებასა და მოძრაობის იდეოლოგიის გარკვევაში ეხმარებოდა. მურადი შეკრებებს არ ესწრებოდა, სხვადასხვა მიზეზით ის ასეთ დროს არასოდეს არ იყო სახლში.

მელანი თანდათან მიეჩვია მასაც აღარაფრად ჩაეთვალა ყველა ის ფასეულობა, რის შენარჩუნებასაც წლების მანძილზე დიდი ძალისხმევით ცდილობდა. მისი ოცნება, ჰქონდა პატარა, თბილი ოჯახი კრახით დასრულდა. გაცევის გემიებს აწყობდა, მაგრამ ჩაღლას გარეშე ვერ წავიდოდა, შვილის მიტოვება მას არ შეეძლო.

სწორედ ასეთ სულიერ მდგომარეობაში მყოფი, ერთ დღესაც მიხვდა, რომ კიდევ ერთხელ იყო ორსულად. მისდა გასაოცრად, ახალი ამბავი ემირს ძალიან გაუხარდა. მელანიმ სთხოვა არავისთვის ეთქვა, რადგან დარწმუნებული არ იყო, სურდა თუ არა, კიდევ ერთი ბავშვის გაჩენა ასეთი დაძაბული ურთიერთობის ფონზე. ემირმა კი ილოცა, ალაპს მადლობა გადაუხადა, მელანის კი ყველაფრის დავიწყება და ცხოვრების თავიდან დაწყება შესთავაზა:

— დამშვიდდი, აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება, ყველა ახალშობილს თავისი მადლი შემოაქვს ოჯახში!

მელანიმ ირწმუნა. ძველი ემირი გაახსენდა. კიდევ ერთხელ დაუჯერა და თავის თავს ნება დართო, მისი სხეულის ახალი მობინადრე, მთელი გულით გაეთბო.

გახალისებული, დილაადრიანად ადგა. ოჯახის წევრებს საუზმე გაუმზადა, ჩაღლა სკოლაში, ემირი და მურადი სამსახურში გააცილა და დიდი ხნის შემდეგ, სიამოვნებით დააღაგა ბინა. ოთახები კარგად გაანიავა. კედლიდან ჰანდანის მიერ ჩამოხსნილი „მონა ლიზა“ ისევ თავის ადგილას დააბრუნა. შუადლისკენ სახლიდან გამოვიდა და ემირის მაღაზიისკენ გაემართა.

იქ, ყველაფერი შეცვლილი დახვდა. მაღაზიის სახელიც კი. მისი დარქმეული — „ოჯახური იდილია“ შენობის ფასადიდან გამქრალიყო.

** ამ შემთხვევაში: — სტუდენტებზე ასაკით უფროსი და გარკვეულ საკოთხებში, უკეთ გათვითცნობიერებული ადამიანი, უფროსი მა.



ახლა აბრაზე, დიდი ასოებით – ERTÜRK TEKSTİL-ი ეწერა.

ემირს შიდა სივრცეც გაეფართოვებინა, თაროები დაემატებინა. ვიტრინასთან ახლოს დიდი, ლამაზი საწლი დაედგა, რომელზეც ლამაზი, ბორდოსფერი თეთრეული გაეშალათ. კონსულტანტ გოგონებს მისი ნახვა ძალიან გაუხარდათ და ჩაი შესთავაზეს. ყველას თბილად მიესალმა, მოიკითხა და სალაროსთან ჩამოჯდა. თვალი იმ რვეულს მოჰკრა, რომელშიც ერთ დროს თვითონ ანარმოებდა საქონლის მიღება-გაყიდვის ანგარიშებს.

შუადღისკენ მაღაზიაში, სამი ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. ორს თავზე მოსახვევი დაეფარებინა. მესამეს გრძელი, თხელი თმა ყვითლად შეეღება და გაეშალა. ყველანი დიდი სითბოთი შეეგებნენ. სუფრების დემონსტრირებისთვის დადგმულ მაგიდასთან დასვეს და მათაც ჩაი მიართვეს. მელანის ისინი მყიდველები ეგონა და გაულიმა. მათ მის ღიმილს ღიმილითვე არ უპასუხეს. პირიქით, ყვითელთმიანმა ამპარტავნულად გადაიყარა მხრებზე თმა და ჩაი ხმაურით მოსვა. კონსულტანტებმა უხერხულად გაილიმეს. ქალები დიდხანს დარჩნენ. მელანიმ რამდენიმე მყიდველს ნაყიდი საქონლის საფასური გამოართვა და საწყობში ჩავიდა. იქ დიდხანს დარჩა. არეულ თაროებზე თეთრეულის და პირსახოცების შეკვრები მოაწესრიგა და ლამაზად დაალაგა. იქიდან ამოსულს მაგიდა დაცარიელებული დახვდა. მენეჯერმა მისი მზერა დაიჭირა და ორაზროვნად გაულიმა. მელანის გაუკვირდა და რა ხდებაო? – იკითხა.

– მურადის დანიშნული და მისი დეიდები იყვნენო, – მიღო პასუხად.

მელანის ყელი გაუშრა, გაოგნდა. ხმა ვეღარ ამოიღო, უხერხულობისგან სკამზე ჩამოჯდა და გაირინდა. მან ეს ახალი ამბავი არ იცოდა. ემირი, ისევ არაფერს უზიარებდა.

– „ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი...“ – ქმრის ნინადღით ნათქეამი სიტყვებით მოტყუებულს, ისევ გაუნაცრისფრდა საწუთო.

იმ საღამოს იჩეუბეს.

ემირმა: შენ ხომ ისედაც არ გიყვარს მურადი, მისი ნიშნობა რაღაში დაგაინტერესებდა, რომ მეტქვაო..

მელანის მთელი სხეული ასტყივდა. სხეული, რომელიც კიდევ ერთხელ ემზადებოდა დედობისთვის.

– ამ ბავშვს არ გავაჩენ! – დაუყვირა ქმარს.

– რაც გინდა ის ქენი!!! – ემირის პასუხმა მელანი ერთიანად მოცელა. ხმა ვეღარ ამოიღო.

საბნის ქვეშიდან თავისი ბალიში გამოგლიჯა და ჩაღლას ოთახში შევარდა. ჩაღლას არ ეძ-

ინა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მთელი ღამის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს. ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და სასთუმალს უსველებდა. დასტიროდა საკუთარ თავს და ტიროდა ბავშვს, რომელსაც ფიქრობდა, რომ აღარ გააჩენდა.

იშკანის პლინიკა

დილაუთენია ემინეს დაურეკა და დახმარება სთხოვა. ემინემ რამდენიმე წუთი ხმა არ ამოიღო, მერე წყნარად იკითხა:

- ჩაღლა გიყვარს?
- მიყვარს, რა თქმა უნდა, – უპასუხა მელანიმ.


– ეგეც შენი შვილია, მუცელში რომ გყავს.
– ემინე... – მელანის ხმა აუთრთოლდა, – გამომყვები?

– კარგი... გამოგყვები.

მელანი გაემზადა. ემირი ჯერ კიდევ სახლში იყო. ისე გავიდა ერთმანეთს არ დალაპარაკებიან. მიხურულ კარს მიღმა მოესმა ქმრის ნათქვამი: Allah sana akil fikir versin!..*

ყელში წაუჭირა მისმა სიტყვებმა. ემირის

45



მხატვარი სოფიო ჭელიძე

* ალაპმა მოგცეს სიბრძნე. – (თარგმანი თურქულიდან).

ოლქ, №5, 2023





თვალში ის ყოველთვის არასწორად იქცეოდა. კიბეები ჩაიარა და ავტოპუსების გაჩერებისკენ წავიდა. ემინე, იშკანის პოლიკლინიკის წინ დახვდა.

— რა ხდებაო, შეეკითხა და პასუხს არც დაელოდა, ისე შეიყვანა ვესტიბიულში. მელანის გასაოცრად, ყველგან სიგარეტის კვამლი იდგა. ემინეს შეხედა. მან თანაგრძნობით გაულიმა. უპაერობისგან სული ეხუთებოდა. მდივანმა საინფორმაციო ფურცლის შევსების შემდეგ, ულტრაბგერითი გამოკვლევის კაბინეტისკენ გაგზავნა. მორიდებით დააკაცუნა და ისე შეხსნა კარი. ექიმმა დაწექიო, ანიშნა. მოშიშვლებულ მუცელზე სპეციალური გელი წაუსვა, შეეკითხვები დაუსვა:

— სახლში სხვა ბავშვი გყავთ?

— დიახ, ერთი... იცით, მეორის გაჩენას არ ვაპირებ — მელანის ხმა აუკანკალდა.

— მეხუთე თვეში ხართ, ნაყოფს გული უცემს. თუ მაინც მოცილებას გადაწყვეტთ, სისხლის ანალიზისთვის ლაბორატორიაში მიბრძანდით, — მშრალად წარმოთქვა ექიმმა და მუცელზე გელის მოსამორებელი ქაღალდი უხეშად დაადო.

მელანის ტანში გააცია. ნელა მოიცილა წებოვანი სითხე. საჟუთარ სხეულზე შეხების შერცხვა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ჯერ არდაბადებული ჩვილი უყურებდა თვალებში. ფეხარეული გამოვიდა. ემინე იქვე ელოდებოდა. ხელი მოჰკიდა და, — კარგად ხარო?! — შეეკითხა. ექოსკოპიის ექიმმა ორივე ლაბორატორიის კარამდე მიიყვანა და კოლეგას გასძახა:

— აიშე, საბორტტე პაციენტია!

მელანი შიგნით შესვლას აგვიანებდა. უცბად ელვანაურავივით მოცილდა კარს და გარეთ გამოვარდა. სწორედ ამ დროს მობილურში შეტყობინების მიღების ზარი გაისმა. ათრითოლებული ხელებით გახსნა:

— დედიკო, გთხოვ ჩემი და ან ძმა არ მოიცილო! თუ გინდა ახლა მე და მამა მანდ მოვალთ და სადმე გავისეირნოთ. ეგ არ ქნა. — წერდა ჩალლა.

მელანიმ ჩაიმუხლა და სიმწრით ატირდა. ემინებ წამოაყენა. ორივენი, იქვე მდებარე ამერიკული კულტურის ცენტრის წინ ჩამოსხდნენ. მელანის ხელში ნაყოფის ულტრაბგერითი გამოსახულება უხერხულად ეჭირა და დახედვას ვერ ბედავდა.



ლანა მანველი

შერიგება

სახლში ემირთან და ჩალლასთან ერთად დაბრუნდა. მანამდე, უხერხულად მოღიმარი ემინე მანქანიდან, თავისსავე სურვილით „ქალნულის კოშკის“ სიახლოვეს ჩამოსვეს. გახარებული ჩალლა დედას მუცელზე ეფერებოდა და იმ დროს თურქეთში ძალიან პოსულარული ჯგუფის „Hepsi Bir“-ის სიმღერებს მღეროდა. ემირი კაბყოფილი წავიდა სამსახურში. მელანიმ ჩალლა ასადილა და ნერვიულობისგან გათანგულმა დაძინება გადაწყვიტა.

ოთახის კარზე კაკუნმა გამოაღვიძა. ჩალლა ეგონა და შემოღიო, — დაუძახა. ზღურბლზე პატარა პაკეტით ხელში მურადი იდგა. მათი ურთიერთობის თორმეტი წლის მანძილზე პირველად გადაეხვია რძალს და საჩუქარი გადასცა. მელანი გაოცდა. დაიბნა. ბოლოს გაულიმა და მადლობა გადაუხადა. ოთახის შუაგულში მდგომმა მურადმა სწრაფი და აღელვებული ხმით უთხრა, რომ ქორწინდებოდა და ოჯახში პრობლემები აღარ უნდოდა. მელანის ახლა სიმწრით გაელიმა. მურადი მისგან, ყველა ტკივილის დავიწყებას ითხოვდა. ტკივილების, რომლებიც უდიდეს ტრამვად ჩაკირულიყო მის გულში.

სასტუმრო ოთახში გამოსულს, ჩაით და ტკბილეულით განყობილ სუფრასთან, ემირთან და ჩალლასთან ერთად, მაღაზიაში ნანახი ის ყვითლად თმაშელებილი ახალგაზრდა ქალიც დახვდა. მურადმა საცოლე გააცნო და მაგიდასთან მის გვერდით დაჯდა. სუზანამ მაშინვე თვალებით ანიშნა, რომ ამდგარიყო და მის გვერდით გადამჯდარიყო. მელანის რატომლაც სტრასბურგის ლიტერატურული შეკრებები და ისევ ის ძველი ემირი დაუდგა თვალწინ. სალამოს დასასრულს, ვიდრე მელანიმ სუფრა აალაგა და ჭურჭელი გარეცხა, სუზანამ მთელი ბინა მოიარა, პანდანივით ყველაფერს შექმნა და დაათვალიერა. ჩალლაც მას დაჰყვებოდა. მურადის ოთახი პრეტენზიულად იპატარავა და ძირს დაგებული ხალიჩის ფერიც დაიწუნა. ემირი იღიმებოდა. მურადი ტელევიზორს უყურებდა. მელანი კი ახალი ტკივილებისთვის ემზადებოდა...

მურადის ქორწილი, სუზანას ოჯახის სურვილით, მის მშობლიურ ქალაქ ზონგულდაკში გადაიხადეს. მელანი ჩალლასთან ერთად სტამბოლში დარჩა. მანამდე ყველა საორგანიზაციო საკითხი სასიძოს მხრიდან პანდანმა მოაგვარა. ემირმა მას სრული ნდობა გამოუცხადა. ახლაც ყველაფერი მელანის გარეშე ხდებოდა. მას ეს არც სწყინდა და არც უხაროდა. მისი ცხოვრე-



ბა ჩალლაზე და იმ პატარა არსებაზე ფიქრით შემოიფარგლა, რომლის მიმართაც რაღაც დოზით თავს დამნაშავედ გრძნობდა. უმეტეს დღეებს სახლში, საძინებელ ოთახში ატარებდა. ემირი ახლა მურადის ახლადშექმნილი ოჯახისთვის, შესაფერის ბინის ძებნით იყო დაკავებული. რამდენიმე დაიწუნეს. სუზანას მურადის მშობლების სახლში ცხოვრება უნდოდა. მის მრავალ ჭირვეულობას, რატომლაც ყველა ნორმალურად აღიქვამდა. მურადი უყვავებდა, ემირი იღიმებოდა, ჰანდანი ამშვიდებდა.

მელანის, ახალშობილისთვის საბავშვო ოთახის მომზადება უნდოდა, მოძველებული შპალერი აქა-იქ ამძვრალიყო და ნამალი ცვიოდა.

ემირმა, — მურადისთვის ბევრი დავხარჯე და ახლა მაგის დრო არ არისო. ფეხმძიმე მელანიმ ჩალლასთან ერთად გაასუფთავა კედლები და შესალებად გაამზადა.

დალლილი მელანის დანახვაზე, ემირმა: — რას საჩქარო იყო, მერეც მოვასწრებდითო ამის გაკეთებას...

ბავშვს ელოდებოდა სუზანაც, რომელმაც ქმარს ნაქირავები ბინა, თავიდან ბოლომდე გაარემონტებინა.

მელანის სამშობიარო ტკივილები ღამით დაეწყო. იმ საღამოს ემირმა სტრასბურგში გაუცევა გაუხსენა. მორიგი უსიამოვნების გამო, თავს ისევ მარტოსულად გრძნობდა, სურვილიც კი არ გაუჩნდა ქმარი გაეღვიძებინა. დილამდე უხმოდ იტანდა შემტევ ტკივილს, რომელიც ხან ძლიერდებოდა, ხან მცირე ხნით სუსტდებოდა. დილით შვიდი საათისკენ ადგა. მოზრდილი მუცელი, რომელიც კიდევ უფრო ქვემოთ დანეულიყო, მოძრაობაში ხელს უშლიდა. გაჭირვებით მოემზადა და ჩალლასთან შევიდა და სანოლზე ჩამოუჯდა. გოგონას ერთი ხელი თავქვეშ ამოედო, მეორე გაეშალა. გრძელი, დატალლული თმა ერთ მხარეს მოექცია. ფრთხილად მოეფერა. ჩალლა შეიშმუშნა და თვალები გაახილა...

მელანის სძულდა, ემირს იქით სხვა გზას რომ ვერ პოულობდა. როდესაც სამშობიაროს ლიფტში ერთად შევიდნენ, იმ პატარა სივრცეში, კიდევ ერთხელ მიხვდა, თუ რა უაზრობა იყო მათი ერთად ცხოვრება. სრულიად განსხვავებული ხასიათის, შეხედულებების, რელიგიის, ტრადიციების მქონე ადამიანთა ძალით ერთობა.

ექიმების თანდასწრებით ემირი ისეთი დიდი სითბოთი და ყურადღებით ექცეოდა, თითქოს არც არასოდეს მიეტოვებინოს მასზე ზრუნვა და ფიქრი.

აია

გაუსაძლისი ტკივილებით იმშობიარა მელანიმ. მისი კივილით გაოგნებულმა ემირმა, ბოდიში მოუხადა: მაპატიე, რაც რამ გაწყენინეო!..

ისევ ირწმუნა ბედნიერების ალბათობის, ისევ თავიდან დაინყო...

„Une chanson douce, que me chantait ma maman,
En suçant mon pouce, j'écoutais en m'endormant,
Cette chanson douce, je veux la chanter pour toi,
Car ta peau est douce, comme la mousse des bois,
Aya, Aya, Aya, Aya...“*

47



მელანიმ სიმღერა შეწყვიტა და ძილში წასული აია, საბავშვო საწოლში ფრთხილად ჩააწვინა. მერე, ახლადშეძენილი „ჩემი ბავშვობის ალბომი“ გადაშალა, შიგ აიას პირველი ფოტო ჩააწება და ქვეშ ფრანგულად მიაწერა: Aya, mon Amour, ყველანი მოუთმენლად ველოდით შენს დაბადებას. გვინდოდა მალე ჩაგვეკარი გულში და შენი ტკილი სურნელება შეგვეგრძნო. და აი, შენ უკვე ჩვენთან ხარ. კეთილი იყოს შენი მობრძანება notre Ange!..

ფოტოდან თბილ პლედში გახვეული, რამდენიმე წუთის წინ ამ ქვეყნად მოვლენილი აია, ჭკვანი, დიდრონი თვალებით იმზირებოდა. მუცელთან დამაგრებულ ოთკუთხედ მუშამბის ნაჭერზე: პალატა 6, ლაპიერ — ერთურქი, გოგონა, 4კე. 50გრ. 54სმ. 18 ავისტო, 2009 წელი ეწერა.

მელანი ერთხელ კიდევ შეეცადა ემირთან ურთიერთობის დალაგებას. უნდოდა ჩალლას და აიას თბილი ოჯახური გარემო ჰქონიდათ. ბევრ რამეს ითმენდა და ბედნიერ ქალს თამაშობდა. აიას ალბომსაც თანდათან ემატებოდა ჩანაწერები და ახალი ფოტოები: დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად, მე და ჩემი დაიკო, პირველი აღუ, პირველი კიჭი, პირველი ნაბიჯები, პირველი დაბადების დღე, სტუმრად ბიძასთან, მე და ჩემი ბიძაშვილი, ბიცოლასთან და პაპიდასთან, ფეხის ანაბეჭდი, პირველი ნახატი...

ოცნებები მეცნიერებით

თურქულმა ლიტერატურულმა გამოცემამ, რომელსაც „მწერლის გაზეთი“ ერქვა, მელანის პირველი ნოველა „ოცნებები მემკვიდრეობით“ დაბეჭდა. გაზეთის მეთერთმეტე გვერდზე

* „ტკილ სიმღერას, რომელსაც დედა მიმღეროდა, ვასმენდა, ვიღრე ცერა თოის წიგით ჩავიძინებდი. მიწდა ვიძლერო ეს ტკილი სიმღერა შენთვის, და რადგან შენი ნაზი კანი ტყს ხავსივით რბილია... აა, აა, აა, აა — (თარგმანი ფრანგულიდან).“

ოლქ. №5, 2023





პროზა-პოეზია ერთად მოეთავსებინათ. ნოველა ლექსის მსგავსად წვრილ სვეტში დაებეჭდათ. თავში სამი წერტილი დაესვათ, ხოლო სათაური პირველ აბზაცში ჩაესვათ. გამომცემლის უყურადღებობაზე გაპრაზდა. ჯერ იფიქრა მივწერო, მაგრამ მერე მისი ძუნნი პასუხები რომ გაახსნდა, გადაიფიქრა. განმარტოვდა და შეეცადა ნოველა ახლა მკითხველის თვალით წაეკითხა და გაეაზრებინა:

* * *

„სტამბოლში გაზაფხულია. წვიმისაგან დასველებულ აივანზე, სამზარეულოდან გატანილ სამფეხა სკამზე ვზივარ, სიგარეტს ვეწევი და ვფიქრობ. ვფიქრობ ყველაფერზე და თანაც არაფერზე. ზოგჯერ ფიქრიც იღლება შენით და სადღაც ქრება. ცის კიდეზე ყრუდ გაიელვა. შემაურულდა. არ ვიცი ეს სიცივის ბრალია თუ წერვების. დღეს პირველი მაისია. ანატოლიაში, შვიათად ცივა ხოლმე ამ დროს. ბოლო დროს ბევრს ვეწევი. ისევე ბევრს, როგორც ერთ დროს მამაჩემი ეწეოდა. უკვე ბევრი წელია, რაც მამა იმ ქვეყნად წავიდა. არ მინდა წლების გამოთვლა. დრო მიდის და სევდის მეტს არაფერს ტოვებს. ზურგი მტკივა. ვცდილობ წელში გავიმართო. ესეც აღარ გამომდის. მეორე სიგარეტის ნამწვიც ჩავაქრე და ბოსფორის სრუტეს გავხედე. მშვიდი და მოწყენილია ისიც. წლებია რაც საფრანგეთში არ ვყოფილვარ. იქ დედაჩემი ცხოვრობს, რომელიც მე არასდროს არც მნატრობს და არც მელოდება. მობილურ ტელეფონში ამინდის პროგნოზის აპლიკაცია მოვძებნე. ახლა თურმე სტრასბურგშიც ცივა. მე იქ სევდიანი ბავშვობა და მწარე მოგონებები დავტოვე. თუმცა, ახლა მივხვდი გაქცევა არაფერს შველის და ცხოვრება ყველგან გვაგროვებინებს დალვრილი ცრემლის წვეთებს. მაგრამ ვერ ვივინყებ, რომ მე იქ მეგობარი, დამსხვრეული იმედები და საყვარელი ადამიანების საფლავები დამრჩა...

აივნის შორეულ კუთხეში, სახელდახელოდ გაკეთებულ ბუდეში, ორი თეთრი კვერცხი დეგს. ერთი დიდია, მეორე მომცრო. ჩვენს უბანში უამრავი მტრებია. არ მიყვარს აივანს რომ მის-ვრიან. რამდენჯერმე გადავყარე მათ მიერ მოზიდული პატარა ტოტები. ბოლოს, პირდაპირ ფილებზე ორი კვერცხი რომ ვნახე დადებული, გული მომილბა, რბილი ნაჭერი მოვძებნე და იქვე ახლოს დავაფინე.

დედა მტრები წელან ჩემს დანახვაზე რომ გაფრინდა, ისევ მოფრინდა და აქვე, შორიახლოს ტრიალებს.

სევდა შემომაწვა. ჩემი ერთი „ბარტყი“ მამამისმა კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად ლონდონში გააგზავნა, მეორე „ბარტყი“ საბავშვო ბალშია. ვიდრე არ მივალ, ფანჯარასთან დგას და მელიდება...

მზემ გამოანათა და მალევე გაქრა. ისევ მამაჩემზე ვფიქრობ. მისი სიკვდილის დღე მახსენდება. მიუხედავად იმისა, რომ მამის გვერდით არ გავიზარდე, იმ დღეს ჩემშიც მოკვდა რაღაც, უზომოდ მშობლიური.

ჰორიზონტს გავცეკერი. ტკივილებით სავსე ცხოვრებამ, ყველა ჩემი ოცნება გაცხრილა, თანდათან გააუფერულა და გააქრო. მხოლოდ ისინი დამიტოვა, რაზეც მამაჩემიც ოცნებობდა და რომლებიც, წლების წინ მხოლოდ მისი მეგონა. ხმამაღლა გაუღერებულები და შემთხვევით მოსმენილები. თანდათან მეც იგივე წატვრები დამჩემდა. ბავშვურები და სხვებისთვის იქნებ არასერიოზულებიც.

მე მიყვარან მამაჩემის აუხდენელი ოცნებები, ჩემი აუხდენელი ოცნებების ტკივილს მიმსუბუქებენ.

მზემ ისევ გამოანათა. გამეღიმა“.

მელან ლაპირი

გამოქვეყნა იქნება



ვახტანგ ჭავართაძე

ქალაქ გორის საპატიო მოქალაქე
აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი

49


ძმარ ფარნა



ფარნა რაინას

საყვარელ მამულს ეფერები, იხუტებ გულში,
კვლავ, ჯადოსნური კალმის წვერი ძერწავს და ქარგავს,
სტროფებში გედი დანარნარებს, იღვიძებს წუში,
სამზეოდ რომ გაქვს აწეული, სიცოცხლის ფარდა.

ახარე ლექსი, – შენი ხელით გათლილი თარით,
მით, უდიდესი გარვა – ლვანლი მიგიძლვის ფარნა,
მეგობრების და შენი ძმების წადილი არის:
კიდევ, დიდი ხნით, ამშვენებდე ლირიკის პარნასს.



მხატვარი ვანო გოცირიძე



ბავშვებისთვის საკითხები

ნინო სტურუა

50



მთავრობის მინისტრის ბრძანებულების მიზანით განვითარებული სამართლებრივი დოკუმენტი

შელურა

ზამთარია, სიცივისგან
მობუზულა ბელურა,
მზეს კი თავის ლურჯი ქუდი,
ზაფხულში რომ ეხურა,
მოუხდია, ვერცხლის გვირგვინს
თავზე იდგამს მეფურად.
ნაძვებს თოვლმა დაათოვა,
გაუყინა წინვები,
ჰოდა ბებოს ვთხოვ ჩიტუნას
მოუქსოვოს წინდები.

როცა ბებოს ვაპრაზებ,
ხეზე სწრაფად ავდივარ,
და ისე ვემალები,
ვერ მპოულობს ადვილად,
თუმცა ძალზედ ცელქი ვარ,
არ გეგონოთ ზარმაცი,
გაგხარებთ სულ ყველას,
ცოტას თუკი დამაცდით.
ისე უნდა ვისწავლო,
და ვიმრომო იმდენი,
ჩემით რომ იამაყოთ,
გქონდეთ ჩემი იმედი!

ფეფიკოს

მითხარი რით გაგახარო
ჩემო დედიკო ტკბილო,
მინდა რომ მუდამ თან მდევდეს
შენი თვალების სითბო,
არასდროს რომ არ დაბერდე,
მუდამ ლამაზი იყო,
სულ სიხარული გაწვიმდეს,
არასდროს გადაიღოს!

ფართოების ფლე

დღე გათენდა მხიარული,
დაბადების დღე მაქვს,
გამოვაცხვე ხაჭაპური,
არ დავუწყებ ქებას,
დიდი სუფრა გავშეალე და
დაპატიჟებ ყველას:
ფისოს, ცუგას, კურდლელს, მელას,
დათუნიას დრუჩიას,
სიცილით და სიმღერებით
გავაყრუებთ ქუჩას!

გქონდეთ ჩემი იმედი!

რა კარგია ზაფხული
მზის სხივს ვასწრებ ადგომას,
არ მპეზრდება მთელი დღე
თამაში და გართობა.
იცი მე რა სწრაფი ვარ?
ვერ მეწევა ვერავინ,
ჩემი თუ არა გჯერათ,
მემეჯიბრეთ ყველანი.

ზოოპარკში

ზოოპარკში ვიყავით
მე და ჩემი დაიკო,
კიდევ უნდა წავიდეთ,
ისე კარგი რამ იყო.
მაიმუნებს ვაჭმევდით
ჩვენი ხელით ბანანებს,
სპილო თავის ხორთუმით



მოგვესალმა პატარებს.
უირაფი კი გრძელ კისერს
ლამის ცამდე აწვდენდა,
ნეტავ იმ სიმაღლიდან
ბავშვებს როგორ
გვამჩნევდა?
ნუ გარბიხარ ქათამო,
მოდი ხელში აგიყვან,
თუთიყუშებს გაჩენებ,
ზოოპარკში წაგიყვან.



ეზის დეფოფალა

თუმც პატარა ვარ, მზეს ვგავარ,
ოქროს გული მაქეს ლიაო,
ჩემი დობილნიც მიყვარან,
ვარდი, ყაყაჩო, იაო.
ცისა და მიწის შვილი ვარ,
მიმღერენ, მიცინიან,
მზის ოქროსფერი სხივები
გვირგვინში ჩამინნიაო.
ჩემი მნახველნი გულგრილად
გვერდს ვერა გამივლიანო,
ვარდი არა ვარ, მაგრამ მე
მზის დედოფალა მქვიანო.

კერვა თვითონ ვისნავლე

ნინო სტურუა

გუშინ კაბა დაეხა
ჩემს საყვარელ თოჯინას,
სალამოს კი გაფუჭდა
ჩემი ძველი ჭოჭინა,
დედას რომ არ გაეგო
ეს ახალი ამბები,
გამოვილე უჯრიდან
ნემსები და ძაფები.
განა ბევრი ვინვალე,
თქვენ არ მიცნობთ ვინცა ვარ,
კერვა თვითონ ვისნავლე
ჩემს თოჯინას ვფიცავარ!
მარჯვედ ვხმარობ მაკრატელს
ამ პატარა თითებით,
ბებია და დედიკო
ახალ კაბებს გპირდებით!

ფისუნია კრუჭუნა

ოქროსფერი ფოთლებით
მოფენილა ეზო,
ორი ლერი თუ შერჩა
ჩვენი ჭადრის ხესო.
ფისუნია კრუჭუნა
ეფიცხება მზესო,
თაგვის ჭერა არ უნდა
არღვევს თავის წესი.
შემოდგომამ ბავშვები
გაგვახარა წელსო,
ჩურჩელებით, ჩირებით
ვიტკბარუნებთ ყელსო.
ახლა გეყოთ გართობა,
ნულარ ცელქობთ ბევრსო,
სკოლისაკენ გასწიეთ,
შემოგვახა ესო.

თქვენი მოფერება მომენაფრა

ახალი წლის ლამე ახლოვდება,
ნეტავ გადათეთრდეს მთა და მდელო,
მენატრება, ო, რარიგად მენატრება
თქვენი მოფერება ფანტელებო.
წუხელ სიზმრად გნახე თოვლის ფიფქო,
თითქოს ხელის გულზე გატარებდი,
საახალწლოდ მორთულ ნაძვის ხესთან
ძველ სიმღერებს გიმღეროდნენ პატარები.
დილა სიხარულით თენდებოდა,
ქვეწად მწუხარება აღარ იყო,
ბნელი სინათლისგან მხილებული,
მართლა ფიფქებივით გამქრალიყო,
ახალი წლის ლამე დამდგარა და
თეთრად გადათეთრდა მთა და მდელო,
თქვენი მოფერება მომენატრა
მშვიდად მოფარფატე ფანტელებო.

მამაშზე

გვირილები კეკლუცობენ,
არ ადარდებო ჭორები,
ყაყაჩოს კი სირცხვილისგან
გაუწითლდა ლოყები.
მინდვრის ყვავილს ეპრანჭება,
თაგს ევლება პეპელა,
ჭრელა-ჭრულა ფრთების რხევით
თავბრუს ახვევს ნელ-ნელა.
მამაშზე კი გულით ხარობს,
ლიმილს აფრქვევს მადლიანს,
არ იღლება მათზე ზრუნვით,
დგება დილა ადრიან.



ბავშვებისთვის საკითხები

როლანდ გიორგაძე

52



მისამართი: თბილისის გამზღვიული ქუჩა 10, თბილისი, საქართველო | ტელეფონ: +995 32 23 12 12 | ელექტრონული ფოსტა: info@minedu.gov.ge

შერიკარქმა შეადგინა ხელი ჩისაფიცა და კიბეზე ფაქტ-ვნენ. ჩასვლისთანავე ხელით დაუსხლდენ და ხან ერთ გურულაში ჩახდენ და ხან მეორეში. ხელისავინენ და თან ფეხებს ატყაპუნებდნენ. ვინწ უფრო დიდზე ააჩქეფებდა წყალს ის იყო გამპრკევერული. გვარიანად ამოინუნენ და არ მარტივს დააყარეს ხეირი. დატყაპუნებდა ლიზიკო გუმურიდან გურულაში და ახალომიგონილ სხაროდან მლეროდა:

– ერთ პატარა ქალაქში ხელისავინენ ტალაბში.

კაცომ მორიგი ახტომისას გუმურიში მოადინა ზღარ-თანი, ერთიანად ამოინუნ და ალრიალდა. ლიზიკო კი მაინწ აგრძელებდა ხელისას.

რ. გიორგაძე

უარსებულო ქვეყანაში

ნამიერად გაერთა ელვა ცაზე, მერე იჭერა და ისეთი დაქუხა სახლი შეაზანზარა. მსხვილი წვიმის წვეთები ღვარად მიასკდა ფანჯრის მინძებს. ლოგოზე მოხტუნავე ტყუპები ზარდაცემულებივით დაეცნენ, თავზე საბანი გადაიფარეს და გაიყურსნენ. ქუხილი რომ მიწყდა მელაკუდებივით ფრთხილად გამოყვეს თავი საბნის ქვაბულიდან. აქეთ-იქით მიმოიხედეს, ერთმანეთს შეხედეს, ჩაიფრუტუნ-ჩაიკისკისეს, აქაო და საფრთხე ალარ გვემუქრებაო, საბნები მოისროლეს და ისევ ხტუნვა განაგრძეს. თითქოს ბატუტზე ხტუნაობდნენ და მალაყებსაც გადადიოდნენ.

– გეყოფათ ბავშვებო წუ მოსპერ საწოლი. ჩაიცვით და ისაუზმეთ, – ივედრებოდა ბებო.

პატარები ლოგინიდან ჩამოხტენ და ფანჯარასთან მიცვივდნენ. წვიმა თავდაუზოგავალ, გულმოდგინედ რეცხდა მინძებს. წვიმა მოდის შეაპუნა შინ შემოსვლა არ უნდა, წაუმდერა ელის-აბედმა და იქვე დააყოლა – მინდა ხტუნვა თამაში არ დავწვები საბანში.

ცოტა უცნაური ბავშვი იყო. მოულოდნელად, მისი ასაკისათვის, ისეთ შეუსაბამო სხარტულას იტყოდა გაგაოცებდა და დაგაბნევდა. ვინ კარნახობდა და საიდან ერთმა ლერთმა უწყოდა. ანცებმა და ონავრებმა მცირე ხანს უცქირეს მინაზე მოთქრალე წყლის ნაკადს, მერე ფეხზე წამოწივნენ და ფანჯრის რაფაზე აცოცდნენ.

– ადექი ბერიკაცო, მიშველე რამე, არ დავიღუბოთ, ბავშვები არ გადაგვიცევდნენ ფანჯრიდან! – ბებოს დაძახილზე ბაბუამ თავი შეჰყო ბავშვების ოთახში.

– ბაბუ! ბაბუ! – გადმოფრინდნენ ფანჯრის რაფიდან ონავრები და ბაბუასკენ გაექანენ, – არ გვინდა ბაბუ საუზმე, ჯერ ეზოში ჩავიდეთ, ნახე რამდენი გუბურაა, ცოტა ხანს ვიტყაბუნებთ და მერე ვისაუზმებთ.

– კარგი, მაშინ ახლავე ჩვენს დაუხმარებლად

შეიმოსებით. როდემდე უნდა ჩაგაცვათ ჩვენ? – თქვა ბაბუამ.

– ეს კაცი, მგონი, მთლად გამოჩურჩუტდა, რომ დასველდნენ და გაცივდნენ, მერე რომელი ქვა ვიხალო თავში? – შეშფოთდა ბებო.

– ნიგზის ძირში, რომ მრგვალი რიყის ქვაა ის იქნება ზედგამოქრილი, – ხუმრობდა ბაბუა, – რა გააცივებთ მაისის წვიმაა, თუ გაცივდებიან არც ეგაა დიდი ბედენა. რომელი ბავშვი გაზრდილა გაუცივებლად, მითხარი ერთი.

– არა, არა, მთლად დაკარგე ჭეუა ბერიკაცო, ძალით რატომ უნდა გაეხვიო ხათაბალაში, – ბუზუნებდა ბებო და თან ბავშვებს ჩაცმაში ეხმარებოდა.

ბაბუა ინტერესით აკვირდებოდა პატარების ასაკის შეუსაბამო აზროვნებას და მეტყველებას. ხშირად სიცოლით ეკითხებოდათ, რა ენაზე საუბრობთო?

– როგორ ვერ ხვდები, – ჩაიცინებდა და იტყოდა ხოლმე ელისაბედი, იგივე ლიზიკო. – ჩემ ენაზეო!

ბოლო დროს, უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა პატარებს, უსმენდა მათ დიალოგს და ფიქრობდა, მომქალი და მათი ნააზრევი არ ჰეგავს მინიერს, შეუძლებელია უწლოვანი ბავშვების გონება ასე ხატოვნად გადმოსცემდეს სათქმელს. განსაკუთრებით ლიზიკო გამოირჩეოდა. ტყუპებმა, ელისაბედმა და ეკატერინემ, იგივე ლიზიკომ და კატომ ახლახან გააცილეს თავიანთი დაბადების მეოთხე წელი. არაფერი სჯობდა მათი საუბრის მოსმენას, რომელიც ძალზე ახალისებდა, აოცებდა და ანცვიფრებდა ბაბუას.

– ბაბუ, წავიდეთ ახლა უარსებულო ქვეყანაში, ხომ ვართ ჩაცმული, – ვერ ითმენდა ლიზიკო.

– სად ბაბუ? უარსებულ ქვეყანაში?

ბაბუას გაკვირვებული სახე რომ დაინახა კისეისით გააგრძელა:

– ხომ გასწავლე?

– ხო, მივხვდი, მივხვდი,
– ლიმილი გადაეფინა სახ-
ეზე, – არარსებულ ქვეყანა-
ში და რატომ უნოდა ეზოს
არარსებული ქვეყანა ბა-
ბუასთვის მაინც გამოცანად
დარჩა. წიგმამაც გადაიღო.

– ნახე ბაბუ, ეზოში
რამდენი გუბურა. სანამ
გაიპარება ტყაპუნი უნდა
მოვასწრო.

ბერიკაცმა ბავშვებს
ხელი ჩასჭიდა და კიბეზე
დაეშვნენ. ჩასვლისთანავე
ხელიდან დაუსხლტნენ
და ხან ერთ გუბურაში ჩახტნენ და ხან მეორე-
ში. ხტუნავდნენ და თან ფეხებს ატყაპუნებდნენ.
ვინც უფრო დიდზე აჩქეფებდა წყალს ის იყო
გამარჯვებული. გვარიანად ამოინუნენ და არც
ბაბუას დააყარეს ხეირი. დატყაპუნებდა ლიზიკო
გუბურიდან გუბურაში და ახალმოგონილ სხარ-
ტულას მღერიდა:

– ერთ პატარა ქალაქში ხტუნაობდნენ ტა-
ლაში.

კატომ მორიგი ახტომისას გუბურაში მოადი-
ნა ზღართანი, ერთიანად ამოინუნა და აღრიალ-
და. ლიზიკო კი მაინც აგრძელებდა ხტუნვას.

– ლიზიკო, გეყოფა თამაში! ხომ ხედავ, კატო
ჩურჩხელასავით ამოიგანგლა, რომ გაცივდეს
ბებო სახლიდან გამოგვყრის, – ამუნათებდა ბა-
ბუა.

– ბაბუ, გეხვენები, ცოტა ხანს კიდევ დავრჩე-
ბი, – არ ეთმობოდა თამაში ლიზიკოს.

– გვეყოფა ბაბუ, – კიდევ ერთხელ გაიმეორა
ბერიკაცმა, – ყველაფერს აქვს საზღვარი. გამოვ-
იცვალოთ ტანსაცმელი და ვისაუზმოთ, შევის-
ვენოთ და მერე ისევ ჩამოვიდეთ.

– ბაბუ, ბაბუ, აასკლინე, კატო ხომ ხედავ
როგორ ბლავის.

– რა ვქნა ბაბუ, ვერ გავიგე, – ისევ დაიბ-
ნა ბერიკაცი და გაოცებული პატარას ონავარ
თვალებში შეაცქერდა.


– ბაბუ, როგორ ვერ გაიგე, რამდენჯერ უნდა
გასწავლო, – დახტუნავდა ლიზიკო და კისკისებ-
და, – ბაბუა ხარ და ვერ ხვდები აასკლინე რა
არის? აიყვანე!

– რა ენაზე? – ისევ წამოსცდა ბაბუს და
ენაზე იქბინა.

– ჩემს ენაზე, დაგავიწყდა?

ბაბუას აღარაფერი უთქვამს, ქათამივით
განუწული ეკატერინე ხელში აიყვანა და კიბეს
აუყვა.

სადილობამდე პატარები მათ მიერ მოგონილი
თამაშობებით ერთობოდნენ. ბავშვის ფანტაზია
ხომ ამოუწურავია. ხან თოჯინებს დაარტენინებდ-
ნენ, ხან მანქანებს. მერე სათამაშო ცხენებით



როლანდ გიორგაძე

იჯირითეს, ბოლოს დაქანცულებმა ჩაი-
მუხლეს და სხვადასხვა ფორმის ფიგურე-
ბით და კუბიკებით სახლის მშენებლობა
წამოიწყეს. ბაბუა თავის ოთახში იჯდა და
წიგნს კითხულობდა. ელისაბედს თამაში
მოსწყინდა და ბაბუას ოთახს მიაშურა.
ბაბუას ვითომ არც შეუნიშნავს, თავ-
ჩალუნული აგრძელებდა წიგნის კითხვას.
ელისაბედი კი ცნობისმოყვარეობით ხან
წიგნს შეაცქერდებოდა და ხან ბაბუას. მი-
უხდავად იმისა რომ კითხვა არ იცოდა
წიგნები ძალიან უყვარდა, მოაგროვებდა
ხოლმე წიგნებს, ერთ ადგილზე დააწყობ-
და და იტყოდა, რომ გავიზრდები წავი-
კითხავო.

ელისაბედი ბაბუას მუხლებზე შეაცოცდა,
წიგნი გამოართვა, გადაეფურცლა. მერე დახურა,
ბაბუას დაუბრუნა და უთხრა:

– ბაბუ, ამ წიგნს რომ წაიკითხავ, მერე სხვა
ჩამოიღე, – შეყოვნდა, დაფიქრდა, კარადაში ჩამ-
ნკრივებულ წიგნებს გახედა და მთელი ბავშ-
ური სერიოზულობით თქვა, – ბაბუ, ამ წიგნს
რომ წაიკითხავ, მერე რამე ჭკუის სასწავლებელი
ჩამოიღე.

ბაბუა ცასავით კრიალა თვალებში შეაცქერ-
და, თავი ვეღარ შეიმაგრა და გულიანად ახარხ-
არდა:

– ხო, ბაბუ, აუცილებლად მასე ვიზამ, ხომ
ყველაფერში გიჯერებ? – სავარძლიდან წამოიწია
და გადაკისკისებული და აფართხალებული პა-
ტარა გულში ჩაიკრა.

– ბაბუ, წვერები მჩხვლეტს, – გადაიზნიქა
და ხელიდან დაუსხლტა. კარებთან მისული
ისევ მობრუნდა, – ეგ წიგნი არ დამიკარგო, რომ
გავიზრდები, აუცილებლად გამომჭირდება.

ბაბუას აღარაფერი უკითხავს, ისედაც მიხვ-
და: გამომჭირდება – ესე იგი გამომადგება, დამ-
ჭირდებაო. რა კარგი ნათქვამია, სწავლა სიბერემ-
დეო. აპა, ბავშვებთან საურთიერთობო ლექსიკას
წარმატებით ვეუფლები, ვინ იცის როდის გამო-
მადგება, გაიფიქრა ბაბუმ.

– ბაბუ, ბაბუ, რატომ ზიხართ ბნელში? გაას-
ინათლე, – შემოიჭვრიტა ეკატერინემ.

ბერიკაცს ეგონა ყველაფერი შეისწავლა, მა-
გრამ თურმე ჯერ სად ხარ. დაბნეულობა რომ არ
შეტყობოდა და კიდევ ერთი შენიშვნა არ მიეღო
იქით მიმართა, შენ თვითონ გაასინათლე შვილო.
კატომ სკამი კედელთან მიაჩოჩა და ჩამრთველის
ლილაკს მისწვდა. აი, თურმე რა ყოფილა გაასინ-
ათლე, მიხვდი ბერიკაცო?

– ბაბუ, აბა მითხარი, შენ რა უნდა მასწავლო
ახლა?

– მე არაფერი ბაბუ, შენ უნდა მასწავლო, მე
რა გასწავლო?

– ბაბუ, ხომ იცი ქაღალდისაგან თვითმფრი-
ნავისა და ნავის გაკეთება? ხოდა სანამ მეც შე-





ვისწავლი შენ გამიკეთე, ოღონდ ახლა თვითმფრინავი არ გამომჭირდება, ნავი გამიკეთე. აბაზანაში ჩავუშვათ და ვაცურაოთ. ლიზიკოსაც გაუკეთე.

— კარგი, ოღონდ თქვენც უყურეთ და ისწავლეთ, — ბაბუამ თაბახის ფურცლები აიღო და ნავების დამზადებას შეუდგა. რამდენიმე წუთში ორი ნავი მზად იყო შორეული ნაოსნობისთვის. „გემი გაცურდა თეთრი აფრები“ — წაუმდერა ბაბუამ და შევილიშვილების სიცილ-კასკისში სააბაზანოში შევიდნენ. კატო ონკანს მისწვდა. თქრიალით წამოვიდა წყალი. ლიზიკო აბაზანაში გადაემხო, მერე თმებმენუნწული წელში გასწორდა, წყლის წვეთებით აციაგებული თვალები ბაბუას შეანათა და გადაიკისკისა.

— ბაბუ, წყალს როგორ მოვაგროვებთ, საგუბარი რომ არ გვაქვს.

ბერიკაცი ისევ შეცპა, მაგრამ წამსვე გამოეკვა. „შე კაცო, საგუბარი, ესე იგი წყლის შემაკავებელი საცობი. რა ორიგინალური მიგნებაა“, — გაულევა თავში.

— ბაბუ, შეძენა დამავინყდა. აი, რომ ვიყიდი, მერე ავავსოთ აბაზანა წყლით და ნავები ერთმანეთს შევაჯიბროთ.

ბავშვები გულდაწყვეტილები გამოვიდნენ აბაზანიდან.

— თქვენ არ მოიწყინოთ პატარებო, სხვა გამოსავალიც არსებობს. თითქმის ყოველდღე წვიმს, ეზოში, გუბურაშიც შეიძლება ვაცურაოთ ნავები — ბავშვები ისევ გამხიარულდნენ:

— ხო ბაბუ, ეზოში ჯობია, ეზოში! — კატო ბაბუას მკლავზე ჩამოეკიდა და ლოყით აეკრა.

აბაზანიდან გამოსვლისას ბაბუას ყურში ჩაესმა ტელევიზორიდან რომელილაც წამყვანის ხმა:

— მტერი ყველანაირი ხერხებით ცდილობს ჩვენი მიწების მიტაცებას.

— ლიზიკო! — დაუძახა პატარას, რომელიც კატოსთან ერთად ნავებს მაგიდაზე დააცურებდა. თამაშში გართულს არ უპასუხია.

— ლიზიკო, ბაბუ, მოდი ჩემთან, ერთი წუთით, — პატარა მოცუნცულდა და კითხვაჩამდგარი თვალებით შეაცქერდა:

— ბაბუ, აბა, თუ მიპასუხებ, რა არის მტერი, უფრო სწორად, ვინ არის ჩვენი მტერი?

მუდამ მცქმელავი და მოუსვენარი პატარა ხანს ჩაფიქრდა, მერე თვალები აახამხამა და გაბრაზებული ხმით უპასუხა:

— ბაბუ, მტერი არის ადამიანი, ოღონდ ბოროტი, მტაცებელი, ამოთხრის და წაიღებს ჩვენს მიწას, — მერე შეყოვნდა, ისევ ჩაფიქრდა და მშვიდად, ბრძენეაცივით გააგრძელა, — ბაბუ, მიწას რომ გვართმევს, რომ გაგვადებს და მერე თვითონ იცხოვრებს.

— მოდი ჩემთან, ბრძენბატარავ, მოდი და დამასაჩუქრე.

პატარა მიცოცდა და ბაბუას შუბლზე ეამბო-



მხატვარი სოფიო ჭელიძე

რა. ეს ბაბუასთვის ყველაზე დიდი საჩუქარი იყო. ლიზიკოს ისევ წამოუარა სიანცემ, ვერ ისვენებდა და ცემუტავდა:

— ბაბუ, ბაბუ შენ შეგიძლია ცალ ფეხზე ხტუნვა?

— რაო პატარავ, სხვა ველარაფერი მოიფიქრე?

— მე კი შემიძლია! — შეხტა ცალ ფეხზე და ხტუნვა-ხტუნვით ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გადაიხედა. იყურებოდა და მღეროდა. მერე წყლით სავსე ჭიქა მოსვა და ფანჯრის რაფაზე ჩამოდგა. მზის სხივები ირიბად ეცემოდა ჭიქას, ელისაბედი კი განაგრძობდა მის მიერ შეთხზულ სიმღერას: მზე ამოდის ნათდება მერე ჭიქაში ჩაგაორო...

— კატო! კატო! — დაუძახა ტყუპისცალს, მერე ბაბუას მიუბრუნდა, — ბაბუ, მოდი რა, ისევ ჩავიდეთ ეზოში. ხომ იცი, ბებო მარტოს არ გაგვიშვებს. ნახე, ნახე, როგორ ანათებს მზე.

ბაბუას ბევრი აღარ უფიქრია და შვილიშვილებთან ერთად ისევ ეზოს მიაშურა. გუბურები აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილიყო.

— წყალს აღარ მიეკაროთ, ძალიან ჭუჭყანია!

ბავშვები ნახევრად ამომშრალ გუბურებზე ხტომით ერთობოდნენ, მერე მოფარფატე ჰეპელას აედევნენ. დევნა რომ მოსწყინდათ, ჯოხები აიღეს და მიწაზე ფიგურების გამოყვანა დაიწყეს. მოულოდნელად იასამნის ბუჩქიდან კატა გამოგრა. აიწურა, კუდი აპრიხა, ხან ერთს გაეხახუნა





ხან მეორეს. უცებ, ფანჯრიდან თავგამოყოფილმა ბებომ შეჰქივლა:

– არ მიეკაროთ, არ დაგუაწროთ, ცოფიანი არ იყოს!

ბაგშვებმა ბებოს ერთი კი ახედეს, გაულიმეს, მაგრამ შიშით და მორიდებით კატას ფარულად მაინც მიუალერსეს. ფისო ბაგშვებთან ახლოს დასუნსულებდა, არ სცილდებოდათ, ხან ზემოთ აიხედავდა, ხანაც მინას ყნოსავდა.

– ბაბუ, იცი, კატები კარგი მსუნებლები არიან, – ცხოვრებით დაპრენებული კაცივით წარმოტქია კატომ, – ნახე რა ლამაზია, სახლში ხომ არ წავიყვანოთ?

– პატრონი ეყოლება.

– ბაბუ, არ ჰყავის პატრონი, საყელო არ უკეთია. წავიყვანოთ, წავიყვანოთ, მე გამომჭირდება. ვაჭამოთ საჭმელი და ისევ ჩამოვიყვანოთ, თუ პატრონი არ გამოუჩნდა, ჩვენ ვუპატრონოთ, – ჭირვეულობდა კატო.

სანამ ბაბუა და კატო კატის ბედზე მსჯელობდნენ ლიზიკოს ყვავილებისთვის მიეშურებინა. დასტრიალებდა, ჯოხით ძირებს უჩიჩნიდა, ხან ერთს დაყნოსავდა და ხან მეორეს. ლიზიკო წამოიწია და ირგვლივ მიმოიხედა, საამური საცეკვი იყო მწვანე ბალახებში აყელყელავებული უთვალავფერანი ყვავილების ცქერა. უცბად მის ფეხებთან ბალახი შეირხა, კაცის მუშტის ოდენა პატრარა რუხი ფერის საგანი მოძრაობდა. ბავშვი შეერთა და უკან დაიხია. კარგად რომ დააკვირდა სიხარულის კივილი აღმოხდა:

– კატო, ბაბუ, ნახეთ რა ვიპოვე?

ბაბუა და შვილიშვილი ლიზიკოს მიუახლოვდნენ.

– რა იპოვე ლიზიკო? – ჰეითხა კატომ.

– ხედავ? ეს ხომ კუსანაა გოგო.

– კუსანა კი არა კუკუჩი, – შეეპასუხა კატო.

ბაბუა გაოცებული დაჲყურებდა მუშტისოდენა კუს.

– აბა, ამ კუს გაუმართლა, თუ გაუმართლა, როგორი ნათლიები შეიძინა? კუსანა, კუკუჩი. ასეთი სახელები დედამიწის ზურგზე არც ერთ კუს არ ერქმევა, – გაუღიმა ბაბუას.

კატო დაიხარა და კუს ჯავშანზე ხელი გადაუსვა. კუ შეშინდა და ჯავშანში შეყო თავი. მერე ისევ გამოყო, წერტილივით შავი თვალები მიატრიალ-მოატრიალა და ტაატით გაუდგა გზას.

– ბაბუ სახლში წავიყვანოთ, აბაზანაში ვაბანაოთ. მე ბალახებს დავუკრეფ, ჩვენთან კარგად იქნება, არც დაიკარგება, – იხვეწებოდა კატო.

– ბაბუ, ყველა ცხოველს, ფრინველს და მწერს სახლში ვერ წავიყვანოთ, სახლს ზორპარკად ხომ არ ვაქცევთ? ისინი აქ, ბუნებრივ პირობებში უფრო კარგად გრძნობენ თავს. ტყვეობაში,

ბაბუ, დიდხანს ვერც ერთი სულდგმული ვერ ძლებს. უმჯობესია ხელი არ შევუშალოთ და თავისიანებთან გავუშვათ.

პატარები კარგა ხანს უყურებდნენ დინჯად მიმავალ კუს. მხოლოდ მამინ მოსწყვიტეს თვალი ბალახებში რომ მიიმალა. კატოს ყურადღება ახლა ქედნებმა მიიქციეს, რომლებიც ხის ძირში დაგურგურებდნენ და საჭმელს ეძებდნენ. ლიზიკო კი ისევ ყვავილებს მიუბრუნდა, ჩაიჩოქა და დიდხანს უმზირდა ყვავილის კოკორს.

– ბაბუ, ნახე, მზე ყვავილებში ზის და ათბობს. რა ლამაზი და კეთილი ყოფილა მზე.

განსაცვიფრებელმა მეტაფორამ ბაბუას ცრემლი მოჰკვარა, შებრუნდა და ხმისამოულებლად ძელსკამისკენ გასწია.

დაუპატიუებელი სტუმარივით მოვარდნილმა ქარმა ძალუმად დაჲქროლა, მწვანე ბალახი და ყვავილები ერთმანეთზე მიაწვინა, ხის ტოტები ააჭრიალა და შეშტოთებული ფოთლები ააშრიალა. დამტრთხალი ფრინველები მიწას მოსწყდნენ და სამალავს მიაშურეს. დილანდელივით დასჭექა და დაიქუხა. კანტიკუნტად ნამოვიდა წვიმის წვეთები, მერე მოუმატა და თქეშში გადაიზარდა. გაზაფხულობდა გაზაფხულობდა.

– გავიქცეთ ბაბუ, გავიქცეთ, დავსველდებით! – დაიძახა ბაბუამ.

კატო წამსვე გამოიქცა, ბაბუა და შვილიშვილი ხშირფოთლოვან, ფართოდ ტოტებგაშლილ ასწლოვან ხესთან შეიყუუნდნენ. ლიზიკო კი ცას შესცეროდა, გაშლილი ხელებით წვიმის დაჭრას ცდილობდა, დახტოდა და ხმამაღლა გაჰკიოდა:

– წვიმა მოდის შხაბუნა და ასარებს ბუნებას!

– მერე გამოიქცა და ბაბუას იღლააში შეუძვრა,

– ბაბუ ზევით აიხედე, ნახე როგორ თრთიან ფოთლები, როგორ კანკალებენ შიშისგან, ჩვენ გვიფრთხილდებიან, რომ არ დავსველდეთ და არ გავცივდეთ?

მეტყველების უნარდაკარგულმა, გრძნობამორეულმა ბაბუამ ხელები მაგრად მოხვია პატარებს და გულში ჩაიკრა. კიდევ ერთხელ იქტას და თქეშიც შეწყდა, კანტიკუნტად ცვიოდა წვიმის წვეთები. მზემაც გამოაჭყიტა, ბავშვები ისევ დაუსხლტნენ ბერიკაცს, მზენაფერებ წვიმის წვეთებს უშვერდნენ ხელებს და კისკისებდნენ.

– ბაბუკელებო, ასეთ დროს იტყვიან, მზე პირს იბანსო.

– მზე პირს იბანს! მზე პირს იბანს! – იცინიდნენ პატარები, დარბოდნენ და სველი ხელებით თვალებზე ჩამოშლილ, განუწულ თმებს ისნორებდნენ.

გულაჩუყებული ბაბუა შვილიშვილებს შესცეროდა და თვითონაც ხარობდა, თითქოს შორეულ სიყრმებში დაბრუნდაო.





პახა ცაბაძე

ჩემი ვეფრენა

ამ ცხოვრებამ თუ დამადგა თვალი
და ეცადა დამავიწყოს ვალი,
ღმერთო ჩემო, არ წამართვა უნარი
წინაპართა ქცევის მოსაგონარი.

ამ ცხოვრებამ თუ დამადგა თვალი
და აწმყოში ამირია კვალი,
საქართველოს მომავალზე დარდო,
გევედრები, არ დამტოვო მარტო.

ჩემს ლამაზ დეფიკოს

დედა, მხოლოდ შენ იცოდი ამ ქვეყნად,
და იცოდი სულ ყველაზე კარგად,
არაფერი არ ყოფილა სიცოცხლე
ოჯახის და საქართველოს გარდა.



თახმანი



57



ემილი დიკინსონი

(1830-1886)

* * *

დიდმა ტკივილმა ასე იცის – გაუცხოება,
ნერვები სხედან შორეული ნაცნობების მკვდარი თვალებით,
გულს, ქვადნაქცევს სჯერა – არ სჯერა,
ნუთუ უფალმა აიტანა ეს ყველაფერი?

ფეხებს დაპყავხარ –
მათ იციან გზა, არ ეშლებათ.
შენ კი ვერა გრძნობ ფეხევეშ რა გაქვს,
მიწა, ჰაერი –
გული, ტკივილში გაყუჩებული, თავისთვის არის – კვარცის ნატეხი.

გინდაც გადარჩე, ტყვიასავით სიმძიმე მოგდრეკს...
და თუ დანებდი, გაყინული კაცის არ იყოს,
ჯერ შეგაციებს, მერე – ვეღარ გრძნობ საკუთარ სხეულს,
შემდეგ კი – უკვე სულ ერთია, რაც გინდა მოხდეს –





ლუის გაპნიშვილი

(1907-1963)

მზის შუქი ათოვს ბაღნარს

მზის შუქი ათოვს ბაღნარს,
ციფად ელვარებს, ავდრობს.
ვერ დავატყვევებთ ამ წამს,
გვქონდეს თუნდ ოქროს ბადე.
რაც ითქვა, ვეღარ წაშლი,
ნურც პატიებას ითხოვ.

თავისუფლება ჩვენი
სამანს ასკდება ხიშტის.
მინა გვიბრძანებს, ითხოვს,
ყავლი გასვლია სონეტს;
სულ მალე, მეგობარო,
ცეკვაც მოგიწევს მარტოს.

ვინ დაგვაცადა, თორემ,
რა ჯობდა ცაში ფრენას.
ცა ექაჩება თითქოს ტაძართა მძიმე ზარებს.
ბოროტი თესლი ახმობს, ახშობს განგაშის ზარებს.
მინა გვიბრძანებს, ითხოვს,
ვქრებით, ეგვიპტეც ქრება.

დანდობას ვინდა ელის,
გულიც ქვავდება უფრო.
სიხარულილა შემრჩა, შენთან ერთად რომ
შევხვდი ამდენ წვიმას და დელგმას.
მადლიერებაც მავსებს, რაკი ვიხილე თოვა
მზის შუქის ბაღის თავზე.



ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ქამუკაშვილეა



როსტომ ჩხეიძე

ს ლ ი ტ ე რ ი ნ ე

სარწყოთა ექიმებში არის გონიერებული ფრა-
ზა, პოსტკარტონთა ხანაში გადმოყოლილი, კონკურსთა
უმეტესობის ტენისტების რომ ამხელოდა:
პრემია მიიღო, მაგრამ ლაურეატი მარჯ ვერ გახდა...
„საგურამოს“ პრემიაზ და „ილიას მედალიზ“ წელსაკ-
კვლავინდებურად წადაყოფდა, რომ:
მისი მფლობელები ლაურეატები არიან.
ასე, მხოლოდ ასე თუ ვიქენით პირნაფელნი ილიას
სულის წინაშე.

რ. ჩხეიძე

59



ილიას ჯილდოს ახალი ლაურეატები

(12 სექტემბრის მადლი და ძალი)

— დღევანდელი დღე არის გლოვისაც და სიხარულისაც — 12 სექტემბერს ტრაგიკულად აღესრულა ილია ჭავჭავაძე და დაიბადა ილია მართალი, — ასე გახსნიდა ანდრო ბედუკაძე, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი და „ილიას ფონდის“ თავმჯდომარე, ტრადიციადებულ თავისურილობებს ამ შარავანდულ გარემოში და ტრადიციულადვე წინასწარ წარმოადგენდა ჩამონათვალს იმ პიროვნებებისა, რომელთაც 2023 წლის 8 ნოემბერს გადაცემათ „საგურამოს“ პრემია.

ვაჟა ხორნაული — ძალზე პოპულარული რომ გახდებოდა მინიმალისტური პოეზია, ეს პოეტი ნაკლებად ახსნდებათ ხოლმე ამ უანრობრივ თავისებურებაზე მსჯელობისას, არადა რამდენიმე ლირიკულ კრებულს გამოსცემდა ნაცეცა ლექსებისა, მოხდენილი, ელვარე სტრიქონი დასრულებულ პოეტურ ნიმუშად რომ წარმოგვიდგება, არც სიმახვილე რომ არ აკლიათ და არც დრამატიზმი, და სიამეს ჰგვრის მკითხველს იმ სინათლითაც და სიფაქიზითაც, რაც იმთავითვე მოსდევდა მის ლირიკულ ძიებებს.

თამაზ ხმალაძის რომანის სათაური „დროის მკვლელები“ თავისებური სიმბოლოა ჩვენი აჭრილი დროისა, საბჭოთა ეპოქაში ცხოვრების ნირსა და რიტმს რომ წარმოსახავდა, იქ ჩაკარგულ ადამიანთა გაუსაძლის ყოფას. საერთოდ კი მისი პროზა ლექსიკური სიმდიდროთაც იქცევდა ყურადღებას, ნოუერი, ხვავრიელი ენით, რაც მკვეთრად უპირისპირდება სნობურ გარემოში პატივდებულ ტენდენციას, ასაიტყვიანი მწერლები სულ უფრო რომ მოგვიმრავლდებოდნენ.

საერთოდაც თუ ვინმე იცავდა და იცავს თეორიულადაც ქართულ ენას თანადროულ მწერალთაგან, უთუოდ თამაზ ხმალაძეც — თავისი რადიოგადაცემის სერიითაც და ზოგიერთი ციკლის საფუძველზე აღმოცენებული წიგნებითაც, გიორგი გოგოლაშვილთან ერთად რომ მოამზადებდა.

ეკატერინე ტოლინიძე უკვე ის სახელია, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე ქართული პროზის რანგსა და მნიშვნელობას და ადასტურებს, რომ ჩვენი პროზაიკოსების მიღწევები სრულფასოვანი მონაწილე უნდა გახდეს დასავლური სამწერლო-კულტურული პროცესებისა, უჩვენდ რომ ალარც გაეძლებოდეთ. განსაკუთრებულად გახმიანდებოდა რომანი „შინ-შენ“, რომელიც ამ უანრის უკეთეს მიღწევათა შორის გვეგულება. საერთოდ რასაც ხელს მოჰკიდებს, ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით აღბეჭდავს, და ჩვენ რომ თეატრალური რეჟისორები გვყავდეს, უკვე დადგმულიც უნდა იყოს მისი ერთ-ერთი პიესა იმ სერიიდან, რომელთა საფუძველზეც თავისუფლად შეიძლება ამოიზარდოს პოლიტიკური თეატრი.

გია ხოფერია პროზაიკოსიც არის და პოეტიც, მაგრამ უხვად მოეპოვება კრიტიკულ-ესთეტიკური ესებიც და ამჯერად ლაურეატი სწორედ ამ დარგში გახდებოდა. საერთოდ მწერლები უკეთესად აფასებენ ლიტერატურულ პროცესებს, ვიდრე ნაფიცი კრიტიკოსები, უფრო მასშტაბურად, უფრო სიღრმისეულად, უფრო ექსპრესიულად, რითაც გამოირჩევა გია ხოფერიას ესთეტიკურ-მეცნიერული ძიებანიც. და აღსანიშნავია ისიც, განსაკუთრებით რომ პა-





ტრონობს ქუთათურ ახალგაზრდებს და ხელს უწყობს მათ შემოსვლასა და წინსვლას სალიტერატურო ასპარეზზე, უკვე არაერთი საგულისხმო კრიტიკულ-ესთეტიკური სტატიითა და ნარკვევით რომ მიიპყრეს ყურადღება მისმა გამოზრდილმა ლიტერატორებმა.

მედეა ზაალიშვილი უმნიშვნელოვანეს თხზულებებს აქცევდა ქართული ლიტერატურის სრულფასოვან ნაწილად, ჯერ მარტო უილიამ შექსპირის ტრაგედია „ტიტუს ანდრონიკუსი“ და პოემა „ვენერა და ადონისი“ რად ღირს, და კიდევ – უილიამ ბატლერ იეიტსის ლიროკა, დრამატურგია და პროზა, ტომას სტერნზე ელიოტის პოემა „უნაყოფო მინა“, უილიამ ფოლკნერის რომანი „სული რომ ამომდიოდა“, ქრესტომათიული ნიმუშები, თუ როგორ უნდა ამეტყველდეს ქართულად უცხოენოვანი ქმნილებანი ისე, რომ ქართველ მწერალთა დაწერილი გეგონოს. თვალისწინდამრეტილი კვლავაც აგრძელებს თარგმნას მოსმენილის მიხედვით და კიდევაც შესძენდა ჩვენს ლიტერატურას ტომას ელიოტის პოეტურ დრამას „კოქტეილის წვეულება“.

აკაკი დაუშვილი მათ შორისაა, ვინც ნამდვილ საბავშვო ლიტერატურას ჰქმნის თავისი მოთხოვნებითა და ზღაპრებით, და თავისი მხრივაც ადასტურებს ამ ნაკადის განსაკუთრებულობას, რადგანაც ყმანვილებს ჭეშმარიტი სულიერი საზრდო ესაჭიროებათ და არა მიამიტური საუბარი, ფუყე და ზედაპირული, რის ნაკლებობასაც არ განვიცდით. რთულია და მრავალწახნაგა ბავშვების სამყარო და იქითკენ გზაბილიკების გაკვალებას შესაფერისი ნიჭი განსაზღვრავს, უპირველესად კი ის ზომიერება და თანხმიერება, რაც ნიშანდობლივია აკაკი დაუშვილის საყმანვილო პროზისთვისაც.

მერაბ ჩუხუა არამარტო ჩინებული ენათმეცნიერია, არამედ ღრმა ლიტერატურული გემოვნებითაც დაჯილდოებული მკვლევარი, იმ უნარით, როთაც დიდად არ გამოირჩევიან ლინგვისტები, მცირე გამონაკლისთა გარდა. სამაგიეროდ ამ გამონაკლისთა ნაშრომები ამკვიდრებენ ენათმეცნიერთა მრავალმხრივობის აუცილებლობას სრულფასოვან კვლევის წარმართვისათვის, რადგანაც მხ-



როსტომ ჩხეიძე

ატვრული ქმნილება გარეგნულადაა ტექსტი, თორემ არსებითად ცოცხალი ორგანიზმია, ცოცხალ ორგანიზმს კი ცალმხრივად ვერ მიუდგები. ამასთან მერაბ ჩუხუაც მათ შორისაა, რომელიც მიზანსწრაფულად ცდილობენ კავკასიური მთლიანობის იდეის დამკაიდრებას ყოფით ცხოვრებაში, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხიდების გადებას კავკასიელ ხალხებს შორის.

გია ჯაფარიძის სკულპტურულ ნამუშევართაგან – კლასიკურისა და მოდერნიზმის ჩინებულ, მოხდენილ შერწყმად რომ წარმოგვიდგება – ძალდაუტანებლად წამოგვაგონდება მიხეილ თუმანიშვილის ქანდაკებაც, გალაკტიონის ხიდის „ლომებიც“ და ბარათაშვილის ხიდის „ახალგაზრდობაც“, რომელიც თავისებურ სიმბოლოდაცაა დატანებული ტურისტულ რუკებზე... მარჯვედ იყენებს შერეულ ტექნიკას და ჰქმნის დინამიურ, მეტყველ გამოსახულებებს, დამამშვენებელს ჩვენი დედაქალაქისაც.

„საგურამოს“ ლაურეატთა გარდა „ილიას მედლის“ მფლობელიც რომ გამოვლინდებოდა ქართული სულიერებული ღვაწლისათვის, წელს ეს პატივი მიეგებოდა **რობერტ გოგოლაშვილს**, რომლის დამსახურებაც ქართული სიმღერის განვითარებისათვის, უპირველესად მაინც ჩვენი მუსიკალური ფოლკლორის გადასარჩენად და მოსავლელად გამორჩეულია, და არაერთი ანსამბლის ჩამოყალიბებაში რომ მიიღებდა მონაწილეობას, განსაკუთრებით მაინც იზრუნებდა ყმანვილთა მუსიკალურ აღზრდაზე.

საბჭოთა ეპოქაში არსებობდა პარადოქსული ფრაზა, პოსტსაბჭოთა ხანაშიც გადმოყოლილი, კონკურსთა უმეტესობის ტენდენციურობას რომ ამხელდა:

პრემია მიიღო, მაგრამ ლაურეატი მაინც ვერ გახდაო!..

„საგურამოს“ პრემიაც და „ილიას მედალიც“ წელსაც კვლავინდებურად ცხადყოფდა, რომ:

მისი მფლობელები ლაურეატებიც არიან.

ასე, მხოლოდ ასე თუ ვიქნებით პირნათელნი ილიას სულის წინაშე.



გაყვალა მიერაძე

პოეტმა ახალი ულერაფორმა მიხედა მაღალ საკაურაზრიო იდეალურმა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისა, მაღალ ფონზე გათავაროვა ამოუწურავი გამომსახულო- შითი შესაძლებლობრივი ლიტერატურის რჩეულობა წილი მშომლიური ენისა, ხიბლი და შინაათლისორივი ტევადობა წინაპრთა გულის ხითონი დამსუბული ქართული სი- ტყვერისა. ნატიფი ულერაფორმისა და ლომა განწირის გა- მომსახული მისი ლექსები წაკითხვისთანვე იყავებენ ლირულ ადგილს მკითხველის გულსა და გონერაში.

მ. მიქელაძე

61



ეართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატის –

გურთაზ ნაკუდაშვილის –

ლექსის სამყარო

ქართველი ხალხის მდიდარ ლიტერატურულ საგანძურს უმშვენიერესი ნაკადი შეემატა ნიჭი- ერი თუში პოეტის – მურთაზ ნაკუდაშვილის – მხატვრული მემკვიდრეობის სახით. მწერალმა თანამედროვე პოეტურ სამყაროში სათქმელის სიტყვიერი გამოხატვის ახალი, დამოუკიდებე- ლი მოდელი შემოიტანა, შთამბეჭდავი თავისი ინდივიდუალობითა და მაღალი შინაარსობრივი ტევადობით; მარადიული თემა ხელოვნებისა – ადამიანი – მისი ლექსის პალიტრაზე წარუშლე- ლი ფერებით აისახა.

პოეტმა ახალი ულერადობა მისცა მაღალ საკაცობრიო იდეალუბს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისა, მაღალ დონზე გაასა- ჯაროვა ამოუწურავი გამომსახველობითი შეს- აძლებლობანი ღმერთების რჩეულად ცნობილი მშობლიური ენისა, ხიბლი და შინაარსობრივი ტევადობა წინაპართა გულის სითბოთი დამუხ- ტული ქართული სიტყვებისა. ნატიფი ულერა- დობისა და ლრმა განცდის გამომხატველი მისი ლექსები წაკითხვისთანვე იყავებენ ლირსეულ ადგილს მკითხველის გულსა და გონერაში.

მურთაზ ნაკუდაშვილმა ადრეულ ასაკში შეაღო პოეზიის კარი: VII კლასის მოსწავლე იყო, მისი რჩეული ლექსები ახმეტის რაიონულ გაზეთში რომ იძეჭდებოდა. ასაკთან ერთად ნი- ჭიერებამაც ბოლომდე იჩინა თავი; ამიტომ იყო, რომ სტუდენტობის პერიოდში გაზირ „ლიტ- ერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გა- მოქვეყნებული ლექსებით ის უკვე მთელმა საქართველომ გაიცნო და მალე 60-იანელების სახელით ცნობილი ისეთი პოეტების თანა- გუნდელი გახდა, როგორებიც იყვნენ: გოგლა

ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი, ირაკლი აბაშიძე, მურმან ლებანიძე... იგი ერთ-ერთი ლიდ- ერთაგანი იყო ამ უსაჩინოესი ლიტერატურუ- ლი თაობისა. სამწუხაროა, რომ სწორედ აქ, დიდების მწვერვალზე ასულს, უმუხლა ბედმა უკვე ცნობილსა და საქვეყნოდ აღიარებულ პო- ეტის: რიგ უსიამოვნო მიზეზთა გამო 1962 წელს რუსეთში გადავენა მოუხდა მას.

მტანჯველი უცხოობიდან სამშობლოში ნახევარი საუკუნის შემდეგლა დაბრუნებული უკვე ასაკოვანი მურთაზ ნაკუდაშვილი თავ- იდან იწყებს სამწერლო მოღვაწეობას და 2019 წელს ლექსების პირველ კრებულს აქვეყნებს „დავიგვიანეს“ სახელწოდებით. წიგნს შესავ- ლის მაგიერ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის მოკლე გამოხმაურება ერთვის. გაზირი თბილი სიტყვებით შეეგება მის ფურ- ცლებზე 50 წლის წინ გამოქვეყნებული საჩინო ლექსების ავტორს და თანაგრძნობით დაულო- ცა გზა სამომავლო მოღვაწეობისაკენ.

„მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ ელ- ირსა მშობლიური ცის ქვეშ დაბრუნება — ბე- დის ირონით უცნობ პოეტად.

დღეს, ასეთი მძიმე და ხანგრძლივი ან- ტრაქტის შემდეგ, ბატონი მურთაზ ნაკუდაშვი- ლის ლექსებს კვლავ ელირსათ მზის შუქი.

კეთილი იყოს უკვე მხცოვანი პოეტის შე- მოსვლა ქართულ პოეზიაში“, — კვითხულობთ წიგნის თავფურცელზე დართულ გამოხმაურე- ბაში.

კრებული ლექსებისა „დავიგვიანე“ თავ- ისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე ღიად გაცხა- დებული მობოდიშებაა მხცოვანი პოეტისა სხვა-





გან დაკარგული წლების გამო, მოძმეთათვის გაზიარებული წრფელი, ტკივილიანი განცდაა. გულში ჩამწვდომია ავტორის მიერ წიგნს ნამძღვარებული წიგნისავე სახელწოდების ლექსის ყოველი სიტყვა და სტრიქონი. დავიმოწმებთ სათანადო მონაკვეთს ლექსიდან:

„რამდენი წელი

არ მენახეთ, სამშობლოს
მთებო,

საჯიხვეებო,
მიწავ ჩემო, ვალში ვარ
შენთან!

ჩანჩქერო,

კლდეზე ჩამოშლილო
ქალღმერთის თმებო,
ენით უთქმელო სილამაზევ,
დიდება შენდა!“
(„დავიგვიანე“)

უცხოობაში გატარებული ხანგრძლივი დროის გაუსაძლისი ტკივილი დარჩენილი გასავლელი წლების მანძილზე მუდმივად თან სდევს სამშობლოში დაპრუნებულ პოეტს. ამის შესახებ ხშირად ისმის ჩივილი მის გულწრფელ სტრიქონებში:

„მე სამშობლოდან ვიყავ დევნილი
და ეს ტკივილი დღემდე არ მორჩა,
ბევრი ოცნება აუხდენელი
ქარის წისქილებს ფრთებზე შემორჩა“.
(უსათაურო)

მართალი უთქვამთ, პოეზია უმოკლესი გზაა მკითხველის გულისა და გონებისაკენ. საამისოდ პოეტის სიტყვა ისე ღრმად უნდა იყოს დატვირთული ამაღლებული ხილვებით ყოფითი რეალობისა, რომ წაკითხვისთანავე იმკიდრებდეს სათანადო ადგილს მკითხველის გულსა და გონებაში, აღძრავდეს ულამაზესსა და უნატიფეს განცდებს უკვე ნახული თუ ჯერ კიდევ უხილავი სანეტარო სამყაროსი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „დაგვიანებული პოეტის“, როგორც ამას თვითონ უწოდებს თავისითავს მურთაზ ნაკუდაშვილი, ყოველი პოეტური ქმნილება ბოლომდე პასუხობს მკითხველის ასეთ უშედავათო მოთხოვნებს, იდეურად დახვეწილია და მაღალ მხატვრულ დონეზე გაფორმებული. თვალსაჩინოებისათვის დავიმოწმებთ ლექსს მისი ადრინდელი ნაწერებიდან:

„ლეკური ნაბდით შემოდის ღამე,

მიირნევიან ნისლები ხევში,

სუნთქვა შეეგრათ პირლია ხრამებს

კლდეთა მკლავებში მდინარე ხვნეშის.



მაყვალა მიძელაძე

სადღაც ჩანჩქერთა ჩამოჰკრეს
თარებს,

მდუმარე ქედებს დუმილი ეც-
ვათ,

მთამ მოიქნია ფერმკრთალი
მთვარე

და ლავაშივით გააკრა ზეცას“.

(„შემოლამება დალესტნის
მთებში“)

ავტორის საამაყოდ უნდა
ითქვას, რომ მის ყოველ პოეტურ
ქმნილებაში ახალი, თანამოკალ-

მეთაგან აშკარად განსხვავებული
ლამაზი და ორიგინალური ხილ-
ვებია სამყაროსი გასაჯაროებული; ლექსების
სტრიქონებში გაცნობიერებული შთამბეჭდავი
ხედვა გარემოსი თუ საერთოდ ყოფიერები-
სა წამიერად პოეტის განცდების თანაზიარად
აქცევს მყითხველს. ზემოქმედების ასეთი საო-
ცარი ძალის ხატოვანი სურათები ხშირად ფიგ-
ურიებს მურთაზ ნაკუდაშვილის შემოქმედე-
ბაში. მაგალითებად სტრიქონებს მოვიტანთ
ლექსებიდან:

— „მზის კოცნით დამსკდარა კვირტების
ბაგე“...

— „კლდეთა მკლავებში მდინარე ხვნე-
შის“...

— „ქომიტო მის ფერხთან დაჩოქილ მთებს
ზვერავს“...

— „ხორხებში ზვავების ნახირი დაყრილა“...

— „ღრუბლის ნაფლეთი მიჰქონდა ორ-
ბებს“...

— „ალაზნის ველი ძირს დაფენილი ტილოა
მხატვრის“...

— „საყორნის მთაზე ხავსმოდებული ბილი-
კი გდია“...

მარადიული და გაუხუნარი თემა პოეზიისა

— სიყვარული — ახალი, ულამაზესი ფერებით
აისახა მურთაზ ნაკუდაშვილის შემოქმედებაში.
თავისი რჩეულისადმი ლექსებში გაცხადებუ-
ლი სულიერი განცდა შეყვარებული პოეტისა
იმდენად წმინდაა და ამაღლებული, რომ მას
სილამაზისა და სიმტკიცის ხატად შერაცხული
შურთხები ანანავებენ ფრთებზე მთების მიუ-
ვალ ჭიუხებში. ასე გამოხატავს სიმბოლურად
ძალიან მოკლედ თავისი გრძნობის სიღრმესა
და ძალას დამოწმებული სტრიქონების ავტორი:

„გადავაქოთებ

მაღალ ჭიუხებს,

თან გავიყოლებ ფრთამალ არწივებს,

კლდებზე შურთხებს გავეკიდები,

ჩემი ფიქრი რომ ფრთებზე არწიეს“.

(„ჩემო თავლშურთხავ“)



პოეტის განწყობა სათაყვანო მიჯნური-
სადმი იმდენად ღრმაა და ფაქტი, რომ განც-
დის ცალმხრივობის ანუ სიყვარულის უპასუხ-
ოდ დატოვების შემთხვევაშიც კი გულწრფელ
თანადგომას ჰპირდება და მზადყოფნას უცხა-
დებს, მალამოდ დაედოს მისი მომავალი ცხ-
ოვრების ყველა შესაძლო ტკივილს:

„მე შენს თვალებზე
ცრემლს ვერ ავიტან,
შენ დაიფარე, ღმერთო მაღალო!
შენს ტკივილებსაც მე გადმოვიტან,
მე დაგედები გულზე მაღალოდ“
(„შენ დაიფარე, ღმერთო მაღალო!“)

„ყველა შემოქმედი უფლის შეგირდია,
როცა თავის სამყაროს აგებს“, – წერს ცნო-
ბილი პოეტი ოთარ ჭილაძე. ეს ბრძნული გა-
მონათქვამი თამამად შეიძლება მივუსადაგოთ
მურთაზ ნაკუდაშვილის მთლიან პოზიას. მას
თავისი საკუთარი სამყარო აქვს, განსხვავებუ-
ლი პოეტური ხედვით აღქმული და დახატული
– ეს საქართველოა, მისი თავდავიწყებამდე
საყვარელი და საფიცარი სამშობლო, თავისი
ულამაზესი ბუნებითა და ადამიანად ყოფნისა
თუ სიკეთისა და მაღლის ქმნის თავისივე საა-
მაყო შინაგანანერსით.

პოეტს სულ სხვადასხვა, ერთმანეთზე
უფრო შთამბეჭდავი კუთხითა და ფერებითა
აქვს გაცნობიერებული და დახატული მშობლი-
ური ქვეყნის ნაირფეროვანი ბუნება და სამოთხ-
ისდარი სილამაზე. ბუნების ასეთ მრავალსახ-
ეობასა და მომხიბლავობას განცვიფრებამდე
მიჰყავს ხშირად თვითონ ლექსების ავტორი,
რასაც ის მკითხველისადმი მიმართული გულ-
წრფელი შეკითხვით გამოხატავს:

„რა ძალამ შეძლო,
ვინ შეაფრევია
ციცინათელა ზეცას ამდენი?
ამ ცას და მინას სამოთხე ჰქვია,
სიკეთისა და მაღლის ჩამდენი“.
(„ამ ცას და მინას სამოთხე ჰქვია“).

ყველაზე დიდი ამქვეყნიური ღირებულება
ლექსების ავტორისათვის, როგორც ყოველი
ლირსეული ადამიანისათვის, მამულს ანუ სამ-
შობლოსა აქვს. პოეტი კიდევ და კიდევ უბრუნ-
დება მშობლიური ქვეყნის განუზომელი სიყვარ-
ულისა და მისთვის გამორჩეული ერთგულებით
მსახურების თემას, სიამაყით ყვება რეალობას
იმის შესახებ, რომ, ბედუულმართობით საქა-
რთველოდან დევნილი, მტანჯველი უცხოობის
მძიმე პირობებში მთელი ნახევარი საუკუნის
მანძილზე სულის ტაძარში უნთებდა სანთელს
სამშობლოს და გულმხურვალედ ლოცულობდა
მისი კეთილდღეობისათვის:

„ერის ტკივილი
გავითავისე,
ლოცვით ვიწყებდი მამულზე სათქმელს;
როგორც შემეძლო, გიმდერე ისე,
სულის ტაძარში გინთებდი სანთელს“.
(„ლოცვით ვიწყებდი მამულზე სათქმელს“)

დევნილობიდან დაბრუნებული მურთაზ ნა-
კუდაშვილი თავიდან, ანუ კიდევ ერთხელ თავ-
განწირული მსახურების მტკიცე ფიცს აძლევს
მშობელ ქვეყანას და უცხადებს მზადყოფნას,
უსინაულოდ შეენიროს მტრისაგან მისთვის
ნასროლ ტყვიას:

„შენ მსახური ხარ
შენი ხალხისა,
მშობელი ქვეყნის პოეტი გქვია,
თალე ჩინგური უთხოვრის ხისა,
მამულზე ნასროლს დაუდექ ტყვიას“.
(„პოეტი“)

სამშობლო თითოეული ჩვენგანისა ქვეყნის
იმ უბე-კალთებიდან იწყება, სადაც დავიბადეთ
და ფეხი ავიდგით, სადაც შევისწავლეთ ცის-
არტყელას სანეტარო ფერთა გარჩევა. მურთაზ
ნაკუდაშვილის საქართველო თუშეთიდან იწყე-
ბა, ფერცხალა კალთებიანი ულამაზესი მთების
საუფლოდან და განუზომელი სიყვარული მისი
თანა აქვს გამოყოლილი. პოეტი გამორჩეული
თაყვანისცემით უმღერის თუშეთს და გაცნობი-
ერებული სიამაყით ხატავს მის გოროზ მთებსა
და ციცაბო კლდეებს:

„არწივთა შესაფრენ კლდეების პირას
ჩემი სამშობლო – თუშეთი – ყვავის,
მნახველს სიტურფის ბურანში სძირავს
სტუმრის სავალზე დააფენს ყვავილს“.
(„მოდი, იხილე მთების მშვენება“)

ლექსებში პოეტს კიდევ და კიდევ, ახალი
და საინტერესო ხედვითა აქვს დახატული და
მყითხველის ნინაშე წარმოდგენილი მშობლიუ-
რი თუშეთის გამორჩეულად ლამაზი და განუ-
მეორებელი ბუნების სურათები; ავტორს სახ-
ობტბოდ განაწყობს მისი ყოველი კუთხე და
კუნჭული. ასეთია, მაგალითად, მონაკვეთი უს-
ათაურო ლექსიდან:

„ბორბალოს თავზე
ნისლი ჰკიდია,
თუში მეცხვარის თექის ნაგლეჯი.
ღრუბლები რწევით სადღაც მიდიან,
თვლემენ ქოხები სიპით ნაგები“.
მურთაზ ნაკუდაშვილის მდიდარი შემო-

ქმედებითი ფანტაზია ყოველთვის პოულობს
საყრდენს, რათა მთლად განსხვავებული, უფრო
და უფრო შთამბეჭდავი ხედვით წარმოადგინოს
ყოველი ახალი გასაჯაროვებული კუთხე თუშე-
თისა.





ასე, მაგალითად:

„ქუმელაურთა
ნისლჩახვეული
მისჩერებია უძირო ზეცას,
სალ კლდებიდან ჩამოხეული
ხევებს ჩრდილების სუდართა ეცვათ“.
(„ქუმელაურთა“).

ცნობილია, რა როლს თამაშობს ბუნება ანუ ლანდშაფტი მის გარემოში მცხოვრები ადამიანების ფიზიკური თუ ზნეობრივი ფორმირების თვალსაზრისით. ამის შესახებ ღიად მოძღვრავს მკითხველს ცნობილი გერმანელი პოეტი და ფილოსოფოსი – ნოვალისი:

„არსებობენ სულთა და სამშვინველთა გარკვეული სახეობანი, რომლებიც მკვიდრობენ ხეებში, ლანდშაფტებში, ქვებში, სურათებში. ლანდშაფტი უნდა შეიგრძნო, როგორც რაიმე სხეული. ყოველი ლანდშაფტი არის იდეალური სხეული განსაკუთრებული სახეობის სულისათვის“.

გერმანელი ფილოსოფოსის ამ ბრძნულ მსოფლხედვას თავისი ლრმა შინაარსითა და დახვეწილი ქლერადობით ზედმიწევნით ესადაგება კავკასიონის ცადანვდილი მთების უმშვენიერეს კალთებზე გაზრდილი და დავაუკაცებული მურთაზ ნაკუდაშვილის ლექსების ყოველი სტრიქონი; ამასვე მოწმობს დღემდე შემორჩენილი ფიზიკური გამძლეობა და სულიერი მხნეობა ხანგრძლივსა და მტანჯველ უცხოობაში მრავალ ჭირ-ვარამგადანახადი, უკვე ხანში შესული ჭარმაგი პოეტისა. მშობლიური გარემოს ამ განუზომელი ამაგის შესახებ მადლიერების ლრმა გრძნობით წერს მურთაზ ნაკუდაშვილი:

„სამშობლოს მთებმა ჩამიდგეს
მუხლებში ძალა მთებური
და სიყვარული მამულის
გულს ცეცხლად შემონთებული“.
(„ერთი პატარა თუში ვარ“)

უმშვენიერესი ბუნების წიაღში გაზრდილი პოეტი განსაკუთრებულ სიახლოვეს განიცდის თავისი ქვეყნის ყველა კუთხესა თუ კუნჭულთან, სულიერსა თუ უსულო საგნებთან; უღრმესი სიყვარულის განცდით უმღერის ყველასა და ყველაფერს: ქალაქესა თუ სოფელს, მთას, კლდეს, ხევსა თუ მდინარეს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ადგილს ბუნებრივად იკავებს ალაზანი, რომელსაც ეძღვნება მგზნებარესტრიქონები:

„თენდება,
ბინდში მზე თვალებს ახელს,
მთა ჩახვეულა ნისლის ქამანდით
და ალაზანი მშობლიურ კახეთს
არტყია, როგორც ვერცხლის ქამარი“.
(„ქართულო მიწა“)

ლექსების ავტორისათვის დამახასიათებელი მაღალი ჰუმანიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი გულთბილი დამოკიდებულება უსულო საგნებთან, გაცნობიერება და გულთან ახლოს მიტანა მათი „ყოფიერი“ პრობლემებისა. ამ მხრივ გამოიჩინა ლექსი „ხე შველას ითხოვს“. ლექსი ეძღვნება უამინდობით გასახმობად განწირულ ხეს, რომელსაც ნახევრად გამხმარი ფოთლების ჩრდილი უკვე „ძველ მანდილივით ეფინა ქვეშ“. მძიმე გასაჭირში ჩავარდნილი ხე ცისკენ ტოტებანვდილი შველას ითხოვს ჩუმად და უხმაუროდ. პოეტს გულს უფორიაქებს ხის უხმო მუდარა და განგებისადმი მიმართული გულწრფელი თხოვნით ცდილობს, დაიხსნას ის თავს-დატეხილი მტანჯველი განსაცდელისაგან:

„ცაო, ისმინე უხმო მუდარა,
ბეწვზე ჰეკიდია ერთი სიცოცხლე,
გთხოვს, წვიმის მეტი არა უნდა რა,
რარიგ სწყურია, ნეტა იცოდე“.
(ხე შველას ითხოვს“.)

პოეტს სწამს, რომ საქართველოს უმშვენიერესი ნაირფეროვანი ბუნება პიროვნული დიდსულოვნებისა და კეთილშობილების სავალდებულო მოთხოვნას უყენებს თავის წიაღში გაზრდილ ნებისმიერი პროფესიის ადამიანს, ქალსა თუ კაცს, დიდსა თუ ბატარას. მშობლიური ქვეყნის სწორედ ამ ღვთაებრივსა და ლრმა შინაარსის მოთხოვნაზე ამახვილებს ლექსებში ყურადღებას პოეტი. მისი ბრძნული შეგონებების გრძელი რიგიდან შემდეგს დავიმოწმებთ:

– „ადამიანებო,
ერთმანეთს გაუფრთხილდით,
სიცოცხლე ძალიან პატარა მინდორია,
ისეთი პატარაა, უცბად გადაირბენ,
იქ დასასრულია, დგება დრო, მიდიხარ“.
(უსათაურო)

საკუთარი მრავალწლიანი მძიმე ცხოვრების გამოცდილებას მურთაზ ნაკუდაშვილი წრფელი გულით უზიარებს მკითხველს, ცდილობს, აარიდოს ისინი ადამიანურ ურთიერთობათა რთულ გზაზე მოსალოდნელ სერიოზულ შეცდომებს. პოეტი დაბეჯითებით ქადაგებს აზრს იმის შესახებ, რომ ქვეყნად ყველაზე დიდი მოვალეობა ადამიანისა სიკეთის მსახურებაა. მისი ლრმა რწმენით, პიროვნება, რომელიც შეენინაალდეგება ბოროტებას და თავის სავალ გზაზე მხოლოდ სიკეთეს დათესავს, აუცილებლად გამარჯვებული დარჩება ცხოვრებაში:

„თუ შენს გარშემო
სიკეთე თესე
და ბოროტება არ გაიკარე,
მოჭირნახულეს, მხვნელსა და მთესველს



ცხოვრება ფართოდ გაგილებს კარებს“.
(უსათაურო)

მურთაზ ნაკუდაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მშობელი ხალხის კეთილდღეობისა თუ ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის საკითხებს. მას მძიმე სულიერ განცდას ჰქონის სამშობლოში რეალიზებული გაუსაძლისი სოციალური ყოფა ხალხისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით არსებული არასტაბილური ვითარება. პოეტი სასოებით ეძებს ამ რთული პრობლემური საკითხების გამოსწორებისა და გადაწყვეტის გზას. შთამბეჭდავია თანამედროვეობის ამ საჭირობოებით საკითხების შესახებ თანამომმეთადმი მისი ტკივილიანი მიმართვა:

„მამულს გვართმევენ,
რწმენას გვინგრევენ

დღემდე სისხლით და ცრემლით მოტანილს,

ერთმანეთსა ვჭამთ, ვხოცავთ ეგრევე·
ხალხო, ისედაც დავრჩით ცოტანი“.

(„როდემდე გზიდოთ, ბოლმავ და ჯავრო?!”)

ლექსებში პოეტი ისევ და ისევ უბრუნდება ქვეყნის ღირსების დაცვისათვის საჭირო თავდადებული მსახურების თემას, მძიმე საგონიერებლში აგდებს თანამედროვეობის არასტაბილური სოციალურ-პოლიტიკური ყოფა და ცდილობს, გადაარჩინოს მშობელი ხალხი და ქვეყანა მტარვალთაგან თავზე მოხვეული გაუცხოვების საშიშ განსაცდელს. შექმნილ მძიმე სიტუაციაში საჭირო სულიერი მხენეობის საყრდენს ლექსების ავტორი ქვეყნის გმირულ წარსულში პოულობს. ამიტომაა, რომ თანამედროვეობისათვის საჭირო თავდადებული მსახურების მაგალითისათვის გმირი წინაპრების ღვანლსა და ამაგზე იღებს ორიენტაციას:


„მიაყურადე,
დიდგორის მხრიდან

შენი წინაპრის ძახილი ისმის,
ისმის ბეგთარზე ხეთქება ხმლისა,
წივილი მტერზე ნასროლი ისრის.

ვინც ბრძოლის ველზე
ნახმლევი იწვა,
ის პირნათელი კვდებოდა ერთან.

თუ მტერს დაუთმობ მშობლიურ მიწას,
არა ხარ ღირსი, ქართველი გერქვას!“
(„არა ხარ ღირსი, ქართველი გერქვას!“)

ბუნებრივია, რომ ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში თვითონ ავტორის სულიერი სახე იკითხება ქვეცნობიერად სხვადასხვა კუთხით გამოხატული, მისი ფიქრი და ოცნებაა წარმოჩენილი თავისი ქვეყნისა თუ ზოგადად ადამი-



მურთაზ ნაკუდაშვილი

ანთა მთლიანი სამყაროს უკეთესი აწმყოსა და მომავლის შესახებ, განსჯა და განხილვაა ფართო მასშტაბის საზოგადოებრივი პრობლემებისა.

მრავლისმეტყველია აღნიშნული თვალსაზრისით მურთაზ ნაკუდაშვილის ბოლო დროს გამოქვეწნებული უსათაურო ლექსი, რომელიც თანამედროვეობის ზოგადსაკაცობრიო ტკივილებს ეძლვნება. პოეტი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი თანმდევი ყოველდღიური ოცნება დედამიწაზე ადამიანთა საყველთაო ბედნიერების ხილვაა, რეალობა კი მთლად საპირისპირო მიმართულებით ვითარდება. სწორედ ამიტომ კაცობრიობა უდიდესი პრობლემის წინაშე დგას: ძალიან სწრაფად, დროის დაუკარგავად „სამყაროს ტკივილს უნდა მიხედვა“. დავიმოწმებთ ლექსს მთლიანად:

„ეს დედამიწა

თუ მართლა ბრუნავს,

ნაღმა კი არა, უკუღმა ბრუნავს;

ამდენ გარეწრის რომ იტანს ბუნავს,

ნაღმა როდისღა დაიწყებს ბრუნავს?

როდის შეიგრძნობს,

როდის მიხედება,

ამქვეყნად დიდი ცოდვა ტრიალებს,

სამყაროს ტკივილს უნდა მიხედვა,

სანამ ბოლომდე გაატიალებს.

დედამ მიწავ,

იბრუნე, მაგრამ...

იბრუნე, მაგრამ უხმე სამართალს,



მაშინ უარყოფ ჯოჯოხეთს ამგვარს,
როცა გაარჩევ მტყუანს და მართალს".
(უსათაურო)

ადამიანთა კეთილდღეობის მსოფლიო
მასშტაბით შერყეული მდგომარეობა მურთაზ
ნაკუდაშვილის ლექსების მტკივნეული თემაა
და სხვადასხვა დროს მას ხშირად უბრუნდება
პოეტი.

მხცოვანმა პოეტმა ხატოვანი სიტყვით
აზრის გასაჯაროვების ახალი, შთამბეჭდავი
მოდელი შემოიტანა ქართულ პოეზიაში, მომხ-
იბლავი თავისი ინდივიდუალობითა და ღრმად
განსჯილი ზოგადსაკაცობრიო იდეალებით.
არაა შემთხვევითი, რომ პოეტური სიტყვის დი-
დოსტატმა საგანგებო ლექსით სცადა სიტყვის
გამომსახულობით შესაძლებლობათა თავმოყ-
რა ერთად და ამ გზით მათი პერსონიფიცირება.
მხედველობაში გვაქვს მურთაზ ნაკუდაშვილის
მიერ აღნიშნულ თემაზე შექმნილი უმშვენიერე-
სი პოეტური ქმნილება – „სიტყვა“, სადაც ღრ-
მად არის გაცნობიერებული და მყითხველის
წინაშე დიდი გამჭრიახობით წარმოდგენილი
კარგად ნათქვამი სიტყვის ზემოქმედების ძალა
და ხიბლი. ლექსში ორიგინალურია და ძალიან
შთამბეჭდავია სიტყვის ზემოქმედების შესაძ-
ლო მასშტაბების შეთანაბრება ვულკანის ამოხ-
ეთქვის ძალასთან, თავისებური გაპიროვნებით
„ვულკანის ამოხველებას“ რომ არქმევს პოეტი:
„სიტყვა გულიდან ამოვარდნილი,
განცდა, ამბოხი და გახელება,
ძლიერი, როგორც შემოსვლა დილის,
როგორც ვულკანის ამოხველება“.
(„სიტყვა“)

პოეტს დიდი სიყვარულითა და ფართო დი-
აპაზონით აქვს წარმოდგენილი კარგი სიტყვის
ძალა და მადლი, სიამაყით ჩამოთვლის კარგად
ნათქვამი და ასევე კარგად გაგებული მართალი
სიტყვის სახეებსა და მათი მსმენელზე ზემოქ-
მედების სფეროებსა:

„სიტყვა მართალი,
სიტყვა კაცური,
სიტყვა შემრიგე მოსისხლე მტერთა,

ძმობა, ერთობა სიტყვით დაცული,
საერთო მტერზე კვეთება ერთად“.

პოეტი წერს იმის გამო, რომ მართალი სი-
ტყვის დიდი სიკეთისაგან განსხვავებით, ცუდ
სიტყვას, ან ცუდად გაგებულსა თუ მცდარ-
სა და ღალატით გაჯერებულ სიტყვას შედეგი
ყოველთვის სავალალო მოსდევს, ამიტომაც
აფრთხილებს მკითხველს:

„თუ გაგვიმრავლდა
სიტყვის გამტები,
თუ კაცურ სიტყვამ ფასი დაკარგა,
ველარ გვიშველის ლოცვა გამჩენის
ვერ დაგვიფარავს უფლისა კალთა“.


მართალი იყო ფრანგი პოეტი და ფილოსო-
ფისი პოლ ვალერი, როცა წერდა, რომ:
„მწერლობა მხოლოდ მაშინაა საინტერესო,
როცა ის ინვევს სულის ზრდას“.

ეცნობი ნიჭიერი თუში პოეტის ზუსტი რით-
მითა და ჰარმონიული რიტმით გაწყობილ ღრმა
შინაარსიან ლექსებს, შორსნიშნიან სიტყვებსა
თუ წინადადებებს და წაკითხვისთანავე სიკე-
თისა და სილამაზის მწერლისეული სამყაროს
ბინადარი ხდები.

იმედია, მურთაზ ნაკუდაშვილის წრფელი
გულითა და მაღალი მწერლური ოსტატობით
ნაძერწი ლექსები არდავიწყებას საუკუნოვან
დარაჯად დაადგება მილევადობის მძიმე სტა-
დიაში მოქცეული თუში ხალხის გმირულ ისტო-
რიას; გაასაჯაროვებს და უკვდავყოფს საქართ-
ველოს სასაზღვრო ზოლზე ათასეული წლობით
ქვეყნის თავისუფლების ერთგულ დარაჯად
მდგარი მშობელი ხალხის ურყევ რწმენას იმის
შესახებ, რომ:

„სიცოცხლე ღირსებაზე მეტი არაა!“...

ვუსურვოთ ამაგდარ პოეტს, მისი სახელით
კიდევ ბევრი რჩეული ლექსი შეემატოს ქა-
რთული პოეზიის მდიდარ საგანძურს; მალე
ექცეს მას რეალობად საფიცარი სამშობლოს
კეთილდღეობისათვის ნაფერები, ხანგრძლივი
მტანჯველი უცხოობისას „ქარის წისქვილის
ფრთებზე დარჩენილი“ ტკბილი ოცნებები.



ნინო დარბაისელი სტრინი

ამჟერთდ მე ძირითადად ჩემი პოეტური და მკითხველური შემთხვევის გაფიზიარება, რადგან როდესაც ამ ციტატა, თემატურ ანთოლოგიას ეწონონ, უადგილო ხდება ლექსმროდნეობითი განჩხრება-შეფასერბა.

აქ მთავარია აფხაზეთისადმი გამოვლენილი ის დიდი სიყვარული და მონაცერება, რომელმაც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ხსოვანის უკთხეში მყოფი პოეტური სულის ადამიანები ასე დააკავშირო.

მე ვიტყოფი, რომ ეს კორწული არის ქართული, დიდი თუ მწირე პოეტური ვარსკვლავებით მოჭედილი წა აფხაზეთის თავზე.

და უკლა ერთად მოვსრუროდეთ ჩვენი ქვეყნის განთიანება!

6. ფარმაციული

67



ვარსკვლავებით მოზედილი ცა აფხაზეთის თავზე

(ანონსი-გამოხმაურება კრებულისათვის „სადაც სახლი მელოდება“)

იდეის ავტორი – ბელა ალანია
გამომცემლობა „საარი“, თბილისი, 2023

შემდგენელი – სარედაქციო კოლეგია:
მაია მიქაია, ლია მეტრეველი, მარინა თექთუ-
მანიძე, ლია მიქაბერიძე და ჯუბა ღებული

მხატვარი – ელდარ ქავშბაია

სპონსორი – ნუკრი დიასამიძე

ლორთქო ფესვები კადნიერად გაჰკვეთენ ქვი-
ან ბალავარს და სარკოფაგის მრავალსაუკუნ-
ოვანი სიგრილიდან ისევ ამოგიზგიზდება, „ვით
ბაზმა უქრობელი – ჩვილი და უმწეო, სამარა-
დისო ხმა: „ძევას, სიცოცხლეო ჩემი!“

დავუბრუნდეთ ისევ წიგნს „სადაც სახლი მელოდება“. მთავარი, რის გამოც დამაეჭვა ამ
იდეის მართებულობამ, ის იყო, რომ ოფიციალ-
ურად, მთელი მსოფლიოს მიერ საქართველოს
სახელმწიფოებრივი საზღვრების შიგნით ალ-
იარებული აფხაზეთისადმი დამოკიდებულე-
ბა, ამ წიგნში პოეტურ ენაზე გამოვლენილი,
შეიძლებოდა, სულაც არ მომსახურებოდა დიდ
და რთულ, კეთილშობილურ საქმეს, სწრაფვას
ურთიერთნდობის, ურთიერთსიყვარულის ალ-
დგენისაკენ.

ხომ უკვე სამი ათეული წელი გავიდა ძმა-
თა შორის სისხლისმღვრელი იმ ომის შემდეგ,
მაგრამ არცერთ მხარეს გულის ჭრილობე-
ბი ჯერ არ მოშუშებია და ალბათ არც არას-
დროს მოუშუშდება, ვიდრე ისევ ერთად არ
ვიქნებით. ამას კი დრო და ფრთხილი შრომა,
სხვაც ცოტა რამ როდი სჭირდება.

ომში ანგელოზები იქნებ არსებობენ
კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ, ის ანგელოზები
გაოგნებულები, ფრთაშეტრუსულები დაფ-
რენენ და ისინი – მიწიერი მეომრები არ არიან.

უპირველეს ყოვლისა კი საჭიროა, სიყვარ-
ულის ხიდი, ხიდი ურთიერთთანაგრძნობისა,
ურთიერთშენდობისა – ახლიდან, ფრთხილად
გაიდოს ჩვენს შორის.

იყო და არის ასეთი ლოზუნგი „გვახსო-
ვდეს აფხაზეთიო“.

აქ ცოტა გადავუხვიოთ ჩვენი საუბრის
ძირითად თემას და გურამ ასათიანის წერილის
ფინალი გავიხსენოთ:

„ერთ მშვენიერ დღეს ბრონეულის

№5, 2023





რაკი მე არ მჯერა, რომ ვინწეს შეიძლება, მართლაც როდესმე დავიწყდეს იგი, ასე ვიტყოდი –

„გვახსოვდეს აფხაზეთთან ერთობა!“. ამას უნდა ვეს-ნრაფვოდეთ.

მთელი კრებულის თავიდან ბოლომდე გაცნობის ფუ-ფუნება – მე არა მაქვს. მასში 137 ავტორია გაერთიანებული. სრულიად სხვადასხვა მხარისა, სრულიად სხვადასხვა ასაკისა, სხვადასხვა ესთეტიკურ პოზი-ციაზე მდგომი... მათ ერთი რამ აკავშირებთ – ტკივილიან-სიყვარულიანი მონატრება აფხაზ-ეთისა. მძიმე მოგონებთა კვალი.

არაერთ მათგანს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ომის მთელი სისასტიკე, არაერთი მათგანი, დღეს რომ მგონი „იძულებით გადაადგილებულ პირად“ იწოდება და წლების მანძილზე ატარებდა დამღას ლტოლვილისა,

საკუთარი მძიმე ცხოვრებისული თავ-გადასავლის შესახებ გვესაუბრება ლექსად, ზოგი – მეომრულ მნარე გამოცდილებას იხ-სენებს.

კრებულის გამოსვლის ამბავი რომ შევი-ტყვე, სარჩევში ნაცნობი სახელები მოვიძიე – ჩემი სათვალმჩენოდან – პირველი სიდიდის ვარსკვლავები და წიგნის ელექტრონულ ვერ-სიაში უპირველესად ისინი მოვიძიე... თორემ დარწმუნებული ვარ, შიგ კიდევ მრავალი და იქნებ უკეთესი კონსტელაციებიც იყოს, რო-გორც დიდი პოეტი იტყოდა, „გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა მოკაშაშ-მოელვარეო“.

მივყვეთ ანბანთრიგზე!

ბუნებრივია, განსაკუთრებით მაინტერ-ესებდა, თავად ამ კრებულის იდეის ავტორი ბელა ალანია როგორი ლექსით მოინადინებდა მეითხველთა სამსჯავროზე ნარდგენას. უფრო ნეიტრალურ რაღაცას ველოდი, აი, ისეთს, ავტორი ბალანსირებულად ყველა მხარეს რომ უკმერეს და არ გამართლდა ჩემი წინასწარი მოლოდინი. სულ ერთი ლექსი შეუტანია – თუმცა შედარებით ვრცელი, ნარატიული ვერ-ლიბრი, იმ მნარე დღეთა გამოცდილებას რომ შეახსენებს საშინელებაგამოვლილ თანაგანმც-დელს თუ უზიარებს გარეშე, ახალ მკითხ-



60ლ დარპაისელი

ველს, მასში იმგვარი დინამიური სახე-მეტაფორებია, წარმოსახვას კარგა ხანს რომ გაუჭირდება მათ-გან განთავისუფლება:

შენ მოგუბებულ ცრემლს იკა-ვებ. მეც ძლიერ მიჭირს.

მოგონებები გვტანჯავენ და არ გვასვენებენ.

ჩვენს სახლში დღემდე, ამ წუთებშიც ცხოვრობენ სხვები. ზუსტად ის სხვები, მთლად ბაჟვებს რომ მოგვიკლეს დედა.

ბალათერ არაბულს ორი ლექსი შეურჩევია კრებულისათვის.

პირველი – მილიტარული გამოცდილების გამოძახილია:

ზღვა პატრონტაშივით არტყია გაგრას, გემები გვანან დასატენ პილზებს; აფხაზეთიდან გავდივართ, მაგრამ მალე დავბრუნდებით ისევ.

გარე ძალამ თავისი „მშვიდობისმყოფელი პოლიტიკის „წყალობით“ ძმები დაპირისპირებულ მხარეებად გვაქცია, ერთმანეთს შეგვაკლა. ჩვენ ერთმანეთს ვეომეთ, მაგრამ ომი ერთმანეთთან კი არა, ორივემ რუსეთთან წავაგეთ... თუმცა ვერც თავის დროზე და ვერც ასე გვიან ამისი გაცნობიერება ბევრს ვერაფერს გვიშველიდა.

ყველა უბედურებასთან ერთად, ომს აქვს თავისი ისტერია და ეს ისტერია შიგნიდან, მასში ჩართულ მხარეთა მიერ ვერ იმართვის, გარედან კი როგორ შეიძლება მისით სტრატეგიული მანიპულირება, ეს ხომ ვნახეთ!

მეორე ლექსში ასეთი სტრიქონებია:

ო აფხაზეთო, მოუშუშარი ჭრილობა ხარ საქართველოს ნატანჯ სხეულზე...

...დიდი რწმენაც ხარ –

შენი გულისთვის სიცოცხლე და თავგანწირვა

სიხარულს რომ გვანიჭებს ყველას...

ამის წამკითხავმა შუძლებელია, არ დაი-ჯერო, რომ საქართველო იარსებებს, ვიდრე ეს რწმენა ურყევად ექნება!



ეკა ბაქრაძის ლექსი აფხაზეთის ომში დაღუპულ თანატოლებს ეძღვნება. ძნელი დასანახი არაა, რომ იგი ხალხური ხმით ნატორლის ფორმობრივი ელემენტებითა და ინტონაციებითაა აგებული:

ზღვა ღელავს და ჰორიზონტი არ ჩანს,
ცას საავდროდ დაუმძიმდა ამინდი...
საქართველო მაინც უნდა გადარჩეს,
ქართველებო, ქუდზე კაცი გამოდით!
ძაძით დაითალხა ქართლის დედა, ბიჭებო,
სიკვდილი წახდენას ვერ გაგიბედავთ,
ზვარაკად ვინ გაგიმეტათ, ბიჭებო?
სამძიმარი გაგვიბევრდა.

ერთი უცნაურობა მინდა აქ აღვნიშნო. რაც ჩვენ ომები გადაგვიტანია საუკუნეთა მანძილზე და მილიტარული პოეზიის დიდი გამოცდილება კი ვერ შეგვიძენია. კი, როგორ არა, გვაქვს აქა-იქ ცალკეული გამონათებანი. მაგრამ სახეობანი ამ პოეზიისა ჩვენს თანამედროვეობაში დიდად ვერ განვითარდა. იქნებ მიზეზი ისიცაა, რომ დეზორიენტირებულნი ვართ, გარეშე, ჩვენზე ძლიერთა მუდმივი მზრუნველობის გამო მტერ-მოყვარე – ვერადა ვერ გაგვირჩევია, არ ვიცით, ვის რა ვუწოდოთ, როგორ მოვიხსენიოთ...

ამ საუკუნის დასაწყისში ახლობელმა სამხედრო ფიცის დადების რაღაც ცერემონიალზე მიგვიწვია და ჩვენი ჯარისკაცები მწყობრად მიაბიჯებდნენ სიმღერით –

ჩემო ტკბილო მეე-გობაა-როო,
შენი ნახვა მე-ნატ-რე-ბა!

ახლა იმედია, ასე აღარაა, რამე უკეთესს როგორ არ მოიგონებდნენ!...

მაგრამ ეს მსჯელობა უკვე სხვა თემისკენ უხვევს.

მრავალმა ჩვენგანმა აფხაზეთის ტრაგედიის მთელი სიმძაფრე მაინც გაშუალებულად გადავიტანეთ ან დღემდე ვერც გადაგვიტანია, მაგრამ ჩვენს შორის არიან პოეტები, რომელთა სულსაც ღრმა იარად დააჩნდა ომის გამოცდილება. მათ შორის გამორჩეულია მხატვარი და პოეტი მანონ ბულესკირია:

აქ... ბავშვობაში

მირბენია ორთითა ფინლით

და ფეხშიშველა შევდგომივარ (გესმის?) ნარიანს!

ნაბილიკარი ჩვენ და კიდე ჩიტებსაც იცვლის...

ხეები მაინც უსაშველოდ მარტო არიან!

ბათუ დანელია ლოცვას აღავლენს აფხაზეთისათვის. მისი ინტონაცია იმედიანად გაისმის:

უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო,

როგორც არ უნდა გაინელოს უსაშველო დრო,

ო, უჩვენობით გულმოკლულო, მაინც დიდგულო

სიზმარში შენ წინ დაჩიქილი ლოცვებს ვკითხულობ.

შემდგომ ყველა ქართველის გულისთქმას გამოხატავს:

სად გაგონილა ცა უმზეო, ზღვა – უხმელეთო

და აფხაზეთი – უქართველო – უნდა გველოდო!

მე ვიტყოდი, რომ ეს ლექსი „უნდა გველოდო აფხაზეთო“ კრებულის ნამდვილი მშვენებაა, თუმცა ბათუ დანელიას ამაზე უკეთეს ლექსებს რა დაულევს და ნუმც დალეოდეს!

ჯემალ ინჯიას უფრო ლირიკული და ყოფითი, ოპტიმისტური ულერადობა შეურჩევია. მის ლექსში, „თოვლის ბაბუა“ გადმოცემულია სანატრელი ამბავი, თუ შთამომავლები ერთად როგორ შექმნიან რაიმეს, საერთო სიხარულის მომტანს:

გულგასხეთქად უნილბო და ნილბიან მტერთა ვნატრობ – ენგურთან, (სადაცაა პუნქტი გამშვები),

რომ დაზამთრდება, აკეთებდნენ აფხაზთან ერთად

თოვლის ბაბუას აფხაზი და სვანი ბავშვები.

დაე, ეს იყოს არაოდენ სურვილი პოეტისა, არამედ მართლაც ბედნიერი შერბენა მომავალში!





თუ შეიძლება, პოეტური ოსტატობა და მხატვრობა ერთმანეთს შეადაროს ადამიანმა, რობერტ მესხზე ალბათ უნდა ითქვას, რომ იგი, როგორც პოეტი მსუყვე მონასმებსა და ტონებს ერიდება, თითქოს წმინდანვერიანი ფუნჯით მუშაობს არა ტილოზე, არამედ ქალალზე, სადღაც, გრაფიკასა და აკვარელს შორის, გალანტურია. მისი ლექსი უფრო ნიუანსებზე იგება და სევდას მეტად სთავაზობს მეითხველს, ვიდრო ტრაგიზმს.

რას ვგულისხმობ, ვფიქრობ, თვალნათლივ გამოჩნდება მის ლექსში „ეკალიპტები“, რომელსაც მთლიანად გთავაზობთ:

ის, რაც წლების წინ გავასხვისე – ევა-ლიპტები –

დღეს ფოთოლ-ფოთოლ უნდა ვიყიდო

– რა ბრძანეთ? – უცებ მეკითხება აფთიაქარი

მე შორს ვარ (ფიქრით). ის კი აქ არის

და რჩევას მაძლევს: მოვხარშო ორთქლზე, ჩაის კოვზით ვასეგა პატარებს...

– გმადლობთ – ვპასუხობ –

ამ ხმელ ფოთლებს ჯიბით ვატარებ.

გადაცვეთილი პატრიოტული თემის როგორი ორიგინალური და ფაქიზი დამუშავებაა, ვერც ჩამატებ და ვერც მოაკლებ ვერაფერს.

იყო დრო, როცა ქართველ პოეტებს სახალხო მგოსნის სახელი ენიჭებოდათ და ეამაყებოდათ. ჩვენი პოეზია მას მერე მეტად და მეტად კამერული გახდა. გახდა ელიტარულიც, დაშორდა ქართველ ხალხ-მკითხველ-მსმენელს და სადღაც, მოშორებით, როგორც ერთი ჩემი საყვარელი და პატივსაცემი ქალბატონი იტყოდა, „ჩიტის ენაზე დაიწყო მეტყველება“. ეს სიტყვები თქვენს მონა-მორჩილზეც თანაბრად ვრცელდება.

თუ შეიძლება დღეს საქართველოში ვინმე სახალხო მგოსნად იწოდებოდეს, ეს პოეტი და მხატვარი თინათინ მღვდლიაშვილია. ყველა ჩვენგანმა მისი რამდენიმე ლექსი ნამდვილად ვიცით ისე, რომ არც ვიცით, მისი რომაა.

ხომ არ მეგულება მასზე პოპულარული პოეტი ჩვენში და აქ იქმნება სწორედ პარადოქსი – რაც მეტად პოპულარულია იგი ქართველ ხალხში, კრიტიკა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მით მეტად დუმან

მისი ფენომენის შესახებ. ხანდახან მეჩვენება, რომ ამის მიზეზი ისაა, რომ დაგვეკარგა კრიტერიუმები ამ სახის პოეზიის შეფასებისა, არ ვიცით, როგორ მივუდგეთ, რა თანამედროვე მეთოდი მივუსადაგოთ ასეთ სტრიქონებს:

მაღლა ზეცაა ანაფერადი

და ვარსკვლავების ლურჯი გრაცია..

თქვენ გიყვართ მინის დიდი თეატრის

ეგზოტიკური დეკორაცია!..

...არა, აქ რაღაც არ არის სწორი! ეს რა რითმა – გრაცია/დეკორაცია, უკეთესები ხომ მრავლად ვიცით ყველამ!

რატომ, როგორ ზის ასე კარგად! ასე – თავის ადგილას!

არამართებულობის ეფექტია?

პათეტიკის ხასიათზე დამაყენა თინათინ მღვდლიაშვილის ლექსების გაცნობამ და გამიჩინა სურვილი, ვთქვა, რომ იგი თანამედროვე ქართული პოეზიის ფიროსმანია.

ერეკლე საღლიანის ლექსი „სიხარულით გადმოცემული მწუხარება“ ტრაგიკულობის გამო გულგრილს ვერ დატოვებს ვერც ერთ მკითხველს. მასში გადმოცემულია სვანთა და აფხაზთა ძმობის თავისთავად საინტერესო ამბავი, ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გაატანა აკვინიანად აფხაზმა მამა შერვაშიძემ უშვილ სვანს საკუთარი შვილი.

გაორებული განცდა დამიტოვა ამ ლექსმა, არ ვიცი, ძველი თვალთახედვით ეს ვაჟკაცური ტრადიცია, რომელიც აუცილებლად მიიპყრობს უცხოურენოვანი, ეგზოტიკისმაძიებელი მკითხველის ყურადღებას, რამდენად მესმის, როგორც დედას? წარმოშვიდებენ, ქალს რომ საკუთარი ნაშიერი მეტყველება, მოგგლიჯონ და სხვას აჩუქონ, მამას, კაცებს თითქოს სათვალავში ერთი დააკლდებათ, დედას კი – შვილი?

არ ვიცი, შეიძლება, შორი პარალელიცაა, მაგრამ გამახსენდა რომ სულ მაკვირვებდა ბიბლიის ერთი ამბავი – იობის მოთმინება, რომელიც მერე გოეთეს „ფაუსტს“ დაედო საფუძვლად.

მამა ღმერთი, რომელიც ყველაფერს დააკარგვინებს იობს, შვილებსაც დაუხოცავს, როცა დარწმუნდება მის მორწმუნეობაში, უკან უბრუნებს გაცილებით მეტ ქონებას და ახალ შვილებსაც აძლევს. თითქოს-და მთავარი – რაოდენობაა. აბა, დედის გულს ჰყითხეთ!



ეს ლექსი მამის მონოლოგია და იგი აპოლოგიურ პასუხს იძლევა კითხვაზე:
რატომ?

„მე ჩემს შვილს სტუმარს იმიტომ ვატან, ძმამ ძმაზე რომ არ აღმართოს ხელი“
...სადღაც, სვანეთის მივარდნილ მთებში დე, იხმაუროს აფხაზის სისხლმა!

თამარ შაიშმელაშვილის ლექსს კრებულში უცებ იცნობს მკითხველი, თავისებურად არქაზებული, კარგი ქართულმეტყველებით. კრებულში მისი რამდენიმე ლექსია. მე ამას ვირჩევდი:

ვერ ვნახე ჩემი აფხაზეთი, მოქვი, ილორი,
როლს არ იცვლიან მანქურთები, მზერით
მონგოლის
(თებერვლის პიეტა)

ესეც შთამბეჭდავია:

არ დაკრიფოთ ყაყაჩოები აფხაზეთში,
არ გაუხსნათ ჭრილობა გულის...

თემურ ჩალაბაშვილის ტრაგიულად ფერნერული ლექსი „აფხაზეთიდან გამოხიზნული მრავალი ბავშვი გზაში გაიყინა“ ჩემი ფიქრით, ალუზიას შეიცავს ქრისტეზე.

ქრისტეს წითელი სისხლით განვიბანებით ქრისტიანი და უმწიკვლოდ თეთრნი ვხდებით, ესაა ქრისტიანული მისტერია. ოლონდთ. ჩალაბაშვილის ლექსში ეს მისტერია საბედისნეროდ, „გადატრიალებულა“ და მწარე რეალობად ქცეულა:

სისხლში მობანავე საქართველოს
ჯავრი ჯარასავით მატრიალებს.
ავაპმე, დამეწვა გულისპირი,
სიკვდილი დაბუღრაობს სატიალე...

.....
ვაიმე, თეთრი თოვლი წითელია...

წარმოუდგენელია, მკითხველი გულ-
გრილად გაეცნოს რაულ ჩილაჩავას ორ ლე-

ქს-რეკვიემს – ერთს – მიძღვნილს ჟიული შარტავასადმი და მეორეს – ასევე გმირულად დაღუპული სოხუმის მერის – გურამ გაბე-სკირიასადმი.

სახელი, როგორც ბედისწერა თუ პოეტური მიგნება? – რა შეიძლება უწოდო სიტყვა ჟიულის მეგრულ ეტიმოლოგიას, რომელსაც რაულ ჩილაჩავა გვთავაზობს!

„ში ული (მეგრ) – ცად წავალ!“:

მაგრამ როდესაც ჟამშა დაჰკურა, შეკაზმე ცხენი

და საკუთარი ბედიც უცებ გამოიცანი.

71



მაღალი პოეზიის ნიმუშია გურამ გაბე-სკირიასადმი მიძღვნილი, სულისშემძრავი ლე-ქსიც:

უსულო იყო, რომ დაეცა ქალაქის თავი
და ამ დაცემას უფრო მკვდრეთით აღდგომა
ჰქვია.

ქართველი მკითხველები და მათ შორის მეც, რახანია რაულ ჩილაჩავას – ამ სრულიად უნიკალური პოეტისა და მოღვაწის გულისთვალით ვგრძნობთ და ვხედავთ და არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ უკრაინის განსაცდელს.

დასასრულ, მინდა წავიოცნებო, რომ თუ მთლიანად ეს დიდი კრებული არა, მისი ნაწილი მაინც ითარგმნოს აფხაზურად.

ამჯერად მე ძირითადად ჩემი პოეტური და მკითხველური შთამბეჭდილება გაგიზიარეთ, რადგან როდესაც ამ ტიპის, თემატურ ანთოლოგიას ეცნობი, უადგილო ხდება ლექსმცოდნეობითი განჩხრეკა-შეფასება.

აქ მთავარია აფხაზეთისადმი გამოვლენილი ის დიდი სიყვარული და მონატრება, რომელმაც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფი პოეტური სულის ადამიანები ასე დააკავშირა.

მე ვიტყოდი, რომ ეს კრებული არის ქართული, დიდი თუ მცირე პოეტური ვარსკვლავებით მოჭედილი ცა აფხაზეთის თავზე.

დაე, ყველა ერთად მოვსწრებოდეთ ჩვენი ქვეყნის განთიადს!

ოლქ. №5, 2023



ჩიტევან ჯერვალიძე

ნინო პეტრიაშვილი



72

მ ლ ი ტ ე რ ი ა ნ ი დ ი ს

მეგორბერო, ფლეხ ჩვენ გვინდა გრამატიკის პოეტიკისა და პოეზიის მიმართულენით განვიხილოთ ნიშნიანიძის ლექსი „მე ვარ მისამი ხარი, წიქარა“. ლექსი უსათავოროა, ანუ პირველი სტრიქონი ასრულებს სათაურის მოვალეობას. სულ ხუთი სტრიქონისგან შეფერხა. ძალიან სახია-მოვნოა, დახაზურინებულად იწვევს ქართველოს, თუ მასში გენეტიკური კოდი არ არის გამოფიცული. ამ ლექსში ჩვენი ერის უზარმაზარი სულიერი გამოწვილება ჩადო ავტორშია – დროითი და ზედორიობის.

ქ. ჭარვალიძე.
ნ. პეტრიაშვილი

მ ლ ი ტ ე რ ი ა ნ ი დ ი ს

გრამატიკის პოეტიკა და პოეზია

გრამატიკა ენის სულია, „ლიტერატურა – სულის წერთა“

ა. ბაქრაძე

მოთა ნიშნიანიძე

ჩვენ შოთა ნიშნიანიძის სულ სხვა ლექსის განხილვა გვინდოდა, მაგრამ ბოლოს რატომღაც „წიქარაზე“ შევჩერდით, დავწერეთ კიდეც, უურნალსაც გადავუგზავნეთ. მერე გამახსენდა ერთი საგარეჯოელი კაცი, ქანდაკება „წიქარას“ ავტორი, რომელსაც ცოტათი ვიცნობდი, მაგრამ გვარ-სახელიც კი არ მახსოვდა წესიერად. დახმარება ვთხოვე ბატონ სანდრო უსტიაშვილს, საგარეჯოელს. მაღლობა მას შეწევნისთვის. მერე ინტერნეტშიც ვნახე. იური ასლამაზიშვილი სსრკ-ს დროს აღიარებული ხელოვანი იყო და სხვადასხვა ქალაქებიდან შეკვეთებსაც იღებდა...

90-იან წწ-ში, საქართველოს სიბრძნის პერიოდში, ბატონმა იურიმ, გაუსაძლისში მყოფმა, მილ-

იონადაც არ მიჰყიდა ვიღაც ამერიკელს ჩვენი და თავისი „წიქარა“. უერთგულა ქვეყნას, საკუთარ ლირსებას, თავის ქმნილებას, ზღაპრის პერსონაჟებაც კი. ვერ განირა ვერც ერთი და განირა საკუთარი თავი, ოჯახი! ის, უაღრესად ტანჯული, ტრაგიკულად წავიდა ამ ქვეყნიდან. წელს ბატონი იურის გარდაცვალებიდან 10 წელი გასულა. როგორც ჩანს, ჩვენი შეჩერება „წიქარაზე“ მისი სულის ნებითაც მომხდარა. ლხენა დიდი პოეტის, შოთა ნიშნიანიძის სულს და ლხენა ჩემთვის დიდი მოქანდაკის იური ასლამაზიშვილის სულისაც, რომელიც წიქარამ ერთად შეყარა ამსოფლადაც და იმ სოფლადაც...

ჩიტევან ჯერვალიძე

მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო.

შენი უდელი მემჩატოს აგრემც,
ქედზე რო მადგას განაჩენივით.
არ მომიღერო გეთაყვა სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.

და თუ გქონია რამე ტკივილი
ან რამე ჭირი ზნეკეთილიანს, –
ამილოკია ქვამარილივით
და ხარის ცრემლით დამიტირია.

რამდენჯერ ვმდგარვარ სამოთხის კართან
ქედგახეხილი, გადატყაული...
ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა
არაფერი მაქვს დანაშაული.

და როცა მიწას მივებარები,
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი, –
შენზე დამრჩება ისევ თვალები
ანგელოსების ამოკოცნილი.

შოთა ნიშნიანიძე ჩვენი საყვარელი პოეტია. არასათანადოდ აღიარებული და დაფასებული, ჩვენი აზრით ხატოვანი სიტყვის



საუკეთესო დიდოსტატი, მეტიც, სულ ჩვეულებრივი ლირიკული ლექსიც კი ხატოვნად და სიმფონიურად უღერს მის შემოქმედებაში... არა, გვარ-სახელიც რომ საინტერსო აქვს? შოთა ზოგს ირანიზმი პოვნია, ზოგსაც ლათინიზმი. ჩვენ არ გვიკვლევია, აი გვარი კი – ნიშნიანიძე – ნამდვილად სემიტიზმია, ირანიზმიც, რადგან მთელი წინა აზია იყენებდა მას.. არა, ჩვენი დიდებული პოეტი კი არა, გვარია, გვარის ფუძეა სემიტიზმი.

მეგობრებო, დღეს ჩვენ გვინდა გრამატიკის პოეტიკისა და პოეზიის მიმართულებით განვიხილოთ ნიშნიანიძის ლექსი „მე ვარ მისანი ხარი, წიქარა“. ლექსი უსათაუროა, ანუ პირველი სტრიქონი ასრულებს სათაურის მოვალეობას. სულ ხუთი სტროფისგან შედგება. ძალიან სასიამოვნოა, დასაზეპირებლად იწვევს ქართველს, თუ მასში გენეტიკური კოდი არ არის გამოფიტული. ამ ლექსში ჩვენი ერის უზარმაზარი სულიერი გამოცდილება ჩადო ავტორმა – დროითი და ზედროითიც.

საზოგადოდ ხარი ნიშნიანიძის ძვირფასი ლექსემაა. მის პოეზიაში ჩვენ ვხედავთ მისან ხარ წიქარას, ლვთივ რჩეულ ნიშა ხარს – შუბლზე თეთრი ფერის მოსწავებით. მოსწავება, სასწაული – ასე ეძახოდნენ ჩვენი წინაპრები ნიშანს. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ორივე სიტყვა გვერდიგვერდაა: „ნიშნი და სასწაულნი“, სანამ ქართულ სიტყვას უძველესი სემიტური (აქადურიდან მომდინარეობს) სიტყვა ჩაანაცვლებდა და ეს ქრისტიანობის დროს უნდა მომხდარიყო. ნისანის თვით იწყებოდა ყოველი ახალი წელი ებრაელებში...

ჩვენს ფოლკლორშიც არსებობს გრძელი ლექსი, რომელშიც ხარი საკუთარი ნებით იტვირთებს ადამიანის რჩენას.

ხარმა თქვა, პირნათლიერმა:

– მე დამაწერეთ რქაზედა.

და ამ სტრიქონების შემდეგ გრძნობ, ჩვენი დიდი პოეტისთვის ანი და ჰავე რომ იყო ქართული ზებირსიტყვიერება.

ჩვენი (სვანური) ფოლკლორი მზიურ ხარებსაც იცნობს:

„მზე შემოაქვთ რქებით ხარებს,

მზე შენია ბარბოლ დოლაშ“.

(დ. წერედიანის თარგმანი).

ჩვენი მითოსი კი – ცეცხლისმფრქვეველ ხარებს კოლხეთის მეფე აიეტისას.

პოეტ ნაზი კილასონიასაც (1933-1993) აქვს ულამაზესი საგალობელი „ვუგალობ ჰარალეს“, შედევრი, კლასიკა უკვე, ჩვენი აზრით:

ხარებს რქებზე უნთიათ



კელაპტრები,
ჰარალე!..

გოდერძი ჩოხელსაც (1954-2007) აქვს „ხარისა და გუთნის მადლითა“ – ესე უფრო, ალბათ.

არც ჩვენი ძველი მხატვრული ლიტერატურა, ჰაგიოგრაფია და ისტორია დარჩენილა მზიური ხარის გარეშე. ასე რომ, წმინდანიც გვყავს, სახელად მზიური ხარი – სერაპიონი, რომლის ცხოვრებაც ბასილი ზარზმელმა აღწერა.

ჩვენს წიქარას მხატვარ-სკულპტორებმაც მიაგეს პატივი. მე იმ შესანიშნავ ნამუშევრებს შორის ერთს გამოვყოფ. ეს ცნობილი ქართველი მოქანდაკის იური ასლამაზიშვილის (1939-2010) ქანდაკებაა, რომელმაც, გასაჭირში მყოფმა, უცხოელს მილიონ დოლარადაც არ მიჰყიდა ჩვენი „წიქარა“.

ნიშა მხოლოდ ხარზე ითქმის და ისიც ძირითადად ლიხს აქით, ლიხსიქითურები ნოთასაც იყენებენ ნიშა ხარის აღსანიშნავად, ლათინიზებულ ეგვიპტურ სიტყვას., რომელ-





საც დღეს მთელი მსოფლიო იყენებს პოლიტიკასა და დიპლომატიაში, ალბათ მიგვიხვდით, ბატონებო, ეს სიტყვაა – **ნოტა**. ჩვენი ძვირფასი ავტორი კი ასე წერს ლექსში „ქართული ზღაპარი“: „ნიშა ხარის სიყვარული იმ მხარეში შემასწავლესო“. პოეტს უყვარს უბრალოდ **ხარიცა**, რომელიც მონაწილეობს ერის ცხოვრებაში და როგორც ანბანის და ცხოვრების მკვიდრს – წარმართება: „ხარმა თქვა, მეც შიგ ჩამდენეთ, ერის მეც ვზიდე ჭაპანი“ – ლექსიდან „დედა ენა“.

შოთა ნიშნიანიძესთან, როგორც ვაჟასთან, საქართველოს არსებობის პროცესში, სიცოცხლეში, ცხოვრებაში მთელი ჩვენი ქვეყნის მცენარეული და ცხოველური სამყაროა ჩართული. მონაწილეობენ მთები, მდინარეები, მიწაზე მყოფნი, „მარადისობის მკვიდრნი“ და მთელი ქართული ფოლკლორიც. ჩვენი სიტყვიერი მემკვიდრეობა, რომელიც ამართლებს სიტყვის მიერ სამყაროს შესაქმის ბიბლიურ კონცეფციას: პირველითგან იყო სიტყვაა (ი. 1, 1).

ლექსის ლირიკული გმირი პირველივე სტროფში საკუთარ თავს საზემოდ წარადგენს პირველი პირით, ყოველგვარი შესავლის გარეშე, რადგან იგულისმება რომ **ხარი ნიქარი** – პატრონი და ერთგული ობლისა – ეს ჩვენი კულტურისა და ყოფის მუდმივი პარადიგმაა, უხსოვარი დროიდან გაზირებული. ახსნა-განმარტებას არავისთვის რომ აღარ საჭიროებს, ყველასთვის ახლობელი, წიაღისმიერი და მარად თანმდევია. ნიქარა მოწითალო ხარს ნიშნავს, მისი ექვივალენტი მეგრულად გვექნება ჭითა, სვანურად ჭრებმ (მ. ჩუხუა). ჩვენს მშვენიერ და მადლიან ნიქარას საბავშვო პოემაც კი მიუძღვნა მურმან ლებანიძემ (1922-2003). ძალიან ლამაზია, მეგობრებო, გირჩევთ წაიკითხოთ და შეილებსა და შეილიშვილებსაც წაუკითხოთ. ერთი სიამოვნებაა, გარნმუნებთ.

ხარი მთელი ხმელთაშუა აუზის ქვეყნებისა და ხალხების წმინდა ცხოველი იყო, სამეურნეო და საკულტო მნიშვნელობის. ყველას ვერც გამოვეკიდებით. ხარის სახეს იღებდა ძველბერძნთა ღმერთი ზეგიც. ხარის რქებზე ცეკვა თუ აკრობატიკაც კი იცოდნენ ძველმა ბერძნებმა, რაც აისახა მათ ლარნაცნერაში; ხარის რქებით გამოსახავდნენ ალექსანდრე მაკედონელს, როგორც ხარის ეპოქის შვილს... ხარს საკუთარ თავს ადარებდა ვაჟა: „ხარს ვგავარ, ნაიალალარს“; „მთიდან ყვირილი ხარისა“ და პერსონაჟებსაც: „გუდანელთ ჩამასძლოლია ხოშარეული ხარია“; „ეზოში

რომ ხარი ბლავის ნეტა დედავ, რაო?“ შვილო, მამაშენი არის ვაი, შენ დედასაო!“, „ბებერი ხარის რქანიცა ხნავენო“; „ხარისა და გუთნის მადლმაო“; „უკუდო ხარი სხვას ბუზებს უგერიებდაო“, „გაქსუებული (გაგარეულებული) ხარიო“ – ვკითხულობთ ჩვენს ფოლკლორში მინასა და კაცს შორის შუამავალზე; „დედამინა ხარის რქაზე დგას და ცალი მოსტეხიაო“ – ილიამ რომ გამოიყენა...

რა ფუნქცია აქვს ხარს და გამორჩეულად **ნიქარა** ხარს ჩვენი ერის ცხოვრებაში? მისივე თქმით, ის არის ნებაყოფლობითი **მსხვერპლი**, ანუ დვრიტა. სადაურია წარმომავლობით ლექსემა ტვრიტა, ვერ გეტყვით. მაგრამ მისი სინონიმებია: ცომისთვის – საფუარი და ხაში; მანვნისთვის – მანვნის დედა, ყველისთვის – დვრიტა, კვეთი, ყველის დედო, ყველის ამომყვანი, მომყველებელი; თუშურად – შაბოში. დააკვირდით, რა საინტერსო სიტყვაა, შესაძლოა შობასთანაც იყოს დაკავშირებული **შაბოში**, რადგან მოყველება, სწორედ რისგან ყველის შობაა. სამეგრელოში გვქონია **ქვეცრე**, სვანეთში დ რ/დირ (კუჭი), თითქოს დვრიტასთან აქვს კავშირი, გამოსაკვლევია. **ბალეც3** რქმევია კიდევ სვანეთში; საინტერესოა ასევე სიტყვა კვეთი, ანუ ის, რაც ჭრის, კვეთს რძეს. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში საფუარი გადმოცემულია სიტყვით **თბე**, ჩვენი აზრით, მომდინარე სიტყვიდან სითბო. დიახ, თესლის გასაღვივებლად, ან მანვნის შესადედებლად, ცომის გასაფუუბლად, მიწის ასაფუუბლადაც საჭიროა სითბო: „**მინა გაფუვდა**, ბურქებში. ამოჩნილან იანი“. დღეს აღბათ აღარავინ იცის **შიო მღვიმელის (1866-1933)** ლექსები, ულამაზესნი და უტკბესნი. **გა-ფუ-ება** კი საერთო გვაქვს ძველბერძნებთან, ზმინდან უ-ა და საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება. სოფელში გაბუტულ ბავშვზე, დიდზეც იტყოდნენ ხოლმე „**გა-ფუვდა**“, ანუ გულმოსულიაო.

მეგობრებო, აი ასეთი ლამაზია ჩვენი მშობლიური ენის სამყარო და ვისთანაც არ უნდა გვქონდეს საერთო ლექსიკური ერთეულები, ქართველი ენის სული, ქალბატონ გრამატიკასთან ერთად, მას ჩვენს ეთნოფსიქოლოგიურ ბუნებასა და სხეულს არგებს.

ჩვენი ნიქარა მისნობასთან ერთად ნებაყოფლობითი მსხვერპლიც არის. **ნებაყოფლობითი მსხვერპლის თემა** კი ეს მსოფლიო ლიტერატურის დიდი თემაცაა, ერთგულებასთან დაკავშირებული. ასეთი ნებაყოფლობითი მსხვერპლია მაცხოვარი. ცოტნე დადიანიც ნებაყოფლობითი მსხვერპლია, ოღონდ გაუმართლა, გადარჩა და სხვანიც გადაარჩი-





ნა. როგორც შოთა ნიშნიანიძემ თქვა:
ნუ ვადიდებთ მარტოოდენ ცოტნეს,
ვახსენოთ სახედალრევილი ლომი მონ-
ლოლიც
გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო
მცოდნე...

დემეტრე თავდადებულიც (1270-1289) ნებაყოფლობითი მსხვერპლია და ქეთევან დედოფალიც (+1624), კახეთის გმირებიც (+1661), სააკაძის შვილიც, პაატა (+1625), ლუარსაბ ქართლის მეფეც (1606-1615), ქართლის მეფე არჩილ ხოსროიანი (+744) და კიდევ მრავალი სხვა...

შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძემაც გა-
მოიყენა ნებაყოფლობითი მსხვერპლის თემა
მოთხოვობაში „ქედუხხელნი“, რომელშიც ახ-
ლებურად გადაიაზრა ჭონქაძის „სურამის
ციხე“, უფრო სწორედ, ახლებურად კი არა,
სახარებისეულად.

ისააკიც ნებაყოფლობითი მსხვერპლია, დმერთს თვითონ რომ არ ეთქვა უარი მასზე...

ძველი აღთქმიდან ნებაყოფლობითი მსხ-
ვერპლია მსაჯულ იეფთაეს ასული (XIII-XII
სს.), ანტიკურობიდან იმპერატორ ადრიანეს (117—138) ფავორიტი ანტიოქე, რომელმაც
თავი დაიხრიო ნილოსში (110-115 წწ.). მისი
პორტრეტული გამოსახულება ვერცხლის
ფიალაზე აღმოჩენილია მცხეთაში პიტიაშ
ასფაგურის საკრძალავში (1937-46 წწ.-ში)...

და აი ჩვენი ფოლკლორიდანაც გაცოცხლ-
დება და თვალწინ დაგვიდგება ნებაყოფლო-
ბითი მსხვერპლი – ხარი ნიქარა და სხვა უს-
ახელო პერსონაჟებიც ზღაპრებიდან. გვაქვს
კიდევ ორაგულების მაგალითიც...

მეგობრებო, დავაკვირდეთ კარგად პირ-
ველ სტროფს, პირველ სტრიქონში წარმოდგე-
ნილ მსაზღვრელს წიქარასი, მისანი, მისნობა.
მისანი – მიმნიშნებელი სემიტურ სიტყვა ნისან/
ნიშანიდან უნდა მომდინარეობდეს. შეიძლება
შენიშნულიც იყოს და ჩვენ არ გვახსოვთ ან არ
ვიცით. ნათელმხილველობა, გულთმეცნიერე-
ბა, წინასწარმეტყველება, გრძნეულება და
ბოლოს პროფანირებული მკითხაობა ავტო-
რის მიერ დაკავშირდა სიტყვა დვრიტასთან,
მსხვერპლთან მამულ-დედულისა.

რატომ გააკეთა ეს ავტორმა? რამ უბიძგა
ამისკენ? არც მეტი არც ნაკლები – ბიბლიამ,
ჩვენი ქვეყნის ისტორიამ და ფოლკლორმა. ბიბ-
ლიიდან ერს შენირული წინასწარმეტყველები
არიან: ესაია (-VIII.), რომელიც გადახერხეს,
იერემია (-VI), რომელიც ქვით ჩაქოლეს; ურია
შამაის ძე, (-VI) მოკლული ხმლით; იერემიას
მიერ მოხსენიებული, ვინმე ზაქარია იოდაის
ძე, ქვით ჩაქოლილი ნეშტთა წიგნიდან; ზაქა-

რია (-I ს) იოანე ნათლისმცემლის მამა, რომე-
ლიც, ჩვენი აშოტ კურაპალატივით (813-826
ან 836) საკურთხეველზე დაუკლავთ.

სახარებაშიც არის საუბარი ეპრაელებზე,
როგორც წინასწარმეტყველთა მკვლელებ-
ზე, მათე 23,37 და ლუკა 13:34: „იერუსალიმ,
იერუსალიმ, რომელმან მოსწყვდენ წი-
ნიასწარმეტყუელი და ქვამ დაჰკრიბე
მოვლინებულთა შენ ზედა, რაოდენ-გზის
ვინებე შეკრება შვილთა შენთაა, ვითარცა
სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართეუნი
თვსნი ქუეშე ფრთეთა თვისთა, და არა ინებეთ!
იერუსალიმ, იერუსალიმ, წინასწარმეტყველთა
მკვლელო და შენდამი მოვლინებულთა ქვებით
ჩამქოლველო! რამდენჯერ ვცადე შემეკრი-
ბა შენი შვილები, როგორც ფრინველი კერძს
ბარტყებს თავის ფრთებქვეშ, და არ ისურვე“.

დააკვირდით, მეგობრებო, პოეტი მეორე
სტრიქონის ბოლოს იყენებს კომპოზიცს „მამ-
ულ-დედულ“, მაგრამ ჩვენ ასევე გვაქვს „დე-
დულ-მამულიც“ ენაში. მართალია, ქრისტია-
ნობამ მამაკაცი და დედაკაცი ერთ სიბრტყეზე
დააყენა „არცა დედაკაცება და არცა მამაკ-
აცება, თქვენ ერთ ხართ“ (გალატ. 3: 28), მა-
გრამ მამაკაცი მაინც პირველ ადგილას იყო
ქრისტიანობაში: მამა-დედანი, მამათად და
დედთად, მაგრამ დედულ-მამული მაინც უფრო
ძველი ჩანს, იქნებ მატრიარქატიდან მომდინ-
არეც კი? გვაქვს დედ-მამა და არა მამ-დედა,
და-ძმა და არა ძმა-და, ბებო-პაპანი და არა
პაპა-ძებონი და, არა გვგონია, ეს მხოლოდ
ულამაზო ბმის გამო ხდებოდეს.

აი აქ სინათლის სხივს შესაძლოა, ძველ-
ბერძნულ ენას დავესესხოთ. სიტყვა **მამასთან**
დაკავშირებული სამშობლო ამ ენაში მდედრო-
ბითი სქესისაა: პატრია (ή) ḥ, პატრίς, პატრίδიς
ή. ხედავთ, რამხელა ძალა გვქონია დედებს?
ბერძნული ხუთასოიანი **მამული**, მამრობითი
სქესის სიტყვა, ერთადერთი ბგერით გად-
მოცემულ მდედრობითი სქესის არტიკლ
ή-ჰეტას დაუჯაბნია. ამით იმის თქმა გვინ-
და, რომ რაც არ უნდ ახალი იდეოლოგია მო-
ვიდეს, ძველს ბოლომდე ვერ მოსპობს. ახალი
იძულებული ხდება მას, ძველს, შეეულლოს და
წყვილში გააგრძელოს არსებობა. წინააღმდეგ
შემთხვევაში ახალი ვერ იცოცხლებს, ამიტო-
მაც ვერ გაიმარჯვეს გნოსტიკურმა სექტებ-
მა...

სხვა რა გითხრათ? ჩვენ ასე წარმოგვიდ-
გენია და თქვენ როგორც გსურდეთ, ისე იფ-
იქრეთ. ლექსი იმის ლექსია და ლიტერატუ-
რა იმის ლიტერატურა, რომ ისინი ნებისმიერ
მკითხველს თავისებურად წაკითხვისა და
გააზრების საშუალებას აძლევენ. ნებისმიერი





მკითხველი გაიგებს და მიიღებს იმას და იმ-
დენს, რამდენის ტვირთვაც შეუძლია.

თვითონ ზღაპრიდან გამოპარვაც რა ლა-
მაზად ნათქვამია, არა? შოთა ნიშნიანიძესთან
ისეც ხდება, როდესაც გაჭირვებაში ჩავარდ-
ნილი ერი ისტორიულ პირს გამოიხმობს: „შენი
ერი კიდევ ბევრჯერ გამოგიხმობს წარსული-
დან“. ერთსა და იმავე ლექსში სიტყვა წარ-
სულს ლეგენდაც ენაცვლება: „შენი ერი კიდევ
ბევრჯერ გამოგიხმობს ლეგენდიდან“. (ლექსი
„თევდორე“). წარსული კი შეიძლება იყოს მი-
თიც, ლეგენდაც, ზღაპარიც და ისტორიაც...

სიტყვა ზღაპარიც არ გახლავთ ქართული
თავისი წარმომავლობით. ჩვენს დიდ ირანისტ
მზია ანდრონიკაშვილს სიტყვა ირანული *zakh-bar-i*დან, (თქმულება) გამოჰყავს, ჩვენ კი
– ბერძნული საპრ-όს 3. ს(ზღ)აპრ-ოს-იდან,
რაც ძველს, გაცვეთილს ნიშნავს. ზღაპარი
კი სწორედ უამგადასული, გაცვეთილი, პრო-
ფანირებული მითია. ამან არც უნდა გაგვაკ-
ვირვოს, ძველი ბერძნული და ირანული ენები
ხომ ინდო-ევროპული ენებია?

ახლა გადავიდეთ პირველი სტროფის მე-
სამე და მეოთხე სტრიქონებზე: „ზღაპრიდან
მისთვის გამოვიპარე, რომ გემსახურო და გი-
ერთგულო“

**ჩვენი მისანი ხარი წიქარას ზღაპრიდან გა-
მოპარვის მიზანი დიადია,** სამშობლო ქვეყნის
სამსახური და ერთგულება. მსახურება ერთ-
გულების გარეშეც შესაძლებელია და ამიტო-
მაც არის ორივე ზმნა გვერდიგვერდ წარმოდ-
გენილი, აძლიერებენ ერთმანეთს. აი აქაც რა
საინტერესო რამ ხდება, მეგობრებო, ნახეთ:
ჩვენს ენაში ერთგულება გულთან არის და-
კავშირებული – ემოციის წყაროსთან. „გული
კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელიო“
– რუსთველი ასე გვმოძლვრავს. რუსულში
ერთგულება რწმენასთან დაკავშირდა – ვერა,
ბერძნულშიც – πίστις ḥ (რწმენა), ლათინურ-
შიც – fides ai, f. (რწმენა). **ესეც ჩვენი ამ სამი
ერისაგან განმასხვავებელი ეთნოფსიქოლოგი-
ური შტრიხია.**

ზმნა გამოპარვაც ძალიან საინტერე-
სოა, ანუ სადღაციდან ჩუმად, დაუკითხა-
ვად წამოსვლა. მოპარვა კი – რაიმე ნივთის
დაუკითხავად, მალულად წამოღება. არ არის
გამორიცხული, ჩვენ გამო-პარ-ვა-ც საერთო
აღმოგვაჩნდეს ძველ ბერძნებთან. ძველბერ-
ძნული ზმნა პარ-ტემ 2, 3, 9 მნიშვნელობები
გაშვება, გასხლტომას აღნიშნავს. პარ – ნინ-
დებულია, ამ შემთხვევაში გან თანდებულის
მნიშვნელობით; გვაქვს კიდევ პაპ-ესმ 4. გა-
მოცხადება, გამოჩენა, მოსვლა. ასე რომ, სამ-
კალი ფრიად არს, ანუ საკვლევია...

პირველ სტროფში პოეტმა მკითხველს
გაუმხილა ლირიკული გმირის ვინაობა და მი-
ზანი.

გავარჩიეთ რა აზრობრივად პირველი
სტროფის ყველა სიტყვა, ახლა გადავიდეთ
მის გრამატიკულ განხილვაზე.

მე ვარ მისანი ხარი, წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო.

მთელი სტროფი ერთი შერწყმული წინა-
დადებადაც კი შეიძლება მოეჩვენოს კაცს,
რადგან ყველა შემასმენელთან ერთი ქვემდე-
ბარეა – „მე“, ერთადერთხელ ნახსენები და
ოთხჯერ ნაგულისხმევი.

გამოგიტყდებით, ამ სტროფმა დიდი
საფიქრალი გაგვიჩინა სინტაქსის თვალსაზ-
რისით, ამიტომ უფრო სქემატურ სახეს მივცე-
მთ:

რა არის განი? საგანი არის ხარი, (მე შ1)
ვარ ხარი

რა არის საგანი? საგანი არის დვრიტა, (მე
შ1) ვარ დვრიტა

საიდან გამოვიპარე მე? – ზღაპრიდან გა-
მოვიპარე (მე შ1)

რისთვის, რა მიზნით გამოვიპარე? გამოვ-
იპარე (მე შ1) იმისთვის, რათა გემსახურო და
გიერთგულო.

დავაკვირდეთ, მეგობრებო, მთელი სტრო-
ფის ხუთ შემასმენელთან ერთი ქვემდებარეა, მაგრამ მთელი სტროფი ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც ერთი მთლიანი რთული ქვეწყმბილი წინადადება, რომლის მთავარიც სამი შემასმენ-
ლით არის შერწყმული. პირველი ორი შედგე-
ნილი შემასმენლებია, მესამე კი ზმნის პირი-
ანი ფორმით არის გადმოცემული. შედგენილი
შემასმენლებია: „ხარი ვარ“, „დვრიტა ვარ“. ხარი=დვრიტას; შედგენილი შემასმენლის
ორივე სახელად ნაწილს კი ახლავს საკუთარი
შეთანხმებული განსაზღვრებები: „მისანი ხარი
ვარ“ „შენი დვრიტა ვარ“. პირველ შეთხვევაში
შეთანხმებული განსაზღვრება გადმოცემულია
ზედამდებარებული სახელით, რომელიც დღეს
თითქმის გაარსებითებულია; მეორე შემთხ-
ვევაში კი – კუთვნილებითი ნაცვალსახელით
– „შენი“, მამულ-დედულო, მიმართვაა, სინ-
ტაქსურად და წინადადების წევრად არც კი
ითვლება, მაგრამ ლოგიკურად სწორედ ისაა
მთავარი.

**დამოკიდებული წინადადება მიზნის გარე-
მოებით გახლავთ დამოკიდებული.** მიზნის
გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას კი





ხარი ნიქარა. მოქანდაკე იური ასლამაზიშვილი

ყოველთვის იცნობ იოლად კაცი, მეორე სერიის მეორე კავშირებითის მწკრივით გადმოცემული ზმნებით. დამოკიდებულ წინადადებაში ორივე ზმნა საშუალ-მოქმედებითი გვარისაა...

დაგვრჩა სახელი ნიქარა, რომელიც შინაარსობრივად გარჩეული გვაქვს და სინტაქსურად დანართია, ანუ დამატებით ინფორმაციის შემცველი მისანი ხარის შესახებ, მისი, ნიქარას ხართა მრავალრიცხოვანებიდან გამომყოფი. ნიქარა, მძიმით უნდა გამოიყოს წინადადებაში, მაგრამ არც ავტორს და არც რედაქტორს რატომღაც ეს არ გაუკეთებიათ.

სტროფში გამოყენებულია ინტერვალიანი (2-4), გარეგანი, მაგრამ არათანაბარ მარცვლიანი ქალური რითმა, ხოლო (1-3) ჩვენი აზრით კონსონანსური რითმაა, თანხმოვანთა მსგავსებით ნიქარა-გამოვიპარე და ბოლო ხმოვნებია სხვა. როგორც ეს სტროფი, ასევე მთელი ლექსის გასულიერება კი არაა მხოლოდ, გაპიროვნებაც.

გადავიდეთ მეორე სტროფზე:

შენი უღელი მემჩატოს აგრემც,
ქედზე რო მადგას განაჩენივით.
არ მომიღერო გეთაყვა სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.

ლექსის მორე სტროფიც ძალიან საინტერესოა. მასში საუბარია აკიდებულ ტვირთზე, როგორც ბედისწერასა და განაჩენზე. ბედისწერა უხილავია, განაჩენი – სინათლეზე გა-

მოტანილი. ჩენა ფუძე დრეკადი ზმნაა, სულხან-საბასთან წარმომავლობა მითითებული არ არის, არც მზია ანდრონიკაშვილთან გვაქვს რაიმე ინფორმაცია. ფაქტია, სიტყვა სინათლესთან არის დაკავშირებული და ის მხედველობასაც აღნიშნავს: თვალის ჩინი, რომელსაც ენაცვლება სინათლე: **ჩემო თვალის ჩინო/ჩემო თვალის სინათლევ.** ჩენა შობის საიდუმლოსაც შეიცავს: **ბავშვი გააჩინა,** მაშასადამე, დედამ შვილი საკუთარი წიაღის სიბნელიდან სინათლეზე გამოიყვანა... ჩინი შემდეგ წოდებრივ საფეხურზე წარმატებასაც დაუკავშირდა: ესა და ეს ჩინი მიიღო, ანუ გამოირჩა, საქმით წარემატაო. ილიაც ახსენებს „პასუხის პასუხში“: „ჩვენ უჩინონი, ჩვენ უჩინონი თქვენ ჩინიანთა, ბუზად გგონივართ“... გვაქვს კიდევ უჩინმაჩინის ზღაპრული ქუდიც.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ ჩენას, რომელსაც ძველი ქართული ძეგლები იცნობენ და რუსულ ყინ-ს (სანსკრიტული ჩანს: cihna [cihna] n 1) სლედ; 2) ვაპა; 3) პრივაჲა, პრიმეთა) საერთო ფესვი შეიძლება ჰქონდეთ. მართლაც საინტერესო იქნება ქართულ ჩენ/ჩინზე არსებული ყველა მასალის თავმოყრაც კი ერთად... ზოგთ ქართულ ფუძედ მიაჩინიათ.

უღელი სადაური სიტყვაა არ ვიცით, შეიძლება ძველბერძნული ზუგ-ონ თი (d)უღ(γ) — on-დან იყოს, რომელშიც -ონ ბრუნვის ნიშანია და ვინმეს კიდეც ჰქონდეს შენიშნული; ბედისწერა კომპოზიტია, რომელსაც ქართულ სიტყვა წერამწერლის პირველი ნაწილი შეუთვისებია. „წერამწერალის ხელითაო“ – წერს ასე ვაჲა შეუკუმშავად „სტუმარ-მასპინძელში“; „მაგის წერა ეგ ყოფილაო“ – გაგვიგია სოფელში გაზრდილებს. ე. ი. წერა ბედს აღნიშნავდა, იღბალს, ყისმათს, სვეს. **სვე და ბედი** გვხვდება ჩვენს „ვეფხისტყაოსანშიც“: „სვიანი“ – ამ სიტყვით ინყება მეფე როსტევანის ლირსებათა ჩამომთვლელი ეპითეტები; „**ბედი ცდაამ**“ – გვასწავლის ავთანდილი.

სიტყვა მჩატე მსუბუქის სინონიმია, მაგრამ საუბარში აქვს სხვა შეფერილობაც: თავი ამჩატაო – ულამაზოდ მოიქცაო, მჩატე გონების პატრონიო. ჩუტე (ცარიელ) თავთავიო.

აგრემც ნაწილაკია ყოველგვარი ემოციის გასაძლიერებლად გამოსაყენებელი: ლოცვის, წყევლის, სხვა ემოციების გამომხატველი. მას შეიძლება შეენაცვლოს ნაწილაკი „ნეტავ“.

ქედი, ქედის გარდა, ზოგადად მსხვილ-ფეხა რქოსანი პირუტყვის კისერსაც ჰქვია, ჩვენს ხალხურ პოეზიაში ფიცის ფორმულაც დაკავშირდა მასთან: „ხარის ქედის მადლმაო“ – ამბობდნენ ჩვენი ძველები. მუშა ხარს, ჩვენ-





ში ლაპასა და ლომას ეძახიან, ლომა ხარის გა-
მოხსნილი ტყვეებიც იცის ქართულმა ფოლკ-
ლორმა და დაარსებული სალოცავიც მის
პატივსაცემად – ლომისა. ლომა ხარიც მუშა
და ნებაყოფლობითი მსხვერპლია, ერისგან
დაფასებული... ისე, რომ იცოდეთ, ლომა და
ლაპა ერთი და იგივე სიტყვაა, ერთი ბერძნუ-
ლად, მეორე კი სემიტურად და ნიშნავს ლომს.
„ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაპავ, მედა შენო“
– მიმართავს ილიას გუთინისდედა ხარს, მმ-
რომელ ხარს. გვარიც გვაქვს ლაპაძე, ლაპაუ-
რი (მეტლე თედო ლაპაური, ალბათ ყველას
გემახსოვრებათ, ილიას მკვლელთაგან ერთი),
ლომოური, ლომაშვილი, ლომიძე, ლომაია ხომ
გვაქვს და გვაქვს.

რას ითხოვს ჩვენი მშრომელი ხარი? – სი-
ყვარულსა და პატივისცემას:

არ მომიღერო გეთაყვა სახრე,

სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.

ჩვენს ხალხურ ლექსში ხარის პატივისცე-
მაზეც არის საუბარი და თვითონ ეს ლექსიც
ამ სიყვარულისა და პატივისცემის დასტურია.
ლექსში შეჩვენებული და დაწყევლილია ცუდი
პატრონი ხარისა, ტრადიციის დამრღვევი:

კვირა-უქმეს გამოგიშვას,

გაგიშვას საძოვარზედა,

ვინც კვირა-უქმეს შეგაბას,

ხელიმც შეახმეს მხარზედა.

შოთა ნიშნიანიძის ლექსის ამ სტროფში
საინტერესოა სინტაქსურად განკერძოებული
სიტყვა, ჩართული გეთაყვა, რომელიც მძი-
მებით უნდა იყოს გამოყოფილი და არ არის.
გეთაყვა შემოკლებული ვარიანტია ურარტუ-
ლი თავყანისა, ანუ თავის მიწაზე დაკვრისა,
რაც უდიდესი მონიშვნისა და მოშიშეობის
გამოხატულებაც იყო, ე. წ. პროსკინესი –
აღმოსავლური წესი, ალექსანდრე მაკედონე-
ლის შემდეგ ევროპაშიც რომ გადავიდა. სიყ-
ვარულისთვის არსებობა კი მთელი სამყაროს
შემოქმედებითი ძალების უმთავრესი იმპულ-
სია. სიყვარული უმსუბუქებს ტვირთს მთელ
სულიერ და უსულო ბუნებას, ერთმანეთის
ულელში, დაქვემდებარებაში შებმულთ...

მთელი სტროფი ორი წინადადებისგან
შედგება პირველი-მეორე სტრიქონი ქვეწყო-
ბილია:

შენი ულელი მემჩატოს, აგრემც,

ქედზე რო მადგას განაჩენივით.

მთავარია პირველი წინადადება, რო-
მელსაც დავუსვამთ კითხვას, რომელი ულე-
ლი მემჩატოს? „ქედზე რომ მადგას განა-
ჩენივით“. დამოკიდებული განსაზღვრებით
დამოკიდებული წინადადებაა, შეერთება

უკავშიროა. ეს განაჩენი, მიუხედავად იმისა,
რომ საკუთარი ნებითაა არჩეული, მას მაინც
დაფასება, სითბო, სიყვარული სჭირდება და
არა უგულობა, გულგრილობა: „ეგ ხომ მაგისი
არჩევანიაო?“ – იტყვიან ხოლმე ჩვენში დღეს.
მთავარი წინადადების ზმნა მემჩატოს ის (S₃),
მე (O₁ ირ.), განწყობის ვნებითია, ანუ მჩატე
კი არ არის ტვირთი, სიყვარული ამსუბუქებს
მას. დამოკიდებული წინადადების ზმნა მად-
გას საშუალ-ვნებითია; განაჩენივით. კი ვი-
თარების გარემოებაა „ვით“ თანდებულიანი
არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვით
გადმოცემული. თვითონ ეს არსებითი სახე-
ლი კი მიმღებობური წარმომავლობისაა, რასაც
ადასტურებს ზმნისწინი „გან“. ძალიან გულ-
დასანცვეტია, რომ განაჩენს, განჩინებას დღეს
აძევებს ლათინური სიტყვა ვერდიქტი. მეგო-
ბრებო, აი ასე იყო ადრეც, იმპერიები რომ
გვიპყრობდნენ, მაშინვე აისახებოდა ხოლმე
ენაში: ზოგად ლექსიკაზე, ანთროპონიმებზე,
ტოპონიმებზე. ძლიერ გავიშინაგნეთ ჩენა, მო-
ვარჯულეთ და ახლა ახალი ვერდიქტი ცდი-
ლობს მის განდევნას...

და თუ გქონია რამე ტკივილი

ან რამე ჭირი ზნეკეთილიანს, –

ამილოკია ქვამარილივით

და ხარის ცრემლით დამიტირია.

რითი დაიმსახურა ხარმა სიყვარული?
ერთგულებითა და შრომით. ნახეთ რა ლამა-
ზია მიმართვა მამულ-დედულისადმი, რომელ-
იც წარმოდგენილია როგორც ზნეკეთილიანი.
სიტყვა კომპოზიტია, ორი სიტყვის შეერთებით
მიღებული და მორფოლოგიურად მიმართები-
თი ზედსართავი სახელია, სინტაქსურად კი –
ირიბი დამატება, თუკი ჩვენ წინადადების ზმ-
ნა-შემასმენელს გრამატიკულად შევუწყობთ
პირებს: გქონია ის (S₂) შენ (ირ.O₂); ტკივილი
და ჭირი – ქვემდებარები იქნება, მთელი ორი
სტრიქონი კი ქვემდებარებით შერწყმული.
ორივე ქვემდებარეს კი ცალ-ცალე აქვს მსაზ-
ღვრელად განუსაზღვრელობითი წაცვალსახე-
ლი რამე.

ამილოკია ქვამარილივით

და ხარის ცრემლით დამიტირია.

ქვამარილს მიწიდან იღებენ, ჩვენს წინა-
პრებს ქვამარილი აღზევანიდან ჩამოჰქონ-
დათ, რომელიც დღეს თურქეთის შემად-
გენლობაშია, ყარსის პროვინციაში და ამ
ჩამოტანის გზამ და სირთულემ, შინ მშვიდო-
ბით დაბრუნების სიხარულის მოლოდინმა,
დაბადა ჩვენი სიმღერა „ურმული“. ქვამარილი





აუცილებელია მსხვილფეხა რქოსანი პირუ-ტყვიისთვის. ჩვენი ასურელი მამა ანტონ მარტყოფელი ქვამარილით უმასპინძლდებოდა მასთან მისულ ირმებს. ამას გარდა, ცნობი-ლია ჭრილობის დაამება ენით გალოკვით.

აი ხარის ცრემლი როგორია, არ ვიცით, ალბათ ღირსეული მამაკაცის ცრემლის მსგავ-სი: „იდგა ღმერთი და მამაკაცის ცრემლებს – წონიდა“ როგორც პოეტი ჯავახაძე წერს.

აი ჩვენი ქალბატონი გრამატიკა ამ მშვე-ნიერ შინაარს ასე ულაგებს ავტორს. მესამე და მეოთხე სტრიქონი მთავარი წინადადებაა, პირველი-მეორე კი პირდაპირი დამატებით დამოკიდებული; კითხვა ასე დაესმის: რა ამი-ლოკია? რა დამიტირია? თუ რამ ტკივილი გქ-ონიაო – არის პასუხი. **ამილოკია, დამიტირია** მესამე სერიის პირველი თურმებითის ფორმებია მოქმედებითი გვარის ზმნებისა – **ვლოკავ, დავტირი.** მთავარი წინადადების ორივე შემასმენელთან ერთი ქვემდებარე (მე) და ორი პირდაპირი დამატებაა, მთავარში ნა-გულისხმევი პირდაპირი დამატებები დამოკ-იდებულში სრული სახით (**ტკივილი, ჭირი**) ქვე-მდებარებად არიან წარმოდგენილი. მთავარი წინადადებაც შერწყმული გამოდის შემას-მენლებით და დამოკიდებულიც პირდაპირი დამატებებით, რომლებიც მთავარ წინადადე-ბაში ქვემდებარებია. აი ასეთ გრამატიკულ საკვირველებასთან გვაქვს საქმე.

**რამდენჯერ ვმდგარვარ სამოთხის კართან
ქედგახეხილი, გადატყაული...**

ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა,
არაფერი მაქს დანაშაული.

ამ სტროფში ლექსის ლირიკული გმირი, როგორც ბარათაშვილი ლექსში „ხმა იდუმა-ლი“, ულრმავდება საკუთარ თავს, ეძებს თავის ცოდვებს. ტატომ ვერაფერი იპოვა „შეუწყ-ალი სინდისის“ აღმაშფოთებელი: „მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა, მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა“, ჩვენი მისანი ხარი წიქარა კი პოულობს და ეს დანაშაული ღმერთთან საუ-ბრის ნიჭია.

ამ სტროფის პირველ-მეორე სტრიქონში საუბარია სამოთხის კარიბჭესთან შრომით ფრიად მაშვრალის მძიმე ფიქრებზე, თავის განვლილ ცხოვრებას რომ მიმოიხილავს სიკვ-დილის წინ და სამოთხეში შესასვლელად დამ-აბრკოლებელ ცოდვებს ეძებს საკუთარ თავ-ში, და როგორც ვნახეთ, პოულობს კიდეც.

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ბიბლიურ მისანთა ხვედრზე, ნებაყოფლობით მსხვერპლზე ქვეყ-ნისა და ხალხისთვის. ჩვენს მკითხველს ახლა ის ქართველი პოეტი უნდა გავახსენოთ, რო-

მელმაც განაცხადა, რომ ცის გამოგზავნილი და ერის აღზრდილი იყო და მას ერის წინამდ-ლოლობისთვის ებოძა ღმერთთან საუბრის ნიჭი. ალბათ უკვე ამოტივტივდა ილიას ხატე-ბა თქვენს წარმოსახვაში. დიახ, მეგობრებო, შოთა წიშნიანიძემ ლექსის ამ სტროფში უკეთ გაუსვა ხაზი იმას, რომ მისი ლექსი მთლი-ანად ილიას „პოეტის“ ალუზია. რა დანაშაუ-ლი ჰქონდა ილიას, რომ მოკლეს? მხოლოდ ის, რომ სამშობლოსა და ღმერთს შორის ტოლო-ბის წიშნანი დასვა: „დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყ-ნად ცასა, ღვთად მოუცია მარტო მამული“.

პოეტი-ქურუმის იდეა ეს უძველესი იდეაა, უხსოვარი დროის და ის შემდეგ გერმანელმა რომანტიკოსმა მწერალმა, ფილოსოფოსმა და მისტიკოსმა ნოვალისმა (1772-1801) აიტაცა. ჩვენ ამ საკითხს, თუ უფალი ინებებს, ცალ-კე განვიხილავთ მერე. დიახ, ასე მოხდა ილ-იას „პოეტის“ ახლებური გადააზრება შოთა წიშნიანიძესთან ლექსიკურად, მხატვრულად, თორემ იდეიდან გასვლა არ მომხდარა. შოთას ლექსი გასული საუკუნის 80-იან წე-ში უნდა იყოს დაწერილი. ახლა მსგავს ლექსს **ველ-არც ვერავინ, ალარც არავინ ალარ დაწერს**, და თუ დაწერს, რაც არ უნდა წრფელი იყოს და მაღალმხატვრული, დაცინვის საგნად იქცევა ავტორი. თავის მხრივ კი ილიას „პოეტი“ ესა-იას წინასწარმეტყველების ერთ-ერთი ეპიზო-დის ალუზიაა. ილიაც და შოთა წიშნიანიძეც რჩებიან ტრადიციაში...

სამოთხე რაღაა, რჩეულთა სულების სამ-კვიდრო სოფლიდან გასვლის შემდეგ ყველა რელიგიაში, ევროპელი ხალხები ბერძნულის გავლენით პარადესის რომ ეძახიან? თვითონ ბერძნული სიტყვა ირანიზმია (**pairi daeza**) და შემოღობილ, დაცულ ადგილს წიშნავს. ჩვენს წინაპრებს კი სამოთხე ესმოდათ, როგორც ვერტიკალური სამი სკნელისა და ცისქვეშე-თის ოთხი მხარის კავშირი.

მთელი მეოთხე სტროფი რთული თანწყო-ბილი წინადადებაა, ქვემდებარე იგულისხმება: ვმდგარვარ მე; **სამოთხის კართან** – ადგილის გარემოება; (მე) ქედგახეხილი, გადატყაუ-ლი, – განკერძოებული განსაზღვრებები, ანუ წინადადების წევრები არ არიან, თუ ჩავთვ-ლიდით, მაშინ ქვემდებარები გამოვიდოდნენ და წინადადებაც შერწყმული გახდებოდა ქვე-მდებარებით.

მესამე-მეოთხე სტრიქონი სტროფისა ასევე სრულიად დამოუკიდებელია.

მთელი მესამე სტრიქონი – **ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა** – განკერძოებულია. რადგან სახელმძღვანელოებში „გარდა“ თან-დებულიანი გამოთქმების კატეგორია ავტორე-





ბის მიერ დაკონკრეტებული არ არის, ჩვენ მას ჩართულის კატეგორიას მივაკუთვნებთ, და აი ასე მივადექით შოთა ნიშნიანიძის ულამაზე-სი ლექსის მეხუთე, აზრის დამაგვირგვინებელ სტროფსაც, რომელიც მთლიანად ფიცის ფორმულაა, პირობაა, აღთქმაა მამულ-დე-დულისადმი, რომელმაც ვერაფერი არგო ჩვენს მისან ხარს – წიქარას. რომ მიუხედა-ვად ყველაფრისა, ამდენი შრომისა და ტანჯ-ვისა, წიქარას მასზე, სამშობლოზე, დარჩება თვალები, ანგელოზების ამოკოცნილი:

და როცა მიწას მივებარები,
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი, –
შენზე დამრჩება ისევ თვალები
ანგელოსების ამოკოცნილი.

სინტაგმა „ანგელოზების ამოკოცნილი“ ორმაგ შინაარსს იტევს. პირველი ისაა, ან-გელოზებმა კაცის რჩენის ტვირთების გამო თვალები რომ დაუკოცნეს ხარს, ნიშნად მად-ლობისა, ანუ ფოლკლორთან შეხმიანება:

მოფრინდნენ ანგელოზები,
დაჰკუცნეს ორსავ თვალზედა.

მეორე, ჩვენი პოეტის ლექსში კი ეგ აზრი ხომ დევს, ხალხური ლექსიდან მომდინარე, მაგრამ სიკვდილის უამს თვალების ანგელოზ-თა მიერ დაკოცნაც იგულისხმება, ანუ დახუ-ჭვა. მიცვალებულს ხომ უხუჭავენ თვალებს? ჩვენს მისან ხარს, ანგელოზები უხუჭავენ თვალებს და რადგან მისანი ხარი სინამდ-ვილეში პოეტია, მის სულს ზეცაში მიაცილე-ბენ. ასე ესმოდათ სიკვდილი, სულის ზეცად ასვლად. ანტიკურობაში ამას აპოთეოზს ეძახდნენ და მერე ქრისტიანობამაც ასე გად-მოსცა. მსგავსად არის აღნერილი სიკვდილის სცენა წინამდლვარ მატოსი გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. მატოს სულს ანგელოზები მიაცილებენ...

მთელი მხუთე სტროფი ლექსისა ერთი რთული ქვეწყობილი წინადადებაა. მთავარია მესამე-მეოთხე სტრიქონები: „შენზე დამრჩება ისევ თვალები, ანგელოზების ამოკოცნილი“. ცალკე მეოთხე სტრიქონი განკერძოებული განსაზღვრებაა, რომელიც არც ბეჭდურ გა-მოცემაში და არც ელექტრონულ ვერსიაში მძიმით არ გახლავთ გამოყოფილი. მისი გან-

საზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად გა-დაკეთება სულ იოლია. საკმარისია, მიმღეო-ბა ამოკოცნილი პირიან ზმნად ვაქციოთ და პოპლა, მოხდება სასწაული. რითია ეს რთუ-ლი ქვეწყობილი წინადადება დამოკიდებული? არც მეტი, არც ნაკლები, დროით:

და როცა მიწას მივებარები (მე),
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი,

მეორე სტრიქონში განკერძოებული გან-საზღვრება გვაქვს, ორი სიტყვით გადმოცე-მული. ამ ორი სიტყვიდან ერთი ნაჯაფარი წარმომავლობით არაბული, სიტყვაა, რომელ-მაც მოახერხა და ზმნაც ანარმოვა: იჯაფა, უჯაფია, მაგრამ ეს ფორმები არ არის ასახ-ული არც ქართული ენის განმარტებით ლე-ქსიკონში, არც ორთოგრაფიულში, ანუ მათი კანონიზება ჯერ არ მომხდარა. აი ასეა ეს საქმე. სიტყვა ნაჯაფარი მიმღეობა გამოდის მორფოლოგიურად. მეორე სიტყვა ტანდა-კორძილი კომპოზიტია არსებითი სახელითა და მიმღეობით მიღებული. აქ უკვე გვაქვს სათანადო სასვენი ნიშანი. სტროფში გამოყ-ენებულია ჯვარედინი რითმა (1-3;2-4).

შოთა ნიშნიანიძის ლექსის ფინალი ამავე დროს ეხმიანება გალაკტიონის სტრიქონებ-საც:


თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები – როგორც პოეტს შეჰ-ფერის,

სიმღერები ხალისის და ბრძოლისა,
პოეზია – უპირველეს ყოვლისა!

(„პოეზია – უპირველეს ყოვლისა“)

შოთა ნიშნიანიძეს აქვს კიდევ დიდებული ლექსი სახელწოდებით „ხარი“. ისიც ძალიან ლამაზია, სხვადასხვა დროსაა ეს ლექსები დაწერილი. ჩვენ რომ დაგვეწერა, სიუიტად წარმოვადგენდით. მათ ბევრი აქვთ საერთო...

აი, მეგობრებო, ჭეშმარიტი პოეზია ასეთი ღრმაა, ასეთი ფერადი, სამი სკნელის მწვდომი და პოეტის გულისწვენმომცვრეული. ხოლო ეს სილრმე და სიმაღლე აზრისა, გრძნობისა ფორმალური და არაფორმალური გრამატიკის მიერ პოეტისთვის ასე არის ნაკარნახევი ჩვე-ნამდე მოსატანად...



ეთევან ფირუზაშვილი

რაჭომ ვერ ავტომატის წხოვრებას ხევისწერი გოჩა და რა აძლევს ამის ძალას ტერიტორიაზე? წხალია გრძელა მათ შორის პიროვნული სხვაობისა, აյ კიდევ ერთი დეტალია. მულტის ხელმისაწვდომის ძალას შეკრისტიანის მოგრივი სტენის. მას სიკრებლის მიზნი აქვს, მეორე შველი მუსიკას, რომელისაც უნდა დაქმდოს. მცენარი შეილისათვისაც შეკრისტიანი უნდა იძიოს. ხევისწერის შემთხვევა სულ სხვათ. მას აღარავინ ჰყავს. თემით შერწყმულია. შველი ალარ ჰყავს, შეკრისტიანი კი ვერ-ავისზე იძიოს. ტერიტორია კი იმ მაცხოვი ქალს ადანაშაულებს, ალრთ ამიტომ ინარჩუნებს კანისალ ფაინიკას. ხევისწერი ვო-ჩის კი, სხრავდ დანაშაულის გრძელება შელის ფურულის.

ქ. ფირუზაშვილი

თემით შერწყმულია. შეკრისტიანის გრძელება შესაბამის გვთავაზობს. ქეთევან ფირუზაშვილმა წარმატებით გაიარა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურები. ამჟამად ემზა-დება დოქტორანტურისათვის. როგორც საუბარში განაცხადა, საკვლევად, ლიტერატურულ პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტები აინტერესებს. ამჟამად, მხოლოდ ერთ ნაწილს გვთავაზობს თავისი ნაშ-რომიდან.

გზა დავულოცოთ ქართულ მწერლობაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ქეთევანს. ვუსურვოთ, ფეხბეჭნ-იერი შემოსულიყოს ურნალ „ოლეს“ მეტად საინტერესო და მრავალფეროვან სამყაროში.

ნანა რჩეულიშვილი ფილოლოგის დოქტორი

ვსიქოლოგიური პორტრეტები მოთხოვაში „ხევისბერი გოჩა“ და ევროპული ლიტერატურული პარალელები

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში გა-მორჩეულ ადგილს იკავებს მოთხოვა „ხევისბერი გოჩა“. გარდა მასში ასახული მოხევეთა ზოგადი სახეებისა, თავისუფლებისათვის ბრძოლისა და საკმაოდ საინტერესოდ გადმოცემული ხევის ცხოვრებისა, გვხვდება ერთი, საინტერესო და ქარ-თული ლიტერატურისათვის არცთუ პოპულარული თემა – მაგაშვილობის პრობლემა. ნანარმოების პრობლემატიკა და სპეციფიკა განსხვავებულია ყა-ზბეგის შემოქმედებაში. კერძოდ, თუკი სხვა ნანარ-მოებებში მთავარ პერსონაჟთა დაღუპვის მიზეზი გარე ფაქტორები ან უარყოფითი პერსონაჟი არიან, აქ ეს ტრადიცია დარღვეულია. მოთხოვა კარგად გამოხატავს აზრს, რომ ხშირად ადამიანს თავად მიჰყავს საკუთარი თავი დაღუპვამდე. რაც შეხება ჩვენს მიერ დასახელებულ, მაგაშვილობის პრობლემას. რეალურად მსგავსი საკითხი საკმაოდ იშვიათია არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც კი. მოცემულ ნაშრომში შევეცდებით შედარებითი კვლევის მეთოდით, დავუპირისპიროთ ერთმანეთს „ხევისბერი გოჩა“ და ნიკოლაი გოგოლის „ტარას ბულბა“. ერთი შეხედვით საერთო თემას ამდიდრებს პერსონაჟების მკვეთრად განსხვავებული ფსიქოტიპები. მკვე-

თორად განსხვავებულია შვილთა მკვლელობის მო-ტივებიც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, არა ზოგადი პრობლემა, ღირსებას შეწირულ შვ-ილთა შესახებ, არამედ ამ პერსონაჟთა ფსიქოლო-გიური პორტრეტების შედარებითი ანალიზი.

დავიწყოთ ხევისბერი გოჩას ფსიქოტიპით. მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი კი ყველაზე ნათ-ლად ონისესთან ურთიერთობაში იკვეთება. ხევის-ბერი, თავიდანვე, რაღაც საბედისნეროდ ღრმად სწვედება შვილის შინაგან სამყაროს და აშკარაა, რომ ძალიან კარგად იცნობს მას. მაყრიონის სოფელში შესვლის წამსვე მამა ხვდება, რომ ონისეს, რაღაც არცთუ მარტივი დაატყდა თავს. და-საწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ გოჩა, მხოლოდ ონისეს მამა როდია. იგი მთელი თემის მშობელია და მასზე დაკისრებულ მოვალეობას შესანიშნავად ასრულებს. მისი გაფაციცებული მზერისა და დაკ-ვირვებულობის მიზეზიც ამაში უნდა ვეძიოთ. ვერ ჩავთვლით, რომ ხევისბერი სახელის ან ძალაუ-ფლების მაძიებელია, პირიქით. მან იცის, რომ მთე-ლი თემი მას უმზერს. ისაა მისაბაძიცა და იმედიც. ამდენად, სხვა, უბრალო კაცისაგან განსხვავებით, მეტი მოეთხოვება. მეტსაც მოითხოვს საკუთარი თავისა და შვილისაგან. მიუხედავად იმისა, რომ





ნებისმიერი მშობლისათვის შვილის ბედნიერება უმთავრესია, „თემის მამის“ შვილს ეგოიზმის უფლება არ აქვს. ნაწარმოებში მამა-შვილის ურთიერთობასაც სწორედ ეს არ-თულებს. მამის გული, კარგად ხე-დავს შვილის გასაჭირს. ვფიქრობთ, რომ აქ პიროვნების პატივისცემასთან გვაქვს საქმე. გორჩა საკუთარ შვილს პატივს სცემს და არ აიძულებს, მისთვის რთულ თემაზე ის-აუბროს. ერთი რამ ფაქტია. მამამ კარგად იცის შვილის დარღი, მისი უბედურება და ტანჯვა, მაგრამ ამ თემაზე სიტყვასაც არ სძრავს. გორჩა მორწმუნე ადამიანია, იგი მთე-

ლი თემის გადარჩენასაც, ღმერთს მიანდობს. ასე იქცევა საკუთარი შვილის შემთხვევაშიც. იქნებ, სწორედ ესაა მიზეზი, რატომაც უშუალოდ არც ერევა ონისეს ცხოვრებაში? ლიად და აშეკარად არც კი ლოცულობს მისთვის. მხოლოდ მაშინ, როდესაც მარტო რჩება. ამ მამაშვილური თავშეკავებულობით, იგი წაემსგავსება ტარას ბულბასაც. ისიც, გორჩას მსგავსად, ლიად არასოდეს გამოხატავს შვილების მიმართ სიყვარულსა და ზრუნვას. აქვე ჩანს ხევისბერი გორჩას კიდევ ერთი საინტერესო თვისება. იგი, არ ცდილობს შვილის დაცვას ცხოვრებისეული სირთულეებისაგან. კარგად ესმის, რომ ამას ვერ შეძლებს. მხოლოდ ის კია, ცველა გზით ცდილობს ონისეს სწორი გზა დაანახოს, ას-ნავლოს კარგისა და ცუდის გარჩევა, შეახსნოს რა ევალება ვაჟაც. საპოლოოდ კი, არჩევანს უტივებს. შვილის გრძნობასაც ლიად არ ებრძვის, მხოლოდ აფრთხილებს და ამხნევებს. სწორედ აქაა ერთი მთავარი განსხვავება ტარას ბულბასა და გორჩას შორის. ტარასი, ვერ ახერხებს დამოუკიდებელი ადამიანების აღზრდას. მის შვილებზე ჩვენ ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ, მაგრამ აქაც უნდა ითქვას, რომ ანდრი, (ტარასის ვაჟი) სწორედ მამის არასწორი აღზრდის გამოა დამოკიდებული ხან მშობლის აზრზე, ხან კი სატრაფოსი. აი გორჩა, სულ სხვა ფსიქოლოგიის კაცია. იგი შვილში უპირველესად დამოუკიდებელ ადამიანს ხედავს და ცდილობს ეს თავისუფლება არც შეუზღუდოს. ერთი კია, ცდილობს გადასცეს საკუთარი ცოდნა, გამოცდილება და სწორი გზა დაანახოს, შემდეგ კი არჩევანს ისევ შვილს უტივებს. სწორედ აღზრდის მისეული მეთოდი ჩანს გორჩას სიტყვებიდან: „— აბა მაშ წადი, — წამოდგომით გააგრძელა მოხუცმა, — წადი, სადაც გინდა, ოლონდ ჩემს სიტყვებს ნუ დაივიწყებ... გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისათვის არის გაჩენილი.“ [ქაზბეგი, 1985: 611]. საინტერესოა კიდევ ერთი რამ. მამა, რომელიც იგებს, რომ მისი შვილი მოღალატეა. მერედა როდის? მაშინ, როდესაც მისით უკვე ამაყობს. ამაყობს მისი ვაჟაცობით. ქართველი



ძეთევან ფილუაშვილი

მამისათვის ხომ შვილის ომში გამოჩენილი გმირობა, ომში სიკვდილიც კი დიდი სიამაყეა. მერედა რომელ ომში? საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად გამართულში. მან ხომ შვილი სწორედაც ვაჟკაცად, საკუთარი მიწის დამცველად გაზიარდა. „არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო...“ [ქაზბეგი, 1985: 638] არსად, მამის დარიგებაში, არ ჩანს, თხოვნა, რომ შვილი თავს გაუფრთხილდეს, ან საკუთარ სიცოცხლეს. პირიქით, ამზადებს, რომ საკუთარი სისხლის ფასად და-

იცვას საკუთარი მიწა. ამდენად, მკითხველისათვის რთული ნარმოსადგენი არ იქნება გორჩას მდგომარეობა, როდესაც შვილის ღალატს შეიტყობს. თანაც, არ უნდა დაგვაკინყდეს, რომ არამხოლოდ ქვეყნის, არამედ კაცობის, მორალისა და ღირსების. ამდენად, გორჩას აზრით, შვილის ღანამსული მანამდე სამსჯავროზე გაყვანილ გუგუას დანაშაულს აღემატება. პირველი, იმიტომ, რომ მოძმეთ სისხლი დაიღვარა მის გამო, მეორე იმიტომ, რომ მორალს უღალატა და ცდუნებას აჰყვა, მესამე და უმთავრესი სწორედ იმიტომ, რომ ის ხევისბერის შვილია და ბევრად მეტი მოეთხოვება, ვიდრე სხვას. მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი ბენაშვილის აზრით, „დამსახურებული სასჯელი კარგი ხელოვანის ხელში იქცევა ნაწარმოების გვირგვინად.“ [ბენაშვილი, 1939: 43].

მკვლევარი მაინც არ საუბრობს ხევისბერი გორჩას ასეთი ქცევის მიზეზებზე. ამ საკითხს მეტად საინტერესოდ ეხება გრიგოლ კიკნაძე. იგი აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ყაზბეგი თავის შემოქმედებაში ნათლად აჩვენებს, რომ შესაძლოა ადამიანში ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები თანაარსებობდეს. ხევისბერი გორჩას მიერ, უსაყვარლესი შვილის მკვლელობაც სწორედ იმაზე მიუთითებს, „რომ სინამდვილეს სრულიად არ შეეფერება სწორხაზობრივი მსჯელობა“. [ქაზნაძე, 11978 :328]. შესაძლოა ერთი ადამიანის გულში თანაარსებობდეს: უდიდესი სიყვარულიც, აგრესიაც, დასჯის სურვილიც. დიდი განსხვავებაა ტარასსა და გორჩას შორის შვილის მკვლელობის დროს. პირველი, გორჩა საკითხს საკმაოდ სწორად უყურებს და დამნაშავების ძებნას არ იწყებს. მას აქვს იმხელა ძალა, რომ რეალური დამნაშავე ინისეში ამოიცნოს, ონისეში, რომელიც საკუთარ თავს ვერ მოერია. ტარასისაგან განსხვავებით, შურს ძიდიაზე არ იძიებს. დამნაშავედ აღიქვას საკუთარ შვილისა და ალბათ საკუთარ თავსაც. შვილის მკვლელობაც საკმაოდ სპონტანურად ხდება. ამითაც განსხვავდება იგი ტარასისაგან, რომელიც შვილს კლავს და სიმშვიდეს, გარეგნულად მაინც ინარ-





ჩუნებს. ხევისბერის ფსიქიკა ამას ვერ უძლებს. მიზეზი, ონისეს მოკვლისა, ალბათ წააგავს ანდრის მკვლელობის მოტივს, განსახვავება კი სწორედ მამის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. ალბათ ისიც თვლის, რომ მისი გარენილია და თავად უნდა მოუსწრაფოს სიცოცხლე, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმის წამსვე ხევისბერის ფსიქიკა მომხდარს ივიწყებს. როგორც ჩანს, ეს მისთვის იმდენად მტკიცნეული მოგონებაა, რომ ვერ იღებს. პრატჩტიკულად, ხევისბერი გოჩა, შვილთან ერთად კვდება. პერსონაჟი სიცოცხლეს აღარ აგრძელებს. იმ წამს, როდესაც ონისე ბოლოვერ ამოსუნთქებს, როდესაც გოჩა ხანჯალს მოიქნევს, თავადაც კვდება. იბადება სრულიად სხვა, სრულიად განსხვავებული ჭკუიდან გადასული მოხუცი კაცი. შესაბრალისი და საშიში.

კიდევ ერთი განსხვავება, მსგავსი პრობლემა-ტიკის ორ ნანარმოებშიც, სწორედ აქაა. რატომ ვერ აგრძელებს ცხოვრებას ხევისბერი გოჩა და რა აძლევს ამის ძალას ტარას ბულბას? ცხადია გარდა მათ შორის პიროვნული სხვაობისა, აյ კიდევ ერთი დეტალია. ბულბას სიცოცხლის ძალას შურისძიების მოტივი სძენს. მას სიცოცხლის მიზანი აქვს, მეორე შვილი ჰყავს, რომელსაც უნდა დაეხმაროს. მკვდარი შვილისათვისაც შური უნდა იძიოს. ხევისბერის შემთხვევა სულ სხვაა. მას აღარავინ ჰყავს. თემთან შერცხვენილია. შვილი აღარ ჰყავს, შურსაც კი ვერავისზე იძიებს. ტარასი კი იმ მაცდურ ქალს ადანაშაულებს, ალბათ ამიტომ ინარჩუნებს ჯანსაღ ფსიქიკას. ხევისბერ გოჩას კი, სწორედ დანაშაულის გრძნობა შლის ჭკუიდან. ალექსანდრე ყაზბეგი მეტად საინტერესოდ ჩასწოდა ტრავმული ადამიანის ფსიქიკას. გოჩას ავიწყდება შვილის მკვლელობა. ამ მოვლენას ასე ხსნის ფრონიდი. „ასე ავიწყდებათ სისხლორცში გამჯდარი საკუთარი სახელები, თუკი იგივე სახელის მქონე სხვა ინდივიდის მიმართ დაფარული ღვარძლი აქვთ; ივიწყებენ განზრახვების შესრულებას, თუკი მას პრინციპულად უსიმოვნოდ შეასრულებდა.“ [ფრონიდი, 2005, 50]. ასე ებრძვის ზოგიერთი ადამიანის ფსიქიკა მეტად მტკიცნეულ მოგონებებს. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ისაა, რომ გოჩა ფუნქციას კარგავს. ორი მთავარი მისია ჰქონდა, იყო ხევისბერი და იყო მამა. ამითი შემოიფარგლებოდა მისი ცხოვრება, ახლა კი უფუნქციოდ რჩება და მის ცხოვრებას აზრიც აღარ აქვს. ამრიგად, ამ ორ მამას ერთმანეთისა-გან სწორედ ეს განსხვავებს. ალბათ ამიტომაცაა მათი ალსასრული სხვადასხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ დასახელებულ ნანარმოებებში მსგავს პრობლემატიკას ვანყდებით, მათში განსხვავებულია პერსონაჟთა ფსიქოტიპები, დამოკიდებულებები მამებსა და შვილებს შორის, მათი მორალი, თუ აღზრდის მეთოდები. მკვეთრად განსხვავდება შვილების დამოკიდებულება მამების მიმართაც. მაშინ, როდესაც

ონისეს საოცარი მონიწება აქვს გოჩას მიმართ და ეს თითოეულ მის ფრაზასა თუ ქმედებაში ვლინდება, ტარას ბულბას შვილებს დასაწყისშივე სულ სხვა ურთიერთობა აქვთ მამასთან. ეს ბუნებრივია. ხევისბერი გოჩა, პატივისცემას იმსახურებს შვილის მხრიდან. იმიტომ, რომ თავად სცემს მას პატივს. მიუხედავად მისი მკაცრი ხასიათისა არასდროს აყენებს შეურაცხყოფას. რაც შეეხება ტარასს, ტარას ცხადია უყვარს საკუთარი შვილები. მაგრამ ამ სიყვარულსა და სითბოს არნახულად მალავს. ასე იქცევა გოჩაც, ჩვენი აზრით აქაც მოტივი განსხვავებულია. გოჩას შემთხვევაში საქმე ისაა, რომ იგი მხოლოდ ონისეს მამა არაა. თითქოს ამდენი „შვილიდან“ ერთის გამორჩევა და მისი ასე გაგიუბით სიყვარული უსამართლობად მიაჩინა. სრულიად სხვაა მოტივი ტარას ბულბასი. ის საკუთარი თავიდან ყოველგვარ სისუსტეს, უფრო ზუსტად კი იმ თვისებებს აძევებს, რაც მისი აზრით სისუსტეა. ვინ იცის რამ შეუწყო ხელი მის ასეთ კაცად ჩამოყალიბებას. შესაძლოა ამაში დრო, ან ცხოვრების სტილი დავადანაშაულოთ. მებრძოლი კაზაკისათვის თვითგადარჩენის ერთადერთი გზაა მაქსიმალურად ვაჟუაცურად იცხოვროს. სწორედ ამიტომ, შვილების მიმართ სიყვარულის გამოხატვის, რცხვენია. ამას მოხუც დედას უტოვებს. რომელმაც მის მაგივრადაც უნდა გამოავლინოს სიყვარული და მზრუნველობა შვილების მიმართ. რაც შეეხება შვილების დამოკიდებულებას, ისინი ბრმად ცდილობენ მიბაძონ მას და საკუთარ თავშიც გააღვივონ ის „ვაჟუაცი“, რომელსაც მამა ასეთი გულმოდგინებით ეძებს მათში. ხევისბერი გოჩას შემთხვევაში მიბაძვა ბრმა არაა. ონისეს გაცნობიერებული აქვს ვაჟუაცობის ფასი. რაც შეეხება ანდრის. მამისა და სრულიად კაზაკთა შემარცხენელს. მის პიროვნებას მამაც კარგად იცნობს და ავტორიც ცდილობს მეთხველი ჩასწოდეს მის შინაგან სისუსტეებს. გარდა იმისა, რომ იგი უფრო ლმობიერი და გულჩვილა, ვიდრე ოსტაპი, (მისი ძმა) ბრძოლაში ჩაბმის პირველივე დღეს საოცარ წინდაუხედავობას ავლენს. იგი გაიტაცა ბრძოლამ, მაინც იყვლა კაზაკის სისხლმა, მაგრამ არსებითად არ აქვს მნიშვნელობა ვის ებრძვის, ან რატომ. თავიდანვე, რაღაც საბედისწეროდ მიინევს ყოველგვარი საშიშროებისაკენ, ცდილობს თავის გამოჩენას. ანდრის, თითქოს საოცრად ხიბლავს, თავად ბრძოლის ხელოვნება და საკუთარი თავი, ბრძოლის ველზე. ანდრი, უფრო თავის გამოჩენისათვის იბრძვის. იმასაც კარგად ვხედავთ, როგორ ამაყობს ტარასი საკუთარი ვაჟებით. თვალნათლივ ჩანს, რა გაგიუბით უყვარს ორივე. ყველაფერს გაიღებს, რომ ოსტაპის გვერდით იყოს, შვილის უკანასკნელი წამები მასთან გაატაროს. ერთი, რაშიც მეტად ჰყვანან ერთმანეთს ტარას ბულბა და ხევისბერი გოჩა ისაა, რომ მათ ბევრი შვილის მამობა უწევთ. შვილის საშინელი ტანჯვის ცქერის შემდეგ, ბულბა გადარჩა. გადარჩა ფიზიკურად,





ალექსანდრე ყაზბეგი

მენტალურად. რატომ? რამ გადაარჩინა? ალბათ სწორედ იმ თანამებრძოლების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობამ, სწორედ იმ პასუხისმგებლობის გრძნობამ, რამაც ანდრის მოკვლა გადააწყვეტინა. მეორე, რამაც მისცა სასიცოცხლო ენერგია, შურისძიების მოტივი იყო. ავტორი კი ხაზგასმით აღნიშნავს, როგორ ხოცავს ბულბა მშვენიერ ქალებს. ამით შვილის შემაცდენელ შავთვალა და თეთრ მშვენიერ ქალებზე იყრის ჯავრს. მაგრამ, გულისნადების თითქოს თავადვერცხვენიაო, სულ სხვას ამბობს ხმამაღლა. მისთვის უფრო მარტივია მტერს მოსთხოვო პასუხი, ვიდრე ღალატში მხილებულ საკუთარ შვილს. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, იბადება ახალი კითხვა, თუკი ხევისბერი გოჩასაგან განსხვავებით, ტარასი შვილს დამნაშავედ და მოღალატედ კი არა, შეცდენილად თვლის, თუკი დანაშაულს ქალს გადააბრალებს, მაშ რატომლა კლავს საბოლოოდ მას? როგორც ჩანს, მაშინ როდესაც, უკვე საკუთარი თვალით ხედავს მტრის ჯარში მყიფ შვილს, უკვე მამის თვალწინ, რელაური დამნაშავე წარმოდგება. ეს ერთი შეხედვით უგრძნობი კაზაკი, რომელიც ასე კარგად მაღავს სიყვარულის უნარს, უფრო მეტად გულწილი მამა აღმოჩნდა, ვიდრე ხევისბერი გოჩა. იგი ბოლო წამამდე ცდილობს შვილს გამართლება მოუქებნოს. აძლევს მას თავის გამართლების შანსს, თუმც უშედეგოდ. ტარასის სიტყვებში, თითქოს მუდარაც კი იკითხება, რომ შვილმა რამე თქვას, მაგრამ უშედეგოდ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ინისესა და ანდრის პერსონაჟებიც. ისინი ერთი



ნიკოლაი გოგოლი

შეხედვით მსგავსი პრობლემატიკის წინაშე დგანან. დავიწყოთ ონისეს პიროვნებით. ვინაა იგი? მთელი ხევის სულიერი მამისა და ფიზიკური წინამძლოლის შვილია. განსხვავებით ანდრისაგან, იგი ამ პასუხისმგებლობას აცნობიერებს. მხოლოდ იმ პირველ და უკანასკნელ წამს აჰყვება გრძნობას და ეს გახდება საქმარისი, ოთხი ადამიანის დასალუპად. რა ხდება მაშინ, როდესაც ონისე აცნობიერებს, რომ გულში დასალუპავად განწირული სიყვარული ჩაესახა? იგი დასალუპისშივე ცდილობს ეპრძოლოს თავის ეგოიზმს. სიმართლე რომ ვთქვათ, თავიდანვე იცის, რომ არასწორ გზას ადგას. იგი მთელი ძალით ცდილობს იბრძოლოს. რისთვის? ვისთვის? ან ვის გამო? პირველ რიგში, სწორედ იმიტომ, რომ მამა არ შეარცხვინოს. ამას გარდა, იგი საკუთარი მორალის ერთგულიცაა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მორალი სამგვარია, ერთი პირადი, მეორე საზოგადო, ხოლო მესამე უზენაესი ღმერთის. ამ შემთხვევაში კი, ონისეს გრძნობა არცერთის ფარგლებში არ ჯდება. იგი არ აძლევს უფლებას საკუთარ თავს, რომ დატკბეს სიყვარულით, სხვისი ცოლისა და მერე ვისი? საკუთარი მეგობრის. აი სწორედ აქა პირველი განსხვავება ონისესა და ანდრის შორის. ნიკოლაი გოგოლი არსად აღგვიწერს ანდრის შინაგან ბრძოლას. მაშინაც კი, როდესაც თავისიანების წინააღმდეგ იწყებს ბრძოლასა და ხმალს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ შემართავს, ერთადერთი რაზეც ფიქრობს, ის მშვენიერი ქალია. მისი დაცვა, მისთვის ბრძოლა და თავისმოწონება. მას, ონისესაგან განსხვავებით, არ აქვს ომში თავგანწირვის საბაბად პატრიოტიზმი. თავიდანვე მიდ-





ის, სხვისათვის თავის მოსაწონებლად. საერთოდ მისი შინაგანი მდგომარეობა, მისი მორალიცა და პიროვნებაც, გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. ჯერ მამისათვის იმედის გამართლებას ცდილობს, ამისათვის იბრძის. შემდეგ კი მამის კულტს, ქალის სახე ანაცვლებს და ახლა მისთვის თავის მოსაწონებლად იწყებს ცხოვრებას. ონისეს შემთხვევაში, ასე ღრმად არაა გამჯდარი მამის კულტი. უფრო ზუსტად კი, ამ დიდი მამის პიროვნებას, შვილის პიროვნება კი არ დაუჩრდილავს, შვილში სწორად მოაზროვნე და ნამუსიანი კაცი გაუზრდია. ანდრი კი სახელს ამოფარებული კაცი დადგა. მამისათვის ცხოვრობს, მის მორალს ემორჩილება. გავიხსენოთ რა ამაყად ზის ცხენზე, მშვენიერ საომარ ტანისამოსში გამოწყობილი, რა ამაყად გამოდის ქალაქიდან საკუთარი ხალხის, მამისა და ძმის წინააღმდეგ. რატომ? განა არ იცის რომ ეს ღალატია? მისი თვითშეფასებაც, გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული და ამჯერად კი ქალზე. ქალს კი, სწორედ ასეთი ანდრი მოსწონს, სწორედ ეს უნდა მისგან, სწორედ ასეთ ერთგულებას ითხოვს. მაშავე, რას ხედავს ანდრი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე? დედას, რომელიც საკუთარ სურვილებს ღრმად მალავს საკუთარ თავში, მამას, რომელიც არასოდეს სცემს პატივს მის პიროვნებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ზუსტად ისე იქცევა, როგორც ტარასს სურს. ამან კი გამოუმუშავა აზრი, რომ ადამიანებს მხოლოდ მაშინ ეყვარებათ, თუკი იგი ზუსტად ისე მოიქცევა, როგორც მათ სურთ. ამიტომ საკუთარ სურვილებს, დედასავით მალავს და სიყვარულშიც, ისევე განუზომელ მსხვერპლს გაიღებს, როგორსაც მანამდე მამისათვის – თავისუფლებას. ანდრი, რომელიც მამის წინაშე დგას, თავად კი არაა მოლალატე, უბრალოდ ქალის სურვილების ამსრულებელია. ამდენად, ჩვენი აზრით, ანდრი მხოლოდ იარაღია სხვის ხელში. შინაგანად სუსტი ბიჭი, რომელსაც ძალიან უნდა მამასავით ძლიერი კაცი გახდეს, მაგრამ არ იცის როგორ. წარმოვიდგინოთ, რა გრძნობები დაიბუდება მის პიროვნებაში, როდესაც, ერთი პატონისაგან გათავისუფლებულმა, უცხო ქალაქში ამოყო თავი. რა განწყობაზე დადგებოდა მისნაირი კაცი, როდესაც ომის საშინელებას ნახავდა ქალაქში. აი აქ, სწორედ ამ ქალაქში იყო მისი გმირობისათვის ყველაზე ფართო არეალი. მართლაც, რა სჯობს გადაარჩინო დაჩაგრული, საცოდავი მშერი ქალაქი და გახდე მათი გმირი. სწორედ აი ამ გმირობის ტყბილმა ნექტარმა აცდუნა ანდრი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, ახალ ბატონს დაუმორჩილა. მაშინ, როცა კაზაკთა შორის, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო, მაშინ როცა, მამა ამბობდა, კაზაკთა შორის, კარგი მებრძოლია, მაგრამ არა პირველი. მამისა და ძმის ჩრდილქვეშა. აქ კი, მას ეკუთვნის ბურთი და მოედანი. თავისუფალია ყველას ჩრდილებისა-

გან. მთელი ცხოვრება ამ ჩრდილში ნაცხოვრებს, პირველად ეძლევა დამოუკიდებელი ცხოვრების შანსი. თუმცა კი, იმდენადაა გადაჩვეული თავისუფლებას, დამოუკიდებელ აზროვნებას, რომ კვლავ ახალი ჩრდილების ქვეშ მოექცევა. სიყვარულის და ქალის. ქალაქში იგი, პირველი იყო, ქალაქის გადამრჩენელი, იმ მშვენიერი ასულის გმირი. მსგავსი რამ, უცხოა ონისესათვის. იგი არ იბრძის სახელისათვის. სამშობლო მიწის დასაცავად იბრძვის. არც სახელის შერცხვენაა მისთვის მთავარი საშიროება. უბრალოდ იცის, რომ არასწორია, ის სურვილი, რაც გულს უძრონის. ონისე, მეტად თავისუფალი კაცია, მეტად მორალური და მეტად ძლიერიც. ვაჟი ბოლომდე აცნობიერებს საკუთარ დანაშაულს. თუმცა კი ეს გრძნობა, იმდენად მძიმეა მისთვის, რომ მაინც ვერ უძლებს და ცდილობს იპოვნოს ვინმე, ვინმე ვისაც გადააბრალებს ამ ტრაგედიას. ტრაგედიას, რომელსაც რეალურად მხოლოდ ერთი დამნაშავე ჰყავს და ესაა სიყვარული. დანაშაულის შეგრძენება ერთი ყველაზე ძლიერი რამაა, რაც ადამიანის ფსიქიკას ანადგურებს. მაშინ როდესაც, ადამიანი ვერ ახერხებს მოქრიოს ამ გრძნობას, ვერ ახერხებს აპატიოს საკუთარ თავს, აქ იწყება ფსიქიკის ჯოჯოხეთი, რომელსაც ადამიანი სიგიუმდეც კი მიჰყავს. სწორედ ამ მდგრმარეობაშია ონისე. განსხვავებით ანდრისაგან, რომელსაც თითქოს არც კი შეუტოკდა სინდისი, ისევ მხოლოდ და მხოლოდ ახალ ქურუმზე, საკუთარ სიყვარულზე ფიქრობს და ამ სიყვარულითვე კვდება. ონისეს შემთხვევაში კი, დანაშაულის შეგრძენება იმდენად ძლიერია, რომ სიყვარულის ადგილისაც კი ალარ ტოვებს. ვის გადააბრალებდა ამ ყველაფერს, ვის? მართლაც, ძიძია ყველაზე კარგი არჩევანი იყო. დანაშაულისათვის, რომელსაც დამნაშავე ვერ უპოვნებს, ვის აგებინებდნენ პასუხს? ვის იმაზე უფრო შესაფერისას, ვიდრე ქალს.

ამრიგად, მიუხედავად ნაწარმოებთა მსგავსი პრობლემატიკისა, განსხვავება მათ შორის თვალსაჩინოა. ამ განსხვავების საფუძვლად კი, სწორედ პერსონაჟთა სხვადასხვაგვარი ფსიქოტიპი უნდა მივიჩინოთ. როგორც ჩვენი მსჯელობიდან გამოიკვეთა, ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟები მაღლი ზნეობის ადამიანები არიან. მწერალი ახერხებს და პერსონაჟებში ალვიძებს ურთიერთსაპირისპირო გრძნობებსა და თვისებებსაც კი. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ყაზბეგის პერსონაჟები იმდენად რეალური არიან, თითქოს შეგიძლია ხელითაც კი შეეხო. მათთვის არაფერი ადამიანური უცხო არაა, მაგრამ მაინც ინარჩუნებენ მორალსა და ლირსების შეგრძენებას, მაშინაც კი, როდესაც უპატიებელ დანაშაულს სჩადიან. ვფიქრობთ, სწორედ ამაშია მწერლის გენიალურობაც, რომ იგი თითოეული პერსონაჟის სულში იმზირება, მათ ქვეცნობიერსაც კი, მკითხველისათვის ნათლად აღსაქმელს ხდის.





...უამისა კალაპი დამიტუსაღა...

(ლევან გოთუას ლირიკული პორტრეტი)

ის მე-20 საუკუნის პირმშო იყო... იმ
საუკუნის, რომელმაც ყველაზე მეტად შე-
ბოჭა ადამიანის თავისუფალი შემოქმედებ-
ითი აზროვნება და საბჭოურ იდეოლოგიად
აქცია იგი. ამგვარად ჩამოყალიბებულმა
„ლიტერატურის პარტიულობის პრინციპ-
მა“ შექმნა „ერთგვარი ლიტერატურული
ნარკოტიკი, რომელიც აავადებს ადამიანს
და იწვევს ყველაზე მძიმე ფორმის სენს –
გონებრივ გადაგვარებას, როგორც ცალკეუ-
ლი პიროვნების, ისე მთელი საზოგადოების
(აკ. ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერება“,
1990წ; გვ.68). მძიმე „სენის“ მსხვერპლი
შეიქმნა არაერთი თავისუფლად მოაზროვნე
შემოქმედი. მისი დამანგრეველი გავლენა
განიცადა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვა-
რებული ადამიანის, ლევან გოთუას ცხოვრე-
ბამ და შემოქმედებითმა მემკვიდრეობამაც.

საგულისხმოა ლევან გოთუას პოეტური პორტრეტი, მისი პირადი წერილებისა და ლირიკული ლექსების მიხედვით, ლექსების, რომლებიც საპატიმროს ცივი კედლების მიღმა იწერებოდა. ნარიმისა და ბისკის ბანაკებში ყოფნის მძიმე დღეები და მასთან დაკავშირებული სულიერი განცდებისან – პირად ბარათებად, ხან – კი, მგრძნობიარე პოეტურ სტრიქონებად ყალიბდებოდა და ასე აღწევდა მშობლიურ ქალაქს. ოჯახის წევრებისადმი მოწერილმა პირადმა წერილებმა შემოინახა მწერლის ცხოვრების ისტორია, – მკაცრი და დაუნდობელი. პირად ბარათებს ხშირად თან ახლდა ლირიკული ამონაკვნესები, მძიმე ემოციური განწყობით

ნარიმისა და შილების განკუპში ყოფნის მძიმე დღეები
და მასთან დაკავშირებული სულიერი გრძელები ხან – პირად
ჩართულებად, ხან – კი, მეგრინობიარე პოეტურ სტრიქონებად
ყალიბდებოდა და ასე აღნევდა მშირლიურ ქალაქს. ოჯახის
ნევრებისადმი მონერილია პირადის ნერილებრივ შემოინახა
შენოლის წოვრების ისტორია, – მკაფიო და დაუზიდობული.
პირად პროცესის ხშირად თან ახლოდა ლირიკული ამონ-
აკვნეები, მძიმე ემოციური განწყობით შეფერილი ლექსები,
ზოგჯერ გაურანდავი, ნახევრად გარიობებული, მაგრამ საოჯ-
არი ძალით გაჭურებული, იმ ძალით, რომელიც ყოველთვის
იყო ქართული ლექსის თანამდევი.

6. በክንያዣወጪውን

შეფერილი ლექსები, ზოგჯერ გაურანდავი, ნახევრად გარითმული, მაგრამ საოცარი ძალით გაჯერებული, იმ ძალით, რომელიც ყოველთვის იყო ქართული ლექსის თანამდევი. მძიმე განცდითაა დაწერილი ძმის, სანდროსადმი, 1933 წელს, ციმბირიდან გამოგზავნილი ბარათი: „შევცერი შავი ღრუბლით მოჭედილ ჩრდილოეთის ცას. ძლიერ შორს, ღრმა ნისლის უკან, ჩემი სანუკვარი სამშობლოა... როდის გამოიდარებს, არ ვიცი, მაგრამ, მაინც არის ლოდინი სასწაულად და შემზარვად...“ (თავგადასავალი ლევან გოთუასი; გვ. 142). იგივე ღრმა ემოციები იშლება ამ პერიოდში დაწერილ ლექსებში, სადაც, ხან ფრაგმენტულად, ხანაც ეპიკური სიდინჯითაა მოთხოვილი ციმბირის უკაცრიელ ბუნებაში მარტოსული ადამიანის სულიერი ტანჯვა:

„ზამთარში თოვლი და ნაშალაი ყორდიანი და ყინვის თალიდან მზა კარაჭინები.

ზაფხულში – ლოპერას ჰბარდნიან კოლონი
და უნაპიროვა ქარების ჭინება.

ნავი და მარხილი, საჭე და სადაცე

და ობი დარხეულა საიდან სადაო!?”

ლექსის მხატვრული მხარე, გადა

ლი რთული ხატოვანი ფორმებით,

კონტრასტული სახეებითა და არაზუსტი, ნებისმიერი რითმებით, საოცარ ექსპრესიას აღწევს მყითხველში. „კარაჭინი“, საბას ლე-ქსიკონის მიხედვით, „ნაქსოვის ფეხსაცმელია“. ლექსში იგი ყინვის ბადის მხატვრულ სახედ აღიქმება. ხოლო, „ობი დარხეულა“, უგრძესი, რხეული კალაპოტის მქონე მდინ-

არე ობის ზმნით გამოხატული მეტაფორული სახეა. „ლოპ-ერას ჰპარდნიან კოლონი“... „კოლომ სულში დუში ჩაღვარა“... და, იქვე – „ესევა მუმლის ურდო კოლო-მზეს“, – რიგი პოეტური სინტაგმებისა, მკენარი მწერების მხატვრულ სახედ გარდაქმნის შესანიშნავი ხერხის მიგნებით...

ლევან გოთუას პოეზიაში არცთუ იშვიათად გაკრთება ალიტერაციის ნიმუშები, განწყობის მწვავე ემოციური გადმოცემის პოეტური ხერხი.

როგორც წესი, ამ შემთხვევაშიც იგი არაა მოკლებული მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას:

„მუმლი მზეს! მუმლი მზეს! მუმლი მზეს!
ესევა, ესევა, ესევა!
ნუ მიმზერ! ნუ მიმზერ! ნუ მიმზერ!
ესე ვარ, ესე ვარ, ესე ვარ...“
(„მუმლი მზეს“)

ალიტერაციის საყურადღებო ნიმუშია ლექსში „ისევ აუგი“:

„და ჩემ წინ ისევ გადასახლება
და ისევ... და ისევ... და ისევ...
გადამათრევენ ისევ სხვა ხელები
და გული წურბელებს დაისევს.“

ავტორი, ხშირ შემთხვევაში, ლექსებში მიმართავს გარკვეულ პიროვნებას, საზოგადოების ჯგუფს, იშვიათად, – საკუთარ ორეულს. ეს მიმართვები გამსჭვალულია თანაგრძნობით, მონატრების წყურვილით, ზოგჯერ იმედისმომცემი ტონით, ზოგჯერ კი პესიმიზმითაა დამძიმებული. 1936 წელს, უკვე ბიისკის ბანაკიდან, მეგობრის, ოლია მესხისადმი მოწერილ წერილში, მამის, პართენ გოთუას გარდაცვალებით გამოწვეული სევდა იკითხება: „დასტურ – ყოველი ვაება, სისტემაში გადასული, კარგავს თავის სიმძიმეს... უფრო სწორად – აჩლუნგებს გრძნობას. სიკვდილშიც – ყველაზე უფრო საშინელი სიჩუმე და დაჩლუნგებაა... გლოვაში კი – უცრემლობა... (გვ.161).“

რა უნდა იყოს პოეტისათვის უფრო საშინელი, ვიდრე ემოციის გარეშე ყოფნა? როდესაც ადამიანის სული უგრძნობ სუბსტანციად ალიქმება და სხეულს ზედმეტ ტეირთად აწვება, ეს უკვე ცოცხლად სიკვდილია, რომელიც სპობს ყველა შეგრძნე-



ნანა
რჩეულიშვილი

ბას. ასეთი მგლოვიარე განწყობა სუფევს ლევან გოთუას თითქმის ყველა ლექსში.

უცრემლობასა და სიჩუმეს უჩივის მწერალი ლექსში „წერილი ქართველ დედას“. ეპიგრაფად ამ ლექსს გალაკტიონ ტაბიდის სიტყვები უძლვის: „ის უცხო მხარეს გარდაიცვალა და გახელილი დარჩა თვალები“. ჩანს, გალაკტიონის ამ ლექსის ლირიკულ გმირთან სულიერმა სიახლოვემ შობა შემდეგი სტრიქონები:

„მინდა მოგწერო: მგლოვი-
როგორც წესი, ამ შემთხვევაშიც იგი არაა

არე გულის ძაძები მოგწერო მინდა!
და ვერ ვპოვე ხმა ანაცარი,
მინდა ვიტირო: და ეს ცრემლი ვერ გა-
მოვძებნე,

ვიტირო მინდა და უბრალოდ გითხრა
რაც არის...“

ამ ჩრდილოეთში, ამ ველებში ჰპოვა სა-
ვანე —

სიკვდილში ყველა ობოლია,
მაგრამ სიკვდილი უსამშობლო
უფრო მწარეა, უფრო ბრალი, უფრო
სანანი.“

ლევან გოთუას აზრით, თავისუფლება ორმაგად საჭიროა შემოქმედისათვის. ვინც მხატვრულ სიტყვაში რაიმე სისტემას ეძებს, ის ვერასოდეს ქართულ ჭემარიტ მწერლობას ვერ მიაღწევს. მწერლობის განვითარება ბრძანებითა და ლოზუნგებით სავალალო და მომაკვდინებელია. მწერალს თავისი მეობა, სახე და ხასიათი უნდა გააჩნდეს, გარდა ბუნებით მინიჭებული ნიჭისა (თავ-გადასავალი ლევან გოთუასი, გვ. 379), წერდა იგი ოჯახის წევრებს ჩრდილოეთის ცივი ქალაქიდან, სადაც ის თავისუფლებისადმი მისწრაფების გამო ისჯებოდა. ეს სასჯელი მას ყოველ წუთს ახსოვდა და ამიტომაც შენიშნავდა მწარედ: „უამბა კალამი დამ-იტუსალა“-ო. მისი ლექსი „ურვათა ურვა“ ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ამ კაეშანს:


მომეცი ქუდი – დავითარო თავი შიშველი.

მკერდზე წურბელა დამეკიდა, როგორც აბედი,

ჩემი იმედი ნუ გექნებათ – ველარ მიშველით!...“

რაღაცა დამყვა უჩვეულო და უცაბედიც.





ლევან გოთუა

საგულისხმოა მწერლის განცდები ლევანის სათაურის შერჩევისას. ზოგჯერ დაეჭვებაც ჩანს სათაურის მიგნება-ვერმიგნების რთულ პროცესში. „თავს ვერ მიაგნო ამ სათაურმა და უნახივით სული დალია,“ – წერს პოეტი ერთ-ერთ უსათაურო ლექსში. ხოლო ლექსი „შუქი სარდაფში“ ინყება მსგავს ბერათა მუსიკალური გამეორებით: „შენ აიშენე ჩემ თაურში უსათაურო...“

1946 წელი ლევან გოთუას ცხოვრებაში კვლავ ციხისაკენ მიპრუნების პერიოდად აღინიშნა. იმუამად, პაქოს საპატიმროსაკენ გაუყენეს მწერალი, როგორც ქართველი ხალხის მოღალატე და მავნე შეთქმულების აქტიური წევრი. მატარებლის გასვლის შემდეგ ბადრაგს ოჯახის წევრებისათვის გადაუცია წერილი და ლექსი შთამბეჭდავი სახელით – „ლურსმული“. ორივე მათგანი განშორების მწარე განცდითაა აღბეჭდოლი. განცდა კი არა მარტო თავისუფლების დაკარგვითაა გამოწვეული, არამედ სინან-

ულით ჯერ დაუწერელი წიგნების გამო. „ვნანობ, რამდენი წიგნი დამრჩა დასაწერი, რამდენი მიზანი და საშვილიშვილო საქმე შეუსრულებელი...“ – ვკითხულობთ წერილში. ლექსი მძაფრი ლირიული სენტიმენტალიზმითაა გამორჩეული:

ლევან გოთუას ლირიკაში, თუმცა ღრმასევდიანი, მაგრამ, საოცრად იმედიანი სტრიქონებიც ვიპოვეთ. სამომავლო იმედი მის შემოქმედებით დანატოვარს ეხება. მწერალს სწამს, რომ მოვა მისი დროც, რომ მკითხველი გაიგებს მის „ობოლ სიმღერას“ და დაეწაფება, როგორც წყაროს ჭეშმარიტი ცხოვრებისას. ეს კი უკვე ახალი სიცოცხლის დადგომას ნიშნავს მისთვის:

რა თქმა უნდა, ძმობილო, – აღარავინ მოგელის...

რომც გელოდნენ, იქნება, აღარც ჩამოიარო,

და გადახვალ ამაყად, როგორც სარგის თმოგველი,

როგორც ბედის კივილი, როგორც ჩუმი იარა...

დრო მოვა და დაფნებით ჩამოივლი კარდაკარ

და წარსულო სიცოცხლევ, ხელახლად დაიწყები!

ეს იმედი, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გაუმართლდა მწერალს. თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიაში ლევან გოთუას მხატვრულმა მემკვიდრეობამ თავისი ლირსული ადგილი დაიკავა. როგორც ვნახეთ, პროზის დიდოსტატს, არანაკლებ საყურადღებო პოეტური ცდებიც ჰქონია. აქ განხილული პოეტური ნიმუშები მხოლოდ ერთი ნაწილია მისი პოეტური შთაგონებისა – სევდიანი, ავტორის ცხოვრების მსგავსად და იმედიანი სამომავლო არსებობისათვის. მომავალი თაობა უფრო ღრმად ჩაწვდება ამ შემოქმედების საიდუმლოს და მაშინ ალსრულდება ლევან გოთუას, როგორც მწერლისა და მოქალაქის სიტყვები: „ეს ფრაგმენტები მაინც დარჩეს, როგორც ჩემი „თეთრი ლამეებისა“, თუ „შავი დღეების“ თანაზიარი.“



